ეროვნული ბიბლიოთეკა


# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 29 (170) ◆ 20-26 ივლისი 1998 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში


პრივილეგირებულთა ფინანსურმა ერთობამ კასტის სახე მიიღო. კასტა კლანური პრინციპებით მოქმედებს, კლანურ-კასტური საძმაკაცოები ყველა მთავრობას ერგება, უფრო სწორად, ირგებენ. ეს ის პრივილეგირებული ბიძები არიან, რომელთაც საკუთარი კეთილდღეობისთვის სახელმწიფო დაღრღნეს და ფუტუროდ აქციეს. გვ. 4



ქართველები ათწლეულების მანძილზე იმით იყვნენ ცნობილნი, რომ ხელისუფლების ყველა ეშელონში ოსტატურად ატრიალებდნენ ათასგვარ ფინანსურ მაქინაციებს და ამ ტრადიციას დღესაც წარმატებით აგრძელებენ... აბა, ჰკითხეთ ამის შესახებ ედუარდ შევარდნაძეს. გვ. 3

ზურაბ ჟვანია გეგმავს ახალ ტერორისტულ აქტს აბაშიძის მიმართ, კოდური სახელწოდებით „ან შენ, ან მე". გვ. 23

**ფოტოპალიტრა**

### „ბეცი" საქართველოში ბრილიანტის ბეჭედს წამოჰყვა

სამი მანქანით მივსდევდით. „ბეცი" მძღოლს უყვიროდა, „Убью как собаку"... მანქანას საბურავიც დაეშვა, მაინც არ გააჩერებინა, ორი ნაგანით გვესროდა... სროლამ კარგა ხანს გასტანა... რომ მივუახლოვდით, მთელი სხეული დაცხრილული ჰქონდა. გვ. 3

### საპრიზო თამაში

ქისიკე ცალი© გვ. 22

**ჯეკ-პოტი — 600 ლარი**

### ქართველები ზღვაში ერთმანეთს ვერ ცნობენ



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სწრაფი რეაგირების რაზმისა და საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის კატარღებმა სუფსის სიახლოვეს ერთმანეთს კინაღამ სროლა აუტეხეს. გვ. 9

ყირგიზეთისა და ყაზახეთის პრეზიდენტები დანათესავდნენ: ასკარ აკაევის უფროსმა ვაჟიშვილმა აიდარმა ნაზარბაევის უმცროს ქალიშვილზე — ალიაზე იქორწინა.



ვეფხვის წელიწადში დაბადებულ „აჭარის ლომს" 20 ივლისს 60 წელი შეუსრულდა. საზეიმო ღონისძიებებს არ აპირებს, ელოდება მხოლოდ ერთგულ მეგობრებს.

საქართველოს მეორე პოლიტიკური ცენტრის ლიდერს, დიდ ოპოზიციონერს, ჩვენი გაზეთის მკითხველის რეიტინგით — „ყველაზე საუკეთესო პრემიერ-მინისტრს" ვულოცავთ იუბილეს.

### საუკეთესო ქართველი კინორეჟისორი

გვ. 23

მკითხველის შეფასებით

### გადარჩება რადუევი?

მოკლულის ნათესავები რადუევის სიკვდილით დასჯას ითხოვენ; თუ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაშინ აქაური ადათის მიხედვით, თვითონ აიღებენ სისხლს... მათ მხარს უჭერს პრეზიდენტი მასხადოვიც... გვ. 8

### რუსეთის ტელევიზიის სიურპრიზი



რომანოვების დაკრძალვის ცერემონიალის კომენტარის დროს, როცა კადრსმიღმა ხმა საზეიმო პათოსით აცხადებდა — ხედავთ, ალბათ, მოაქვთ კუბო ნეშტითო, — ამ დროს ეკრანზე მსხვილი პლანით აჩვენებდნენ... ბორის ნიკოლაევიჩ ელცინს, თანაც, მთელი ერთი წუთი ეჭირათ კადრი. გვ. 6

### ეს მოგონება არ ასვენებს...



ალენ დელონი თავის მძღოლთან ერთად სამი დღის მანძილზე, ყოველ დილით იპარავდა უსაყვარლესი მეგობრის, ჟან გაბენის ცხედარს ჰოსპიტლიდან, ეკლესიაში მალავდა და მხოლოდ გვიან ღამით აბრუნებდა მორგში. გვ. 18


EURO-AMERICAN

**ტანსაცმელი იაფად. 1 კგ-ის ფასი — 1 ლარიდან 5,5 ლარამდე**

თუ გსურთ სწრაფად იშოვოთ ფული, ჩვენ გაძლევთ შესაძლებლობას. გთავაზობთ ხარისხიან ტანსაცმელს ამერიკიდან 25 კგ-იანი ფუთებით. საწყისი თანხა შეადგენს 25 ლარიდან 170 ლარამდე

მ. „სამგორი", სამგორის ჩიხი №4, საქბაკალეის საწყობი

ტელ: 71-77-42

**ფირმა „ბერმუხა"**

**ყველაზე იაფად და დიდი ხნის მუშაობის გარანტიით**

შეგისრულებთ ბრტყელი სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს, თბილისსა და სხვა ქალაქებში, ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით.

შევისყიდით ბიტუმს და ცინაესოვილს

მის.: წერეთლის პროსპ. №55, ბინა 53

ტელ.: 96-06-00; 35-15-05; 8-99-50-06-50




### საკვირაო ტელე-კინოაფიშა

20-26 ივლისი

გვ. 12-13

Мой мир

Неделя

КОММАНДОС

ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ

Я ТЕЛОХРАНИТЕЛЬ

За РУБЕЖОМ

МОСКОВСКИЕ НОВОСТИ

Newsweek

FOCUS

Общая газета

DER SPIEGEL

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

ЛИК

stern

СЕГОДНЯ

КЛЮКВА

ИЗВЕСТИЯ

Труд

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

Иностранец

LE FIGARO magazine

Paris MATCH

ТВ ПАРК

ЛИЦА

ОГОНЁК

daily

le nouvel Observateur

Итоги

რეკლამა „კვირის პალიტრაში" - მართლა რეკლამაა - 987-444

## „მთლიანად" გადააბარა?

16 ივლისი, როცა ქართველი მესაზღვრეები შეუდგნენ ფოთის აკვატორიის გაკონტროლებას (სამწუხაროდ, მხოლოდ ფოთის, რადგან არძინბა ქართული გემების ჩაძირვით იმუქრება, ასლან აბაშიძე კი ავტონომიური რესპუბლიკის ძალებით აპირებს აჭარის აკვატორიის დაცვას), ისტორიულ მოვლენად აღიქვა ყველამ. საგულისხმოა, რომ დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებმა ასეთი ცნობა გაავრცელეს ქართველების მიერ ფოთის აკვატორიის დაცვის დაწყებაზე (ციტატა): „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა შავ ზღვაში რუსეთის ჯარმა მთლიანად ქართველ მესაზღვრეებს გადააბარა..."

შევარდნაძის განცხადებით, აფხაზეთის სანაპირო ზოლის დაცვასთან დაკავშირებით ანგარიში გაეწევა აფხაზური მხარის კანონიერ მოთხოვნებს, მაგრამ არა საქართველოს სახელმწიფოს საზიანოდ, ოღონდ, პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, რა იგულისხმება აფხაზთა კანონიერ მოთხოვნებში...

## ახალი პოლიტიკური ბლოკი იქმნება

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი უახლოეს მომავალში საქართველოს ნაციონალისტურ პარტიასთან ერთად აპირებს პოლიტიკური ბლოკის შექმნას, რომელსაც თავისი პროგრამა ექნება. როგორც აკაკი ასათიანმა 15 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პოლიტიკური ბლოკი, რომელსაც სულ მალე სხვა პოლიტიკური ძალებიც შეუერთდებიან, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, კერძოდ, მოახლოებული არჩევნების, საქართველოდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანისა და უწინარესად, შევარდნაძის გადადგომის საკითხებს განიხილავს. მეტიც, შემოდგომისათვის, ასათიანს იმედი აქვს, რომ პრეზიდენტს მისი გადადგომის თაობაზე შეგროვებულ ასობით ათას ხელმოწერას წარუდგენს...

შევარდნაძის თქმით კი, პრეზიდენტის გადაყენება არც კონსტიტუციის თანახმად, არც ხელმოწერებით და არც რეფერენდუმით არ შეიძლება და რომ არსებობს ერთადერთი გზა — საპარლამენტო იმპიჩმენტი. ამ განცხადებით პრეზიდენტმა ასათიანს აშკარად მიანიშნა — წერე და იკითხე!

## თეთრი დროშებით აფხაზეთის ტერიტორიაზე

მეგრულ ენაზე შედგენილი მიმართვა, რომელშიც გამოთქმულია მოწოდება ერთიანი მეგრულ-აფხაზური სახელმწიფოს შექმნის შესახებ, გაავრცელეს გალიდან დევნილ მოსახლეობაში. პროკლამაცია მოსახლეობას მოუწოდებს, თეთრი დროშით გადავიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე და მიიღონ აფხაზეთის მოქალაქეობა. სამწუხაროდ, ბევრ ლტოლვილს „ჭკუაში უჯდება" ეს პროვოკაცია და, კაცმა რომ თქვას, მათ ვერც ვერავინ გაამტყუნებს...

## კონფლიქტის ზონაში — 300 ცისფერჩაფხუტიანი

გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებმა კვლავ მოუწოდეს ქართულ და აფხაზურ მხარეებს გამოიჩინონ პოლიტიკური ნება გაეროს ეგიდით განხორციელებული სამშვიდობო პროცესის დასაბოლოებლად და უშუალო დიალოგის მეშვეობით წერტილი დაუსვან კონფლიქტის ესკალაციას. საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის უშიშროების განმტკიცებისათვის გამიზნულ ქმედებებს, ანუ კონფლიქტის ზონაში სამასი ცისფერჩაფხუტიანის შემოყვანას სრული საბრძოლო ეკიპირებით.

## ექვსი წლისთავი — საზეიმო მარშით

ცხინვალში კი, შერეულმა სამშვიდობო ძალებმა საზეიმო მარშით აღნიშნეს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში თავიანთი მისიის დაწყების ექვსი წლისთავი. 1992 წლის 24 ივნისს ელცინმა და შევარდნაძემ ხელი მოაწერეს ე. წ. სოჭის დეკლარაციას, რომლის საფუძველზეც იმავე წლის ივლისის შუა რიცხვებში დაპირისპირებული მხარეები დააშორიშორეს შერეულმა სამშვიდობო ძალებმა, რომლებიც რუსული, ქართული და ოსური ბატალიონებისაგან შედგებოდა. არადა, ქართველებს დღემდე მწარე მოსაგონებლად რჩება ის ფაქტი, რომ 1992 წლის ივნისში ცხინვალი, პრაქტიკულად, აღებული ჰქონდა გია ყარყარაშვილს და სწორედ ამ ყბადაღებულმა სოჭის დეკლარაციამ მიაბრუნა უკან დედაბუდიანად აკრეფილი და გასაქცევად გამზადებული ოსი სეპარატისტები, რომლებსაც დღეს პარლამენტიც აქვთ, პრეზიდენტიც ჰყავთ და ძალიან „დიდ გულზეც" არიან ჩრდილო მოკავშირით ზურგმომაგრებულები...

## ... თუ ლაგოდეხის მოდელით არ წარიმართა...

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ ივლიანე ხაინდრავამ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მისი პარტია მონაწილეობას მიიღებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში და თუ ის ლაგოდეხის მოდელით არ წარიმართა, მასაც და სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც, გარანტია აქვთ, რომ გადალახავენ 5%-იან ბარიერს. ხაინდრავას მიაჩნია, რომ დამოუკიდებლად მოქმედება რესპუბლიკელებს გაცილებით მეტ მომხრესა და მხარდამჭერს მისცემს, ვიდრე ვინმესთან გაერთიანება, მით უფრო, რომ მათ პოლიტიკური პარტნიორის მონახვა საკმაოდ ძნელ საქმედ მიაჩნიათ. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში კი, ხაინდრავა ირწმუნება, რომ პარტია უწინარესად საშინაო პრობლემებს — ეკონომიკას, ფინანსებსა და რეგიონებს შორის ურთიერთობას მიხედავს.

## გაუმარჯოს პროფკავშირს!

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს პროფკავშირების სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო ყველა ის აქტი, რომლის საფუძველზეც პროფკავშირების კულტურის სასახლე, თბილისის ზღვაზე მდებარე პროფკავშირების სასწავლო ცენტრი, ტრესტი „საქკურორტმშენი" და კურორტ ნაბეღლავის მოძრავ-უძრავი ქონება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურას გადაეცა. საკონსტიტუციო სასამართლომ ყველა აღნიშნული აქტი ძალადაკარგულად გამოაცხადა, თუმცა, საქართველოს პროფკავშირთა ლიდერებს თავდაცვის სამინისტროს ინტერესების გათვალისწინება სთხოვა. დღემდე კულტურის სასახლე და სასწავლო ცენტრი სწორედ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო. პროფკავშირთა მესვეურნი დათანხმდნენ ამ წინადადებას...

## მინისტრთა კაბინეტი — არა!!!

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა ევროსაბჭოს დელეგაციის წევრებმა, რომლებიც წარმოადგენენ საკონსტიტუციო ცვლილებების საკონსულტაციო საბჭოს და მათი მიზანია საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროექტის განხილვა, არ ჩათვალეს საჭიროდ ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა. მათივე აზრით, საქართველოში მინისტრთა კაბინეტის შექმნა არ არის აუცილებელი.

## ინვალიდთა ლიგამ საპროტესტო აქცია მოაწყო

**(ბეა)** ინვალიდთა ლიგამ ინვალიდთა სოციალური პროგრამების განხორციელების მხარდასაჭერად ტრანსპორტის სამინისტროს წინ საპროტესტო აქცია დაიწყო. ეს აქცია, მათი თქმით, მიმართულია საქართველოს საგზაო ფონდისა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ალიანსის წინააღმდეგ, რომლებმაც მიზანდასახულად, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, საფრთხე შეუქმნეს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის მხარდაჭერილ პროგრამას ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ.

## სიას სათავეში თარგამაძე და გულუა უდგანან

„მოქალაქეთა კავშირმა" და პრეზიდენტმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა საქართველო არ იქცეს კლანურ სახელმწიფოდ, რისი დიდი საშიშროებაც არსებობს, — განაცხადა კავშირის გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა. ეს განცხადება გაკეთდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტთან შეხვედრისას მმართველი უმრავლესობა და ედუარდ შევარდნაძე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია მთავრობის „გადახარისხება-გადახალისება", ასე რომ, ამ „გადახალისებისათვის" რამდენიმე მინისტრი უკვე თავადვე კრავს „გუდა-ნაბადს", ზოგსაც უახლოეს მომავალში ააკვრევინებენ... პრეზიდენტთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, „გადასახარისხებელ-გადასახალისებელი" მინისტრების სიას სათავეში უდგანან კახა თარგამაძე და ბაკურ გულუა...

## ტრანსურეთრული ცისტოლითოტრიპსია...

პრეზიდენტს მორიგი, ე.წ. საგეგმო-სამედიცინო შემოწმებისას, თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში ქართველმა და გერმანელმა სპეციალისტებმა ედუარდ შევარდნაძეს, უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიის გამოყენებით, ჩაუტარეს ტრანსურეთრული ცისტოლითოტრიპსია (უსისხლო მეთოდით შარდის ბუშტში საშუალო ზომის ქვის დაშლა). პროცედურამ წარმატებით ჩაიარა და პრეზიდენტი თავს კარგად გრძნობს. აღნიშნული დაავადება ამერიკელმა მედიკოსებმა აღმოუჩინეს პრეზიდენტს აშშ-ში მისი უკანასკნელი ვიზიტისას.

ამ ფაქტს ოპერატიულად გამოეხმაურა რუსეთის მასმედია, რომელსაც შეგნებულად თუ შეუგნებლად (უნდა ვიფიქროთ, რომ შეგნებულად) ერთმანეთში „აერია" შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადება და პროსტატიტი. არადა, სწორედ პროსტატის ოპერაცია იმავე სამხედრო ჰოსპიტალში, თავის დროზე, პავლიკა გრაჩოვის ნათლიამ, ვარდიკო ნადიბაიძემ გაიკეთა...

## მკვლელის ვინაობა ცნობილია?!

გაეროს უშიშროების საბჭომ დაგმო საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის თანამშრომლის, 31 წლის მარია-მაგდალენა ვევიორსკას მკვლელობა. ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული ვევიორსკა 14 ივლისს, საღამოს თავისი ბინის შესასვლელთან იპოვეს. გაეროს უშიშროების საბჭოს წევრთა სახელით ეს განცხადება გააკეთა გაეროში რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა სერგეი ლავროვმა.

ქართულმა სამართალდამცავმა ორგანოებმა დაიწყეს მკვლელობის გამოძიება და, ჯერჯერობით, თავს იკავებენ ყოველგვარი კომენტარისაგან.

როგორც **პრაიმ-ნიუსს** აცნობეს საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებიდან, — საქართველოში გაეროს მისიის თანამშრომლის, მარია-მაგდალენა ვევიორსკას მკვლელის ვინაობა ქართველი სამართალდამცავებისათვის ცნობილია.

მათი ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ დამნაშავეს უახლოეს ხანში დააკავებენ.

## 7.000.000 დოლარის კრედიტი

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის გადაწყვეტილებით, საქართველოს ეროვნულ ბანკს ხუთი წლის ვადით, შეღავათიანი პირობებით, გამოეყოფა შვიდი მილიონი დოლარის კრედიტი. მისი ათვისება 2000 წლამდეა ნავარაუდევი და მოხმარდება ჩვენი ქვეყნის საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებას.

## იჯეჯილეთ? — გეყოფათ...

დამთავრდა თქვენი ნავარდი, — მიმართა ფინანსთა მინისტრმა ჭკუასელმა საქართველოს რეგიონების ხაზინათა ხელმძღვანელებს და 16 „ხაზინადარი" ხელის ერთი დაკვრით მოისროლა. ამის მიზეზი კი გახლავთ 48 მლნ ლარის საფინანსო დეფიციტი 6 თვის განმავლობაში, ანუ 48 მლნ გაუცემელი ხელფასი, პენსია, შეუძენელი მედიკამენტი, საკვები და ა.შ.

მოელიან, რომ ჭკუასელი მალე საკუთარ სამინისტროში ჩაატარებს მსგავს წმენდას, შემოდგომაზე კი საბაჟო სამსახურებსაც მიხედავს...

## კობახიძე კიტოვანს უშუამდგომლობს

**(ბეა)** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი კობახიძემ მიმართა პარლამენტს, თავდებში დაუდგეს ამჟამად პატიმრობაში მყოფ თენგიზ კიტოვანს და უშუამდგომლოს მის გათავისუფლებას პრეზიდენტთან.

როგორც გიორგი კობახიძემ განაცხადა: „უხერხულია კიტოვანი უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისთვის იხდიდეს სასჯელს მაშინ, როცა საზოგადოება მთლიანად მხარს უჭერს პარტიზანულ მოძრაობას აფხაზეთში". მისივე აზრით, კიტოვანი თუ მხოლოდ ამისთვის იხდის სასჯელს, უნდა გათავისუფლდეს. ხოლო თუ სხვა მიზეზი არსებობს მისი პატიმრობაში ყოფნისა, მაშინ მიზეზი უნდა გაცხადდეს.

## საზღვარს დანაღმვას აპირებენ

**(პრაიმ-ნიუსი)** რუსეთის მესაზღვრეები კავკასიის მთიან ზონაში რუსეთ-საქართველოს საზღვრის ზოგიერთი მონაკვეთის დანაღმვას აპირებენ.

„ეს საშუალებას მოგვცემს, გადავკეტოთ ძნელად შესამჩნევი ბილიკები, რომელთა მეშვეობითაც შეიარაღებული ბანდიტური ჯგუფები რეგიონის ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებზე აღწევენ", თქვა ჟურნალისტებთან საუბარში კავკასიის საგანგებო სასაზღვრო ოლქის სარდლის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა ვლადიმირ ნოვიხმა.

გენერლის თქმით, საგანგებო ყურადღება მიექცევა საქართველო-რუსეთის საზღვრის სასაზღვრო-საბაჟო საგუშაგოს „ზემო ლარსი", რომელიც 18 ივნისს შეიარაღებულმა ბანდიტებმა დაცხრილეს.

მაშინ ორმხრივი ხუთსაათიანი სროლების შემდეგ ტერორისტებმა მთის ვიწრო ბილიკებით შეძლეს მიმალვა. „სწორედ ასეთ ძნელად მისადგომ ადგილებში, სადაც მშვიდობიანი მოსახლეობა არ მოძრაობს და მხოლოდ ბანდიტები გადაადგილდებიან, განლაგებული იქნება ნაღმები", აღნიშნა ნოვიხმა.

## რუზგენ გოგოხია გაათავისუფლეს

**(ბეა)** აფხაზების ტყვეობიდან გათავისუფლებული ყოფილი ოჩამჩირის ბატალიონის მეთაური, რუზგენ გოგოხია ენგურსგადმოლმა ჩეჩნეთის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, შამილ ბასაევის მოადგილის, მოჰამედ შაიმიევის თანხლებით გადმოვიდა.

გოგოხიას გათავისუფლების კომენტირებისას საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ავთანდილ იოსელიანმა განაცხადა, რომ ამ ფაქტს არძინბას მხრიდან დადებითად აფასებს. მისი აზრით, აღნიშნული ნაბიჯით აფხაზთა ლიდერი გამოხატავს ქართულ მხარესთან დიალოგის გამართვის სურვილს.

რუზგენ გოგოხია აფხაზთა ტყვეობაში 1993 წლიდან იმყოფებოდა. მას აფხაზური სასამართლოს გადაწყვეტილებით დახვრეტა ჰქონდა მისჯილი.

## „მიაქციეთ ყურადღება რუსეთის სპეცსამსახურებს..."

**(ბეა)** „საქართველოში აზერბაიჯანულ დიასპორასთან „გრუ"-ს აგენტები მუშაობენ, რომლებიც ცდილობენ, დააპირისპირონ ქართველი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა", — განაცხადა ტრადიციონალისტთა კავშირის გენერალურმა მდივანმა, გიზო კორძაძემ, რომელსაც აღნიშნულის შესახებ აზერბაიჯანში ყოფნისას აზერბაიჯანული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა აცნობეს.

რუსეთის სპეცსამსახურები ყველანაირად ცდილობენ ორ მოძმე ერს შორის შუღლის გაღვივებას. აზერბაიჯანელმა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა გიზო კორძაძეს მიმართეს თხოვნით, რომ მთელი სერიოზულობით დასვას ეს საკითხი საქართველოს ხელისუფლების წინაშე, რათა მან შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს საქართველოში რუსეთის აგენტურის წინააღმდეგ.

## „მაკდონალდსი" დაობლდა

მანჩესტერში (ნიუ-ჰემპშირის შტატი), თავის სახლში გარდაიცვალა რიჩარდ მაკდონალდი — სწრაფი მომსახურების საყოველთაოდ ცნობილი რესტორნების ქსელის ერთ-ერთი დამაარსებელი.

რიჩარდ მაკდონალდი 89 წლისა იყო.

რიჩარდმა (დიკმა) და მისმა ძმამ მორისმა თვითმომსახურების პირველი საგზაო რესტორანი კალიფორნიის შტატში გახსნეს ორმოციანი წლების დამლევს. შემწვარი კარტოფილის პაკეტი მაშინ 10 ცენტი ღირდა, ჰამბურგერი — 15, კათხა ლუდი — 20 ცენტი. 1955 წელს ძმებმა ამერიკაში ქსელის განვითარების ექსკლუზიური უფლება ბიზნესმენ რეი კროკს გადასცეს. 6 წლის შემდეგ კი მასვე მიჰყიდეს საზღვარგარეთ რესტორნების გახსნის უფლება. დღეს მსოფლიოს 111 ქვეყანაში 23 ათასი „მაკდონალდსია".

## გაქცევა იზოლატორიდან

**(პრაიმ-ნიუსი)** 30-ზე მეტმა განსაკუთრებით საშიშმა დამნაშავემ გროზნოს საგამოძიებო იზოლატორიდან უცნაური გაქცევა მოაწყო. შარიათის გვარდიის თანამშრომლებმა არა მარტო გაუშვეს პატიმრები, არამედ მათ მთავარი გასასვლელი კარებისა და ყველა საკნის გასაღებები გადასცეს და მათთან ერთად წავიდნენ.

წასვლისას გვარდიელებმა გაკვირვებულ პატიმრებს განუცხადეს, რომ რესპუბლიკაში ხელისუფლება იცვლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოში დიდი ფული მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებაშია...

## ანუ რას გვპირდება კონსტიტუციური ცვლილებები?

აშკარაა, რომ წლევანდელი თბილისური ზაფხული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც უაღრესად ცხელი გამოდგა. პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში ორი ერთმანეთთან გადაჯაჭვული მოვლენა დგას: ახლახან, ასლან აბაშიძის ინიციატივითა და მეთაურობით დაწყებული გადამწყვეტი პოლიტიკური შტურმი ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც, როგორც ადრე გვითქვამს, სწორედ ამ შტურმის გასანეიტრალებლად და სახელისუფლებო კრიზისის დასაძლევად ჩაფიქრებული სვლებია, რაც, ჯერჯერობით, არცთუ წარუმატებლად გამოსდის პრეზიდენტს. „აღორძინების კავშირისა“ და მის ირგვლივ საპარლამენტო და პარლამენტგარეთა პოლიტიკური პარტიების გაერთიანებამ ხელისუფლება აიძულა, ეღიარებინა კრიზისის არსებობა. მას შემდეგ, სხვადასხვა დონეზე გამოითქმება მზადყოფნა, რომ „ერთობლივი ძალისხმევით განახორციელონ ის კონსტიტუციური ცვლილებები, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას ჩამოყალიბდეს სხვა ტიპის მმართველობა, რომელსაც ექნება უნარი, იყოს აგრესიული, დაუნდობელი ქვეყნის და ცალკეული ჩვენი მოქალაქის მტრის წინააღმდეგ, რომელსაც ექნება უნარი დაიწყოს, უწინარესად, კორუფციის პრობლემის დაძლევა...“

დიახ, სწორედ, ქვეყანაში მძვინვარე კორუფციაა ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი არსებული უმწვავესი კრიზისისა, რომელიც, მიუხედავად ამ სენის მოსაშორებლად არაერთგზის გაკეთებული განცხადებისა და მუქარისა, კვლავ დილემად რჩება პრეზიდენტს, რომლის გადაუჭრელობა, ალბათ, შეიწირავს შევარდნაძესაც და მმართველ უმრავლესობასაც... მაგრამ ვიდრე უშუალოდ ამ აქტუალური პრობლემის შესახებ ვისაუბრებდეთ, შემოგთავაზებთ ფრაგმენტს ამას წინათ გაზეთ „ბალტიმორ სანში“ გამოქვეყნებული სტატიიდან, რომელიც პოსტსაბჭოურ სივრცეში, მათ შორის, საქართველოში გამეფებულ კორუფციას ეხება და ფრიად საყურადღებო პარალელსაც ავლებს:

„საკმარისია თვალი გადავავლოთ კუნძულ სიცილიის ისტორიას და აშკარად დავინახავთ, რომ მაფიამ აყვავება დაიწყო მას შემდეგ, როცა იქ ფეოდალიზმი დაიმსხვრა. ვიღაცას ხომ უნდა შეევსო ძალაუფლების ვაკუუმი და გადაეწყვიტა ქონების გაყოფასთან დაკავშირებული ესა თუ ის დავა! ამიტომ კრიმინალურმა ბანდებმა თანდათან დაიწყეს ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება და ბოლოს გადაიქცნენ ე.წ. „ჩრდილოვან“ მთავრობად... სწორედ ამგვარი მოდელი მეორდება ამჟამად ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, სადაც ადგილობრივი მაფიები იმდენად მოძლიერდნენ, რომ პრაქტიკულად, ქვეყნების მმართველ კასტებად და კლანებად იქცნენ. შედეგმაც არ დააყოვნა. ამ საზოგადოებებისათვის ყოველდღიური ცხოვრების წესად იქცა მკვლელობები, ტერორიზმი, კორუფცია...

ავიღოთ, ყოფილი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის, ედუარდ შევარდნაძის პატარა და სევდისმომგვრელი ქვეყანა საქართველო, — განაგრძობს გაზეთი, — შავი ზღვის მომაჯადოებელი სილამაზის სანაპირო, მთები, უძველესი კულტურა, ნაყოფიერი მიწა და მშრომელი ადამიანები, — მაგრამ ყოველივე ეს საქართველოს არაფერში არგია! 1991 წლის აპრილში, საბჭოთა კავშირიდან გასვლის შემდეგ, ამ ქვეყანას უბედურებისა და გაჭირვების გარდა არაფერი უნახავს. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სუსტი ეკონომიკა აქვს. რა შეიძლება იყოს ამაზე უარესი? და კიდევ, მართალია ქართველები ჩეჩნებივით დაუნდობელი მებრძოლები არ არიან, მაგრამ ათწლეულების მანძილზე იმით იყვნენ ცნობილნი, რომ ხელისუფლების ყველა ეშელონში ოსტატურად ატრიალებდნენ ათასგვარ ფინანსურ მაქინაციებს და ამ ტრადიციას დღესაც წარმატებით აგრძელებენ... აბა, ჰკითხეთ ედუარდ შევარდნაძეს ამის შესახებ, რომელიც ახლახან გადაურჩა მასზე მოწყობილ თავდასხმას...“




აი, ასეთ რიტორიკულ შეკითხვას სვამს ეს უცხოური გამოცემა, რომელიც ნათლად მიუთითებს ჩვენი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში არსებულ კორუფციაზე... პრეზიდენტს კი, რა უნდა ვკითხოთ? როცა ედუარდ შევარდნაძე ამ რამდენიმე თვის წინ პირველად ალაპარაკდა ახალგაზრდა, ენერგიული ადამიანებით დასაკომპლექტებელი ანტიკორუფციული ჯგუფის შექმნაზე, შემდგომ, კარგა ხნის მანძილზე, ამ საკითხის შესახებ ხმა აღარ ამოუღია იმიტომ, რომ როგორც მასთან დაახლოებული წყარო იუწყება, პრეზიდენტის მრავალრიცხოვან შტატიან თუ უშტატო მრჩეველთაგან, ვიღაცამ გაბედა და ურჩია, რომ არ ღირდა ამ იდეის განხორციელება. მაგრამ ჭკვიანმა პრეზიდენტმა არჩია, ვიდრე ოპოზიცია და ხალხი შეახსენებდა დანაპირებს, მორიგი „შეტევა“ განეხორციელებინა კორუფციის წინააღმდეგ. თუმცა, ამას სხვა მიზეზიც უმაგრებდა ზურგს: მისი გადაწყვეტილება, შეიქმნას კორუფციასთან ბრძოლის საგანგებო სამსახური, ნიშნავს უნდობლობის გამოცხადებას ყველა იმ კომპრომეტირებული სტრუქტურისადმი, რომელსაც ამა თუ იმ კუთხით დღემდე უშუალოდ ევალება კორუფციასთან ბრძოლა და არათუ არ ებრძვის, არამედ თვითონაა ამ ჭაობში ჩაფლული... რაც შეეხება კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ გია ბარამიძის კომისიას, მას რამდენადმე განსხვავებული იმიჯი აქვს: საპარლამენტო საგამოძიებო კომისიას ძალა და უფლებები აშკარად აკლია, რაც, სხვათა შორის, უწინარესად პრეზიდენტის დამსახურებაცაა. ამის კონკრეტული მაგალითიც სახეზე გვაქვს: ამ სტრიქონების ავტორს რამდენიმე თვის წინ გია ბარამიძემ ინტერვიუში განუცხადა: „სავსებით საკმარისია კომისიის მიერ მოძიებული მასალები, ყოფილი ვიცე-პრემიერის და დღეს საქართველოს სახალხო-პატრიოტული მოძრაობის ლიდერის, ავთანდილ მარგიანის კორუმპირებულობას რომ ამხელენ!“ ბარამიძემ ეს სხვადასხვა დროსაც არაერთხელ განაცხადა, მაგრამ იმავდროულად ყველას კარგად დაგვამახსოვრდა პრეზიდენტის მიერ თელავში წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც ცამდე აიყვანა მარგიანის დამსახურება გაჭირვების წლებში, რასაც, პირობითად, ავთანდილ მარგიანის აპოლოგიაც შეიძლება ვუწოდოთ... მას შემდეგ ბარამიძეს მარგიანის თემაზე კრინტიც აღარ დაუძრავს ისეთი მონდომებით, როგორითაც ადრე... მეტიც, იმ მასალებიდან მარგიანს აბსოლუტურად „ვერაფერიც ვერ დაუმტკიცეს!“



ზემოთქმულსაც აქვს თავისი ახსნა: ახალი, სპეციალური ანტიკორუფციული სამსახური, პარლამენტში შესაბამისი კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, პრეზიდენტთან არსებული სტრუქტურა იქნება და ამით შევარდნაძის „უჩემოდ ვინ იმღერეთა“ კომპლექსიც დაკმაყოფილდება. ეს გასაგებიცაა, რადგან, ვაითუ, უდიდესი და განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილ ანტიკორუფციონალისტებს „ხელი წაუცდეთ“ ისეთი მაგნატებისა და ბოსების გამოსაჭერ-სამხელად, რომელთა კომპრომეტირება და ციხეში ჩაყუდება სულაც არ აწყობდეს პრეზიდენტსა და მის კლანს! ხოლო, პრეზიდენტი რომ ამ საქმეშიც ხალხის ინტერესების დაცვასთან ერთად, თავისი ზღაპრულად გამდიდრებული კლანის უპირველესი „მამა-მარჩენალი“ იქნება, ამის შესახებ, ალბათ, არც ღირს კამათი. მოკლედ, თუ ყველაფერი პრეზიდენტის გეგმის მიხედვით განვითარდა, მომავალში შექმნილ სამსახურს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ „უპირველეს რაინდთა“ სახელიც შეემატება, ხოლო თუ რამდენად ეფექტიანი იქნება ეს ბრძოლა, ამაზე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება, რაც მრავლად გამოითქმება პარლამენტშიც და მასმედიაშიც, მაგრამ პრეზიდენტთან არსებული ანტიკორუფციული სამსახურის შესახებ კანონპროექტის განხილვის ამასწინანდელი მცდელობა ის ფაქტორი აღმოჩნდა, რომლის წყალობითაც პრეზიდენტსა და „მოქალაქეთა კავშირს“ შორის ურთიერთობებსაც შეიძლება დავაკვირდეთ: კანონპროექტს მოსახლეობაში უფრო ნეგატიური რეზონანსი აქვს, ვიდრე პოზიტიური, რადგან რწმენა, რომ სისხლით და ხორცით კორუმპირებულ სახელმწიფო მოხელეებს, ან თუნდაც სახელისუფლებო სტრუქტურებს რაიმე ეშველებათ, ნულს უტოლდება. ამიტომ, სპეციალური ანტიკორუფციული სამსახურის არსებობის უფლებას კიდევ უფრო დამაჯერებელი განმარტება და მტკიცება სჭირდება, რასაც შევარდნაძე, ბუნებრივია, თვითონ არც ადრე აკეთებდა და არც მომავალში გააკეთებს. გახსოვთ, იგი ამის შესახებ, თავის დროზე, ორიოდე ფრაზას დასჯერდა და მკერდზე მჯიღისცემით წარმოთქვა — ხუთჯერ რომ მესრო- ბრძოლას, ბოლომდე მივიყვანო...

სამაგიეროდ, ეს უმადური მისია „მოქალაქეთა კავშირს“, განსაკუთრებით მის რეფორმისტულ (სააკაშვილი-ბარამიძე) ნაწილს დააკისრა, რომლებმაც პარლამენტში საკუთარ თავზე მიიღეს კიდეც ოპოზიციის პირველი რისხვა... ამასთან, პრეზიდენტმა შესანიშნავად იცის, რომ „მოქალაქეთა კავშირის“ პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობა, უწინარესად, მასზეა დამოკიდებული და ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ სამაგიერო საზღაურსაც ითხოვს. ამით, ბატონი ედუარდი „აბალანსებს“ საკუთარ პარტიას, რათა იგი საშუალოზე მეტად არ გაძლიერდეს. ამჯერად, „მოქალაქეებს“ პრეზიდენტისაგან დავალებული აქვთ, თავისთავად აუცილებელი ზომების, საჭირო იდეების დაცვა და გატანა, ოღონდ კორუფციასთან ბრძოლის იდეა უკვე დისკრედიტებულია მისი განხორციელების წარუმატებელი ცდებით. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ეს ახალი შტურმი კორუფციის წინააღმდეგ შედარებით წარმატებით დასრულდეს (მოსახსნელი და დასაჭერი მინისტრები და თანამდებობის პირები თითქოს უკვე „რიგშიც კი დგანან“). შედეგად, კორუფციასთან ბრძოლისა და გამარჯვებების დაფნის გვირგვინით შეიმოსება არა „რომელიმე“ ბარამიძე ან ყოფილი „ობეხეესის“ მემკვიდრე-შთამომავალი, არამედ თავად პრეზიდენტი. მისი თავკაცობა გაანეიტრალებს უაღრესად დიდი უფლებებით აღჭურვილი 27-კაციანი სამსახურის სავარაუდო გავლენასა თუ პოლიტიკურ ძალას და მას, ისევ და ისევ, საკუთარ ხელში მოქცეულ დამრტყმელ ძალად აქცევს, რომლის წინაშეც უძლური იქნება კორუმპირებული „მოქალაქეც“ და მით უმეტეს, კორუმპირებული ოპოზიციონერი... პრეზიდენტი კარგად გრძნობს, რომ არ შეიძლება ხალხი იმის იმედად ცხოვრობდეს, — „ვინც ფულს იპარავს, არ უწერია მშვიდი ძილი...“ გახსოვთ, სწორედ ამით „გვამშვიდებდა“ ამას წინათ პრეზიდენტი...

... 1992-1995 წლებში ორი მინისტრთა კაბინეტი მოვილიეთ და ორივეს იმიჯს ყველაზე ნათლად ერთადერთი სიტყვა გამოხატავდა — კორუფცია. არჩევნების შემდეგ დანიშნული მინისტრებიდანაც რამდენიმე გამოცვალეს სწორედ კორუფციის ბრალდებით, მაგრამ საზოგადოებამ დღემდე ვერ იხილა კორუფციის გამო დასჯილი ვერც ერთი მინისტრი, პრემიერი თუ ვიცე-პრემიერი. პირიქით, ზოგიერთი მათგანი კვლავ თანამდებობაზეა, ზოგიც პოლიტიკოსობას განაგრძობს და ცდილობს, საქართველოს სამომავლო პოლიტიკური ორიენტაცია განსაზღვროს, ზოგიც ბიზნესში გადაეშვა თავით ფეხამდე, სადაც ადრე კორუფციით ნაალაფარ ფულს „რეცხავს“ და ატრიალებს, რათა თუ საჭირო გახდა, კვლავ პოლიტიკაში „მოიხმაროს“ ან პოლიტიკას მოახმაროს. დღეს ყველამ იცის, რომ არჩევნების მოსაგებად ფულია საჭირო, თანაც დიდი ფული, მაგრამ ეს „დიდი ფული“ არ არის არც პარლამენტში, არც ქართულ ბიზნესში და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ქართულ ბანკებში... დიდი ფული მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებაშია. ამიტომ, როცა მომავალ „გადახარისხებულ თუ გადახალისებულ“ მთავრობაზე ვლაპარაკობთ, იქნებ ისიც ვთქვათ, თუ რამდენად შეძლებენ პოლიტიკური პარტიები და აღმასრულებელ ხელისუფლებაში გაყვანილი მათი წარმომადგენლები პიროვნულ ცდუნებებზე და პარტიულ ფინანსურ საჭიროებებზე მაღლა დადგომას. ეს კარგად იციან „მოქალაქეებმა“ და ამიტომაც რეალურია მოარული ხმები, რომ პრემიერის პოსტისთვის (იგი შექმნის მინისტრთა კაბინეტს) მათ უკვე დღესვე ჰყავთ შერჩეული საკუთარი კანდიდატი, რომელიც პარტიის პოლიტიკური რენომეს გაზრდაზე იზრუნებს. რაც შეეხება შევარდნაძეს, იგი დღეს არჩევნის წინაშეა: ან ფუნდამენტური ცვლილებები უნდა გაატაროს, ან ჩვეული და „აპრობირებული“ მეთოდებით, ანუ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის ლავირების გზით (ამის შესანიშნავი მაგალითია სოციალისტებთან მისი ბოლოდროინდელი ურთიერთობა) უნდა მოახერხოს სიტუაციის განმუხტვა და კრიზისის დროებით შეჩერება მაინც. მაგრამ თუ პრეზიდენტმა ეს უკანასკნელი: ანუ ლავირების გზა აირჩია, უნდა ვივარაუდოთ, რომ შევარდნაძეც და „მოქალაქეთა კავშირიც“ წააგებენ მომავალ არჩევნებს. ამით კი, ყველაზე დაზარალებული ახალგაზრდა რეფორმისტები დარჩებიან, რომლებსაც ერთადერთი გზა დარჩებათ: გაემიჯნონ მათივე პარტიის უმრავლესობას და მის თავმჯდომარეს და ახალი პოლიტიკური ძალის შექმნაზე დაიწყონ ფიქრი...

ეს უკვე „მოქალაქეთა“ პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასი იქნება!




ზ. მჭედლიშვილი

# „УБЬЮ — КАК СОБАКУ!“

*მაფია, დაქირავებული მკვლელები და მათი საქმიანობა, ორმხრივი სროლები თუ ფარული დაძაბული ორთაბრძოლა დამნაშავეთა სამყაროსა და სამართალდამცავებს შორის — ისეთი თემებია, რომლებზეც წარსულში ჩვენთან არ საუბრობდნენ და ამის შესახებ ერთეულების გარდა, არავინ არაფერი იცოდა. არადა, საბჭოთა პერიოდში ბევრი ისეთი დანაშაული ხდებოდა, რომელიც საბჭოურ „იდილიურ“ ცხოვრებას აშკარად არ შეეფერებოდა. შსს-ს არქივებში ბევრი ისეთი საქმის მასალები ინახება, რომლებიც დღესაც საკმაო ინტერესს იწვევს. როგორც წინა ნომერში მოგახსენებდით, ერთ-ერთ ასეთ საქმედ ქ. ზესტაფონში ორმხრივი სროლის დროს მოკლული ცნობილი ქილერის, „ბეცის“ ისტორიაც გამოდგება.*

საქართველოში „ბეცი“ ეკატერინე II-ის ნაქონ, შეუფასებელი ბრილიანტის ბეჭდის კვალს გამოჰყვა. მან თავის თანამზრახველებთან: შვაბერგთან და სუსინთან ერთად მოსკოვში ალექსეი ტოლსტოის ბინა გაძარცვა. მძარცველებმა ბინიდან უნიკალური ნივთები წაიღეს: მე-18 საუკუნის ჰოლანდიური სკოლის ორი უცნობი ოსტატის ტილო, მე-19 საუკუნეში მცხოვრები ინგლისელი მხატვარი ქალის რობერტსონის „დედოფალი“, უძველეს ოქრომჭედელთა იშვიათი ნაკეთობანი, მათ შორის, ზემოხსენებული ბრილიანტის ბეჭედი. მძარცველები ჩქარობდნენ ნივთების გაყიდვას. „ბეცმა“ ეკატერინესეული ბეჭედი თბილისში მცხოვრებ ვინმე ნიჟარაძეს 25 ათას მანეთად მიჰყიდა. მალე რუსეთის ცენტრალური გაზეთები „ბეცისა“ და მისი ორი თანამონაწილის დაკავების ამბავს იტყობინებოდა. სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლები მძარცველებისგან ალექსეი ტოლსტოის ქვრივისთვის ნივთების დაბრუნებას მოითხოვდნენ. ოპერატიული მუშაობის შემდეგ ნივთების დაბრუნების მიზნით, მიკვლეულ მყიდველებს იძახებდნენ. ამასობაში „ბეცი“ თავს შველის — გარბის...

„ბეცი“ თბილისში ნიჟარაძეს ეახლა და ნაყიდი ნივთის წართმევა დაუპირა. ნიჟარაძე გაჯიუტდა. ბოლოს, ბეჭედი რომ ვერ მიიღო, მომხდურმა სადარბაზოში შუბლზე იარაღი მიადო და ერთი გასროლით მოკლა.

„ბეცი“ წარმოშობით მოლდაველი გახლდათ. იგი პროფესიონალი ქილერი იყო, შეუბრალებლობით გამოირჩეოდა და მოუხელთებელ დამნაშავეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. ერთ-ერთი მკვლელობა მან თავის სამშობლოში ჩაიდინა, როცა ფულის გულისთვის სიცოცხლეს ყვავილების გამყიდველი გამოასალმა. ამის შემდეგ თბილისის სამძებროს მუშაკებმა სსრკ შს მინისტრის, შოლოკოვის შიფრ-ტელეფონოგრამა მიიღეს, რომელშიც „ბეცი“ ე. წ. „წითელხაზიან“ მკვლელად იყო გამოცხადებული და მასზე საკავშირო ძებნა იყო დაწყებული. მიუხედავად ამისა, „ბეცმა“ საქართველომდე 6 ათასი კმ შეუმჩნევლად გამოიარა და მისი დაფიქსირება მხოლოდ აქ მოხდა.

„ბეცის“ დაკავების ოპერაციას თბილისის მილიციის მაშინდელი მთავარი სამმართველოს უფროსი გივი კვანტალიანი ჩაუდგა სათავეში. გივი კვანტალიანი იხსენებს, რომ როგორც კი „ბეცზე“ მუშაობა დაიწყეს, იმავდროულად მასთან ერთ-ერთი სამშენებლო ტრესტის მმართველი ძალზედ შეშინებული მივიდა — მირეკავენ და 1 მლნ მანეთს მთხოვენო, გამომძალველი მას ეკატერინესეული ბეჭდის მყიდველ ნიჟარაძის ახლობლად მიიჩნევდა და გამოსასყიდის მიუღებლობის შემთხვევაში სიკვდილით ემუქრებოდა. მიღებული ზომების შედეგად დადგინდა, რომ ანონიმური ზარის ავტორი „ბეცი“ იყო.

გივი კვანტალიანი გვიამბობს: „თბილისში ჩამოსვლისთანავე „ბეცი“ ადგილობრივ შავ სამყაროს დაუკავშირდა. მათი რეკომენდაციით იგი ვერის სასაფლაოსთან, ე. წ. გეოლოგების სახლში მე-5 სართულზე დაბინავდა. ალბათ, კონსპირაციისთვის თან ჩამოიყვანა ცოლი და ახალშეძენილი შვილი. „ბეცი“ ტრესტის მმართველისგან თანხის მიღებას აპირებდა, ვარაუდობდა, რომ ბეჭედს ისევ ხელში ჩაიგდებდა, კვალის დასაფარავად ამ უკანასკნელსაც მოკლავდა და თავის გზას გაუდგებოდა.

(გაგრძელება იხ. მე-5 გვერდზე)

„ცხმილად მოყმანი"

# მერიის თავზე შავი ღრუბელი იქუფრება



თბილისი საქართველოს დედაქალაქია, თავისუფლების მოედანი კი თბილისისა და საქართველოს მთავარი მოედანი. ქვეყნის მთავარ მოედანზე ერთი ლამაზი შენობა დგას. ამ შენობაში დედაქალაქის მერი სახლობს, რომელსაც უამრავი მოხელე და უდიდესი აპარატი ჰყავს. შენობას სახელმწიფოს მთავარი საათი ამშვენებს. საათი ყოველ საათს დედაქალაქის არაოფიციალურ ჰიმნს აგუგუნებს...

„მზის და ვარდების" ულამაზესი მხარე „რევოლუციების" შემდეგ „ბუტკისად" გადაიქცა, „ბუტკისი" „რესტორანისმა" შეცვალა.

ქალაქის ახალი სახელწოდებების გაჩენა განადგურებული გამწვანებისა და ტყე-პარკების ხარჯზე მოხდა. რესტორნების, „ზაბეგალოვკების", კაზინოების და ა. შ., კულტმასობრივი და საპურმარილო დაწესებულებათა მფლობელები ან თავად მერიის მესვეურნი, ან არადა, პატივცემული ლიპიანი ბიძიები არიან. ლიპიანი ბიძიები კი კანცელარიაში, სამინისტროებსა და ათასი ჯურის დეპარტამენტში „ბუდობენ" და დევიზით — „ეს ქვეყანა ჩემია და ჩემიბ", ყველაფერს კადრულობენ...

მერია კი, რომელიც ქალაქის კეთილდღეობასა და იერსახეზე უნდა ზრუნავდეს, ხელებანეული ყველაფერზე თანახმაა... მერს და მის ქვეშევრდომებს არ ანაღვლებთ, რომ ბავშვებს და მოხუცებს გასართობ-დასასვენებელი ადგილი, ფაქტობრივად, არ დარჩათ... სამაგიეროდ, ღია ტიპის სასადილოდ ქცეული სკვერები და ბაღები ჯიბეგასქელებული ბიძაკაცებისთვის სიცხისგან თავის დაღწევის შესანიშნავი საშუალებაა, თანაც ლუდი „ჟანგიან ყბაში" მშვენივრად მირაკრაკებს...

ლუდი ხომ ცალკე პრობლემაა. ლუდი ის გამაგრილებული საშუალებაა, რომელიც მხოლოდ დალევისას არის კარგი, თორემ დალევის შემდეგ, მან ისევ დასიცხვა იცის.

დიდი და პატარა ლუდით კმაყოფილია, სხვა რომ არაფერი, ამ ზაფხულზე მეთევზეებმა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე იმდენი შებოლილი თევზი გაასაღეს, რომ ამ ზამთარში მათი ოჯახები მშვენივრად გამოიკვებებიან. სანაპიროზე, ლუდის ქარხანასთან ღია უფასო ლუდხანაა, რომელიც ქალაქის სანაპიროს ამ ადგილს ისე აბინძურებს, რომ მას წყლის ძლიერი ჭავლიც ველარ გადარეცხავს, არადა, ჭუჭყი და არასასიამოვნო სურნელი იქაურობას აუტანელს ხდის...

საინტერესოა, ბატონი მერი სამამულო წარმოების ლუდს მიირთმევს თუ უცხოურს ამჯობინებს, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს. მის დაქვემდებარებაში მყოფ სანიტარულ-ჰიგიენურ სამსახურს გამოუფხიზლებელი შეეყარა და ღია ლუდხანას, რომელიც ქალაქს ვერაფრით აკეთილშობილებს (პირიქით), ვერ ხედავს...

მერიისა და ჩინოვნიკების ფაქტობრივად ალვირახსნილი უკანონობა და ტყე-პარკების მასიური ჭრა-განადგურება იქამდე მივიდა, რომ ამ საკითხით, როგორც იქნა, მმართველი პარტიაც დაინტერესდა. პარლამენტის თავმჯდომარემ ქალაქის თავს მაღალი ტრიბუნიდან თითიც კი დაუქნია...

ორიოდე დღის წინ კი, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მერს სმკ-ის გენერალური მდივანიც ესტუმრა. საუბრის დეტალები „კვირის პალიტრისთვის" უცნობია, თუმცა, სავარაუდოა, რომ მიხეილ მაჭავარიანმა ბადრი შოშიტაიშვილს საბოლოო ყვითელი ბარათიც უჩვენა, საბოლოო ყვითელ ბარათს კი წითელი და THE END -ი მოსდევს...

პარლამენტის რიგგარეშე საგანგებო სხდომა, სხვა რომ არაფერი, იმით იქნებოდა საინტერესო, რომ კანონმდებლებმა მიიღეს დადგენილება, რომლის ძალითაც თბილისში არსებულ ტყე-პარკებსა და ბაღებში სასწრაფოდ უნდა აიკრძალოს ყველანაირი მშენებლობა, იქვე უკვე არსებული შენობა-ნაგებობები კი, გადაეცეს ბაღებს. დაისვას იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ვინც მშენებლობაზე ნებართვა გასცა.

თუ პარლამენტის ეს დადგენილება შესრულდა, შეგვიძლია თამამად ვთქვათ — მერია რკინის კარკასში უნდა ჩავსვათ, ე. ი. პარლამენტის დადგენილება წითელი ბარათის მოახლოებას მოასწავებს... მაგრამ ხალხის ნათქვამისა არ იყოს, მერი რა მერია, რომ საქმე არ მოაკვარახჭინოს. თუმცა, „მოქალაქეთა" განწყობა სხვაზე მიუთითებს და, ალბათ, „მერი ჯვარს ველარ დაიწერს" და ვილაც ქარს ნამქერივით გაჰყვება...

**ეს თბილისია — საქართველოს დედაქალაქი!**

# პრეზიდენტის მეზობლები წყურვილით იხოცებიან

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბატონმა ედუარდმა მცხეთის ქუჩაზე ცხოვრება ალარ მოისურვა და ყველა დროის მთავრობის რეზიდენციაში, კრწანისში, №4 სახლში დაიდო ბინა.

კრწანისის ქუჩის მცხოვრებნი ამის შემდეგაც ერთგვარ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუმცა, მათ ქვემოჩამოთვლილი პრივილეგიები არც აქამდე აკლდათ. პრივილეგია კი მუდმივ ელექტროენერგიაში, მუდმივ წყალში, მოასფალტებულ-მოპირკეთებულ გზაში, შესანიშნავ გამწვანებასა და სისუფთავეში გამოიხატება. კრწანისის ქუჩის მცხოვრებთ, როგორც გითხარით, ეს პრივილეგიები (ამას ნორმალურ ქვეყანაში პრივილეგია არ უნდა ერქვას) ადრეც ჰქონდათ და ეს „ადრე" ლავრენტი ბერიადან იწყება, როცა მან კრწანისის ქუჩის ბოლოს ამჟამად №1 სახლად წოდებული აგარაკი — ქართულაივნიანი ორსართულიანი სახლი აიშენა.

გვიან ზამთარსა და ადრე გაზაფხულზე პრივილეგირებული უბანი უშუქობას მიეჩვია, ეს ამბავი გამოსწორდა, მაგრამ ორი კვირაა, რაც პრეზიდენტის მეზობლებს წყურვილი ახრჩობთ და ჭუჭყი სჭამთ.

წყალი, როგორც წესი, 6 სთ-ზე მოდის და ასევე, როგორც წესი, 10 სთ-ზე მიდის. მერე, საღამოს 8 სთ-ზე მოჩუხჩუხდება და 11 სთ-ზე ისევ მილში დაიკარგება. მოწყურებული მოსახლეობა რაიონის წყალსადენს დაუკავშირდა. ამ სამსახურის უფროსი ბატონი პაატა (გვარი უცნობია), როგორც წესი, ადგილზე არ იმყოფება. რიგითმა თანამშრომელმა კი აღშფოთებული მწყურვალები „დაამშვიდა" — გრაფიკში ხართ, როცა წვიმა მოვა, წყლის დონე აიწევს და ჩვეულ რიტმში ჩაჯდებითო(?!).

... თუმცა წყალსადენის უფროსს რა უნდა მოსთხოვო, როცა კრწანისის რაიონის გამგებელი დღის არც ერთ მონაკვეთში კაბინეტში არ არის: ის ან თათბირზეა, ან საქმეზე, ან მერიაში, ან ღონისძიებაზეა ან .... (აუზზე, რესტორანში, ბუნებაში).

მოსახლეობას ეჭვი გაუჩნდა, რომ წყალი ახლომდებარე ბაღების მეპატრონეებს სარწყავად გადაურთეს. მწყურვალები „რკინის ქალამნების" ჩაცმას და „ხელმწიფესთან" მისვლას აპირებენ. თუ არადა, კრწანისის ქუჩის მცხოვრებნი ცისკარას დაელოდებიან, რომელიც „გრძნეულს" „ჯადოსნურ სალამურს" გამოსტაცებს...

# ვის გაიძღოლიებს წყნეთი?.. ანუ ხიდჩატეხილობა

კარგა ხანია, წყნეთის აგარაკებს ჩინოვნიკებმა თვალი დაადგეს და მათი დასაკუთრება გადაწყვიტეს, მაგრამ არსებობდა ერთი „მაგრამ" — კოტეჯებში ძირითადად დევნილები ცხოვრობდნენ და მომავალი მესაკუთრეები მათთან კონფლიქტს მოერიდნენ.

სახელმწიფო კანცელარიაში არსებობს სამსახური, რომელშიც შედის სამთავრობო აგარაკები და ა.შ. „ანდრიაძის სამსახურმა" მოამზადა პრეზიდენტის ბრძანებულება — აგარაკების პირდაპირი წესით გაყიდვის შესახებ. პრეზიდენტმა განკარგულება გამოსცა: აგარაკები იმ პირობით გაიყიდება, თუ ახალი მესაკუთრე მანამდე არ შევა კოტეჯში, სანამ იქ მცხოვრები დევნილი მუდმივ საცხოვრებელ ადგილს არ დაუბრუნდება.

ჩინოვნიკებმა და პარტოკრატებმა, ფაქტობრივად, კაპიკებში (კვმ 100 ლარი) აგარაკების უმეტეს ნაწილს „პრიხვატიზაცია" გაუკეთეს. 570 აგარაკიდან 185 აღმასრულებელმა საკანონმდებლოს მიუგდო — ალბათ იმიტომ, რომ კანონმდებლებმა პრივატიზაციის პროცესში დაშვებულ დარღვევებზე თვალები მილულონ.

სახელმწიფო რომ სახელმწიფოებრივად აზროვნებდეს, სქელჯიბიანი პარტოკრატი ჩინოვნიკები ცხოვრებას კი არ მოიწყობდნენ, აფხაზეთის დაბრუნებასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე იზრუნებდნენ. რა დროს აგარაკი და მხართეძოზე კოტრიალია, როცა ქვეყანა თავზე გვენგრევა, მაგრამ რა... აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მასთან დაახლოებულ საზოგადოების ე.წ. ელიტარულ, მუდამჟამ პრივილეგირებულ ნაწილს, როგორც ჩანს, კიდევ ერთხელ მოუნდა იმის დემონსტრირება, რომ ისინი პირველები არიან.

ამ ხალხთა ფინანსურმა ერთობამ კასტის სახე მიიღო. კასტა კლანური პრინციპებით მოქმედებს, კლანურ-კასტური საძმაკაცოები ყველა მთავრობას ერგება, უფრო სწორად, ირგებენ. ეს ის პრივილეგირებული ბიძიები არიან, რომელთაც საკუთარი კეთილდღეობისათვის სახელმწიფო დაღრღნეს და ფუტუროდ აქციეს. უბრალოდ, წყნეთი ველარ დამალეს, მაგრამ პარლამენტართა ფახიფუხი ცოტა დაგვიანებულია, — კასტამ წყნეთი შეისყიდა.

„მოქალაქეები" დოკუმენტებზე საუბრობენ, რომლებიც ადასტურებენ, რომ ბიულეტენების გაყალბებას ჰქონდა ადგილი. მიხეილ მაჭავარიანმა წკეპლა ქონების მართვის სამინისტროს გადაჰკრა — გასარკვევია, სილაგაძემ პრივატიზება როგორ ჩაატარაო. მიხეილ სააკაშვილი უფრო შორს წავიდა. პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად დადგება. გიორგი ბარამიძემ ქონების მართვის სამინისტროდან პრივილეგირებულ მეპატრონეთა სიები გამოითხოვა და მათ გამოქვეყნებასაც დაგვპირდა.

ქვეყანა არსებული ჩინოვნიკებით არ დაწყებულა და არც დამთავრდება. ალბათ, 185 აგარაკი ისევ სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩება, გაყიდულებს კი აღარაფერი ეშველებათ. გაუგებარია მხოლოდ, რატომ სჯობია დღევანდელი მინისტრი ხვალინდელს. რატომ უნდა ჰქონდეს წყნეთში სილაგაძეს „დაჩა"? და რატომ არ უნდა ჰქონდეს მომავალ „X"-ს? თუმცა, ჩვენ კარგა ხანია, წრეზე დავდივართ და მომავალი მინისტრიც, ალბათ, დღევანდელი კასტის წევრია, რომელიც ახალ მესაკუთრეთა რიცხვში უსათუოდ იქნება.

ორივე შემთხვევაში, წყნეთის „პრიხვატიზებამ" სახელმწიფოსა და ხალხს შორის საზღვარი კიდევ ერთხელ გაავლო. მკაფიოდ დაფიქსირდა, რომ მთავრობა ხალხს არ ეკუთვნის და იგი მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნავს. ქონების მართვის მინისტრი სილაგაძე კი უცაბედად „მოქალაქეთა" მიერ „თავის მოსაკვეთ" მინისტრთა სიაში მოხვდა, და რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მით უფრო მალე დასრულდება მისი მინისტრობა, ისევე, როგორც სილაგაძის რამდენიმე კოლეგისა. ან როგორ გადაურჩნენ ამდენი ხანი „ანგელოზფრთოსანი" მინისტრები გილიოტინას... „შიში ოხერია". „მოქალაქეებს" მომავალი კარგს არაფერს უქადის, თუმცა რა, „მოქალაქეების" მიერ „თავწაცლილებს" ახალი თავები ამოსდით და ისინი მხოლოდ შენობას ან სართულს იცვლიან.

**წრეზე ნაბიჯით იარ!!!**

ყცა ჩალაძე


ნებისმიერი კონფიგურაციის კომპიუტერები
კომპიუტერული ტექნიკის ფართო არჩევანი
საგარანტიო ვადა 1 წელი

COMPUS
კომპიუტერული კომპანია „კომპუსი"
ვაჟა-ფშაველას გამზირი 16,
ტელ: 939103, 370235
e-mail:compus@mmc.net.ge



LG Electronics
ელ-ჯი ელექტრონიქს

მონიტორები

| | | |
|---|---|---|
| 44i | Studioworks ( სტუდიოვორქს) 14"0.28 LR.NI- | 225 |
| 56i | Studioworks ( სტუდიოვორქს) 15"0.28 LR.NI- | 290 |
| 57m | Studioworks ( სტუდიოვორქს) 15"0.28 LR.NI- | 370 |
| 28i | Studioworks ( სტუდიოვორქს) 21"0.28 LR NI- | 1290 |



| | |
|---|---|
| პენტიუმ 200 MMX/16MB /HDD 2.5GB/SVEGA 1MB/ FDD1.44/K/M/P/- | 500 |
| პენტიუმ 233 MMX/16MB /HDD 2.5GB/SVEGA 1MB/ FDD1.44/K/M/P/- | 540 |
| პენტიუმ II 233/32MB SDRAM/HDD 3.2GB/SVEGA 2MB/ FDD1.44/K/M/P/- | 765 |
| პენტიუმ II 266/64MB SDRAM/HDD 3.2GB/SVEGA 2MB/ FDD1.44/K/M/P/- | 840 |



BROTHER ბრაზერის ლაზერული პრინტერები

| | |
|---|---|
| HL-730Plus (A4,6ppm,600dpi)- | 400 |
| HL-760 (A4,6ppm,600dpi)- | 450 |
| HL-1060 (A4,10ppm,1200x600dpi, 2MB up32MB)- | 760 |
| HL-1660 (A4,16ppm,1200x600dpi,4MB,Br.Script,NC)- | 1345 |

BROTHER ბრაზერის ფაქსები

| | |
|---|---|
| FAX-190 ( ფაქსი თერმულ ქაღალდზე)- | 270 |
| FAX-290MC ( ფაქსი თერმულ ქაღალდზე ავტომოპასუხით)- | 320 |
| Intelli FAX1270 ( ფაქსი საბეჭდ ქაღალდზე)- | 430 |
| Intelli FAX1570MC ( ფაქსი საბეჭდ ქაღალდზე ავტომოპასუხით)- | 490 |
| Intelli FAX3550 ( ლაზერული ფაქსი)- | 792 |
| MFC6550MC ( მრავალფუნქციონალური ლაზერული ფაქსი)- | 1100 |

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი

აცხადებს მიღებას დასწრებული, დაუსწრებელი, მოსამზადებელი და მეორადი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

- საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა;
- ბიზნესის სამართალი (ბიზნეს-იურისტი);
- სამედიცინო, საკურორტო, სადაზღვევო და ტურიზმის ბიზნესი;
- საბაჟო ბიზნესი;
- სარეკლამო ბიზნესი;
- საერთაშორისო ბიზნესისათვის — რეფერენტები და უფროსი რეფერენტები (ლონდონის სპეციალური პროგრამით).

სწავლების ხანგრძლივობა — დასწრებულ განყოფილებაზე 4 წელი, ხოლო დაუსწრებელზე 5 წელიწადია.

აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაზე და მეორად (ახალ) სპეციალობაზე სწავლების ხანგრძლივობა 6-დან — 10 თვემდეა.

სასწავლო პროგრამაში ჩართულია გაძლიერებული ინგლისურისა (ბიზნეს-ინგლისურის) და კომპიუტერების ყველა ძირითადი პროგრამების შესწავლა „ინტერნეტის" გამოყენებით.

საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი სამეურნეო ანგარიშზეა.

ცნობებისათვის: 30-51-07 დღისით, 37-60-18 საღამოს, ან მობ: 8-77-40-34-48

ან მიაკითხეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაღლივი კორპუსი, მე-10 სართული, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დეკანატი

ესთეტიკური პლასტიკის ქირურგიული ცენტრი

აშშ-ში სტაჟირებულ ექიმთა ჯგუფი აკადემიკოს ბ. იაშვილის ხელმძღვანელობით მაღალი კლასის უცხოური აპარატურით და თანამედროვე საოპერაციო მასალებით ატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს

სახის დაჭიმვა; ქუთუთოების პლასტიკა; მკერდის გადიდება-დაპატარავება, კორექცია, მუცლის დაჭიმვა; ზედმეტი ცხიმის მოშორება (ლიპოსაქცია) და ა. შ.

მომსახურების ფასი უცხოეთთან შედარებით 50-75% დაბალია, კონსულტაციები უფასო, ანონიმურობა დაცულია.

მის: თბილისი, კაპანაძის ქ. №3
96-85-93 (ოფისი); 96-70-85 (ფაქსი);
22-76-54 (სახლი); 877-41-97-11 (მობილური)

(დასაწყისი იხ. მე-3 გვერდზე)

დაინყო ძალზედ მძიმე დღეები. ოპერაციის მასშტაბზე და სერიოზულობაზე ისიც მეტყველებს, რომ საქმეში სამოცდაათამდე კაცი იყო ჩართული. ჩვენი თანამშრომლები ტრესტის მმართველის ბინაშიც შევუშვით საცხოვრებლად. მისი ავტომობილის მძღოლადაც გამოცდილი ოპერატიული მუშაკი დავსვით. თვით ტრესტის შენობის მისაღებშიც ორი კაცი მორიგეობდა. ეტყობა, „ბეცმა“ ეს ყველაფერი დააფიქსირა. იგი ძალზედ ფრთხილად მოქმედებდა. უფრო მეტიც, მან იცოდა, რომ ოპერაციას პირადად მე ვხელმძღვანელობდი. ჩემი სახლი დაზვერა და თურმე ჩემს მოკვლას ცდილობდა. ამაზე ქვევით მოგახსენებთ. „ბეცი“ ტელეფონზე მოკლე ხნით საუბრობდა. ამიტომ ტრესტის მმართველს ვთხოვეთ, შეძლებისდაგვარად გაეჭიანურებინა მასთან სატელეფონო საუბარი, რომ როგორმე დაგვეფიქსირებინა ადგილი, საიდანაც რეკავდა. ერთ-ერთი სატელეფონო ზარის დროს მისი ადგილმდებარეობა, როგორც იქნა დავადგინეთ. იგი უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სატელეფონო ჯიხურით სარგებლობდა. ჩვენმა აგენტმა ქალმა გვაცნობა, რომ გამომძალველი შავი ტყავის პალტოში იყო გამოწყობილი, სათვალეს ატარებდა, ხელი გამუდმებით ჯიბეში ედო და საკმაოდ შეშინებული ჩანდა. „ბეცმა“ ფულის მოტანისათვის ტრესტის მმართველს ორი დღის ვადა მისცა. საუბრის დამთავრებისთანავე მას ჩვენი დაზვერვა გაჰყვა. მოლდაველი ზემოხსენებულ ნაქრავებ ბინაში მივიდა. გზა გადავკეტეთ და დაველოდეთ. გავიდა ერთი დღე, ორი დღე, არავინ გამოვიდა. მეტის მოცდა აღარ შეიძლებოდა. ოპერატიულად მოვემზადეთ, რომ შევვარდეთ სახლში. ვდგავართ მე და ჩემი მაშინდელი მოადგილე დემურ მიქაძე და ვსაუბრობთ. ამ დროს საკმაოდ კურიოზული ამბავი მოხდა. ვხედავთ, მოდის ლამაზი, შავთმიანი ქალი, ლამაზი მკერდით, მაღალქუსლიანი შავი ფეხსაცმლით. აცვია „კოფთა“ და ქვედაბოლო, ისეთი ლამაზი ფეხები ჰქონდა, ბევრ ქალს შეშურდებოდა, ხელში უკავია ჩანთა და მიდის. ვუყურებ, გვიყურებს, ჩაიარა. ამის შემდეგ შევკრიბეთ თანამშრომლები, შევცვივდით ბინაში, სად არის „ბეცი“! შეგვრჩა მისი ცოლი და ბავშვი. ცოლმა გვითხრა, ქალის ტანსაცმლით ნავიდაო. როგორ?! როგორ და ავიდა „ჩერდაკში“, იქიდან მეორე სადარბაზოში გადავიდა და ნავიდაო. როგორც შემდეგ გაირკვა, „ბეცი“ შესანიშნავად იცვლიდა გარეგნობას, ხან ლამაზი ქალის ფორმაში გამოწყობილი და ხან ღრმად მოხუცებული დააბიჯებდა ქალაქიდან ქალაქში. ცოლისთვის 150 მანეთი დაეტოვებინა. სახლი დავათვალიერეთ, ისეთი არაფერი დაგვხვდა. ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავდა, კარგად ჩაცმული, კარგზე კარგი ქალი. პირველ ეტაპზე დავმარცხდით, მაგრამ მუშაობა გრძელდებოდა. ჩავრთეთ დამატებითი აგენტურა. მივაგენით ისეთ კაცს, რომელიც „ბეცს“ პირადად იცნობდა. სწორედ ამ პიროვნებისთვის დაურეკავს და უთქვამს: მიშველე, ცუდ მდგომარეობაში ვარ, კვანტალიანი მოსაკლავად დამსდევსო. ეს პიროვნება შავი სამყაროს წარმომადგენელი არ იყო, პროფესიით იგი ინჟინერი გახლდათ. მისი ძმა მოლდავეთში სწავლობდა და ძმები იქიდან იცნობდნენ „ბეცს“. „ბეცის“ თბილისიდან გაყვანა ამ პიროვნების დახმარებით მოხდა, თუმცა, იგი შემდგომში ჩვენთან თანამშრომლობაზე წამოვიდა. მისივე დახმარებით დავადგინეთ, რომ „ბეცი“ სენაკში ერთ-ერთ ოჯახში იმალებოდა.



# „УБЬЮ КАК СОБАКУ!“

სასწრაფოდ შედგა ოპერატიული ჯგუფი ათი კაცის შემადგენლობით. ჩავაყენეთ საქმის კურსში მთავრობა, ედუარდ შევარდნაძე და მაშინდელი ქალაქკომის მდივანი მენთეშაშვილი. მოგეხსენებათ, იმ დროს მშვიდობიანი მოსახლეობის აწრიალება არ შეიძლებოდა და არავითარი ექსცესი არ უნდა მომხდარიყო, რაზეც გაფრთხილებულიც ვიყავით. სამი ახალი „06“-ით ნავედით სენაკისაკენ. გვაჩვენეს ის სახლი, სადაც „ბეცი“ მარტო ცხოვრობდა. უბანი მჭიდროდ იყო დასახლებული — სახლები ერთმანეთთან 5მ-ის მოშორებით იდგა. ამიტომ ოპერაციის ჩატარება არ შეიძლებოდა. „ბეცს“ ხელყუმბარებიც კი ჰქონდა და შეტაკებისას შეიძლება მშვიდობიანი მოსახლეობა დაზარალებულიყო. გადავწყვიტეთ, როგორმე სახლიდან გამოგვეტყუებინა. ოპერაციამ კულმინაციას მიაღწია. ამ ინჟინერს მივეცით ახალი მანქანა „ჟიგული“. ჯერ ყოყმანობდა, მერე კი შევიდა. 2-3 საათი შიგნით იყო. მე ვიდექი ხესთან ამოფარებული და ვუთვალთვალებდი. ინჟინერი დარიგებული გვყავდა, უნდა ეთქვა, რომ გაყიდულები იყვნენ და ბინის დატოვება იყო საჭირო. მართლაც, გამოვიდნენ, ჩასხდნენ „ჟიგულში“. „ბეცმა“ კონსპირაციის მიზნით უკანა „სიდენია“ გადმოხსნა და საბარგულში გადაძვრა. მანქანა თბილისისკენ დაიძრა, „ჟიგულში“ გადამცემი გვქონდა ჩამონტაჟებული. ყველაფერი გვესმოდა, რასაც ამ მძღოლს უყვიროდა. ჩვენ სამი მანქანით გავყევით. „ბეცი“ ყვიროდა: **„НЕ ГДЕ НЕ ОСТОНОРЛИРАЙСЯ, УБЬЮ КАК СОБАКУ!** სანამ ზესტაფონში შევიდოდით, რკინიგზის გადასასვლელზე რომ გადაიარა, უკანა საბურავი დაეშვა. მიუხედავად ამისა, „ბეცმა“ მას მანქანა არ გააჩერებინა. მისთვის უკვე ყველაფერი ნათელი გახდა. ინჟინერი უკვე ღიად გვეკითხებოდა რაციით: რა ვქნაო! ჩვენ ვურჩიეთ, რომ როგორმე მანქანიდან გადამხტარიყო. თუ არ გადახტებოდა, ოპერაციას ვერ ჩავატარებდით. ამასობაში „ბეცმა“ შუა ქალაქში საბარგული ახადა და სროლა დაგვიწყო. ჩვენ არ ვესროდით. ამ დროს მძღოლმა როგორღაც გადმოხტომა მოახერხა. „ბეცმა“ ცეცხლი გააძლიერა. იგი ორი ნაგანიდან გვესროდა. მანქანა ველარ მიდიოდა, საბურავი საბოლოოდ დაეშვა და უკვე მანქანიდან გადმოსვლას და თავის შეფარებას ცდილობდა. მაგრამ ჩვენ პირდაპირი ავტომატური ცეცხლი გავხსენით. სროლამ კარგა ხანს გასტანა. ახლოს რომ მივედით, მთელი სხეული დაცხრილული ჰქონდა. ცხრამეტი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, მათ შორის, თავშიც. მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ეტყობა, ძლიერი პიროვნება იყო ფიზიკურად. საავადმყოფოში მივიყვანეთ. სიკვდილის წინ გვთხოვა, ცოლ-შვილი მაჩვენეთო. თბილისში დავრეკეთ და ცოლი ჩამოიყვანეს, მაგრამ ცოცხალს ველარ მოუსწრო. ჩვენის მხრივ ამოცნობა ჩატარდა, რომ ეს პიროვნება მართლაც „ბეცი“ იყო. ქალთან საუბრისას შევიტყვე, „ბეცს“ ჩემი მოკვლაც ჰქონია განზრახული. იმ დროს საკმაოდ დაპირისპირებული ვიყავი შავ სამყაროსთან. ალბათ, ესეც იყო მიზეზი. მისი ცოლი მოსკოვიდან ჩამოსულ ოპერმუშაკებს მოსკოვში გავატანეთ. ამ ქალის მეშვეობით რამდენიმე საქმეც გახსნეს. როგორც გაირკვა, თურმე ეს ქალი ბინაში ზარს რეკავდა, კარს აღებინებდა, „ბეცი“ კი მსხვერპლის ბინაში შედიოდა. ერთი სიტყვით, მისი თანამზრახველი გახლდათ. ამ ქალს, როგორც ვიცი, ექვსი წელი მიუსაჯეს. რაც შეეხება ბეჭედს, ბეჭდის ასავალ-დასავალი დღესაც არავინ იცის. ჩვენ ვეძებეთ ეს ბეჭედი, მაგრამ უშედეგოდ. ამ ოპერაციის გამო შრომის წითელი დროშის ორდენი მივიღე. ეს ჩვენი სამძებრო მუშაობის უმაღლესი შეფასება იყო.

**ჩვენი აზრით, საინტერესო ისტორია გიამბეთ. „კვირის პალიტრა“ შეეცდება, მომავალშიც მოიპოვოს და გაგაცნოთ სხვა საინტერესო საარქივო მასალები.**

*მასალა მოამზადა*
*მარინა მამისაშვილმა*

# „გამბედავი ქალი ვარ და ვერ მოვითმინე...“

12 ივლისს, დაახლოებით 3 საათზე, სოფ. ფიჩორში, ნაღმით აფეთქდა რუსების ბეტეერი, დაიღუპა 4 სამხედრო, 5-მა კონტუზია მიიღო. საგულისხმოა, რომ ზუსტად 40 დღის წინ, იმავე ადგილას ჯერ რუსების ბეტეერი, ცოტა ხანში კი, დიდჩინოსანი აფხაზებით სავსე ვილისის ტიპის ავტომანქანა აფეთქდა, ენგურსგაღმა, რა თქმა უნდა, მთელი პასუხისმგებლობა მყისვე მოიხსნეს და ხელი პარტიზანებს დაადეს, პარტიზანებმა ეს ბრალდება მაშინვე უარყვეს. საქმე ისაა, რომ პარტიზანთა ერთ ნაწილს საკუთარი ტყავის გადარჩენის ფიქრმა უკან დაახევინა, და არც უსაფუძვლოდ. უკვე ხმამაღლა ამბობენ, — შევარდნაძემ ერთი აფხაზის სიკვდილისთვის 5-7 წლამდე ციხეში ჩასმით „დაგვაჯილდოვაო“. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ვეტო დაადო აფხაზეთის დაბრუნებისათვის რეალურად მებრძოლ ერთადერთ იმედს. რაც შეეხება ფიჩორში 12 ივლისს მომხდარ ინციდენტს, მიუხედავად იმისა, რომ ენგურსგაღმა შესანიშნავად იციან საქართველოს პრეზიდენტის მიერ პარტიზანებისთვის შეთავაზებულ „გარიგებაზე“, ისინი ჯიუტად ადებენ ხელს ქართველ პარტიზანებს და რატომღაც არად დაგიდევენ საკმაოდ გავრცელებულ, ყურადსაღებ ვერსიას, სეპარატისტთა ადმინისტრაციის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის სერიოზული შუღლის ჩამოვარდნის თაობაზე. არც იმას გამორიცხავენ, რომ ადათისამებრ დაღუპულთა პატივის მისაგებად მე-40 დღეს აფეთქების ადგილას მისულ აფხაზებს „მახე“ თვით აფხაზებმავე დაუგეს (თუმცა, არც რუსების ხელს გამორიცხავენ), რომელშიც უნებლიეთ რუსი გაება. სხვათა შორის, ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაციით, ისინი განმნაღმველები ყოფილან, ხოლო მეორენი ამტკიცებენ, — პატრულირების მიზნით, სპეციალურად იყვნენ ჩამოსული ბომბორიდანო. ამ ფაქტზე რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა საკმაოდ სერიოზული რეაგირება მოახდინეს, თითქოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ბოლო ხანს სხვა ინციდენტი არ მომხდარიყოს. საგულისხმოა, რომ ყოველივე დაემთხვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ირაკლი მენაღარიშვილის მოსკოვში ვიზიტს, რომელიც, ფაქტობრივად, უშედეგოდ დამთავრდა.

რამდენიმე დღეში, მტრის გულის გასახარად, დაბალი ზონის ტერიტორიაზე ახალი ტრაგედია დატრიალდა.

15 ივლისს, სოფ. მზიურის საზღვარს გასცდნენ თუ არა, სულ რაღაც 200მ-ში, უკვე სიდას ტერიტორიაზე ნაღმით აფეთქდნენ სოფ. მზიურის მშვიდობიანი მოსახლეები, სულ 7 ადამიანი; ერთი დაჭრილი ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს გაეროს წარმომადგენლებმა. ხოლო პიროვნება, რომელიც აფეთქების ადგილიდან რამდენიმე მეტრში ოთხთვალიდან გადმოსულა, ფსიქიკურად შერყეულა და შინ იმყოფება. საგულისხმოა, რომ ისინი თავიანთი სოფლიდან ოთხთვალათი მეზობელ სოფელში ყანის დასამუშავებლად გადადიოდნენ, თან სასუქიც მიჰქონდათ. ენგურსგამოღმა ბევრი ეთანხმება ამასთან დაკავშირებით გავრცელებულ ვერსიათაგან ყველაზე პოპულარულს, რომ ფიჩორის აფეთქების შემდეგ გაშმაგებულ „მიროტვორცებს“, სავსებით შესაძლებელია, შური ქართველებზე ეძიათ, მით უმეტეს, როცა ამის გაკეთება არც ისე ძნელია. ამ ფაქტებმა უმალ ამოატივტივა რუსეთის სამშვიდობო ძალების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ყოფნა-არყოფნის „საჭიროების“ პრობლემა, ეს მანდატის ამოწურვის დროსაც ემთხვევა. საგულისხმოა, რომ ჩვეულებრივ, ყოველ ექვს თვეში, როცა დგება საკითხი რუსი „სამშვიდობოების“ დარჩენა-გაყვანის თაობაზე, უსაფრთხოების 24კმ-იან ზოლში დაუყოვნებლივ იწყება პროვოკაციათა ციკლი, რაც, ფაქტობრივად, მხოლოდ „სიტყვის მასალაა“ კონფლიქტის ზონაში დარჩენის ფაქტის „დასამტკიცებლად“, აი, ხომ ხედავ, საჭირონი ვართ, ჩვენი გაყვანა არ შეიძლებაო, თუმცა ამ ჯერზე უკვე უეჭველი ხდება (და ამას უკვე თვით რუსი „სამშვიდობოებიც“ ვერ უარყოფენ), რომ მათი როლი ამ კონფლიქტის მოგვარების საქმეში ნულის ტოლიც არ არის, ხოლო, ბოლო პერიოდის ინციდენტები, უბრალოდ გალში განვითარებული საომარი მოქმედებების სიმბოლური გაგრძელებაა.

მიუხედავად ყველაფრისა, აქტუალობას კვლავ არ კარგავს ენგურზე ერთადერთი გადასასვლელი ხიდი. მოძრაობა, ფაქტობრივად, აღდგენილია, მაგრამ ხიდსგაღმა დისლოცირებულნი ფსიქოლოგიურ თამაშს ეწევიან, კერძოდ, გზას ხან კეტავენ და ხან ხსნიან. ოფიციალურად დაწესდა ტარიფები, 5-დან 10 ლარამდე, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა თვალით შემოგხედავენ. ქართველი დამკვირვებლები, გულმოდგინედ ინიშნავენ გადამსვლელ-გადმომსვლელთა რიცხვს, ხანდახან მათი რაოდენობა 300-საც აღწევს. ენგურსგაღმა ბავშვებიც კი გადაჰყავთ. გადამსვლელები თავს იკავებენ კომენტარებისგან, მოტივი ნაცნობია, ისინი ცდილობენ, მათი ზედმეტი ნათქვამი ენგურსგაღმა არავის ჩაენვეთოს...

„ამ დილას გადმოვედი აქეთ, წამალი მინდოდა. ყველაფერი დამიწვეს, სადაა საქონელი? სად შევაფარო თავი? შვილები აქეთ არიან, იქით ინვალიდები ვართ, „დაბრაკული“ ხალხი, ამიტომ არ გვეშინია. რაში ვჭირდებით აფხაზს ან რუსს?! არ დაგიმალავთ, რაზეც გადმოვედი — პატარა ბიზნესი მაქვს, — 50 თეთრად ვყიდულობ 1 ბოთლ „ფანტას“ და იქით ერთ ლარად ვყიდი. არ მრცხვენია ამის თქმის... ჩვენთან, ჭუბურხინჯში, არავის ერჩიან, მაგრამ თაგილონსა და შამგონაში სახლები გუშინაც დაწვეს. აფხაზებს დიხაზურგაში შტაბი აქვთ, სახლის პატრონი ქალი იქით გადასვლას ვერ ბედავს. მოვიდეს, იცხოვროს, ჩვენ აქ მარტო ერთი ოთახი გვჭირდებაო, — შემოუთვალეს. მათ შტაბი საბერიოშიც ჰქონიათ. რამდენიმე დღის წინ აფხაზთა ჯგუფი დიხაზურგაში ჩამოვიდა, — ფქვილი და საჭმელი მოითხოვეს. ისინი იქ დაბანაკებულმა აფხაზებმა გაყარეს, — აქ ჩვენს ხალხს ნუ შეაწუხებთ, დიხაზურგას ტერიტორია ჩვენი არისო. ისინიც აფხაზები იყვნენ, მაგრამ მაინც გაყარეს. უნდა ნახოთ, რა დღეში მყავს რუსები... ჩემს მეზობელს სახლი დაუწვეს, ერთი ოდა დარჩა და იმის დასაშლელად ამოვიდნენ. ხუთნი იყვნენ. მე არ გავუშვი. მეზობელმა, — ნუ მიხვალ, მოგკლავენო, გამბედავი ქალი ვარ და ვერ მოვითმინე, ამ ჭირიანს მოვუთმინო-მეთქი?! „დრავა ნეტუ?“ — მითხრეს. წამოვიყვანე ბეტეერით, სათანჯოში, სადაც ხუთი წლის წინ მოჭრილი მორები ყრია, ჩემთვისაც ჩამოვატანინე და იქითაც წავაღებინე, ახლა დილით ხიდი ისევ ჩაკეტეს. ამის მიზეზი ჩვენთვის გაუგებარია, არადა, ხალხი სიდაში მომხდარი აფეთქების მერე ცოტა შეშინებულია და აქეთ გადმოსვლაც დააპირა. ვინც არ იცოდა ხიდის გადაკეტვის შესახებ, პანიკაში ჩავარდა, მაგრამ მალე თვით აფხაზებმა გაგვაფრთხილეს, ცოტა ხანში გაგიშვებთო, ისე, გზას დიდი ხნით არ გვიკეტავენ, — ეს ვიცით და ამიტომ დიდად არ გვეშინია“, — ამბობს ასაკოვანი ქალი, რომელიც ბევრი ენგურსგაღმელის მსგავსად ყველანაირ უბედურებას მალევე ეჩვევა. ეს უკვე მათი ფსიქოლოგიაა. შეეჩვივნენ იმას, რომ უუფლებონი არიან, მაგრამ მაინც განუზომელი შიშით უნდა იცხოვრონ საკუთარ სახლში. უფრო მეტიც, ისინი დღეს უფრო ქართულ მხარესთან ფრთხილობენ, რათა იქით გადასულებს ბუმერანგივით უკან არ მოუტრიალდეთ თითოეული ზედმეტი სიტყვა.

*რუსუდან მიქენაია*

# კანონები სწრაფად იცვლება?!

მოსახლეობის სოციალური დაცვა ყოველთვის აქტუალურ საკითხად რჩებოდა, მით უფრო, ახლა, როცა საზოგადოების ძირითადი ნაწილი უკიდურესად გაჭირვებულია, კანონები კი ისე სწრაფად იცვლება, რომ მოსახლეობა ველარ ასწრებს მათ აღქმას, ამიტომაც შევეცადეთ, რამდენადმე დავაკმაყოფილოთ მკითხველთა მოთხოვნილება და ინტერვიუ ვთხოვეთ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს საპენსიო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსს, ბ-ნ იოსებ ლობჟანიძეს.

**— რა სიახლეა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირთა პენსიით უზრუნველყოფაში?**

— საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 1997 წლის 12 დეკემბერს მიიღო კანონი საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ. ამ კანონის შესაბამისად, 1998 წლის იანვრიდან შემოღებულ იქნა რეპრესირებულ პირებზე პენსიის გადიდებული ოდენობით გაცემა, მაგრამ ეს კანონი ვრცელდებოდა პირთა ვიწრო წრეზე, კერძოდ, მათზე, ვინც 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე განიცადა რეპრესია საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთან, პენსიების გადიდების უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ ის რეპრესირებულები, რომლებსაც დანიშნული ჰქონდათ რაიმე სახის პენსია. კანონი, აგრეთვე, არ ითვალისწინებდა მომუშავე რეპრესირებულებზე პენსიის გაცემას. ასეთი სახით კანონმა ვერ უზრუნველყო პოლიტიკური რეპრესიების ყველა მსხვერპლის სოციალური დაცვა, ამიტომ საქართველოს პარლამენტმა ხელახლა განიხილა იგი და 1998 წლის 29 მაისს კანონში შევიდა ცვლილებები და დამატებები; დადგინდა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დაცვის ახალი გარანტიები, კერძოდ: 1. რეპრესირებულთა სოციალური დაცვით სარგებლობენ არა მხოლოდ ის პირები, რომლებმაც რეპრესია განიცადეს საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ — ისინიც, ვინც რეპრესია განიცადეს ყოფილ სსრკ ტერიტორიაზე.

(გაგრძელება იხ. მე-6 გვერდზე)

# «ტორგსინის» იმპერია

ახლახან ხელთ ჩამივარდა 40 წლის წინ გამოცემული წიგნი — „სსრკ სახელმწიფო ბანკი", რომელშიც ასეთი რამ წერია: „თავისი ხუთწლიანი არსებობის მანძილზე „ტორგსინმა" შეაგროვა და სახბანკს გადასცა 270 მლნ ოქროს მანეთის ღირებულების უცხოური ვალუტა და ოქრო". თუ რას წარმოადგენდა ეს გაერთიანება, ალბათ, კარგად ახსოვს ყოფილ საბჭოელთა უფროს თაობას — „ტორგსინი" ძვირფასეულობასა და ვალუტას ყიდულობდა მოსახლეობისაგან.

30-იანი წლების დასაწყისში პრესაში ერთობ საინტერესო განცხადება გამოქვეყნდა: „ტორგსინი" უცხოურ და საექსპორტო საქონელს ცვლის ნაღდ ვალუტაზე, რევოლუციამდელ ჭედურ ოქროზე, ვერცხლის მონეტებზე, ბრილიანტებსა და ალმასებზე".

გაერთიანების პრაქტიკული საქმიანობა ზუსტად იყო ჩამოყალიბებული. 1930 წელს დაწყებულმა ძარცვა-გლეჯამ 1933 წელს კულმინაციას მიაღწია. „ტორგსინის" მაღაზიები ქვეყნის 160 ქალაქში გაიხსნა. მათ შორის, თბილისშიც. მაგალითად, დღევანდელი დავით აღმაშენებლისა და მარჯანიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, „კირიჩნზე" (როგორც თბილისელები ეძახდნენ მარჯანიშვილის ქუჩას) „ტორგსინის" სისტემის საკონდიტრო მაღაზია ფუნქციონირებდა. უფროსი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ ეს დიდებულად მოწყობილი მაღაზია, გემოვნებით გაფორმებული ინტერიერით. ალბათ, ბევრ თბილისელს შემორჩა დღემდე იმ მომაჯადოებელი სილამაზის საკონდიტროს მონატრება...

ახლა კი მისგან თითქმის არაფერი დარჩა. ნახევარი ფართი თურქ ბიზნესმენებს შეუსყიდიათ... რას იზამ, დრო იცვლება, ყველაფერი იყიდება და მაინც, როგორ გვწყდება გული — ჩვენ ხომ ბავშვობა წაგვართვეს.

მაგრამ სჯობს, ისევ „ტორგსინს" მივუბრუნდეთ, რომელიც იმხანად ყვაოდა — მდიდარი ასორტიმენტითა და ვაჭრობის უმაღლესი კულტურით ხასიათდებოდა, მყიდველ-გამყიდველს შორის გაცხოველებული ურთიერთობა მყარდებოდა, თავაზიანობის დაცვა „ტორგსინის" მუშაკთა გამორჩეული ნიშან-თვისება იყო. ერთი სიტყვით, კაცს ეგონებოდა, საუკეთესო რევოლუციამდელ სავაჭრო სახლთან მაქვს



საქმეო...

თუ რა იყო „ტორგსინი", კარგად ჩანს ჟურნალ „ვნეშნაია ტორგოვლიაში" (1932 წლის სექტემბერი) გამოქვეყნებული განცხადებით: „ტორგსინი" თავის მაღაზიებში იბარებს ოქროს ჯართს (საიუველირო ნივთები, ოქროს მონეტები და სხვ.). თქვენთვის სასურველი ნივთების (ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო საქონელი) შესაძენად უნდა ჩააბაროთ ოქრო „ტორგსინის" ოქროს შემსყიდველ წერტებში, სადაც სასაქონლო ორდერს მიიღებთ და მიაკითხავთ „ტორგსინის" მაღაზიებს".

ამ საინტერესო ორგანიზაციაში ძვირფასეულობას ჯართად კი იღებდნენ, მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ ანტიკვარული ნივთების გზა უცხო ქვეყნებისკენ მიდიოდა. ასეთ ნივთებს თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ, რათა რაიმე ნაკაწრი არ დარჩენოდა ზედ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმპერატორის ოჯახიდან გამოსულ ძვირფასეულობას და მათ მიერ ვილაცისთვის ნაჩუქარ წარწერიან ნივთებს. მათ შორის იყო XVIII საუკუნის ბრილიანტებით, ლალებით, მინანქრით შემკული ჯვრები, 1870 წლამდე შექმნილი ებრაული საკულტო ვერცხლეულობა.

„ტორგსინი" თვალს ხუჭავდა ისტორიულ, სამუზეუმო ნივთებზე. ამგვარი რარიტეტების შერჩევა-შეფასებაში მუზეუმის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ, რომელთა საზრუნავი ის კი არ იყო, რომ ეროვნული განძი შეეფასებინათ და გადაერჩინათ, არამედ ის, რომ საზღვარზე გატანის დროს არავინ შემოდავებოდათ.

რეკომენდებული იყო ქართული და კავკასიური ძვირფასი მოსევადებული ვერცხლეულის — იარაღის, დიადემების, ქამრების, სხვადასხვა სახის სამშვენისთა, ხანჯლების გადარჩევა და ჯართად ქცევისაგან გადარჩენა.

ძვირადღირებული მაღალმხატვრული ანტიკვარული ნივთების აღმოჩენაში შემფასებელი საგანგებო პრემიას იღებდა — 30 მანეთს. განსაკუთრებულ შემთხვევაში კი „ტორგსინის" გამგეობა ბევრად მაღალ ფულად ჯილდოს გასცემდა.

საინფორმაციო საშუალებანი დღეს ხშირად გვამცნობენ — ამა თუ იმ პრესტიჟულ აუქციონზე იყიდება, მაგალითად, ფაბერჟეს ნაკეთობანიო. შეიძლება ეს ნივთები „ტორგსინის" „ლოცვა-კურთხევით" აღმოჩნდა საზღვარგარეთ?! უცხოეთში ეროვნული განძის გატანა-განიავება მაშინ ძალიან მიღებული „ბიზნესი" გახლდათ, სხვათა შორის, ასეა დღესაც.

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და „ტორგსინის" იმპერიაც დაიშალა — ვინ იცის, რატომ? იქნებ მოსახლეობამ ყველაფერი გაიღო, რაც ღირებული ჰქონდა, იქნებ საბარათო სისტემის გაუქმებამ და ეროვნული მანეთის მსყიდველობითი უნარის ამაღლებამ გამოიწვია მისი აღსასრული. ვინ იცის! ფაქტია, რომ იგი, როგორც არარენტაბელური, გააუქმეს.

1936 წლის 1 თებერვლიდან „ტორგსინი" ლიკვიდირებულია და მის გამგებლობაში არსებული სავაჭრო ფართო ქსელი შინაგანი ვაჭრობის სახკომს გადაეცა.

„ტორგსინის" მაგალითი ასეთ ასოციაციას აღძრავს: როგორც მაშინ, დღეს თბილისში უამრავი ძვირფასეულობის შემსყიდველი პუნქტი ფუნქციონირებს. სად მიდის საქართველოს მოქალაქეთა განძი, აქ რჩება? თუ ესეც მავანთა ჯიბის გასქელებას ემსახურება?

სამიოდე წლის წინ თბილისში, „მშრალ ხიდზე" ნახატი შევიძინე — „ძველი თბილისი". პეტერბურგში მიმქონდა. აეროპორტის საბაჟოს თანამშრომლებმა — ეროვნული საგანძურის კუთვნილებააო და ნახატი არ გამატანეს... ახვლედიანის, გუდიაშვილის ან კაკაბაძის ნახატი ხომ არ გამქონდა. ფული უნდა მიგეცაო, — ამიხსნეს საქმეში ჩახედულებმა. იმხანად ხშირად მიხდებოდა მოგზაურობა და, რაღა თქმა უნდა, „ეროვნული სიმდიდრის" გაზიდვაზეც უარი ვთქვი. მაგრამ ჩემს გვერდით, იმავე საბაჟოზე, ყველას თვალწინ, შეუმოწმებლად გაატარეს ოქროთი და ძვირფასთვლიანი ბეჭდებით ახუნძლული პატიოსანი გვამი. მებაჟე „ერთგულ ფინიასავით" უტრიალებდა გარს, თვალებში შესციცინებდა... თვითმფრინავის სალონში, ასაფრენად გამზადებულები, კიდევ ერთი საინტერესო ამბის მოწმენი გავხდით — „ოქროს კაცს" მაამებლური ღიმილით მიართვეს კეისი... ეტყობა, მებაჟეს ბოლომდე მაინც ვერ ენდო ჩვენი თანამგზავრი, აფრენის შემდეგ ფრთხილად ახადა თავი კეისს და თვალი ძვირფასეულობის ბრწყინვალებამ მიიტაცა...

ვინ იცის, რამდენი ასეთი კეისია ატანილი თვითმფრინავების სალონებში? სად მიდიოდა ის ოქრო? იქნებ სწორედ ზემოხსენებულ აუქციონებზე ან კერძო კოლექციონერებთან?

ასეთი ფიქრები ამიშალა „ტორგსინის" გახსენებამ. ნუთუ სახელმწიფო ვერ აიღებს ხელში ძვირფასი ლითონის შესყიდვის საქმეს? ან იქნებ დემოკრატიული წყობის ნაცვლად ოლიგარქიულს ვაშენებთ, სადაც ერთეულთა ხელშია მართვის ყველა სადავე?

*გალაქტიონ ტაგანაშვილი*

# კანონები სწრაფად იცვლება

(დასაწყისი იხ. მე-5 გვ.)

2. პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები საპენსიო უზრუნველყოფით სარგებლობენ ასაკის, შრომის სტაჟისა და დასაქმების მიუხედავად, ე.ი. თუ რეპრესირებულ პირს დაენიშნება პენსია, იგი მას მიიღებს მუშაობის პერიოდშიც.

3. საპენსიო უზრუნველყოფით სარგებლობენ გარდაცვლილი რეპრესირებულის მეუღლე, მშობლები და შვილები, თუ ისინი არიან შრომისუუნარონი, ე.ი. საპენსიო ასაკის (მამაკაცები 65 წლის, ქალები 60 წლის), ან დადგენილი აქვთ ინვალიდობის რომელიმე ჯგუფი, ან არიან 18 წლის ასაკამდე (შვილები), სწავლის შემთხვევაში 23 წლის ასაკამდე. ამ სახის პენსია ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ვრცელდება გარდაცვლილი რეპრესირებულის ოჯახის წევრებზე მუშაობის პერიოდშიც.

კანონი საპენსიო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირებზე, ხოლო მათი გარდაცვალების შემთხვევაში კი მეუღლესა და მშობლებზე, ამოქმედდა 1998 წლის 1 იანვრიდან, ამასთან, ასაკის, შრომის სტაჟისა და დასაქმების მიუხედავად, პენსიების დანიშვნა და გაცემა ამოქმედდა 1998 წლის 17 ივნისიდან. სოციალური დაცვის სამინისტროც უკვე ამ თარიღებიდან გასცემს თანხებს ზემოხსენებულ პირებზე, ხოლო შვილებზე, ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად, კანონი ამოქმედდება 1999 წლის 1 ივლისიდან.

**— ამჟამად რეპრესირებულ პირთა და მათ ახლობელთა რამდენი წარმომადგენელია საქართველოში, ვინც მომატებული პენსიის მიღებას ექვემდებარება და როგორ დაენიშნებათ მათ ამ სახის პენსია?**

არაზუსტი მონაცემებით, დაახლოებით 3-4 ათასმა კაცმა უნდა მიიღოს ამ სახის პენსია, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულმა პირმა ან მისი ოჯახის წევრმა პენსიის დასანიშნად ან გასადიდებლად უშიშროების სამმართველოდან უნდა აიღოს მოწმობა გადასახლების თაობაზე. ამის შემდეგ სასამართლო ცნობს მას პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. სასამართლოს მომსახურება რეპრესირებულთა ოჯახის წევრებზე უფასოა. შემდეგ ზემოხსენებული პირები სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებაში წარადგენენ პირადობის დამადასტურებელ საბუთს, ამასთანავე — სასამართლოს გადაწყვეტილებას პირის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ. რეპრესირებულის ოჯახის წევრებმა უნდა წარადგინონ რეპრესირებულთან ნათესაური კავშირის (დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა და სხვ.) და ასაკისა ან შრომისუუნარობის დამადასტურებელი საბუთები.

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულ პირთა პენსიების დანიშვნა ხდება სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განყოფილებაში განცხადების შეტანის დღიდან, თუ ყველა საბუთი ჩაბარდა განცხადების შეტანიდან სამი თვის განმავლობაში; იმ შემთხვევაში, როცა განცხადების შეტანის შემდეგ, საჭირო საბუთები ფონდის განყოფილებაში წარდგენილ იქნება 3 თვის ვადის გასვლის შემდეგ, პენსია დაენიშნება ბოლო საბუთის წარდგენის დღიდან.

პენსიის მიღების გარდა, რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირები ისარგებლებენ კომუნალური გადასახადის 50%-იანი ფასდაკლებით, ასევე — სამედიცინო დაზღვევით, უფასო იურიდიული კონსულტაციებით, სახელმწიფო ტრანსპორტზე შეღავათებით, შტატების შემცირებისას სამუშაოზე დატოვებით და სხვ.

**— ისარგებლებს რეპრესირებულის სტატუსით ის პიროვნება, ვინც რეპრესირებული მშობლების გადასახლებაში ყოფნისას დაიბადა?**

რეპრესირებულად ითვლება არა მარტო ის, ვინც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია, არამედ — პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის სხვა ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას. მათ რიცხვს მიეკუთვნება, ასევე, რეპრესიების შედეგად გადასახლებაში დაბადებული შვილი. ასეთი კატეგორიის ხალხს მათი განცხადების შეტანის დღიდან ეკუთვნის მომატებული პენსია.

**— პენსიის დაგვიანებას ძლიერ განიცდიან პენსიონერები, ომის მონაწილენი, ინვალიდები. მათ აინტერესებთ, რა იწვევს პენსიების არადროულად გაცემას?**

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო რაიონებში პენსიების გაცემა გვიანდება, დედაქალაქს კი შეძლებისდაგვარად ვაკონტროლებთ. ამასთან, სოციალური დაზღვევის ფონდის დავალიანება, დაახლოებით, 18 მილიონი ლარის ოდენობით, აქვს სხვადასხვა წარმოებადაწესებულებას, რაც აფერხებს პენსიების დროულ გაცემას.

# დაკრძალვას ყველა ევროპული მონარქიის წარმომადგენელი დაესწრო

სანქტ-პეტერბურგში, პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში, რუს მეფეთა ძვალთშესალაგში, სადაც პეტრე I-დან დაწყებული დაკრძალულია ყველა რომანოვი, განსასვენებელი ჰპოვეს რუსეთის უკანასკნელმა იმპერატორმა, მისი ოჯახის წევრებმა და მსახურებმა, რომლებიც ბოლომდე მეფესთან დარჩნენ.

ცერემონიალზე მოსკოვიდან ჩამოსული ბ. ელცინი, როგორც ჩანს, თავს მაინცდამაინც კარგად ვერ გრძნობდა და პანაშვიდის დროს რამდენჯერმე ჩაიმუხლა კიდეც მისთვის მომზადებულ სკამზე. რუსეთის პრეზიდენტმა ბრძანა: „ხალხის ისტორიული ხსოვნის წინაშე ყველანი ვალში ვართ, ამიტომაც არ შემეძლო არ ჩამოვსულიყავი; როგორც ადამიანი და როგორც პრეზიდენტი, დღეს აქ უნდა ვიყო".

პრეზიდენტის აზრით, დაკრძალვის ცერემონია ქვეყნის გაერთიანებისა და საერთო დანაშაულის მონანიების სიმბოლოდ უნდა იქცეს.

პრეზიდენტს ხელში სანთელი ეჭირა და პირჯვარს ისახავდა. შემდეგ დაიწყო „სულთათანა" — სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, რომელმაც 40 წუთს გასტანა

მიცვალებულთა სახელები არ მოუხსენიებიათ. ეკლესიამ რატომღაც ასეთი ფორმულირება აირჩია — მათი სახელები ღმერთმა თავად იცისო. უცხოეთიდან ჩამოსულ რომანოვებსა და ინგლისელ პრინც მაიქლ კენტელთან, ნიკოლოზ II-ის ბიძის შვილიშვილთან ერთად, ექიმ ბოტკინის შვილიშვილი კონსტანტინ მელნიკი იდგა.

ცერემონიალს არ დასწრებია რომანოვების ოჯახის მიერ ოფიციალურად ტახტის მემკვიდრედ მიჩნეული მარია ვლადიმიროვნა და დედამისი ლეონიდა გეორგიევნა (ბაგრატიონი), რადგან მათი მოთხოვნა — მათ სახელზე გაგზავნილ მოსაწვევში აღენიშნათ „მათი საიმპერატორო უდიდებულესობა" — არ შესრულდა.

მეფეთა ძვალთშესალაგში ისტორიაში პირველად ჰპოვეს განსასვენებელი არამეფური სისხლის მქონე ექიმმა ბოტკინმა, მსახურმა ანა დემიდოვამ, მზარეულმა ივან ხარიტონოვმა, ლაქამ ალოიზ ტრუპმა. მათი კუბოების თავზე დალაგდა იმპერატორისა და დედოფლის, მათი სამი ქალიშვილის კუბოები.

ციხესიმაგრის კედელთან იქუხა ზარბაზნის ცხრამეტმა ზალპმა. საგვარეულო აკლდამა დაიხურა. ბორის ელცინმა პირადად მიუსამძიმრა რომანოვების თავკაცს, თავად ნიკოლაი რომანოვიჩს. სტუმრები, მათ შორის, ყველა ევროპული მონარქის წარმომადგენელი ქელეხზე მიიწვიეს რუსეთის ხალხების ეთნოგრაფიის მუზეუმის მარმარილოს დარბაზში. 400 წვეული მიუჯდა ქელეხის სუფრას. მენიუ მართლმადიდებლური ცერემონიალის გათვალისწინებით იყო შედგენილი. სამჯერ შეიცვალა კერძები. სუფრაზე პირველად



კოლიო და ბლინები მიიტანეს, მერე მაცხოვრის ტაძარში ნაკურთხი თევზეული — ფარგა, ქაშაყი, სალამურა. ცერემონიის სიმკაცრე გამორიცხავდა დელიკატესებს — ხიზილალასა და ზუთხს, არც ხორციანი კერძები ყოფილა. მესამე თავად ბოსტნეული იყო.

სასმელებიდან ტრადიციული რუსული შტოშისა და რევანდის კისელი მიართვეს, თაფლიანი პირშუშხა ბურახი, წითელი ღვინო და არაყი, ვაშლიანი, ბრინჯიანი, ხახვიანი ღვეზელები.

P.S. **რუსეთის ტელევიზიამ მორიგი სიურპრიზი მოუწყო თავის მაყურებელს, რომელიც დაკრძალვას ვერ დაესწრო. კადრსმიღმა წარმოთქმულ სულელურ კომენტარებს თითქოს მივეჩვიეთ კიდეც, მაგრამ იქნებ ამისთანა საპასუხისმგებლო მომენტში ცოტა ჩაფიქრებოდნენ საკუთარ ნათქვამს. მაგალითად, როცა პირველ კუბოს მიასვენებდნენ, კადრსმიღმა ხმამ საზეიმო პათოსით განაცხადა, — ხედავთ, ალბათ, მიაქვთ კუბო ნეშტით. ამ დროს ეკრანზე მსხვილი პლანით აჩვენებდნენ... ბორის ნიკოლაევიჩ ელცინს, თანაც კარგა ხანს, მთელ ერთ წუთს. მორწმუნეებმა, რომლებიც ტელევიზორს მისჩერებოდნენ, რატომღაც პირჯვრის წერა დაიწყეს.**

*რუსული პრესის მიხედვით*

# გია ყანჩელი XX საუკუნესთან გამომშვიდობებას აპირებს

კოლმარის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე უნიკალური მოვლენა მოხდა. ვლადიმირ სპივაკოვმა „მოსკოველ ვირტუოზებთან" ერთად გია ყანჩელის „ხმა და ვიოლინო" შეასრულა. როცა სენ-მატიეს ტაძარში ოვაცია მიწყნარდა და ავტორმა და შემსრულებელმა საზოგადოებას თავი დაუკრა, მოულოდნელად სპივაკოვმა ბისზე, მსმენელის გასახარად, იგივე ნაწარმოები გაიმეორა.

დიდი კომპოზიტორი მისი შექმნის ამბავს მიყვება. „ჩვენგან ტრაგიკულად წასულმა არაჩვეულებრივმა მომღერალმა ჰამლეტ გონაშვილმა, ოდესღაც ჩემს სიმფონიაში ხმის პარტია შეასრულა. მე მქონდა მისი ხმის ჩანაწერი და როცა იეჰუდ მენუჰინის 80 წლისთავისთვის პატარა ნაწარმოების შექმნა მოვინდომე, ჰამლეტის ხმის ჩანაწერი გამოვიყენე და „ხმა და ვიოლინო" დავარქვი.

**— თქვენ თქვით, ქართული პოლიფონიურობის საიდუმლო დღემდე ვერ ამოვიცანიო...**

— როცა ამას ვამბობდი, იმას ვგულისხმობდი, რომ არ მესმის, როგორ შეიქმნა ვერსია, თითქოს ოდესღაც შეიყარა ერთად ხალხი და პოლიფონიური სიმღერა შექმნა. ეტყობა, არსებობდნენ აბსოლუტურად გენიალური ანონიმები, რომლებიც ჩვენ არ ვიცით, ვინ იყვნენ... სიმღერები მრავალი საუკუნის მანძილზე იქმნებოდა. ხელოვნების დიდ ნიმუშებს ინდივიდუუმები ქმნიან. კოლექტიური შრომისა არ მწამს. ხალხურობა — სულ სხვა ცნებაა.



**— თქვენი აზრით, პოეტებიდან ვინ არის ყველაზე მუსიკალური?**

— ყველას თავისი მუსიკა აქვს. ჩემთვის, როგორც ორენოვანი ადამიანისთვის, მუსიკალურობის უმაღლესი გამოვლინებაა ერთი მხრივ, გალაკტიონ ტაბიძის ლექსები, მეორე მხრივ, პასტერნაკისა და პუშკინისა და, რა თქმა უნდა, ბლოკის.

**— ბუნებაც ძალიან მუსიკალურია.**

— რა თქმა უნდა, აბსოლუტური სიჩუმე არ არსებობს. ყველაფერი, რაც ამ მდუმარებაში გესმით — უკვე მუსიკაა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა.

**— თქვენ მარტო კლასიკურ ნაწარმოებებს არ ქმნით, კინოსა და თეატრისთვისაც წერთ მუსიკას...**

— რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას თითქმის ყველა დადგმისთვის დავწერე მუსიკა. დღეს სტურუასთან ერთად ვმუშაობ მოსკოვის თეატრ „სატირიკონში", სადაც ის დგამს „ჰამლეტს" კონსტანტინ რაიკინისთვის. ბევრი მაქვს დაწერილი კინოსთვისაც, მარტო გ. დანელიას 6 ფილმს დავუწერე მუსიკა.

**— 1991 წელს რა მიზეზით წახვედით დასავლეთში საცხოვრებლად — ჯერ ბერლინში, შემდეგ კი ანტვერპენში?**

— მაშინ გერმანიის ხელოვნების აკადემიის სტიპენდია მივიღე და ოჯახთან ერთად ბერლინში საცხოვრებლად გადავედი. საქართველოში ჩემთვის ძალიან უსიამოვნო ვითარება იყო. საბედნიეროდ, შეკვეთები მქონდა. უკვე 7 წელი გავიდა, ლამის 18 ნაწარმოები შევქმენი.

**— ერთი სიტყვით, ბევრი ნინადადება გაქვთ?**

— ლიუცერნის ფესტივალისათვის ახალი ნაწარმოები უნდა შევქმნა, ეს არის ძალიან დიდი ფესტივალი. მასზე ჩემი ბევრი ნაწარმოები შესრულდება. 1999 წელს, საშემოდგომოდ, ჰოლანდიის ფესტივალისთვის უნდა დავასრულო კიდევ ერთი ნაწარმოები. 1999 წლის 14 ნოემბერს ნიუ-იორკის ფილარმონია გამართავს კონცერტს „გამოთხოვება XX საუკუნესთან". მისთვის მუსიკას წერს 6 კომპოზიტორი, მათ შორის მეც.

**— როგორ აპირებთ XX საუკუნესთან დამშვიდობებას?**

— ამაზე ახლა ლაპარაკი არ შემიძლია, იმიტომ კი არა, რომ არ მსურს, არამედ იმიტომ, რომ ჯერ არ მომიფიქრებია. შეუძლებელია ერთ ნაწარმოებში მთელი საუკუნე ჩატიო. ამიტომაც რაიმე მარტივ გზას ვეძებ.

**— ამ ცოტა ხნის წინ, პარიზში ჩატარებული რუსეთის ფესტივალის დროს დიდებულმა ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა ჩემთან საუბარში რამდენჯერმე გაიმეორა, — ქართველი კი ვარ, მაგრამ რუსი ბალერინა ვარო, ამით ორი კულტურის ურთიერთკავშირს უსვამდა ხაზს...**

— ნინოს მსგავსად, მე არ შემიძლია ჩემზე ვთქვა — ქართველი და რუსი კომპოზიტორი ვარ-მეთქი. მე ვარ ქართველი და ქართველი კომპოზიტორი, მაგრამ რუს კულტურასთან ურთიერთობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია და დიდ სიხარულს განვიცდი იმის გამო, რომ ამჟამად მოსკოვში ვმუშაობ.

**— თბილისში ხშირად ჩადიხართ?**

— წელიწადში 3-4-ჯერ. ოქტომბრის დამლევს ჩავალ და დეკემბრამდე დავრჩები. ცოტა ხანს შინ მინდა ყოფნა, თუ შევძლებ, დავწერ, თუ არა, არაფერს არ გავაკეთებ, ხანდახან ესეც სიამოვნებას მანიჭებს. გარდა ამისა, ნოემბერში თბილისში ჩამოვა როსტროპოვიჩი. ჩემს ნაწარმოებებსაც დაუკრავს, რომელიც მისთვის დავწერე.

**— დასავლეთში დიდია ქართული დიასპორია?**

— ქართული დიასპორაო, ვერ იტყვი, ის არასოდეს ყოფილა მრავალრიცხოვანი, არც საუკუნის დასაწყისში, არც რევოლუციის შემდეგ, არც ახლა. ყველგან მცირერიცხოვანნი არიან, არ ვიცი, სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ.

**— როგორც შემოქმედი, გრძნობთ, რომ აბსოლუტურად თავისუფალი ხართ?**

— წინათაც ყოველთვის აბსოლუტურად თავისუფალი ვიყავი. შესაძლოა, საბჭოთა პერიოდში ეს იმით აიხსნებოდა, რომ ყოველთვის მქონდა სამუშაო კინოსა და თეატრში, ამიტომ მატერიალური მხარე არ მაღელვებდა. შემეძლო, დამეწერა ჩემთვის ის, რაც მსურდა.

**— გაქვთ თქვენი სკოლა, მოსწავლეები?**

— არასოდეს პედაგოგიური მოღვაწეობა არ გამიწევია. მხოლოდ ჩემი საქმით ვარ დაკავებული. მყავს თუ არა მიმდევრები? ვერ გეტყვით. ერთმა საკმაოდ ცნობილმა კომპოზიტორმა წერილი მომწერა, გაკვეთილები ჩამიტარეო, მაგრამ უარი ვუთხარი. როცა მოგვიანებით მის მუსიკას მოვუსმინე, ჩემთან რაღაც საერთო ვიპოვე.

*ი. კოვალენკო*

*ნოვიე იზვესტია*

# არჩევანი ცუდსა და ძალიან ცუდს შორის

*საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ლიდერი, — ივლიანე ხაინდრავა წუხს, რომ 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ჯერჯერობით, ედუარდ შევარდნაძეს რეალური ალტერნატივა არ ჰყავს*

**— საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალიან სერიოზული კრიზისია. რას იტყოდით ამის თაობაზე?**

— ბოლოდროინდელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსი ძალიან მნიშვნელოვანი და ოპტიმალური გახდა: აბრეშუმის გზის აღდგენა, კასპიისა და შუააზიური ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება; დღის წესრიგშია საქართველოს ევროპის კავშირში შესვლა, მისი აქტივიზაცია ნატოს პროგრამაში. უნდა აღვნიშნო, რომ ედუარდ შევარდნაძემ გამოავლინა პოლიტიკოს-დიპლომატის ტალანტი, მაგრამ რამდენადაც წარმატებულია საგარეო პოლიტიკა, იმდენად წარუმატებელია საშინაო. კორუფცია საქართველოს ცხოვრების წესად იქცა, ქვეყანა აივსო ბიუროკრატებით და მასთან ბრძოლა უშედეგო გამოდგა. შევარდნაძის წყალობით, მხედრიონელთა თავაშვებულობა პოლიციელთა თვითნებობით შეიცვალა. ეკონომიკა ნულზეა.

**— მაშ, ქვეყანაში არ არსებობს ეკონომიკური თავისუფლება?**

— მეტიც, ოთხი წელიწადია, საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ლეგალური ორგანოები არ არსებობს. ხალხი ვერ წარმართავს თავის ცხოვრებას, ეს თანამედროვე საქართველოს მთავარი პრობლემაა.

გადაუწყვეტელია ეთნოტერიტორიული პრობლემა. თუ ცხინვალის კონფლიქტმა პოზიტიურობისკენ მოიხედა, ამას ვერ ვიტყვით ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე. გართულდა ბათუმთან ურთიერთდამოკიდებულება. ფაქტობრივად, თბილისის იურისდიქცია აჭარაზე არ ვრცელდება. ასლან აბაშიძე წარმატებით იყენებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეს. მას სურს, აჭარის მიღმა იპოვოს საყრდენი, ამიტომაც ინტენსიურად მუშაობს სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, კომუნისტებთანაც კი, რაც, ბუნებრივია, ქვეყანას ახალი გამოცდის წინაშე დააყენებს.

**— რა აზრის ბრძანდებით შევარდნაძის შეუცვლელობის შესახებ?**

— 2000 წელს საპრეზიდენტო არჩევნების დროს კვლავ ცუდსა და ძალიან ცუდს შორის არჩევნის წინაშე ვდგავართ, ცუდ შევარდნაძესა და უფრო ცუდ აბაშიძეს შორის უპირატესობას ახლანდელ პრეზიდენტს ვანიჭებ. სამწუხაროდ, შევარდნაძეზე უკეთესი კანდიდატურა რეალურად ახლა არ არის. შევარდნაძის პარტიას საპარლამენტო არჩევნებში, ალბათ, ძალიან გაუჭირდება, რადგან აბაშიძე და მისი გარემოცვა საპარლამენტო უმრავლესობის შექმნის მიზნით, ბრძოლას სწორედ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში ადგილების დასაკავებლად გააჩაღებს. ეს კი ზეწოლას მოახდენს პრეზიდენტზე და მასაც დათმობებზე წასვლა მოუხდება. ყველაფერი ეს საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს.

*ნეზავისიმაია გაზეტა №126*

# იოსებ ბესარიონის ძე „პაპა" ვერ იქნებოდა

თბილისიდან მოსკოვში ჩამოვიდა ევგენი იაკობის ძე ჯუღაშვილი. ბელადის შვილიშვილი მონაწილეობას მიიღებს მოსკოვში სტალინისტების საზოგადოების ოფისის გახსნასა და პაპის რუსი მიმდევრების კონსოლიდაციაში. „სეგოდნიას" კორესპონდენტს ევგენი ჯუღაშვილმა განუცხადა, დავიწყებთ სახსრების ძებნას სტალინის შესახებ ჭეშმარიტი დოკუმენტების გამოსაცემად, ხალხს დავრაზმავთ მის დასაცავადო.



მოსკოვიდან სტალინის შვილიშვილი ბელორუსიაში აპირებს გამგზავრებას, იქ ძალიან გულითადად ეპატიჟებიან. ამჟამად საქართველოში სტალინის საზოგადოებაში ასი ათასზე მეტი ადამიანია გაერთიანებული. საწევროსაც იხდიან, უმნიშვნელოს, უფრო სიმბოლურს, რადგან სტალინის მიმართ ნოსტალგიას უფრო ხნიერები განიცდიან, რომლებსაც „ახალ ქართველებს" ვერანაირად ვერ მიაკუთვნებ.

თბილისის ყველაზე პრესტიჟულ რაიონში — ვაკეში იზრდება პატარა იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი, „ხალხების მამად" თავს არ მიიჩნევს. სტალინის შვილთაშვილი მალე მხოლოდ ოთხისა გახდება. პატარა სოსომ პატარაობიდანვე შეითვისა — გვარი ჯუღაშვილი ის ოჯახური ჯვარია, რომელიც მანაც უნდა ატაროს.

ჯუღაშვილების ბინიდან გამარჯვების პარკი მოჩანს. აქ ყოველ 9 მაისს ვეტერანები ზეიმობენ, ბელადის უზარმაზარი პორტრეტი მოაქვთ. ბინაშიც სტალინის უამრავი პორტრეტი ჰკიდია. 62 წლის ევგენი იაკობის ძე პაპას ძალიან ჰგავს, თუმცა მის მუხლებზე არასოდეს მჯდარა. „საწყენია, მაგრამ არც ერთი შვილიშვილი კალთაში არ ჯდომია. პაპობა იოსებ ბესარიონის ძის საქმე არ იყო — ის ხალხების მამა იყო," — ამართლებს ევგენი თავის ლეგენდარულ წინაპარს. პენსიაზე გასვლის შემდეგ, პოლკოვნიკი ევგენი ჯუღაშვილი ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის პედაგოგი იყო (იგი სამხედრო ხელოვნების ისტორიას ასწავლიდა). საქართველოში დაბრუნდა — „ქართველობის შესანარჩუნებლად".

ლეგენდარული იაკობ ჯუღაშვილის (იგი ზაქსენჰაუზენის ტყვეობაში დაიღუპა) ვაჟს წარმოშობა ზოგჯერ შველოდა, მაგრამ უფრო მეტად ხელს უშლიდა, განსაკუთრებით, კულტთან ბრძოლის პერიოდში ჰქონდა პრობლემები სამსახურში. მისი თქმით, სტალინის ყველა შვილიშვილი ბედის ანაბარად იყო მიტოვებული.

ახლანდელ ხელისუფალთ სტალინის შვილიშვილი უმოწყალოდ აკრიტიკებს და ნაღვლიან ფინალს ჰპირდება. შესაძლოა, იმიტომ, რომ აღარ არსებობს „რკინის ფარდა", სტალინის შვილთაშვილები სრულიად სხვა ფორმაციის ადამიანები არიან. იაშა 25 წლისაა, დიდი მომავლის მქონე მხატვარი, სამშობლოში ახლახან დაბრუნდა, 3 წელი გლაზგოში ხელოვნების სკოლაში სწავლობდა. მეორე შვილიშვილი — ბესარიონი 32 წლისაა. მოსკოვის სასცენარო და სარეჟისორო კურსები დაამთავრა — თავის პაპაზე, უფროს ლეიტენანტ იაკობ ჯუღაშვილზე აპირებს დოკუმენტური ფილმის გადაღებას. ეს იქნება გერმანია-საქართველო-რუსეთის ერთობლივი ნამუშევარი.

*სეგოდნია №150*

## რუსული პრესის მიხედვით:

## ნეზავისიმაია გაზეტა — ევროპისკენ გზა არ არის

## ნოვიე იზვესტია — ევროპისკენ გზა არის

სატრანსპორტო დერეფნის „ევროპა-კავკასია-აზია" გეგმის რეალიზაციისათვის საქართველოს გზები უვარგისი გამოდგა. „არ იფიქროთ, რომ ტვირთის გადასაზიდად კავკასიაში სხვა გზები არ იყოს, ოღონდ წასაღები იყოს რამე" — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ სამთავრობო სხდომაზე. ეს საკითხი რომ მეტად აქტუალურია, ამას მოწმობს პრეზიდენტის ახალი ბრძანებულება სატრანსპორტო დერეფნის — „ევროპა-კავკასია-აზია" — კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესახებ. დოკუმენტში გამოთქმულია უკმაყოფილება იმის გამო, რომ „ზოგიერთი უწყება ტრანსპორტს უსაფუძვლოდ აყოვნებს, რაც ტვირთზიდვას აგვიანებს". ასეთი არანორმალური მდგომარეობა ერთიანი სატრანსპორტო სატარიფო პოლიტიკის უქონლობამ გამოიწვია. ტვირთის პატრონები სამართლიანად ჩივიან უამრავი გაუგებარი ბეგარის გამო. მსგავსი „წესრიგი", რა თქმა უნდა, ცივილიზებული პარტნიორებისათვის წარმოუდგენელია. საქართველო, ევრაზიის დერეფნის სხვა ქვეყნების მსგავსად, არ გაერთიანებულა საერთაშორისო სატრანსპორტო კონვენციებში. ტრანსპორტისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა უნდა დააჩქარონ საქართველოს შესაბამის საერთაშორისო ტრანსპორტის კონვენციებთან დაახლოება და გადაწყვიტონ ორგანიზაციული საკითხები.

ძნელია იმის თქმა, თუ როგორ და როდის შესრულდება პრეზიდენტის ბრძანებულება. ევროპისა და აზიის ტრასას კავკასიის გავლით, ორი მიმართულება აქვს — აღმოსავლეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთისა. ჩრდილოეთის მარშრუტი ვლადიკავკაზის გავლით საქართველოსთან აკავშირებს არა მარტო რუსეთს, არამედ ცენტრალურ აზიასაც (აქ არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა მგზავრობის უსაფრთხოებისათვის). ამ გზის მოწესრიგებას დიდზე დიდი თანხა ესაჭიროება. შედარებით საიმედოა თბილისისა და შავი ზღვის პორტების შემაერთებელი გზატკეცილი, რომელიც რუსეთისაკენ მიდის აფხაზეთის გავლით. როგორც ვიცით, გზის ეს ნაწილი, ცნობილი მიზეზების გამო, უმოქმედოდაა. ამიტომაც დიდი მატერიალური დანაკლისი აქვს საქართველოს, რუსეთს და აფხაზეთსაც. ამ მიმართულებით გადის მნიშვნელოვანი სარკინიგზო არტერია, რომელსაც ორივე ქვეყნის ეკონომიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ბოლოდროინდელი ურთიერთობიდან ნათლად გამოიკვეთა, რომ ჩეჩნეთს საქართველოს გავლით მსოფლიოს სხვა ქვეყნებისაკენ გზის გაკვლევა სურს. საქართველოს სატრანსპორტო და კომუნიკაციის დარგის მთავარმა მრჩეველმა დიმიტრი კოტეტიშვილმა განაცხადა, რომ ჩეჩნეთში მიმავალი გზის მშენებლობა ამჟამად იგეგმება. მისი განხორციელება დაკავშირებულია მრავალ ტექნიკურ პრობლემასთან (არც პოლიტიკური პრობლემებია გამორიცხული). ამ გზით უღელტეხილზე (2.700-3.000 მ. სიმაღლე ზღვის დონიდან) მოძრაობა სეზონური იქნება (დაახლოებით 6 თვე). დღესდღეობით, მთა-გორებსა და ტყეებზე გამავალ გზას ჩეჩნეთისაკენ მხოლოდ ქვეითი ან ცხენოსანი თუ გაივლის. გზა სრულფასოვან არტერიად, გროზნოსა და თბილისის დამაკავშირებლად რომ იქცეს, დეპარტამენტის ცნობით, 450 მლნ დოლარია საჭირო. აქედან 394 მლნ დოლარი მხოლოდ გვირაბების მშენებლობას დასჭირდება. ასე რომ, მოსკოვის განცხადება, გროზნო-თბილისის მაგისტრალის მშენებლობის დასრულების შესახებ, ნაადრევია.

*ნეზავისიმაია გაზეტა №126*

•••

ჩეჩნეთ-საქართველოს საავტომობილო გზის მშენებლობის დასრულებამდე ცოტაღა დარჩა. მშენებლებს ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვრის ნეიტრალურ ზოლში კიდევ 5კმ გზის გაყვანა დასჭირდათ. როგორც ჩეჩნეთის რესპუბლიკის გზათა მშენებლობისა და ექსპლუატაციის მინისტრმა ნუჟდენ დააევმა იტარ-ტასს განუცხადა, ჩეჩენმა მშენებლებმა 38კმ გზა გაიყვანეს და ამ მონაკვეთზე 7 ხიდი ააგეს.

ითუმ-ყალე-საქართველოს საავტომობილო გზის (40კმ) მშენებლობა 6 სექტემბრისათვის დასრულდება. „მიუხედავად ფინანსების უკმარისობისა, სტრატეგიული გზის, როგორც ჩეჩნეთისათვის მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ობიექტის გაყვანა საქართველოში, გეგმის მიხედვით დასრულდება", — განაცხადა დააევმა. საქართველოსაკენ მიმავალი საავტომობილო გზა ჩეჩნეთისათვის „მსოფლიოში სარკმლის გაჭრაა".

*ნოვიე იზვესტია №128*

# შევარდნაძეს შვილები უკვე დაბინავებული ჰყავს



საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს და მის მეუღლეს, ქალბატონ ნანულის ორი შვილი და 4 შვილიშვილი ჰყავთ. ქალიშვილი — მანანა შევარდნაძე, კომპანია „საქტელეფილმის" გენერალური დირექტორია, მისი მეუღლე გია ჯოხთაბერიძე — მობილური კავშირის კომპანიის — „მაგთი-GSM" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. მანანა შევარდნაძეს ქალიშვილი ჰყავს პირველი ქმრისაგან. ერთ-ერთ ინტერვიუში მანანა შევარდნაძე იხსენებდა, რომ ძალიან ახალგაზრდა გათხოვდა, უნდოდა დიდი ქორწილი გადაეხადა. მაგრამ, იმ დროს მამა (ბატონი ედუარდი), საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი, ნეგატიური მოვლენებისა და ყველაფრის გადამეტების წინააღმდეგ იბრძოდა და შვილის იდეა არ მოეწონა. ასე რომ, მისი გათხოვება ოჯახურ წრეში (70 კაცი) აღინიშნა.

პრეზიდენტის ვაჟი — პაატა არის იუნესკოში საქართველოს მისიის ხელმძღვანელი, ცხოვრობს და მოღვაწეობს პარიზში. მას და მის მეუღლეს, ნინოს, 3 შვილი ჰყავთ — ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი.

*კომსომოლსკაია პრავდა №129*



## პრემიერი ჰასიმოტო გადადგა

რუსეთის პრემიერ-მინისტრის, ს. კირიენკოს ვიზიტი იაპონიაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ფაქტს დაემთხვა. პრემიერმა რიუტარი ჰასიმოტომ თავის თავზე აიღო საპარლამენტო არჩევნებში ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის დამარცხების (17 ადგილი დაკარგეს) პასუხისმგებლობა და გადადგა. ჰასიმოტომ განაცხადა, რომ მისმა გადადგომამ ნეგატიურად არ უნდა იმოქმედოს იაპონია-რუსეთის ურთიერთობაზე. ახალი პრემიერ-მინისტრის არჩევნები ივლისის დამლევისთვისაა დაგეგმილი. შესაძლო კანდიდატთა შორის ასახელებენ ახლანდელ საგარეო საქმეთა მინისტრს კეიძო ობუტის და მთავრობის ყოფილ გენერალურ მდივანს სეიროკ კაბიამუს.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №128*

## ჩადრიანი ბუდა

ტაილანდში ხელისუფლებასა და ბერებს შორის კონფლიქტი მოხდა, რისი მიზეზიცაა ბანგკოკის ერთ-ერთი მონასტრის წინ აღმართული ბუდას ქანდაკება, — ღმერთს მარჯვენა ფეხი დედამიწაზე უდგას. ხელისუფლების განცხადებით, ეს აქტი მთელი მსოფლიოს შეურაცხყოფას ნიშნავს და ამიტომ, ქანდაკება უნდა განადგურდეს. ბერები ამ მოსაზრებას სასტიკად ეწინააღმდეგებიან და ამტკიცებენ, რომ მიწაზე ფეხის დადგმა მსოფლიოს მფარველობის სიმბოლოაო. თუმცა, ბერებს კომპრომისზე წასვლა მაინც მოუწიათ, — განაცხადეს, ძეგლს ნაჭერს ჩამოვაფარებთ, მაგრამ არავის გავანადგურებინებთო.

ბერები ძეგლს დარაჯობენ და მისი ნახვის მსურველებს ორნახევარ დოლარს ახდევინებენ.

*ფოკუსი №28*

## არგენტინის მიწა იწვის — ნაცისტების ფეხქვეშ

არგენტინის, გერმანიის, ისრაელისა და აშშ-ის წარმომადგენლებმა ბუენოს-აირესში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ინფორმაციის გაცვლის შესახებ. ხელშეკრულების მიზანია, გამოაშკარაონ და დააპატიმრონ სამხედრო დამნაშავეები, რომლებმაც ამ სამხრეთ-ამერიკულ ქვეყანას შეაფარეს თავი ფაშისტური რეჟიმის განადგურების შემდეგ. ჰიტლერელთა რაოდენობა — დაუზუსტებელია. არ არის საიდუმლო, რომ მათ შორის იყვნენ ნაცისტური რეჟიმის ყველაზე ოდიოზური ფიგურები. 1961 წელს არგენტინაში ისრაელის დაზვერვამ დააპატიმრა სამხედრო დამნაშავე ადოლფ აიხმანი, რომელიც ცნობილია თავისი სისასტიკით ებრაელებისადმი. აიხმანი უხმაუროდ აიყვანეს, ისრაელში გაასამართლეს და ჩამოახრჩეს. არგენტინაში იმალებოდა მეორე დამნაშავეც — ოსვენციმის კომენდანტი იოზეფ მენგელე — „სიკვდილის ანგელოზი".

გერმანიის ფედერალური არქივიდან, ისრაელის იუსტიციის სამინისტროსა და ამერიკის სამხედრო დანაშაულებათა შემსწავლელ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით, არგენტინა მიიღებს ზუსტ ინფორმაციას მის ტერიტორიაზე მიმალულ სხვა სამხედრო დამნაშავეებზეც, მათი დაპატიმრებისა და გასამართლების მიზნით.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №26*

## ბადეს წყალქვეშა ნავი ამოჰყვა

ჩრდილო კორეა ერთი ხელით სამხრეთს მეგობრობას სთავაზობს, მეორეთი — სამარეს უთხრის — მის წინააღმდეგ ჯაშუშურ საქმიანობას ეწევა. თუმცა, ჯაშუშურ წყალქვეშა ნავებში ფპენიანს აშკარად არ უმართლებს. ჯერ კიდევ 1996 წელს, ჩრდილო კორეელთა წყალქვეშა ნავი სამხრეთ კორეის სანაპიროსთან გამოირიყა. მაშინ, ეკიპაჟის ნაწილმა ნაპირს შეაფარა თავი. მათ წინააღმდეგ ჯარებიც გამოიყვანეს — რასაც, 53-დღიანი დევნა და 28 ჩრდილოელი და 15 სამხრეთელი ჯარისკაცისა და მოქალაქის დაღუპვა მოჰყვა. და აი, ისევ გაგრძელდა „წყალქვეშა ნავის ეპოპეა". სამხრეთკორეელთა თევზსაჭერი სეინერის ბადეში „დიდი ნადავლი" გაება. მეთევზეებმა ვერაფრით ამოსწიეს ბადე და დახმარებისთვის სამხედრო-საზღვაო ძალებს მიმართეს. სამხედრო მყვინთავებმა, ოკეანეში 30 მ სიღრმეზე, ბადეში გახვეულ ჩრდილოკორეულ სადაზვერვო სუბმარინს მიაკვლიეს. ნავის შიგნიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. კარი გატეხეს და თვალწინ საზარელი სურათი წარუდგათ. ეკიპაჟის ცხრა წევრი ტყვიით განგმირული ესვენა. ჯერჯერობით, გაურკვეველია, მათ თავი მოიკლეს თუ ერთმანეთი დახოცეს. მეთევზენი კი დაგლეჯილ ბადეს მისტიროდნენ.

*ნიუზუიქ, 6 ივლისი*

## დაპირისპირება იემენში

იემენის რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარეობს მძაფრი დაპირისპირება სამთავრობო ძალებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. მდგომარეობა გამწვავდა ნავთობზე ფასების მომატების შემდეგ. მთავრობა ამას არანაირ კომენტარს არ უკეთებს და ჟურნალისტებთან საუბარს თავს არიდებს. თვითმხილველთა თქმით, დედაქალაქ სანაში ღამით, მალულად დასაკრძალად მოასვენეს 20-მდე ჯარისკაცის ცხედარი. ერთ-ერთი სახელმწიფო მოხელის თქმით — პრეზიდენტ ალი აბდულ სალიხს ნაბრძანები აქვს აჯანყებულთა ტერიტორიაზე დამატებით 1.000 სამხედრო მოსამსახურის გაგზავნა, რაც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ერთ-ერთი წინაპირობაა.

აჯანყებულთა ერთმა ნაწილმა აღმართა მეზობელი საუდის არაბეთის დროშა და თავს დაესხა სამხედრო გარნიზონს. საპასუხოდ, საჯარისო ნაწილებმა ააოხრეს 4 დასახლებული პუნქტი. ამჟამად, პოლიტიკური და პროფკავშირული ორგანიზაციები გეგმავენ ნავთობზე ფასების ზრდასთან დაკავშირებით დემონსტრაციის ჩატარებას მთავრობამ ქალაქ მუკალაში, სადაც განზრახულია დემონსტრაციის ჩატარება, გაგზავნა დამატებითი ძალები. პარალელურად კი, აწარმოებს მოლაპარაკებას ოპოზიციის ლიდერებთან და აფრთხილებს მათ, რომ დემონსტრაციებს შესაძლებელია, სავალალო შედეგები მოჰყვეს, მაგრამ, თავის მხრივ, ოპოზიციური ძალები ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებენ.

ადგილობრივი პრესის ცნობით, აღმოსავლეთ იემენში, სახელმწიფო ძალებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მომხდარ შეტაკებებში დაიღუპა სულ ცოტა 100 და მძიმედ დაიჭრა 500 კაცი.

*დი ველტი*

### კვირის ფრაზა

მე რომ ვადამდე ადრე წავიდე, ერთმანეთს დაერევით და მერე ჩხუბში მთელ ქვეყანას ჩაითრევთ.

*ბორის ელცინი*

*პრეზიდენტის მიმართვა პარლამენტარებისადმი*



## უკანასკნელი ცნობები

**ტამარა როხლინამ**, რომელსაც ბრალი ედება ქმრის — გენერალ როხლინის მკვლელობაში, თავისი ადვოკატის თანდასწრებით უარი თქვა ადრე მიცემულ ჩვენებაზე და განაცხადა, რომ მისი ქმარი ნიღბიანმა უცნობებმა მოკლეს. მათ აიძულეს გენერლის ქვრივი, თვითონ ეკისრა დანაშაული.

**არაბთა გაერთიანებულ საამიროში** კატასტროფა განიცადა სატვირთო თვითმფრინავმა Ил-76-მა, რომელიც უკრაინის ავიაკომპანია „აი-თი-აი"-ს ეკუთვნოდა. ჰაერში, ლაინერს მოულოდნელად ცეცხლი მოეკიდა და ზღვაში ჩავარდა. ხელისუფლებამ მაშინვე გაგზავნა 6 კატარღა, მედიკოსებმა, მაშველებმა და მყვინთავებმა ვერ შესძლეს ცეცხლმოკიდებულ თვითმფრინავთან მიახლოება. ვარაუდობენ, რომ ეკიპაჟის წევრები დაიღუპნენ.

მუსონურმა წვიმებმა **ვიეტნამის** დედაქალაქი ლამის წალეკა. სინოპტიკოსები დასამშვიდებელს ვერაფერს პირდებიან ჰანოელებს. აბობოქრებული მდინარე ჰონგსა წვიმების გაძლიერების გამო, კიდევ უფრო ადიდდა.

**რუსეთის** სამხედრო თანამგზავრი „КОСМОС-2350", რომელიც განკუთვნილი იყო აშშ-ის ცენტრალურ ნაწილში სტრატეგიული ბირთვული რაკეტების ბაზირების რაიონებზე გამუდმებით სათვალთვალოდ, სიცოცხლის ნიშნებს აღარ ავლენს. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთზე შესაძლო რაკეტული თავდასხმის წინასწარ გამაფრთხილებელმა სისტემამ შეწყვიტა თავისი ფუნქციის შესრულება.

## ბორის ნემცოვი:
## პრემიერ-მინისტრად ბერეზოვსკის ვნიშნავ!

სერგეი კირიენკოს ხელისუფლებას არც ხალხი უყვარს და არც ოლიგარქია. გასაგებია, რატომ არ არის ხალხი მოხიბლული მინისტრთა ახალი კაბინეტით. — ამ გაჭირვების დროს, სახელმწიფო ხაზინაში ისედაც არ არის ფული პენსიონერთა და საბიუჯეტო დაწესებულებათა შესანახად. ხელისუფლება იძულებულია, მიიღოს უკიდურესი ზომები — გაამკაცროს საგადასახდო პოლიტიკა, შეამციროს საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსება. სხვათა შორის, ოლიგარქებიც ხალხის ნაწილია და ისევე, როგორც ყველას, სულ არ სურთ შემოსავალი სახელმწიფოს გაუყონ.

ამიტომ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დაჟინებით უჭედავენ თავში მოსახლეობას, თეთრი სახლის ბინადარნი იმპოტენტები არიანო. და ვაი, რომ ეს მართალსა ჰგავს...

დიდ ბიზნესს ამოფარებულმა ოლიგარქებმა ქვეყნის საშველად ეკონომიკური ურთიერთობის საბჭოს (ანუ „ალტერნატიული მთავრობის") შექმნა შესთავაზა თეთრ სახლს. ამ იდეის სიკეთეში კი კვლავ საინფორმაციო საშუალებები (ოღონდ, ბორის ბერეზოვსკის დაქვემდებარებულნი) გვარწმუნებენ.

მთავრობა დიდხანს იკატუნებდა თავს — არაფერი ხდებაო. თუმცა, ამ რამდენიმე დღის წინ, ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის კომენტირების დროს, ნემცოვმა — პირველად (!) — კატეგორიულად უარყო რუსეთში „ოლიგარქიული მმართველობის" გამოჩენა და მდგომარეობიდან გამოსასვლელად ერთადერთი გზა — პრემიერ-მინისტრად ბერეზოვსკის დანიშვნა მიიჩნია!

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №130*

## რადუევს სასამართლოს განაჩენის მიხედვით დახვრეტენ

შარიათის ადგილობრივმა პროკურატურამ და სასამართლომ დაიწყო სალმან რადუევის საქმის განხილვა. მას ბრალად სდებენ ანტიკონსტიტუციურ მოქმედებებსა და კანონიერი ხელისუფლების ჩამოგდების მცდელობას. რადუევს დაპატიმრების არ ეშინია და პრესკონფერენციაც კი ჩაატარა რესპუბლიკის პროკურატურის მეზობელ შენობაში.

> თუ რადუევის დასჯა დაგვჭირდა, თავს მოვაჭრით... ან მაგრად გავროზგავთ...
>
> შამილ ბასაევი



„თავს არავის წინაშე დამნაშავედ არ ვგრძნობ, ამიტომაც არც არავის ვემალები" — განაცხადა „დუდაევის არმიის" მეთაურმა. გენპროკურატურის მიერ გამოწერილი დაპატიმრების ორდერი რადუევს ნაკლებად აწუხებს, იგი მხოლოდ შარიათის სასამართლოს ემორჩილება და ამიტომ, გენპროკურატურაში გამოცხადებას არ აპირებს. როგორც ცნობილია, 21 ივნისს რადუევის მომხრეები, რომლებიც მიტინგს ატარებდნენ ტელეცენტრის შენობასთან, შეეცადნენ ეთერში გასულიყვნენ და პრეზიდენტ მასხადოვის გადადგომა მოეთხოვათ. ბოევიკებმა განაიარაღეს ტელეცენტრის დაცვა და შენობაში შეიჭრნენ. მიტინგის მონაწილეების დაშოშმინებას ცდილობდა უშიშროების ეროვნული სამსახურის დირექტორი ლეჩა ხულტიგოვი. რადუევის ერთ-ერთმა მცველმა იგი დაცხრილა. კიდევ 4 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის, რადუევის მოადგილე ვახა ჯავაროვი. „დუდაევის არმიის" მეთაურმა ტელევიზიის პავილიონში მომხდარი შეტაკება რუსეთის სპეცრაზმის პროვოკაციად მიიჩნია, მიზანი ჩემი მოკვლა იყოო.

შარიათის სასამართლოს წევრებმა უნდა დაადგინონ რადუევის ბრალეულობა, არა მარტო ანტიკონსტიტუციურ ქმედებებში, არამედ ხულტიგოვის მკვლელობაში, ამას დაღუპულის ნათესავებიც ითხოვენ. სასამართლოზე ისინი აგრეთვე რადუევის სიკვდილით დასჯის მოთხოვნით გამოვლენ, თუ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაშინ სისხლს აიღებენ. მათ მხარს უჭერს პრეზიდენტი მასხადოვი, რომელსაც რადუევმა კარგა ხანია, თავი მოაბეზრა.

*კომერსანტ დეილი №125*

## ტატიანა დიაჩენკოს ელცინის გადადგომა სურს

როგორც კრემლის კულუარებიდან გვატყობინებენ, გასულ კვირას კრემლში შექსპირისეული ვნებები გათამაშდა. ჭაღარა და ცხოვრებისაგან დაღლილ მეფე ლირს (ბორის ნიკოლაევიჩი) გადადგომას საკუთარი ქალიშვილი, მამის მოსიყვარულე ტატიანა ემუდარებოდა. ტატიანას მხარში ედგა მამის ერთგული მეგობარი და თანაშემწე, უერთგულესი პაჟი ვალენტინ იუმაშევი. მეფეს ემუქრებოდნენ, ვითომდა, უკვე მომზადებული გადატრიალებით და ეხვეწებოდნენ, ნებით დაეთმო ტახტი. როგორც აღმოჩნდა, ყველაფრის მიზეზი ახალი ეკონომიკური პოლიტიკა იყო, რომლის დაწყება გამოაცხადა პრემიერმა კირიენკომ. ასე რატომ აღელდნენ ფინანსური ოლიგარქიები?

„იტოგის" ერთ-ერთ გადაცემაში ევგენი კისილიოვმა ისტერიკა მოაწყო და შავი ფერებით დახატა დაწყებული აპოკალიფსი. ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ითვალისწინებს ფინანსური ოლიგარქიების შეღავათების გაუქმებას. მათ მოუწევთ არა მარტო გადასახადების დროულად გადახდა, არამედ რუსეთში ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. თავის გამოსვლაში ევგენი კისილიოვი მოითხოვდა არაპოპულარული პოლიტიკოსების ხელისუფლებიდან განდევნას, პირველ რიგში კი, ჩუბაისისა და ნემცოვის. კისილიოვმა ისიც თქვა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაცია, შაბათს, დილიდან საღამომდე გულმოდგინედ მუშაობდა და ამზადებდა ხელისუფლებაში საკადრო გადაადგილებას. სინამდვილეში, ხელისუფლება მტკიცედ დგას და თუ ვიღაც-ვიღაცები ასე აქტიურად არ შეუშლიან ხელს, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთს გაუჩნდეს შანსი, გამოვიდეს ამ უმძიმესი კრიზისიდან.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №130*

## ლუკაშენკოს ევროპაში არ შეუშვებენ

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ბელორუსიის პრეზიდენტსა და ქვეყნის სხვა მაღალჩინოსნებს არ მისცენ ევროპის ქვეყნების ვიზები. ევროკავშირი არ აპირებს ამაზე შეჩერებას — საელჩოთა რეზიდენციებთან დაკავშირებით მომხდარი ამბების გამო ბელორუსიასთან ურთიერთობის განყვეტა აქვს განზრახული. რუსეთი ამ კონფლიქტში არც ერთის მხარეს არ დაიჭერს.

ბელორუსიის ხელისუფალთ ვერ უშველა მონანიების ჟესტმა. ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკან გამოითხოვა სკანდალური ნოტა (მასში ნაბრძანები იყო, რომ ელჩების რეზიდენციიდან ავეჯი გაეტანათ). ევროკავშირში იგი დაგვიანებულად მიიჩნიეს და მინსკის დასჯა გადაწყვიტეს.

ბრიუსელმა დაამტკიცა იმ ბელორუს ხელმძღვანელთა სახელობითი ნუსხა, რომლებსაც ეკრძალებათ კავშირის წევრ ქვეყნებში შესვლა. ნუსხას სათავეში პრეზიდენტი ლუკაშენკო უდგას.

ევროკავშირის მინისტრთა გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ამ ორგანიზაციაში გაერთიანების მსურველმა თითქმის ყველა კანდიდატმა: ბულგარეთმა, ჩეხეთმა, სლოვაკიამ, უნგრეთმა, კვიპროსმა, სლოვენიამ, რუმინეთმა, ნორვეგიამ და ისლანდიამ. თავი შეიკავა მხოლოდ პოლონეთმა. ამრიგად, ბელორუსიის ლიდერები, პრაქტიკულად, მთელი ევროპისათვის პერსონა ნონ გრატად გამოცხადდნენ.

მინსკს კარგად ესმის, რა მდგომარეობაშიც ჩავარდა და ცდილობს, ევროკავშირის რისხვა შეარბილოს. პრეზიდენტმა ლუკაშენკომ ევროკავშირს გაუგზავნა თხოვნა, კონფლიქტის მოსაწესრიგებელი კონსულტაციების დასაწყებად.

ბელორუსიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. პოლუიანმა განაცხადა, ბელორუსია იმედოვნებს, რომ მეზობლები, პირველ რიგში, რუსეთი, მხარს დაგვიჭერსო, მაგრამ მოსკოვი არ ჩქარობს მინსკის დაცვას.

*კომერსანტ დეილი №126*

## რაიხსტაგის სიმბოლო



დიდი სჯა-ბაასი დასჭირდა ქვეყნის სიმბოლოს ესკიზების განხილვას გერმანიის ბუნდესტაგში. ორი დღის ნაცვლად ოთხი დღე კამათობდნენ, როგორი უნდა ყოფილიყო ის ძლევამოსილი ფრინველი, რომელმაც რაიხსტაგი უნდა დაამშვენოს. სტილიზებული ბონური ჩიტუნა ძველსაც ნააგავს, თან სამყაროს მარადიული განახლების სიმბოლოა. ახალი ესკიზის ავტორია არქიტექტორი ნორმან ფოსტერი.

*ფოკუსი №28*

# ქართველები ზღვაში მრთმანეთს ვერ ცნობენ

გასულ კვირას, 16 ივლისს, როგორც წინასწარ იყო დაგეგმილი, დაიწყო საქართველოს საზღვაო სანაპიროს გაკონტროლება ქართული მესაზღვრეების მიერ.

ხუთშაბათს, საღამოს 8 საათისთვის ფოთის სამხედრო პორტიდან ღია ზღვაში სამორიგეოდ გავიდა მესაზღვრეების ოთხი მცურავი საშუალება — 205П პროექტის სასაზღვრო სადარაჯო ხომალდი, ორი 1400M პროექტის სასაზღვრო კატარღა „გრიფი“ და ერთიც, თურქეთის ნაჩუქარი კატარღა.





ეს პროცესი, საბედნიეროდ, ყოველგვარი პომპეზურობისა და „პოკაზუხობის“ გარეშე ჩატარდა, მაგრამ უცნაურობები უკვე რამდენიმე საათში დაიწყო.

თუმცა, ამას უცნაურობა კი არა, უფრო სხვა სახელი უნდა ეწოდოს. შაბათს, ზოგიერთ გაზეთში დაიბეჭდა ინფორმაცია აჭარიდან, სადაც იტყობინებოდნენ, რომ 16 ივლისს აჭარაში განლაგებულმა სასაზღვრო ძალების წარმომადგენლებმა სუფსასთან რეიდზე მდგომ ორ უცნობ ხომალდთან მიახლოება სცადეს და მათი ვინაობის გაგება მოინდომეს. ხომალდებიდან ვინაობის დაკონკრეტების გარეშე უპასუხეს, რომ სახელმწიფო საზღვრებს იცავდნენ. ყოფილა სიტუაცია, რომ კინაღამ სროლაც კი ატეხილა. გაზეთი სვამს კითხვას, — ამ ორი საეჭვო ხომალდის, რომლებზეც რუსი ეკიპაჟები იმყოფებიან და ჩამქრალი ნათურებით საეჭვოდ მოძრაობენ, ასალაგმავად საქართველოს ხელისუფლება რას მოიმოქმედებს?

დამოუკიდებელ სამხედრო ექსპერტთა მონაცემებით, ამ საზღვაო აკვატორიაში არავითარი რუსული სამხედრო ხომალდები არ იმყოფება, ხოლო რადიოკავშირის რუსულ ენაზე წარმოება, სულაც არ ნიშნავს, რომ გემის მთელი ეკიპაჟი რუსი ეროვნებისაა. არადა, ყველაზე დიდი კურიოზი ის არის, რომ ორივე „საეჭვო“ ხომალდი, სწორედ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის საკუთრებაა და სწორედ ისინი გავიდნენ ფოთის პორტიდან, რის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ.

ფაქტობრივად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სწრაფი რეაგირების რაზმის კატარღებმა „საქმის გარჩევა“ მოუწყეს საქართველოს მესაზღვრეებს. ძალაუნებურად, „კვირის პალიტრის“ გასულ ნომერში გამოყენებული ფრაზა მართლდება — ეს აბსურდია, მაგრამ რეალობა.

სამხედრო ექსპერტები არ გამორიცხავდნენ გარკვეულ საზღვაო დუელებს ანაკლიის საზღვაო აკვატორიაში აფხაზებთან, მაგრამ, სამწუხაროდ, კინაღამ იგივე მოხდა სულ საპირისპირო მხარეს, სუფსის სიახლოვეს.

არადა, ის, რომ ქართველი მესაზღვრეები სწორედ 16 ივლისს იწყებდნენ ზღვის კონტროლს, წინასწარ ფართოდ იქნა გაშუქებული.

ასეთი რამ, ეტყობა, მხოლოდ დღევანდელ საქართველოში თუ მოხდება. თუმცა, არსებობს უფრო შემაშფოთებელი ინფორმაციაც — სწორედ სუფსის ტერმინალთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეიძლება დაიძაბოს ურთიერთობა ოფიციალურ თბილისსა და ასევე ოფიციალურ ბათუმს შორის, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ თავისი კატარღებით აპირებს სუფსის სიახლოვეს საზღვაო აკვატორიის გაკონტროლებას.

პირადი ამბიციები სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემუქრება.

***ფოთი-თბილისი***

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### მზადდება ახალი შეტევა ჩეჩნეთზე



**რუსეთი.** უცხოელი სამხედრო სპეციალისტების აზრით, არ არის გამორიცხული, რომ უკვე ა. წ. ზაფხულში მოსკოვმა ახალი სამხედრო კამპანია წამოიწყოს ურჩი ჩეჩნეთის წინააღმდეგ. ამის საფუძველს იძლევა ინფორმაციები, რომელთა თანახმადაც, ჩეჩნეთის საზღვრების სიახლოვეს კონცენტრირდება რუსეთის შინაგანი ჯარებისა და სადესანტო ნაწილების, აგრეთვე, დამრტყმელი ავიაციის ქვედანაყოფები და ესკადრილიები. ამ რეგიონში დისლოცირებულია ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის СКВО-ს 50 ათასამდე მებრძოლი, ასევე შინაგანი ჯარების ჩრდილო კავკასიის ოლქის ოთხი დივიზია (ისინი განლაგებულნი არიან ვლადიკავკაზში, ნოვოჩერკასკში, პიატიგორსკსა და მახაჩყალაში). საჰაერო თავდასხმებისათვის გამოყენებულ იქნება მე-4 საჰაერო არმია, რომლის განკარგულებაშია 280-მდე საბრძოლო თვითმფრინავი (საფრონტო ბომბდამშენები Су-24-ები, მოიერიშეები — Су-25-ები, გამანადგურებლები — Су-27-ები და МиГ-29-ები) და 40 დამრტყმელი შვეულმფრენი. ეს საჰაერო არმადაც მოსკოვს ჩეჩნეთის საზღვრების სიახლოვეს — კრასნოდარის, ეისკის, მოროზოვსკის, მილეროვოსა და ბუდიონოვსკის სამხედრო აეროდრომებზე ჰყავს განთავსებული. გარდა ამისა, მთაგორიან ადგილებზე საბრძოლო მოქმედებისათვის მოსკოვმა მოამზადა 5 ათასამდე კარგად შეიარაღებული მედესანტე. ვნახოთ, რა გაკვეთილი მიიღო მოსკოვმა ჩეჩნეთში ნაგებული ომისგან. მანამდე კი, ჩრდილო კავკასიაში ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედების გეგმა რუსეთის გენერალურ შტაბში უკვე მომზადდა.

### ტურისტებისთვის ხომალდებსაც კი ძირავენ



**კუბა.** ყველას კარგად მოეხსენება, რომ კომუნისტურ ჰავანას თავისი მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებამდე ჰყავს მიყვანილი და ქვეყანას მხოლოდ მრავალრიცხოვანი ტურისტების ხარჯზე თუ ინახავს. კუბის ტურისტულმა ფირმებმა კიდევ ერთ საკბილოს მიაგნეს დამსვენებლების მოსაზიდად — მათ პლაჟების სიახლოვეს ჩაძირეს საბჭოთა კავშირის მიერ 60-იან წლებში ნაჩუქარი კრეისერები. როგორც აღმოჩნდა, უცხოელი ტურისტები დიდძალ ფულს არ იშურებენ ჩაძირულ ხომალდებზე აკვალანგებით წყალქვეშა ექსკურსიების მოსაწყობად.

### თურმე სომეხი სამხედროებიც ი პარავენ

**სომხეთი.** როგორც აღმოჩნდა, კორუფცია მარტო ქართულ არმიაში როდია გამეფებული. სულ ახლახან დააკავეს სომხეთის შეიარაღებული ძალების მაღალჩინოსანი ოფიცერი, რომელსაც, არც მეტი და არც ნაკლები, მილიონი დოლარის მოპარვაში სდებენ ბრალს. მაგრამ, რაც ყველაზე საოცარია, ამ საქმეში ერთი ღვთისმსახურიც არის გარეული, თუმცა ოფიციალური ეჩმიაძინი დუმილს ამჯობინებს. ამ სენსაციური ფაქტების გამომზეურებიდან რამდენიმე დღეში ერევანს ოფიციალური ვიზიტით რუსეთის თავდაცვის მინისტრი, მარშალი იგორ სერგეევი ეწვია. როგორც საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, ერევანი ფრიად დაინტერესებულია რუსული С-300 ტიპის საზენიტო რაკეტების შეძენით. თუ ამას მოახერხებს, ერევანს საშუალება ექნება თითქმის 150 კმ-ის რადიუსში გააკონტროლოს მეზობელი ქვეყნების საჰაერო სივრცეები С-300 ПМУ-1-ის შეძენის შემთხვევაში, და 200 კმ-ის რადიუსში, თუკი სომხები რუსებისაგან ამ საზენიტო-სარაკეტო სისტემის უახლოეს მოდიფიკაციას — С-300 ПМУ-2 „ФАВОРИТ“-ს მიიღებენ. ფაქტობრივად, სომხეთი შეძლებს თვალყური ადევნოს თითქმის მთელი აზერბაიჯანის საჰაერო სივრცეს, აგრეთვე, თურქეთის დიდ ნაწილსა და მთელ აღმოსავლეთ საქართველოს.

## არსენალი

# „ნემსი“, რომელიც მწარედ „იჩხვლიტება“

თითოეული ასეთი „ჩხვლეტა“ კი მოწინააღმდეგს არანაკლებ რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი უჯდება, რადგან მას თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების ჩამოგდება შეუძლია.

ეტყობა, ტყუილად არ დაარქვეს თანამედროვე (ჯერ საბჭოთა, ამჟამად რუსულ) გადასატან, კომპაქტურ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს „ИГЛА“, რადგან იგი ცნობილი „სტრელას“ მორიგ გაუმჯობესებად იქცა.



„იგლებმა“ თავი იჩინა უკვე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გაჩაღებულ ლოკალურ ომებში — ყარაბაღში, აფხაზეთში და ბოლოს, ჩეჩნეთში. ყველგან, ამ ადგილებში, „იგლები“ საკმაო წარმატებით უსწორდებოდნენ მოწინააღმდეგის თვითმფრინავებსა თუ შვეულმფრენებს.

ძნელია დაბეჯითებით მტკიცება, მაგრამ აფხაზეთში ჩამოგდებული 6 ქართული Су-25 მოიერიშიდან 2-3 მაინც „იგლების“ სინდისზეა.

„იგლას“ „სტრელასაგან“ განსხვავებით, ბევრად გაუმჯობესებული ტაქტიკურ-ტექნიკური მაჩვენებლები გააჩნია. რაკეტის ფრენის მაქსიმალური სიშორე 5,2 კმ-ს აღწევს, ეს კი იმავე „სტრელას“ შესაძლებლობებთან შედარებით მეტად შთამბეჭდავია. მსროლელს „იგლათი“ შეუძლია ჩამოაგდოს 10 მ-დან 3,5 კმ-მდე სიმაღლეების შუალედში მფრენი ნებისმიერი თვითმფრინავი თუ შვეულმფრენი, რომელთა მაქსიმალური სიჩქარე არ აღემატება 400 მ/წმ-ს. ეს კი თითქმის 1.500 კმ/სთ-მდეა. ამ სიჩქარით შვეულმფრენები კი არა, ბევრი საბრძოლო თვითმფრინავიც ვერ დაფრინავს (მათ ჩამოკიდებული აქვთ რაკეტები და ბომბები, რაც ძალზე ამცირებს ფრენის სიჩქარეს). აქედან გამომდინარე, „იგლა“ სახიფათო იარაღი ხდება დღეისათვის არსებული ყველა საფრენოსნო საშუალებისთვის, მათ შორის, სამოქალაქო თვითმფრინავებისთვისაც.

ეტყობა, ქვეყნების მეთაურების დაცვის სპეცსამსახურებიც ასე ძალიან ამიტომ უფრთხიან ხელის გადასატან საზენიტო რაკეტებს. იგივე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი 9К38 „ИГЛА“ სულ 16,5 კგ-ს იწონის და მისი დამალვა მსუბუქ ავტომობილშიც შეიძლება.

მკითხველთაგან ბევრს უხმარია ლენინგრადში გამოშვებული „ЛОМО“-ს ტიპის ფოტოაპარატი და ფიქრადაც არ მოსვლია, რომ იგივე „ლომოს“ ქარხანა სითბური დამიზნების თავებს ამზადებდა „სტრელებისა“ და „იგლებისათვის“. სწორედ ეს დამიზნების მოწყობილობა, ცის ფონზე კონტრასტულობით გამოარჩევს მფრინავი ობიექტის რუხ სილუეტს, აღიქვამს მისი ძრავებიდან გამომდინარე დიდი სიმხურვალის კვამლს და, კარგად დაგეშილი ძაღლივით ბოლომდე მიჰყვება მას.

ცოტა ხნის წინ რუსმა კონსტრუქტორებმა „იგლას“ ახალი დანადგარი შექმნეს. ამჯერად, მებრძოლს მხარზე კი არ აქვს გადებული საზენიტო რაკეტა, არამედ კომფორტულად ზის მიწაზე დამაგრებულ სავარძელში, ხოლო ორივე მხარეს თითო-თითო „იგლაა“ დამონტაჟებული. ამ მარტივი საზენიტო დანადგარის მოთავსება შეიძლება როგორც სტაციონარულად, მთის მწვერვალზე,



საცხოვრებელი კორპუსების თავზე, ასევე, მობილურად, სატვირთო ავტომობილის რკინის ძარაზეც.




თუმცა, ამ გამოგონებაში რუსებს პრიორიტეტი ნამდვილად არ ეკუთვნით. დამოუკიდებელ სამხედრო ექსპერტებს ახსოვთ, რომ თბილისის ერთ-ერთ ქარხანაში ჯერ კიდევ 1993 წლისათვის დამზადდა თითქმის ანალოგიური საზენიტო დანადგარი, რომელსაც ორი „ჰაერი-ჰაერი“ კლასის Р-60 ტიპის საავიაციო რაკეტა ეკეთა. ამასთანავე, ეს დანადგარი საკუთარ ბორბლებზე იდგა და მისი სწრაფი ბუქსირება ძალიან იოლად ხდებოდა. ამ დანადგარის საყოველთაო ჩვენება 1997 წლის შემოდგომაზე, ყულევის პოლიგონზე გამართული ფართო მასშტაბიანი სამხედრო წვრთნების დროს მოხდა. თუმცა, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ „ჰაერი-ჰაერი“ ტიპის რაკეტები თავის საზენიტო თანამოძმეებს კონკურენციას ვერ გაუწევს, მათ სასტარტო ძრავები არ გააჩნიათ და არც სჭირდებათ, რადგან გარკვეული სიჩქარით მფრენი თვითმფრინავიდან იღებენ სტარტს, ხოლო უშუალოდ მიწიდან, საწყისი სიჩქარის უქონლობის გამო, მათი ტაქტიკურ-ტექნიკური მაჩვენებლები საკმაოდ ჩამოუვარდება სასტარტო ძრავებით აღჭურვილ საზენიტო რაკეტებს.

პორტატიული საზენიტო რაკეტები საუკეთესო შეიარაღებად უნდა ჩაითვალოს მობილური, მცირერიცხოვანი საბრძოლო ჯგუფებისათვის. იგივე „იგლას“ საზენიტო კომპლექსი (გასაშვები მოწყობილობა და ორი საზენიტო რაკეტა) თავისუფლად შეიძლება ატაროს ორმა მებრძოლმა, რომლებიც, ამასთანავე, მოკლელულიანი ავტომატებით ან პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებით იქნებიან აღჭურვილნი. პირველი რაკეტის აცილების შემთხვევაშიც (რაც თითქმის გამორიცხულია, რადგან საზენიტო რაკეტები „გაისროლე-დაივიწყე“-ს პრინციპით მოქმედებენ), მეორე „იგლა“ წირვას გამოუყვანს მოწინააღმდეგის შვეულმფრენს.

„იგლას“ ან „სტინგერის“ ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების წარმოება საქართველოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს დღეისათვის არ შეუძლია და საეჭვოა, საერთოდ შეძლოს. ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ ნაკლებად სავარაუდოა, აშშ ან ინგლისი ამ საქმის მოგვარებაში ქართველებს დაეხმარონ, რადგან „სტინგერები“, „სტრელები“ და „იგლები“ უკვე აღიქმება არა მარტო როგორც ჩვეულებრივი იარაღის სახეობა, არამედ მსოფლიო ტერორიზმის მიერ მოწონებული ყველაზე ეფექტური იარაღი.

რჩება ერთადერთი რეალური გზა — იმავე რუსეთში შევისყიდოთ „იგლასა“ და „სტრელას“ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები და სპეციალური ტრენაჟორი, რომელზეც წვრთნას გაივლიან მომავალი მსროლელები.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

## საბჭოთა კავშირის გმირი ნიკოლოზ კუზნეცოვი, იგივე კოლონისტი, გრაჩოვი, პუხი, პაულ ზიბერტი ისტორიაში შევიდა, როგორც ძიების დილოსტატი, იღბლიანი მზვერავი და მზაკვარი ტერორისტი

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ურალში მოხვედრილი გერმანელი ტყვეების ნაწილი იქვე დასახლდა და გერმანელთა კოლონია შექმნა. ისინი ურალელი გლეხის, კუზნეცოვის მეზობლად ცხოვრობდნენ და მათი პატარა ბიჭუნა ძირითადად გერმანელების გარემოცვაში ტრიალებდა. მომხიბლავი გარეგნობის ცისფერთვალა რუსი გლეხის ბიჭუნა არისტოკრატ პრუსიელს ჩამოჰგავდა.

შინსახკომი, რა თქმა უნდა, დაინტერესდა კუზნეცოვით და თანამშრომლობა შესთავაზა. იგი დათანხმდა — პირველი ოპერატიული ფსევდონიმი იყო „კოლონისტი". ურალმაშში დაიწყო მუშაობა და გერმანელი ინჟინრებისგან, თავისი განსაცვიფრებელი ნიჭის წყალობით, იოლად შეისწავლა ბავარიული, პრუსიული, საქსონური დიალექტები. მის დოსიეში პირველი ჩანაწერები გაჩნდა — 1938 წლიდან იგი უკვე შინსახკომზე მუშაობდა. ნიჭიერი და იმედისმომცემი ჩეკისტით მოსკოვიც დაინტერესდა. მოსკოვში კუზნეცოვი იმ განყოფილებაში გაამწესეს, რომელიც უცხოეთის საელჩოთა სამზარეულოებით იყო დაინტერესებული. რა აინტერესებდათ უცხოელებს მოსკოვში 30-იანი წლების დამლევს? ანტიკვარიატი, ოქრო, საათები, ფოტოაპარატები, მოდური ტანსაცმელი და კიდევ... თეატრი და ქალები. კუზნეცოვი წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცრის ფორმაში გამოაწყვეს და დაიწყო... იგი უცებ გაერკვა ვითარებაში — თეატრებისა და სავაჭრო ცენტრების ხშირი სტუმარი გახდა. ერთ შესახვევში მდებარე საიუველირო მაღაზიაში ჩეხეთის საელჩოს მდივანს დაუახლოვდა. იგი საათებს ჰყიდდა(?), კუზნეცოვი კი ეხმარებოდა (შინსახკომის წყალობით) ამ გაყიდვაში. მალე დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა გახდა მისი „მასწავლებელი" და ქალაქის ბომონდში შეიყვანა. მომხიბლავი, მხიარული, ენამახვილი ჭაბუკი ქალების კერპად იქცა. ანდა რა გასაკვირია — გულუხვი ახალგაზრდა უკან მოუხედავად არიგებდა საჩუქრებს — მერე კი საუკეთესო რესტორნები, მსახიობი ქალებისა და უცხოელი დიპლომატების საზოგადოებაში ვახშამი.

მისი პატაკები და ანგარიშები დაკვირვების იშვიათ ნიჭს ამჟღავნებდა და ხელმძღვანელობამ უმალ დააფასა ეს — კუზნეცოვი ორგანულად შეერწყა მოსკოვურ ბომონდს. ესენი იყვნენ: უმაღლესი პარტიული ბელადები, ჩინოსანი სამხედრო პირები, უცხოელი დიპლომატები, მწერლები, პოეტები, მუსიკოსები და, პირველ რიგში, მსახიობები. სწორედ ეს წრე იკვებებოდა ყველაზე უხვად ჭორებით, ინფორმაციით, სწორედ მათში შეიძლებოდა საერთო სახალხო განწყობილების შესწავლა.

კუზნეცოვი საჭირო ნაცნობობის ქსელს ქსელავდა, სად არ ნახავდით მას: დიდ თეატრში, ვახტანგოვში, წარჩინებულ მოსკოველთა ოჯახებში. ფლირტი და ინტრიგა იყო მისი მუშაობის მეთოდი. მერე კი... რომელიმე ოქროსთმიანი მზეთუნახავის საწოლში, ხუმრობასა და ანეკდოტების მოყოლისას იგებდა ყველაფერს ამა თუ იმ პირის შესახებ.

1942 წელი. უკრაინა. ქალაქი როვნო. ფეხოსანი ობერ-ლეიტენანტი პაულ ზიბერტი, ახოვანი, ორი რკინის ჯვრით დამშვენებული, აღმოსავლეთის ფრონტზე მიღებულ ჭრილობებს იშუშებს და სულ მალე ხდება გერმანიის სამხედრო წრეებში „თავისი" კაცი. ზიბერტ-კუზნეცოვი და უკრაინის პარტიზანული მოძრაობის ერთი სულისჩამდგმელი პოლკოვნიკი მედვედევი ერთად აწყობენ გეგმებს. ვალუტით სავაჭროდ და სასაჩუქროდ აუცილებელი საქონლით კუზნეცოვის მომარაგება პარტიზანთა კისერზე იყო. იძარცვება მატარებლები, ავტოტრანსპორტი, გერმანელ ოფიცერთა და ჩინოვნიკთა საფულეები პაულ ზიბერტს ემსახურება. სანაცვლოდ კი იგი უახლოვდება მესამე რაიხის ლეგენდის, სუპერგმირის ოტო სკორცენის კაცს, მაიორ ფონ ორტელს. ისევ დროსტარება — საუკეთესო ღვინოები და კონიაკები, ლამაზი ქალები, ორგიები და უცებ: ლეიტენანტო ზიბერტ, შენ სანგარში არაფერი გესაქმება, წამოდი ჩემთან, აღმოსავლური ხალიჩების ჩამოსატანად...

მოსკოვში, შინსახკომის მე-4 სამმართველოს უფროსი (დაზვერვა, დივერსია, ტერორი) სწორად აფასებს მიღებულ ინფორმაციას. ფონ ორტელი, სკორცენის კაცი სპარსეთში მიემართება — იქ კი თეირანის კონფერენცია ტარდება, საფრთხე ემუქრება სტალინს, რუზველტს, ჩერჩილს...

### საბჭოელი ფლეიბოი



ქალები კვლავ განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ზიბერტის საქმიანობაში — მსახიობები, ოფიციანტები, მეტრდოტელები თავიანთი გარემოცვით — ფრონტელი თუ ზურგის ოფიცრობა, აბვერი, გესტაპო. ომია, ომი და ქალები მაგნიტივით იზიდავენ ძლიერ სქესს. ზიბერტის „მეგობარ" მრავალ და მრავალ ქალს შორის ერთი ავიაციის შტაბის საქმეთა მმართველია, მეორე, სამხედრო ტვირთის გადაზიდვის ბიუროს რეფერენტი, მესამე — სსრკ-ში დატაცებული განძის გერმანიაში გაგზავნის ფირმის „პაკეტ-აუქციონის" მდივანი. ზიბერტ-კუზნეცოვის ყურადღებას არ გამოპარვია ისიც, რომ სადღაც, უკრაინაში არსებობს ჰიტლერის ბუნკერი, თავად ფიურერი კი აპირებს აღმოსავლეთის ფრონტი მოინახულოს, ვერმახტის შეიარაღებული ძალების სარდალი კეიტელი ქალაქ ვინიცაშია, საოპერო თეატრში ვაგნერის „ტანჰაიზერს" ესწრება, გერმანიაში მეორე პირი ჰერმან გერინგი კი ბერლინის საოპერო თეატრის კონცერტით ტკბება პროვინციული ქალაქის სცენაზე. ეჭვგარეშეა, ჰიტლერის ბუნკერი ვინიცაშია. მაგრამ სად, რა ადგილას? მალე მოსკოვი დაშიფრულ ინფორმაციას მიიღებს — მასში ზუსტადაა მითითებული გერმანიიდან გამოყვანილი სატელეფონო კაბელის გეგმა...

უკრაინის უზენაესი მოსამართლე ალფრედ ფუნკი კუზნეცოვმა სასამართლოს შენობაში მოკლა. ფუნკი ჯერ კიდევ ფეთქავდა, როცა კუზნეცოვი ნაცრისფერ „ადლერს" როვნოს გარეუბანში მიაქროლებდა. მანამდე კი იყო იმპერიის ფინანსთა მრჩეველი გენერალი გელი, გესტაპოს შტურბანფიურერი გეტელი, გენერალი ფონ ილგენი, ინჟინერ-პოლკოვნიკი ჰაანი, პოლკოვნიკი ფონ რაისი, გალიციის ვიცე-გუბერნატორი ბაუერი და სხვანი და სხვანი. კუზნეცოვი თავად სახავდა მოქმედების გეგმას, ბედი წყალობდა თავზე ხელაღებულ ჩეკისტს... ფაშისტები გააფთრებით ეძებდნენ გერმანულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მტერს, რომელიც მათ ცხვირწინ გასაოცარი თავხედობით კლავდა, აფეთქებდა, იტაცებდა და... ერთმანეთის მიყოლებით შლიდა გერმანელთა ზედმიწევნითი სიზუსტით დასახულ ოპერაციებს.

ვითარება დაიძაბა. როვნოში დარჩენა სახიფათო იყო და აი, კუზნეცოვი ტოვებს ქალაქს, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ დასავლეთისკენ ქნას პირი, როგორც მოლაპარაკებული იყო მედვედევთან, აღმოსავლეთისკენ მიემართება. დაღლილ-დაქანცული კუზნეცოვი კამინსკისა და ბელოვთან ერთად პირდაპირ მგლის ხახაში მოხვდა — სოფელი, სადაც ისინი შეჩერდნენ, ბენდერელთა ბანდებს ეჭირათ. ასისთავი ჩერნიგორა უმალ მიხვდა, ვინც იყო მის წინ. ბენდერელებს კარგად ახსოვდათ, როგორი პროვოკაცია მოუწყო საბჭოთა მზვერავმა და როგორ ჩაახოცვინა ფაშისტებს მათი 38 ლიდერი. კუზნეცოვი განწირულია, მაგრამ სადაველები კვლავ ხელთ უპყრია. ჰაუპტმან ჩერნიგორას ქუდი მაგიდაზე დევს, ქუდის ქვეშ ყუმბარაა. დადგა საბედისწერო წუთი და... კუზნეცოვმა თავიც აიფეთქა და ბევრიც თან გაიყოლა. იგი იქვე ჩაფლეს მიწაში... ერთ კვირაში უკანდახეული გერმანელთა ჯარი ამ სოფლის მიდამოებში სანგრებს თხრიდა. შემთხვევით აღმოაჩინეს ვერმახტის ოფიცრისფორმიანი გვამი... გამძვინვარებულმა მეთაურმა სოფელი გადაწვა, ბენდერელთა კვალს მიჰყვა და ყველა თოფიანი მამაკაცი კედელთან მიაყენა. მათი რისხვა გასაგებია — ანდა როგორ უნდა ეპატიებინათ მათთვის ორი რკინის ჯვრის კავალერის, გერმანელი ოფიცრის მკვლელობა?

*იბეჭდება შემოკლებით*
*სოვერშენო სეკრეტნო №4*

ქაღალდი
სხვადასხვა ფორმატის,
საგაზეთო
საბეჭდი
ოფსეტური
ცარცის
განსაკუთრებული ფასდაკლებით
70 გრამიანი ოფსეტური №1
მუყაო — „ქრომოკარტონი" 235 გრ/მ²
☎ 33-78-07, 877403866

## კაცი, რომელმაც ბრეჟნევს ესროლა

*ოცდაათიოდე წლის წინ, წითელ მოედანზე, აღლუმის დროს, მაშინდელ სსრკ კპ ცკ-ის გენერალურ მდივანს ლეონიდ ბრეჟნევს უცნობმა პირმა ესროლა. ტყვიამ მცველი მოკლა...*

ვინ იყო ის კაცი, რომელმაც 60-იანი წლების დამლევს გაუგონარი და სრულიად წარმოუდგენელი საქციელი ჩაიდინა?

ახლა იგი 50 წლისაა, ყოფილი სამხედრო, რომელიც თითქმის 20 წელი იძულებითი მკურნალობის კურსს გადიოდა სსს-ს ერთ-ერთი ციხის საავადმყოფოში. დიახ, ვინმე ვ. ილინი მარტოდმარტო იმყოფებოდა საკან-პალატაში. ტერორისტული აქტის ჩატარების მცდელობისთანავე შეიპყრეს და ლენინგრადის მე-3 ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს გამოსაკვლევად. მართლაცდა, გიჟის მეტი ვინ ესროდა ტყვიას „გენიალურ ადამიანს", ხალხის „საყვარელ" ბელადს, ლეონიდ ილიჩს? სახელოვანმა პროფესურამ ერთხმად დაადგინა, რომ ბრეჟნევზე თავდასხმის დროს ილინი მძიმედ იყო ავად. ამის დასტურად ისიც კმაროდა, რომ ახალგაზრდა ტერორისტი მკვლელობის უმალ ამ საპატიო პოსტის დაკავებასა და შემდეგ ახალი პარტიის შექმნას აპირებდა. სულიერი ავადმყოფობა ახალგაზრდა კაცს საბჭოთა ჯარში სამსახურის დროს დაწყებია, მაგრამ როგორც გარეშე თვალისათვის, ასევე მისთვისაც ეს ავადმყოფობა უჩინრად მიმდინარეობდა. გამოდის, რომ თავად ილინი თავს აბსოლუტურად ჯანსაღად გრძნობდა, როცა ბრეჟნევზე თავდასხმის უგუნურ გეგმებს აწყობდა.

**— 1969 წლიდან თითქმის სამი ათეული წელი გავიდა, ქვეყანა შეიცვალა, გადასხვაფერდა, როგორ აფასებთ დღეს თქვენს მაშინდელ საქციელს, გმირობად ხომ არ გესახებათ?**

— არა, არავითარ შემთხვევაში.

**— იქნებ სინდისის ქენჯნას განიცდით?**

— ამ კითხვაზე გულახდილად უნდა გიპასუხოთ. ბევრ რამეს ვნანობ, სინდისიც მაწუხებს, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს. ერთია, როდესაც შენს საქციელზე თავადვე აგებ პასუხს, მაგრამ თუ შენს გამო სხვა ადამიანები ისჯებიან, ეს უკვე ძალიან მწარეა... დანაშაულს, რომელიც მე ჩავიდინე, მძიმე შედეგი მოჰყვა.

ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერი სისტემის დროს კანონის დარღვევა უკვე დანაშაულია. ამას ცოტა ვინმე თუ მოიაზრებს ისე, როგორც საჭიროა, მით უფრო ჩვენს სინამდვილეში. მე ეს ანბანური ჭეშმარიტება კარგად გავითავისე... ჩვენს სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანს ისე ქელავენ, როგორც ღორი — რკოს. სიტყვამ მოიტანა და ამიტომ გესაუბრებით ამ თემაზე. ჩემმა დანაშაულმა სხვა, უფრო მძიმე დანაშაული გამოიწვია — ადამიანი დაიღუპა. როგორ გგონიათ, ამდენი ხნის შემდეგაც კი, შემიძლია თვალი გავუსწორო მის ობლებს? რამდენიც არ უნდა ვიმართლო თავი, ის კაცი მკვდარია, რადგან ზუსტად შეასრულა თავისი სამსახურებრივი ვალი. ახლა ჩემი მეგობრები? ისინი ხომ სრულიად უდანაშაულოდ დაისაჯნენ ჩემს გამო — თქვენ კარგად გემახსოვრებათ, როგორი წარმატებით მუშაობდა (და დღესაც მუშაობს) საბჭოური ხორცსაკეპი მანქანა.



**— თავდასხმის შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?**

— უბრალოდ. მაშინვე დამაკავეს და ლეფორტოვოში გამამწესეს. ძიება რამდენიმე თვე გაგრძელდა. 1970 წელს ტრიბუნალის გადაწყვეტილებით ყაზანის ფსიქიატრიულში გადამიყვანეს. გამომძიებლის მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს, ყაზანში კი... მისვლისთანავე უმკაცრეს რეჟიმში ჩამაყენეს. იმხანად, აზრადაც არ მომსვლია, რომ ჩემი ქცევა და ფიქრები ავადმყოფური იყო. იქვე დამინიშნეს იძულებითი მკურნალობა. სამი წელი სრულიად მარტო, გამოყრუებული ვიჯექი საკანში. მერე რადიო ჩამომიკიდეს, გაზეთებს მაწვდიდნენ. იმ საავადმყოფოში ჩინებულ ბიბლიოთეკას მივაკვლიე და სიმართლე გითხრათ, თავს დაჩაგრულად ნამდვილად არ ვგრძნობდი. 18 წლის მანძილზე ჩემზე არც ერთხელ არ გამოუყენებიათ ელექტროშოკი. იცით, ეს რა არის? კედლის მიღმა ისეთი ღრიალი მესმოდა ხოლმე, თმა ყალყზე დაგიდგებოდათ. ასე რომ, საწუწუნო არაფერი მაქვს. კი, საავადმყოფოში მძიმე ვითარება სუფევდა. ჩემს იქ ყოფნაში საავადმყოფოს ხუთმა მოსამსახურემ მოიკლა თავი...

**— ამდენი წლის მარტოობის შემდეგ, როგორ შეეგუეთ ჩვენს დღევანდელ ყოფას?**

— რა თქმა უნდა, ძნელია. მე ხომ მარტოობას ვარ მიჩვეული. აბა, წარმოიდგინეთ, ციხეში ერთ ეპოქაში მოვხვდი, სასჯელის მოხდის შემდეგ კი — სულ სხვაგვარ, უჩვეულო ცხოვრებას უნდა მივეჩვიო...

უნდა გამოგიტყდეთ, გამიჭირდა ამ მარტოსულ ადამიანთან საუბარი, ჩემდა უნებურად ვცდილობდი, გამეადვილებინა მისთვის პირველი ინტერვიუ.

წარსულმა წარუშლელი დაღი დააჩნია მას. ვერ შევძელი ტანჯული სულის 30 წლიანი ტრაგედიის მოგონებათა გამოღვიძება, სისასტიკედ მივიჩნიე.

ამიტომაც ამ პატარა ინტერვიუს მისივე გულიდან ამოხეთქილი სიტყვებით ვასრულებ: „ბოროტებას, მძულვარებას, მკვლელობას არასდროს და არავისთვის მოუტანია ბედნიერება და კეთილდღეობა, ეს ყველას უნდა ახსოვდეს..."

საკუთარი ავადმყოფობის ტყვემ, საკუთარი სინდისის პატიმარმა ვ. ილინმა ფუჭად ჩაკლილი ცხოვრების საფასურად მოიპოვა უფლება, ამ სიტყვებით დაგვემოძღვროს და დაგვაფიქროს.

*გალაქტიონ ტაგანაშვილი*
*სანქტ-პეტერბურგი*

## კომაროვი ცოცხლად დაიწვა

*30 წელი გავიდა მფრინავი-კოსმონავტის, საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმირ კომაროვის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ. მაშინ გაზეთები იუწყებოდნენ: „1967 წლის 24 აპრილს კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-1"-ის საცდელი გაფრენის დამთავრებისას, ტრაგიკულად დაიღუპა ინჟინერ-პოლკოვნიკი ვლადიმირ მიხაილოვიჩ კომაროვი". მოარული ხმების თანახმად კი, კოსმონავტი დაჯდომის დროს დაიწვა. მაინც რა მოხდა სინამდვილეში?*

*გთავაზობთ სამძებრო და კოსმოსური აპარატების ეკიპაჟების მაშველი ჯგუფის ექიმის, ოლეგ ბიჩკოვის გამოსვლის სტენოგრამას ამ ფაქტთან დაკავშირებით.*



— ჩვენ უნდა მოვმსახურებოდით კომაროვის დაშვებას. დილის 4 სთ-ზე უკვე აეროდრომზე შვეულმფრენთან ვიყავით — აქვე იყო კიდევ ერთი შვეულმფრენი, სასწრაფო ქირურგიული დახმარებისთვის აღჭურვილი.

სამძებრო ჯგუფის მეორე ექიმს ვიტია არტამოშინს მოვუყევი წინა ღამით ნანახი სიზმარი. მეზმანა, თითქოს ჩამოფრინდა ხომალდი, ვაღებ ლუკს — კომაროვი მკვდარია. ნევს სულ მთლად გაყავისფრებული... ავფრინდით. ჰაერიდან დავინახეთ, ქვემოთ, მწვანე მინდორზე როგორ იწვოდა ხომალდი. მაშინვე დავეშვით. ცეცხლს ვაქრობდით ყველა, ვისაც რით და როგორ შეგვეძლო; ბარებით, ცეცხლმქრობებით. ალი ცას სწვდებოდა — ლითონიც კი დადნა.

მე და ვიტია მაღალი ტემპერატურის გამო ხომალდს ვერ მივეკარეთ. მხოლოდ ჩაკეტილი ლუკი დავინახეთ, ესე იგი, კოსმონავტი შიგნით იყო. როგორც იქნა, ხანძარი ჩავაქრეთ. ნიკოლაი პეტროვიჩი (ნიკოლაი პეტროვიჩ კომანინი — ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი, 1966-72 წწ.-ში კოსმონავტების მომზადებას ხელმძღვანელობდა) მოფრინდა. ყველაფერი მოვახსენე. კომანინმა რამდენჯერმე გვკითხა, — კომაროვი აქ არისო?

თურმე კომანინს ჰქონდა მიღებული ინფორმაცია, თითქოს კომაროვი, ცოცხალი და უვნებელი, სადღაც სხვა რაიონში დაშვებულიყო.

ყველანი მთვარეულებივით დავდიოდით. ვიცოდით, რომ კოსმონავტი დაიღუპა და ამის შესახებ გენერალ-პოლკოვნიკსაც მოვახსენეთ, მაგრამ კომანინი მაინც გაფრინდა ნავარაუდევ რაიონში.

მე და ვიტიამ კომაროვი ჩამქრალი ხომალდიდან გამოვიყვანეთ. კოსმონავტი მხურვალებისგან დამწვარიყო და გამომშრალიყო. მარჯვენა ყურსაფარი დარტყმისგან მარჯვენა თვალზე ჩამოვარდნოდა. ხელ-ფეხი გადამტვრეული ჰქონდა. კოსტიუმი თითქმის სულ დაწვოდა. თავის ქალა ჩალეწვოდა. შვეულმფრენში გადავასვენეთ. ჩვენი აზრით, იგი მიწაზე დაცემის დროს გარდაიცვალა.

*ექსპრეს-გაზეტა №13*



**თარაზულად:**

4



გასართობი საღამო, რომლის მონაწილეებს უკეთიათ ნიღბები და აცვიათ სახასიათო სამოსი

5



(1494-1534წწ.)



(მხატვარი)

6



ჰოლანდია — „გროლში:
დანია — „ტუბორგი";
გერმანია — „რადებერგერი":
ბულგარეთი — ?

8



საქართველოს ისტორიული მხარე

9

„ბატონი ?"
(საafთიაქო ქსელი თბილისში)

10

ორი მონარქიული სახელმწიფოს გაერთიანება ერთ-ერთი მეფის მეთაურობით

14



დაბადების ადგილი

17



კიდულძრავიანი, ერთადგილიანი სასპორტო ნავი

18



„თამაში" ცხოველთან

21



ცნობილი საფეხბურთო პლაჟი რიო-დე-ჟანეიროში

22



ყველაზე ძვირი თოფ-მოდელი

26



საჰაერო ფლოტი

29



თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა

30



თურქ. — ფერიდე;
რუს. — კოროლიოკ;
ქართ. — ?

33

უმაღლესი დიპლომატიური რანგი

34



წვრილი ბუშტების თეთრი, გაუმჭვირვალე მასა

35

Η η

ბერძნული ანბანის ასო



36

უძრავი ქონების დროებითი დაგირავება

37



მოკლედ გაკრეჭილი ბალახი

38



ნავთობმომპოვებელი ბაქანი

**შვეულად:**

1



ძვირფასი ქვა

2



(ოთახი)

3



(1847-1931წწ. ამერიკელი გამომგონებელი)

5



გეომეტრიული ფიგურა

7

საგანგებოდ შერჩეული ნაკრები

9



ცხოველების დასამწყვდევი ადგილი, ირგვლივ მოზღუდული და უსახურავო

11

თხელი ქსოვილი, რომელიც ყოფს ერთმანეთისაგან ღრუებს, კუნთის ქსოვილებს და ა.შ.

12



მოედანი პარიზში, რომლის სახელიც დაერქვა თვითმფრინავს

13

იაზონის მეზღვაური

15



წყალში თავდაღმა ჩაყურყუმელავება

16

ტალღების მიერ ზღვის ნაპირის დაშლა

19



20



კედლის შანდალი

23



ტრაგიკული შემთხვევა

24



ცის თაღი

25



სცენა ოპერიდან „კარმენი" (კომპოზიტორი)

27



(თანრიგი)

28

საერთო ხარჯით გამართული ნადიმი, ლხინი რაჭაში

31



(ლანდი)

32

პიროვნების ფსიქიკური და ფიზიკური რღვევა, ყოველგვარი ინტერესის დაკარგვა, კვების ინსტინქტის გარდა

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა" №28-ის კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 6. ვუნდერკინდი; 9.პალიტრა; 10.სილუეტი; 12.ბიგამია; 14.ჯავრი; 15.ბარბი; 20.წინაკა; 21. კანკანი; 22.დეისტი; 23.ეგზალტაცია; 24.როტვეილერი; 26. ლაპისი; 28. ლამპასი; 29. ბაკქეი; 31.ლიმფა; 32.შრატი; 33. ბატისტა; 34.უინძორი; 39.რემონტი; 40. გერონტოლოგი.

**შვეულად:** 1.ტუხტი; 2.„იდეალი"; 3.პრჟევალსკი; 4.კინსკი; 5.მდელო; 7.მალარია; 8. მტევანი; 11. ჰაგიოგრაფია; 13. აბიტურიენტი; 16.ბაქტრია; 17. ბარიბარ; 18.ანჩოუსი; 19.ადვერბი; 25. აპასიონატა; 27.იოფობია; 30. კორსეტი; 34. ამიტომ; 35. ტოროლა; 36.როდეო; 37. სმოგი.

## ორშაბათი 20 ივლისი | სამშაბათი 21 ივლისი | ოთხშაბათი 22 ივლისი | ხუთშაბათი 23 ივლისი | პარასკევი 24 ივლისი | შაბათი 25 ივლისი | კვირა 26 ივლისი

ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

**19.40 მიმინო (რუსეთი)**

მომხიბლავი გარეგნობის მფრინავს მეტსახელად „მიმინოს" ეძახიან. მისი ოცნებაა დიდი ლაინერი მართოს საერთაშორისო რეისებზე, ის კი საქართველოს ერთ-ერთ რაიონში შვეულმფრენით დაფრინავს. მოსკოვში კვალიფიკაციის ასამაღლებლად წასულს ბევრი საინტერესო თავგადასავალი შეემთხვევა... რეჟისორი გ. დანელია. როლებში: ვახტანგ კიკაბიძე, ფრუნზიკ მკრტჩიანი, ევგენი ლეონოვი.



**22.30 ვარსკვლავური ომები (აშშ)**

გამუდმებული ბრძოლა გალაქტიკაში. სურვილი ამბიციური მმართველი სისტემის განადგურებისა. კეთილი რაინდები და უკიდეგანო სივრცეები... არნახული ეფექტები და მძაფრი სიუჟეტი მაყურებელს ძალიან დააინტერესებს. რეჟისორი ჯ. ლუკასი. როლებში: ჰ. ფორდი, მარკ ჰამილი, კერი ფიშერი.



**21.35 მე კი არა, ის არის (საფრანგეთი)**

კომედია. ცნობილი პიერ რიშარი უცნობი სცენარისტის როლს ასრულებს. დედამისი ამაოდ ეძებს ტიტრებში შვილის გვარს. სცენარისტი ტუნისში მიიწვიეს და შესთავაზეს დაეწერა სცენარი. აქ იწყება უცნაურობები, რომელიც მას თავს გადახდა. რეჟ. პიერ რიშარი. როლებში: ა. მაჩონე, ვ. მერესი, დ. მინაცოლი.



**19.40 შინაგანი კოსმოსი (აშშ)**

ფანტასტიკური ამბავი ერთი მფრინავის შესახებ, რომელიც ექსპერიმენტების დროს მიკროსკოპულად დაპატარავეს და სხვა ადამიანის ორგანიზმში ჩაუშვეს... მინიატურული მფრინავი „დასეირნობს" სხეულის ლაბირინთებში. ფილმი დაჯილდოებულია „ოსკარით". რეჟისორი ჯ. დანტე. როლებში: დ. კუეიდი, მ. შორტი, მ. რეიენი.



**22.35 სამეფო კარი (ესპანეთი)**

კომედია. ახალგაზრდა კომპოზიტორმა ძველეგვიპტურ თემაზე დაწერა ოპერეტა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ცენზურამ კი პლაგიატობა დასწამა და ამორალურობისა და აპოლიტიკურობის ბრალდებით კომპოზიტორიცა და სპექტაკლის ყველა მონაწილე ციხეში „მიაბრძანა". რეჟისორი: ს. სანჩესი. მთავარ როლში იხილავთ ახალგაზრდა ანტონიო ბანდერასს.



**00.30 ელიზა (საფრანგეთი)**

3 წლის ელიზას დედამ თავი მოიკლა. ბებიამ და ბაბუამ უდედმამოთა სახლში გაამწესეს. მთელ სამყაროზე გაბრაზებული 15 წლის ელიზა გარბის „სახლიდან", ქურდობს, თაღლითობს... შურისძიების გრძნობით ივსება... უნდა შური იძიოს თავისი გაუბედურებული ბავშვობისთვის... მაგრამ ვისზე?... რეჟისორი: ჟ. ბეკერი. როლებში: ვ. პარადი, ჟ. დეპარდიე.



**22.45 სტრიპტიზი (აშშ)**

ფილმის მოქმედ გმირს ცხოვრება უამრავ მძიმე დარტყმას აყენებს. დაქირავებული ადვოკატისთვის გადასახდელი ფულის შოვნა მას სტრიპტიზ-ბარში უწევს. რეჟ. ენდრიუ ბერგმანი. როლებში: მშვენიერი დემი მური, რობერტ პატრიკი და ბერტ რეინოლდსი.



ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

**ОРТ (20 ივლისი)** 15.00, 18.00, 01.10 Новости. 15.20 Мультсериал. 15.45 Марафон-15. 16.05 Звездный час. 16.40 Сериал "ПЕЩЕРА ЗОЛОТОЙ РОЗЫ". 17.10 "До 16 и старше..." 17.30 Вокруг света. 18.20 Сериал "КОРОЛЕК - ПТИЧКА ПЕВЧАЯ 19.00 Погода. 19.05 Час пик. 19.30 "Угадай мелодию". 20.00 Программа "Мы". 20.45 Спокойной ночи, малыши! 21.00 Время. 21.35 Сериал "ГОРЕЦ". 22.45 "Жизнь замечательных людей". 23.30 Х/Ф "ПРОВЕРКА НА ДОРОГАХ".

**РТР** 16.00 Молодежная программа "Башня". 16.30 Сериал "ПЕРВЫЕ ПОЦЕЛУИ". 17.00, 20.00, 23.30 Вести. 17.35 Ваши любимые мелодии. 17.45 Любовь с первого взгляда. 18.15 Х/Ф "МОЙ ДРУГ ИВАН ЛАПШИН". 20.25 Подробности. 20.45 Сериал "САНТА-БАРБАРА". 21.45 Х/Ф "ВОРЫ В ЗАКОНЕ". 00.50 Дежурная часть. 00.05 Сиреневый туман. 00.45 Авто-шоу.

**НТВ** 06.00, 10.00 Сегодня утром. 10.10 Вчера в "Итогах". 11.10 "ИтогО" с В. Шендеровичем. 11.25 Итоги. Ночной разговор. 12.00, 14.00, 16.00 Сегодня днем. 12.25 Х/Ф "РУМБА". 14.15 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ-БИЧ". 15.00 На играх доброй воли. 16.20 "Улица Сезам". 16.50 Мультилето. 17.15 Х/Ф "ВОЙНА В КОСМОСЕ". 18.05 Криминал. 18.15 Впрок. 18.25 Футбольный клуб. 19.00, 22.00 Сегодня вечером. 19.40 Х/Ф "МИМИНО". 21.40 "Куклы". 23.40 Сегодняч-ко. 00.15 "Роллинг Стоунз" - специально для НТВ.

**ОРТ (21 ივლისი)** 06.00 Телеканал "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 00.10 Новости. 09.15, 18.20 Сериал "КОРОЛЕК - ПТИЧКА ПЕВЧАЯ". 10.40 Смехопанорама. 11.20 Домашняя библиотека. 11.30, 19.30 Угадай мелодию. 12.15 Программа "Вместе". 13.00 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ КОРОЛЕВСКОГО СТРЕЛКА ШАРПА". 14.25 Сериал "В ПОИСКАХ ПРОПАВШИХ СОКРОВИЩ". 15.20 Мультсериал. 15.55 Счастливый случай. 16.40 Сериал "ПЕЩЕРА ЗОЛОТОЙ РОЗЫ". 17.10 "... До 16 и старше". 17.30 Вокруг света. 19.05 Час пик. 20.00 Тема. 20.45 Спокойной ночи, малыши! 21.00 Время. 21.35 Х/Ф "МООНЗУД".

**РТР** 07.00, 08.45, 15.40 Мультфильм. 07.15 Проснись! 07.30, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 23.40 Вести. 08.00, 00.00 Дежурная часть. 08.20 "Стронг" представляет. 08.30 Деньги. 09.05 Православный календарь. 09.10 Диалоги о животных. 10.05, 20.45 Сериал "САНТА-БАРБАРА". 11.30, 21.45 Сериал "РАЗВЯЗКА ПЕТЕРБУРГСКИХ ТАИН". 14.30 Х/Ф "РОМАН ИМПЕРАТОРА. ДВОРЦОВАЯ ХРОНИКА". 16.00 Молодежная программа "Башня". 16.30 Сериал "ПЕРВЫЕ ПОЦЕЛУИ". 17.35 Кроссворд. 18.05 Х/Ф "ТИГР И КОШЕЧКА". 20.25 Подробности. 22.45 "ПСИ - ФАКТОР". 00.15 Горячая десятка.

**НТВ** 06.00, 10.00 Сегодня утром. 09.05, 22.50 Сериал "ДЕТЕКТИВ НЭШ БРИДЖЕС". 10.15 Х/Ф "МИМИНО". 11.50 Мультфильм. 12.00, 14.00, 16.00 Сегодня днем. 12.25 Х/Ф "ВСЯ КОРОЛЕВСКАЯ РАТЬ". 14.15 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ-БИЧ". 15.00 На играх доброй воли. 16.20 "Улица Сезам". 16.50 Мультилето. 17.15 Х/Ф "ВОЙНА В КОСМОСЕ". 18.05 Криминал. 18.15 Впрок. 18.25 Док. сериал. 19.00, 22.00 Сегодня вечером. 19.40 Х/Ф "МАФИЯ ПО-ФРАНЦУЗСКИ". 23.40 Сегодняч-ко. 00.15 Х/Ф "НОВАЯ ГЕРМАНИЯ".

**ОРТ (22 ივლისი)** 06.00 Телеканал "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 00.15 Новости. 09.15, 18.20 Сериал "КОРОЛЕК - ПТИЧКА ПЕВЧАЯ". 10.00 "Мы". 10.45 В мире животных. 11.25 Джентльмен-шоу. 12.15 Программа "Вместе". 13.00 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ КОРОЛЕВСКОГО СТРЕЛКА ШАРПА". 13.55 "Здоровье". 14.30 Сериал "В ПОИСКАХ ПРОПАВШИХ СОКРОВИЩ". 15.20 Мультсериал. 15.45 Классная компания. 16.10 Зов джунглей. 16.40 Сериал "ПЕЩЕРА ЗОЛОТОЙ РОЗЫ". 17.10 "... До 16 и старше". 17.30 Вокруг света. 19.05 Час пик. 19.30 "Золотая лихорадка". 20.10 Человек и закон. 20.45 "Спокойной ночи, малыши!". 21.00 Время. 21.35 Х/Ф "ЭТО НЕ Я, А ОН!" 23.30 Док. детектив. "Оборотень".

**РТР** 07.00, 08.45 Мультфильм. 07.15 Проснись! 07.30, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 23.45 Вести. 08.00, 00.05 Дежурная часть. 08.20 "Стронг" представляет. 08.30 Деньги. 09.05 Православный календарь. 09.10 Городок. 09.40 Подиум д арт 10.05, 20.45 Сериал "САНТА-БАРБАРА". 11.30, 21.45 Сериал "РАЗВЯЗКА ПЕТЕРБУРГСКИХ ТАИН". 12.25 Х/Ф "ВЕЧНЫЙ ЗОВ". 13.30 У всех на устах. 14.30 Х/Ф "РОМАН ИМПЕРАТОРА. ДВОРЦОВАЯ ХРОНИКА". 15.25 Мультфильм. 16.00 Молодежная программа "Башня". 16.30 Сериал "ПЕРВЫЕ ПОЦЕЛУИ". 17.30 На дорогах России. 17.45 Футбол. Чемп. России "Локомотив" (Москва) - "Спартак" (Москва). 20.25 Подробности. 22.45 Х/Ф "АГАТА КРИСТИ. ПУАРО". 00.20 Живая коллекция.

**НТВ** 06.00, 10.00 Сегодня утром. 09.05, 22.50 Сериал "ДЕТЕКТИВ НЭШ БРИДЖЕС". 10.15 Х/Ф "ВЫКУП". 11.40 "Среда". 12.00, 14.00, 16.00 Сегодня днем. 12.25 Х/Ф "ВСЯ КОРОЛЕВСКАЯ РАТЬ". 14.15 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ-БИЧ". 15.00 На играх доброй воли. 16.20 "Улица Сезам". 16.50 Мультилето. 17.15 Х/Ф "ВОЙНА В КОСМОСЕ". 18.05 Криминал. 18.15 Впрок. 18.25 Док. сериал. 19.00, 22.00 Сегодня вечером. 19.40 Х/Ф "МАФИЯ ПО-ФРАНЦУЗСКИ". 23.40 Сегодняч-ко. 00.15 Футбольный клуб представляет чемп. России.

**ОРТ (23 ივლისი)** 06.00 Телеканал "Доброе утро". 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 Новости. 09.15, 18.20 Сериал "КОРОЛЕК - ПТИЧКА ПЕВЧАЯ". 10.00 "Человек и закон". 10.35 Пока все дома. 11.20 Домашняя библиотека. 11.25, 19.30 "Эти забавные животные". 12.15 Программа "Вместе". 13.00 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ КОРОЛЕВСКОГО СТРЕЛКА ШАРПА". 14.25 Сериал "В ПОИСКАХ ПРОПАВШИХ СОКРОВИЩ". 15.20 Мультсериал. 15.55 Детские анекдоты. 16.20 Сериал "ПЕЩЕРА ЗОЛОТОЙ РОЗЫ". 17.10 "... До 16 и старше". 17.30 Вокруг света. 19.05 Час пик. 20.00 В поисках утраченного. 20.45 Спокойной ночи, малыши! 21.00 Время. 21.35 Х/Ф "МЕДОВЫЙ МЕСЯЦ". 23.30 Женские истории. 00.15 Х/Ф "ПЯТЫЙ В КВАРТЕТЕ".

**РТР** 07.00, 08.45 Мультфильм. 07.15 Проснись! 07.30, 11.00, 14.00,17.00, 20.00, 23.45 Вести. 08.00, 01.30 Дежурная часть. 08.20 "Стронг" представляет. 08.30 Деньги. 09.05 Православный календарь. 09.10 Вовремя. 09.35 Сам себе режиссер. 10.05, 20.40 Сериал "САНТА-БАРБАРА". 11.30, 21.45 Сериал "РАЗВЯЗКА ПЕТЕРБУРГСКИХ ТАИН". 12.25 Х/Ф "ВЕЧНЫЙ ЗОВ". 13.30 Автошоу. 14.30 Х/Ф "РОМАН ИМПЕРАТОРА. ДВОРЦОВАЯ ХРОНИКА". 15.30 Мультфильм. 16.00 Молодежная программа "Башня". 16.30 Сериал "ПЕРВЫЕ ПОЦЕЛУИ". 17.35 Славянский базар в Витебске. 17.45 Кроссворд. 18.15 Х/Ф "КОЛЛЕГИ". 20.25 Подробности. 22.45, 00.05 Славянский базар в Витебске. Открытие фестиваля.

**НТВ** 06.00, 10.00 Сегодня утром. 09.05, 22.50 Сериал "ДЕТЕКТИВ НЭШ БРИДЖЕС". 10.15 Х/Ф "ЗЛАЯ". 12.00, 14.00, 16.00 Сегодня днем. 12.25 Х/Ф "ПРОТИВОСТОЯНИЕ". 14.15 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ-БИЧ". 15.00 На играх доброй воли. 16.20 "Улица Сезам". 17.15 Х/Ф "ВОЙНА В КОСМОСЕ". 18.05 Криминал. 18.15 Впрок. 18.25 Док. сериал. 19.00, 22.00 Сегодня вечером. 19.40 Х/Ф "ВНУТРЕННИЙ КОСМОС". 23.40 Сегодняч-ко. 00.15 Х/Ф "ВОР".

**ОРТ (24 ივლისი)** 06.00 Телеканал "Доброе утро". 09.00, 12.00, 14.00, 18.00, 23.55 Новости. 09.15, 18.20 Сериал "КОРОЛЕК - ПТИЧКА ПЕВЧАЯ". 10.05 Клуб путешественников. 10.55 Смак. 11.15 Домашняя библиотека. 11.25 "Играй, гармонь любимая!". 12.15 Программа "Вместе". 12.55 КВН-98. 15.20 Х/Ф "ИВАН ДА МАРЬЯ". 16.55 Улица сезам. 17.25 "Чердачок". 19.10 Здоровье. 19.45 "Поле чудес". 20.45 Спокойной ночи, малыши! 21.00 Время. 21.35 Х/Ф "ГОРЕ ОТ УМА". 23.10 Взгляд. 00.05 Х/Ф "РАСПЛАТА".

**РТР** 07.00, 08.45, 15.40 Мультфильм. 07.15 Проснись! 07.30, 11.00, 14.00, 20.00, 23.45 Вести. 08.00, 00.55 Дежурная часть. 08.20 "Мир здоровья". 08.30 Деньги. 09.05 Православный календарь. 09.10 "К-2" представляет. 10.05, 20.45 Сериал "САНТА-БАРБАРА". 11.30 Сериал "РАЗВЯЗКА ПЕТЕРБУРГСКИХ ТАИН". 12.25 Х/Ф "ВЕЧНЫЙ ЗОВ". 13.35, 17.35 Ваши любимые мелодии. 13.45 Торговый дом "Ле Монти". 14.30 Х/Ф "РОМАН ИМПЕРАТОРА. ДВОРЦОВАЯ ХРОНИКА". 16.00 Молодежная программа "Башня". 16.30 Сериал "ПЕРВЫЕ ПОЦЕЛУИ". 18.00 Лабиринт. 18.30 Х/Ф "МАМА ВЫШЛА ЗАМУЖ". 20.25 Подробности. 21.45 Сам себе режиссер. 22.20 "Маски-шоу". 22.45, 00.05, 01.10 Славянский базар в Витебске. 01.20 Олег Газманов на фестивале "Славянский базар в Витебске".

**НТВ** 06.00, 10.00 Сегодня утром. 09.05 Криминал. 09.25 Русский век. 10.15 "Ключи от форта Байяр". 12.00, 14.00, 16.00 Сегодня днем. 12.25 Х/Ф "ПРОТИВОСТОЯНИЕ". 14.15 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ-БИЧ". 15.00 На играх доброй воли. 16.20 Дог-шоу "Я и моя собака" 16.50 Мультилето. 17.15 Х/Ф "ВОЙНА В КОСМОСЕ". 18.05 Криминал. 18.15 Впрок. 18.25 Футбольный клуб. 19.00, 22.00 Сегодня вечером. 19.25 Х/Ф "ШЕРЛОК ХОЛМС И ДОКТОР ВАТСОН". "ЗНАКОМСТВО". "КРОВАВАЯ НАДПИСЬ". 22.35 Х/Ф "ДВОР ФАРАОНА". 00.25 "Империя страсти". 01.05 Ток-шоу "Сумерки".

**ОРТ (25 ივლისი)** 08.00 Х/Ф "НЕНАВИСТЬ". 09.15, 16.30 Мультфильм. 09.45 Слово пастыря. Митрополит Кирилл. 10.00, 15.00, 17.45 Новости. 10.10 Домашняя библиотека. 10.30 "Утренняя почта". 11.05 Каламбур. 11.40 Смак. 12.00 "Возвращение Третьяковки". История одного шедевра". 12.30 Америка с М. Таратутой. 13.00 Х/Ф "СТРАСТИ ПО ВЛАДИМИРУ". 15.20 "Цивилизация" 15.50 В мире животных. 17.00 "Как это было". 18.05 Х/Ф "СТРЯПУХА". 19.30 Док. Фильм "Владимир Высоцкий. История болезни". 20.45 Спокойной ночи, малыши! 21.00 Время. 21.40 Х/Ф "СЛУЖИЛИ ДВА ТОВАРИЩА". 23.30 Приглашает Концертная студия "Останкино". 00.30 Х/Ф "ЭЛИЗА".

**РТР** 08.00 Утро крестьянина. 08.30 Красная книга. 08.55 Мультфильм. 09.35 Домашний очаг. 10.00 Вовремя. 10.30 Доброе утро, страна! 11.15 Почта РТР. 11.40, 15.50 Славянский базар в Витебске. 13.25 У всех на устах. 14.00, 20.00 Вести. 14.30 "Люди и деньги". 15.00 Федерация. 16.00 "Башня". 16.30 Музыкальный телеспектакль "ХАНУМА". 18.55 Моя семья. 20.35 "Аншлаг" и К°. 21.35 Х/Ф "ОПАСНЫЕ ГАСТРОЛИ" 23.10 Звезды XXI века. 00.30 Валерий Леонтьев на фестивале "Славянский базар в Витебске". 01.25 Кольцевые автогонки.

**НТВ** 08.00 Х/Ф "ПАРЕНЬ ИЗ НАШЕГО ГОРОДА". 09.30 Мультсериал. 10.00 Сегодня утром. 10.10 Криминал. 10.30 Пойми меня. 11.00 Сериал "КОНАН". 11.45 От "Винта!" 12.00, 16.00 Сегодня днем. 12.25 Х/Ф "НЕБЕСНЫЕ ЛАСТОЧКИ". 14.40 Мультфильм. 15.00 На играх доброй воли. 16.15 Своя игра 16.45 "Суд идет..." 17.40 Сериал "ПОЛИЦЕЙСКАЯ АКАДЕМИЯ". 18.30 Дог-шоу. 19.00, 22.00 Сегодня вечером. 19.45 Х/Ф "НЕВЕРОЯТНЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ ЯНКИ В АФРИКЕ". 21.45 Куклы. 22.35 Х/Ф "ЖЕНИХ ИЗ МАЙАМИ". 00.00 Ток-шоу "Про это". 00.40 Х/Ф "ЛЮБОВНОЕ НАСЛАЖДЕНИЕ".

**ОРТ (26 ივლისი)** 07.55 Х/Ф "ОДИН ШАНС ИЗ ТЫСЯЧИ". 09.15 Лотто-Миллион. 09.30, 16.10 Дисней-клуб. 10.00, 15.00, 00.05 Новости. 10.10 "Непутевые заметки". 10.30 Пока все дома. 11.10 Утренняя звезда. 12.00 Служу России! 12.30 Играй, гармонь любимая! 13.00 Крестьянские ведомости. 13.30 "Подводная одиссея команды Кусто". 14.20 Смехопанорама. 15.20 Клуб путешественников. 17.05 "Колесо истории". 17.50 Х/Ф "ЗМЕЕЛОВ". 19.45 Док. Фильм "Владимир Высоцкий. История болезни". 20.55 Киноафиша. 21.00 Время 21.35 Х/Ф "ЗОРРО - БЫСТРЫЙ КЛИНОК". 23.30 "Абажур". 00.15 Футбольное обозрение. 00.45 Х/Ф "ОДИНОЧНОЕ ПЛАВАНИЕ".

**РТР** 08.00 Служу Отечеству! 08.25 Мультфильм. 09.05 "Аншлаг" и К°. 09.57 Промо. 10.00 Сам себе режиссер. 10.25 Доброе утро, страна! 11.15 Русское лото. 12.00 Фестиваль солдатской песни "Виктория". 13.40 Мир книг с Л. Куравлевым. 14.00 Вести. 14.30 Пульс. 15.00 Славянский базар в Витебске. 15.55 "ЗАКОН И ПОРЯДОК". 16.45 Диалоги о животных. 17.45 Совершенно секретно. 18.45 Старая квартира. 20.00 Зеркало. 21.00 "Баловень судьбы". 22.40 Театр + TV. 23.40 "К-2" представляет. 00.25, 01.15 Славянский базар в Витебске. Концерт мастеров искусств Белоруси.

**НТВ** 08.00 Х/Ф "ЖДИ МЕНЯ". 09.30 Мультсериал. 10.00 Сегодня утром. 10.15 Золотой граммофон. 10.30 "Устами младенца". 11.00 Сериал "КОНАН". 11.45 От "Винта!" 12.00, 16.00 Сегодня днем. 12.20 Страна кино - "Артек". 13.10 Х/Ф "ПОДКИДЫШ". 14.30 Док. сериал "Любовные истории, которые потрясли мир". 15.00 "Русский век" 15.30 На играх доброй воли. 16.15 "Ключи от форта Байяр". 18.00 Х/Ф "ПОЛИЦЕЙСКАЯ АКАДЕМИЯ". 19.00, 22.00 Сегодня вечером. 19.35 Х/Ф "КОНАН-ВАРВАР". 22.35 Х/Ф "ТАНГО НАД ПРОПАСТЬЮ".

ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

**21.45 კანონიერი ქურდები (რუსეთი)**

შავიზღვისპირა კურორტი შავი საქმეების საკეთებლად კარგი ადგილია. არქეოლოგ ანდრიას შეუყვარდება ქალაქის მაფიის მეთაურის საყვარელი — რიტა და ცოლად ირთავს. მალე რიტა ტოვებს ოჯახს... ნახეთ, ვინ მოუტანს მას ნამდვილ ბედნიერებას... რეჟისორი ი. კარა. როლებში: ვ. გაფტი, ზ. ჟერდტი, ს. ნიკულინი.



**21.40 მილიონი საქორწინო კალათაში (რუსეთი)**

სატირული კომედია. ნეაპოლი მილიონერთა ქალაქია. კეთილ საქმეს იქ არავინ გაურბის, მითუმეტეს, თუ იგი ბევრი ფულის მომტანია. საინტერესო თავგადასავლები სალამოს მხიარულად გაგატარებინებთ... რეჟისორი — ვ. შილოვსკი. როლებში: ს. ქიაურელი, ა. შირვინდტი.



**18.15 ორკუელი და შერლოკი მაფიის წინააღმდეგ (აშშ)**

კომედია. ყალბი მონეტების გამავრცელებელი ორი აფერისტი მძიმე გასაჭირში ჩავარდა. 100 მილიონ ფრანკს დაკარგვა ემუქრება. ფილმი ბევრ საინტერესო ამბავს გიამბობთ. მთავარ როლში: ქრისტოფერ ლამბერტი.



**00.15 ქურდი (იტალია)**

ისტორიული მელოდრამა მოგვითხრობს მომთაბარე ილუზიონისტის — ხალიბის თავგადასავალს. თავდაპირველად ხალიბი ილუზიონისტის ნაზარეველ მესიად კი არ აღიქვამდა, არამედ მის მარჯვე კონკურენტად... რეჟისორი — პ. კამპანილე. როლებში: ე. მონტესანო, ე. ფენეში და ბ. ლაფონი.



**00.05 ანგარიშსწორება (აშშ)**

სამაგალითო ოჯახის პატრონი თავს უყრის მეზობლებს, მეგობრებს და ქმნის ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ მებრძოლ ჯგუფს, რომელიც წესრიგს ამყარებს თავის უბანსა და ქალაქშიც. ჯგუფი თავისი არსებობით ამტკიცებს, რომ ნებისმიერ ძალადობას საპირისპირო ძალა გააჩნია. რეჟისორი ლ. ტიგი. როლებში: ტ. სკერიტი, მ. სერეზინი, ი. კოტო.



**12.25 ციური მერცხლები (რუსეთი)**

მიუზიკლი დადგმულია ცნობილი ოპერეტის „მადმუაზელ ნიტუშის" მოტივებზე. მთავარ როლში იხილავთ ია ნინიძეს. მას პარტნიორობას უწევენ სახელგანთქმული მსახიობები: ა. მირონოვი, ა. შირვინდტი და ლ. გურჩენკო. რეჟისორი ლ. კვინიხიძე.



**22.35 ტანგო უფსკრულის პირას (რუსეთი-მოლდოვა)**

კრიმინალური ბოევიკი — გადამდგარი კაპიტანი მეუღლითურთ მშობლიურ ქალაქში ბრუნდება და რას ხედავს... მთელი ქალაქი რეკეტიორებს დაუპყრიათ. კაპიტანი შურისძიების გრძნობით ივსება. იწყება ბოევიკისათვის დამახასიათებელი ეპიზოდები... რეჟისორი ი. ტალპა. როლებში: ი. ვოლკოვი, ლ. დუროვი, ს. ლუკა.



ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

## იყიდება ბინები

სასწრაფოდ! პრივატიზებული 2-ოთახიანი ბინა რკინის კარით, ტელეფონით, 2 აივნით, 2 სარდაფით, ა/სადგომით. მის. მ. „ღრმაღელე“, ქსნის 12ა, III სად. VI სართ. ბინა 57. ტელ: 68-25-60 რობერტი

2-ოთახიანი სარემონტო ბინა, რკინის კარით, წყლის გამაცხელებლით, ტელეფონით, სარდაფით 3(8). მის. წერეთლის გამზ. №12, მეტროსთან. ტელ: 34-40-19 ზურა, ირმა

2-ოთახიანი (გადაკეთებული 3-ად), არასტანდარტული, მაღალჭერიანი (3მ) ბინა 5(5), ს.ფ. 70კვმ, ტელეფონით, რკინის კარით, სარდაფით, გოგირდის ცხელი წყლით, კონდიციონერით, მ. „დელისთან“. ტელ: 39-22-08; 32-17-78

3-ოთახიანი, არასტანდარტული, გასარემონტებელი, მაღალჭერიანი ბინა ფალიაშვილზე, მაღალ ბელეტაჟზე. ს/ფ 80კვმ, იგივე ფართის სარდაფით (ფანჯრები), ა/ფარეხის ადგილით, რკინის კარით. ტელ: 29-38-26

3-ოთახიანი, არასტანდარტული, გარემონტებული ბინა, III სართ. აგურის სახლში, რკინის კარით, რკინის გისოსებით ფანჯრებზე, კედელში თაროებით (კარადებით) რკინისკარიანი და თაროებიანი სარდაფით. მის. ნაძალადევის რაიონი. ტელ: 29-09-18; 66-15-84

გადასასვლელ ხიდთან ახლოს 3(4), 3-ოთახიანი ლოჯიიანი, პრივატიზებული, სუფთა ბინა სარდაფით, რკინის კარით, ტელეფონით. პერსპექტივაში 1-ოთახიანი ბინის შემოერთებით. მის. მეუნარგიას ქ. 67. ბინა 21. ტ: 96-90-65

3-ოთახიანი ბინა მ. „პოლიტექნიკურთან“, რემონტით, მიშენებული ლოჯიით, 2 სარდაფით, 7 კარადით, რკინის კარით, ავზით, ა/მანქანის ადგილით, მაღალ ბელეტაჟზე. მის. გამსახურდიას გამზირი №9, II სად. I სართ. ბინა 27 ტელ: 33-29-60 (საღამოს)

3-ოთახიანი, თუხარელის პროექტის სუფთა ბინა, 2 ლოჯიით, წინ აივნით, 2 რკინის კარით. მის. ვარკეთილი 3, IIIა მ/რ, 330 კორპ. ბინა 48, სართ. 13. ტელ: 35-49-69

3-ოთახიანი, იზოლირებული, მაღალჭერიანი (15+16+27კვმ.) ბინა მ. „ელექტროდეპოსთან“ 3(5), ბუხრით, ორი აივნით, სარდაფით, ანტრესოლებით, წყლის გამაცხელებლით, შუქი და წყალი მუდმივაა. ტელ: 66-42-87, 98-72-73

3-ოთახიანი, არასტანდარტული, გარემონტებული ბინა 2 აივნით, 2 სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. მ. „დელისთან“. ტელ: 38-61-71.

3-ოთახიანი, არასტანდარტული ბინა ლოჯიით, მიმდინარეობს რემონტი. მის: გლდანის Vმ/რ, 26ბ კორპ. ბინა 76. ტ: 34-57-65

3-ოთახიანი, არასტანდარტული, გარემონტებული ბინა მ. „დელისთან“, IV სართულზე, გოგირდის წყლით, დაშენების პერსპექტივით. ფასი 55000 ლარი. ტ: 39-34-44; 39-50-49

3-ოთახიანი, არასტანდარტული ბინა, ს.ფ. 130კვმ, საუცხოო ადგილას, სამედიცინო ინსტიტუტთან, ლოჯიები 12 და 50კვმ, ჰოლი 14კვმ, დამოუკიდებელი ოთახებით, სათავსოებით. ტელ: 39-39-22 (18სთ-დან)

4-ოთახიანი, 100კვმ კერძო 1(2), გარემონტებული ბინა მცხეთის ქუჩაზე, ა/მანქანის ადგილით და სარდაფით, 20კვმ ვერანდით და ეზოთი. საწყისი ფასი 80000 ლარი. ტელ: 23-17-34

მთაწმინდაზე, 4-ოთახიანი იზოლირებული ბინა ეზოთი. საწყისი ფასი 20000 ლარი. ტელ: 98-22-15

სასწრაფოდ! 2,5-სართულიანი, კერძო, გარემონტებული, ახალაშენებული სახლი 4 ოთახით, (30+25+20+18), 2 სველი წერტილით, 2 აივნით, ს.ფ. 140კვმ, ნახევარსარდაფით, ა/მ სადგომით. მის. მ. „მარჯანიშვილი“. ტელ: 23-70-13; 899-55-72-84; 35-26-84

სასწრაფოდ! თუხარელის პროექტის, პრივატიზებული ბინა 10(10). 5-ოთახიანი (3+2), არასტანდარტული, კეთილმოწყობილი 4(8), ძვირფასი რემონტით, კედლებში ჩაშენებული 9 კარადით, დიდი სარდაფით, კაპ. ა/ფარეხით, მის: „ღრმაღელეს“ მ.-თან, ვარდისუბნის ტ: 95-21-57 (დღ); 61-86-46 (საღ.) ნანა

5-ოთახიანი, იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა (150კვმ), დამხმარე სათავსოებით, ცალკე შესასვლელით ქუჩიდან. მის: წინამძღვრიშვილის ქ.№132. ტელ: 95-79-69 მედიკო.

მხატვრის სახელოსნო ნუცუბიძის ქუჩაზე, 4-სართულიანი აგურის შენობის თავზე, 65კვმ ფართის, ჭერის სიმაღლე 4მ. წინ მიშენების პერსპექტივით. ტელ: 38-71-23 ნანა, კახა; 899-50-83-84 კახა

კერძო 2-სართულიანი სახლი კარგი რემონტით, 6 ოთახით, 2 სველი წერტილით, ჩაშენებული კარადებით, ბუხრით, რკინის კარით და ჟალუზებით, მსხმოიარე ბაღით. მის. მ. „ღრმაღელე“, ზიგზაგის ქ. 12ა. ტელ: 61-86-61

სასწრაფოდ, იაფად! ქალაქის ცენტრში 900კვმ ეზო, ხეხილიანი ბაღით, კაპიტალური შენობის ნაწილით, გალავნით, დამხმარე ნაგებობებით, საკომუნიკაციო საშუალებებით, დენი და წყალი მუდმივაა. საწყისი ფასი 20000. ტელ: 77-80-90; 899-55-14-31

სასწრაფოდ! კერძო 2-სართულიანი სახლი ვაკეში, ცხვედაძის ქუჩაზე, ლამაზი, ხეხილიანი ეზოთი (500კვმ), შესაძლებელია ეზოში მეორე სახლის აშენებაც. ფასი 107000 ლარი. ტელ: 877-41-42-50 ნატა

## აგარაკები

ან იცვლება თბილისში ბინაზე, ნებისმიერ უბანში, საგურამოსთან (ბურიანი) აგარაკი 800კვმ მიწის ნაკვეთით, 2-სართულიანი სახლის დაწყებული მშენებლობით (I სართული ამოყვანილია). არის დენი და წყალი. ტელ: 23-07-65

აგარაკი ნიჩბისში (თბილისიდან 35 კმ). 2-სართულიანი, მანსარდიანი სახლი, 700 კვმ ფართის ეზოთი. ფასი 2700 ლარი. ტელ 37-59-40; 37-42-34

ან ქირავდება უცხოელებზე 1,5 კარგად გარემონტებული ბინა სარდაფით და ა/ფარეხით ქ. რუსთავში. ფასი 3000 ლარი ტელ: 32-87-79; 899-50-32-56

კუმისში, აგარაკი ავეჯით. სახლთან ჩერდება ავტობუსი (მეზობლად არიან მუდმივად მაცხოვრებლები). ტელ: 32-23-50

მუხათწყაროში 2-სართულიანი სახლი. 600კვმ მიწის ნაკვეთით. სახლის უკან ტყეა, ეზოში ჭა და სარწყავი ავზი. მანსარდა გასაკეთებელია. ფასი 3000 ლარი. ტ: 33-10-09

არმაზში 13ა მიწის ნაკვეთი ხეხილით, ვენახით, სამკურნალო წყაროთი მტკვრის ხეობაში, საკუთარი „პლაჟით“, 2-სართულიანი კაპიტალური სახლით, ცხელი წყლით, ტელეფონით. საწყისი ფასი 65000 ლარი. ტელ: 22-47-23

ცხვარიჭამიაში, ნახევარმილიონიანი, 5-ვარსკვლავიანი, 3-სართულიანი ზღაპრული აგარაკი, 12X12მ, გამოკვეთილი ქვებით, შიდა კიბეებით, 3 ბუხრით, პარკეტით. ეზო 6000კვმ, აუზი 200კვმ, საუნა, სათბური, ტალავერი, გარაჟი. ფასი 125.000 ლარი ტელ: 67-25-74

სასწრაფოდ! საგარეჯოს რ/ნ სოფ. პატარძეულში, თბილისიდან 38კმ, იყიდება ან იცვლება თბილისში, 2-სართულიანი კაპიტალური 2 სახლი (8+4) მსხმოიარე ხეხილითა და ხეივნით. ტელ: 77-40-30 სპარტაკი

სურამში სახლი ეზოთი. ტელ: 52-54-13

## ქირავდება

1-ოთახიანი ბინა დიღმის მასივში, „წითელქუდასთან“ 3(5), ავეჯით ან უავეჯოდ. ტელ: 52-11-56

2-ოთახიანი, იზოლირებული ბინა ნუცუბიძის პლატოზე, II მ/რ, კაფე „შატილის“ წინ, IV სართ. ტელეფონით. ტელ: 31-91-84 მარინა

4-ოთახიანი, ახალგარემონტებული, კეთილმოწყობილი ბინა ა/ფარეხით, წყლის გამაცხელებლით, ნუცუბიძის ქუჩის დასაწყისში (აფსთან). ტ: 39-88-28 (დღის მეორე ნახევარში)

24კვმ სარდაფი ნუცუბიძის ქუჩის დასაწყისში, ქუჩაში გამავალი ფანჯრებით, საკუთარი წყლით და სანწერტილით, რკინის კარით. ტელ: 39-88-28

## მომსახურება

ყველანაირი საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკური მოწყობილობების: მრიცხველების, ამომრთველების, ჩამრთველების, ჭაღების, ბრების, ელგაყვანილობის, „ატმორის“, „თერმექსის“, „ვაიტის“ მონტაჟი, შეცვლა, შეკეთება და ნებისმიერი სახის დაზიანების აღმოფხვრა. ტელ: 94-21-23 ალეკო ჯანგულაშვილი; 98-02-85 ირაკლი გეგეძე

შევაკეთებთ, შევისყიდით ბინაზე გამოძახებით, გარანტიით, საყოფაცხოვრებო ტექნიკას (სარეცხი მანქანა, მაცივარი, კონდიციონერი და სხვა). ტელ: 66-16-40; 899-50-98-03.

თუ გსურთ აიყვანოთ ოჯახში ან აგარაკზე გამოცდილი ძიძა, შინამოსამსახურე, დამლაგებელი, მზარეული, ავადმყოფის ან მოხუცის მომვლელი, დაგვიკავშირდით. პერსონალის შერჩევა უფასოა!. ტელ: 29-06-40

ყველაზე იაფად! გადაგიტანთ 3-ოთახიანი ბინის ტვირთს, სპეც. მოწყობილი ფურგონით, ა/მ „ზილ“-130. თბილისში: 1 სთ 10 ლარი, თბილისის გარეთ 1კმ 1 ლარი; გამოცდილი მუშა-მტვირთავების იაფად მომსახურება. კმაყოფილი დარჩებით! ტელ: 99-74-50 ჯემალი.

ხის საწარმო „ლეკო“ დაგიმზადებთ კარფანჯარას, ავეჯს და ხის სხვა ნაწარმს. მის. ქავთარაძის ქ. №1 (ტროლეიბუსების პარკში) ტელ: 31-58-14

აპირებთ რემონტს? დაიწყეთ ელექტრობით! ევროსტანდარტებით, ყველაზე იაფად! დაგიმონტაჟებთ, შეგიკეთებთ ელექტროკომუნიკაციებს: მრიცხველს, სადარბაზო კაბელს, სამფაზა დანადგარს, „ატმორს“, ავზს, გენერატორს, ჭაღს. მომსახურების საფასური 10-20 ლარია. ტელ: 96-17-37

თუნუქის სახურავის შეცვლა-შეკეთება-შეღებვა მაღალი ხარისხით, გარანტიით, იაფად. ანგარიშსწორება ნებისმიერი. 500კვმ-ზე მეტი ფართობის დროს, მნიშვნელოვანი ფასდაკლებით. ტელ: 35-15-88; 37-35-90

მოგემსახურებით პროფესიონალი ძიძებით, ოჯახისათვის საჭირო მომსახურე პერსონალით, კოსმეტოლოგის ბინაზე მომსახურებით, „მერი ქის“ პარფიუმერიის გამოყენებით, აგრეთვე, ავადმყოფისა და მოხუცის მომვლელებითა და შინამოსამსახურეებით. ტელ: 96-16-98

თუ გჭირდებათ კვალიფიციური საოფისე პერსონალი: მიმტანი, ბარმენი, გამყიდველი, არქიტექტორი, დაგვირეკეთ ტელ: 95-13-85. პერსონალის შერჩევა უფასოა.

ვიღებთ დაკვეთებს სამშენებლო-სარემონტო და სანტექნიკურ სამუშაოზე (როგორც ინდივიდუალურზე, ასევე, კატალოგით). ანგარიშსწორება ნებისმიერი. ტელ: 32-13-34; 61-11-65

იაფად და ხარისხიანად! დაგიმზადებთ ფარდა-ჟალუზს ევროპულ სტილში, ლითონის კარს. ფასი 300 ლარი; „გარმოშკას“. ფასი 80 ლარი; ჟალუზებს. ფასი 80 ლარი; ფანჯრის უძრავ გისოსებს. ფასი 50 ლარი; დაგიმონტაჟებთ აივანს. 1კვმ ფასი 200 ლარი; აბაზანაში გაგიკეთებთ მინის ჭერს. 1კვმ-ს ფასი 120 ლარი; მის: მუხიანი, მე-4ა მ/რ, მე-4 კორპ. ტელ: 63-67-52

შევაკეთებ კონდიციონერს გამოძახებით. შევისყიდი ძველ, ნახმარ კონდიციონერებს ორგანიზაციებისაგან. ტელ: 70-39-07 მერაბი

კვალიფიციური მუშები გადაგიტანთ ავეჯს, როიალს, პიანინოს. ტელ: 68-90-16 ვაჟა (საღამოს)

გიწვევთ სილამაზის სალონი „ირინა 777“. გთავაზობთ თმის მოდელურ შეჭრას. ფასი 4 ლარი; მელირება (5 ფერი) 7-10 ლარი; შეღებვა 5-7 ლარი; თმის გასწორება 4-5 ლარი; დავარცხნა 2-3 ლარი. მის. დავით აღმაშენებლის 115, სალონი „ირინა 777“. ტელ: 95-08-83 ლაურა შუკაკიძე

იაფად! გადავზიდავ ნებისმიერ ავეჯს ან 4 ტონა ტვირთს. ფასი 1 სთ 8 ლარი. ქალაქგარეთ – 1კმ 80 თეთრი. მყავს გამოცდილი მუშები. ტელ: 39-56-09 ვოვა

ბრტყელი სახურავის ჰიდროსაიზოლაციო სამუშაო, მინა-ქსოვილით და ბიტუმით გადახურვა. გარანტია ხანგრძლივი. 1კვმ დაგების ფასი 3,5-4 ლარი. ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით. ტელ: 62-23-41

მოგიმზადებთ დოკუმენტაციას ფირმების სასამართლოში რეგისტრაცია-ლეგალიზაციისათვის (აუდიტორული და სანოტარო მომსახურება). დაგეხმარებით საგადასახადო ინსპექციაში კოდირებაში, ბეჭდისა და შტამპის დამზადებაში. მის. რუსთაველის 22, III სართ. ტელ: 99-86-09 (11 სთ-დან); 38-37-89 (18 სთ-დან)

დაგიმზადებთ მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად: ლითონის კარი – 290 ლარი; გარმოშკა – 1 კვმ 80 ლარი; ჟალუზი 1 კვმ – 80 ლარი, ფანჯრის უძრავი გისოსები 1 კვმ – 80 ლარი. ტელ: 64-65-62

ვთარგმნი ინგლისური და გერმანული ენებიდან და პირიქით ტექნიკურ, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო და სხვა ლიტერატურას. მოგემსახურებათ კვალიფიციური მთარგმნელი. ტელ: 52-00-94

რკინის კარზე ძველი საკეტების შეცვლა ახლით. სამუშაოს ასრულებს პროფესიონალი ხელოსანი. ლიცენზია 7.1/2431. ტელ: 79-90-68

## გთავაზობთ სამუშაოს

გაზეთი „კვირის პალიტრა“ სათანამშრომლოდ იწვევს მოქმედ სარეკლამო აგენტებს და სარეკლამო სააგენტოებს. ტელ: 33-78-07

გთავაზობთ საინტერესო და პერსპექტიულ საქმიანობას, მუდმივად მზარდი შემოსავლით. ტელ: 22-65-30; 7-47-04 ქ. ქუთაისი

ახალგაზრდა გოგონებს ვთავაზობთ გერმანიაში და საფრანგეთში სამუშაოს ოჯახებში (ბავშვების მომვლელად და სწავლას ენის შემსწავლელ კურსებზე). მის. წერეთლის გამზირი 95ა

ფირმას ესაჭიროება რკინის კარისა და „გარმოშკის“ ხელოსნები, შუშის დამჭრელები. მის. მუხიანი, IV მ/რ, IV კორპ. ნუცუბიძის 25. ტელ: 63-67-52; 39-38-20; 877 41-87-75

ამერიკული კომპანია სთავაზობს სამსახურს მათ, ვისაც აქვთ უნარი მოემსახურონ ადამიანის ჯანმრთელობას და სილამაზეს და ჩაერთონ საერთაშორისო ბიზნესში. ტელ: 68-25-01 ნინო

გიწვევთ ენერგიულ და ალღოიან ადამიანებს ამერიკულ ფირმაში სათანამშრომლოდ. სასურველია, იყოთ მედმუშაკი ან ბიოლოგი. ტელ: 93-61-72 ეკა

## მკურნალობა

საუკუნეა ვარჩენთ: ფსორიაზს, ეგზემას, ნეიროდერმიტს, სებორეას, მუნს. ტელ: 39-02-98

პრეტენზიული ქალებისთვის! ჭარბი თმის მოცილება სახეზე და სხეულის სხვა ნაწილებზე, პროგრესული მეთოდით, შექმნილი მცენარეების სამეცნიერო კვლევის დარგში რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის, ფიტომანუალურ-თერაპევტ, დოც. ვიტალი ხინტკირიას მიერ. 1 თვის შემდეგ ამოდის თმის 1/3. დეპილაციას აკეთებს მაღალკვალიფიციური კოსმეტოლოგი. მის: აღმაშენებლის 115 (პოლიციის უკანა ეზოში), კაბ. 12. მიღება ყოველდღე, კვირის ჩათვლით, 12-18 სთ-მდე

ვმკურნალობ კარგი შედეგით, ამერიკული საშუალებებით: პროსტატის ანთებასა და ადენომას, უშვილობას, სქესობრივ სისუსტეს ასაკის მიუხედავად, კუჭის შეკრულობას, ასევე, შარდსადინარის, სათესლე ჯირკვლების დაავადებებს, უნებლიე შარდვას და ბუასილს. გვაქვს სქესობრივი კონტაქტების მოსაწესრიგებელი ურექტორები. მის: ვაჟაფშაველას №27, საკონსულტაციო-სამკურნალო ცენტრი, II სართ. კაბ. 27. ტელ: 99-95-33. მერაბ მანჯგალაძე.

თაობიდან თაობაზე გადმოცემული რეცეპტებით, მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან, მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს მალამოებს: მარილების, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, რადიკულიტის, საშწვერა ნერვის ანთების, თავის ტკივილის, ქალის შიდა წნევის, ჰაიმორიტის, პროსტატის განსაკურნად (სრული გარანტიით, უმოკლეს ვადაში). მის. „წერეთლის“ მეტროსთან, ფოთის 43. ტელ: 35-01-24

ვმკურნალობ ქალებს, დაავადებულთ სასქესო ორგანოების ყველა ფორმის დაზიანებით; ორსულებს და მელოგინეებს – ბუასილისა და კუჭის შეკრულობისაგან; გოგონებს – მტკივნეული მენსტრუაციისაგან; ვაკეთებ მინი-აბორტს და ვდგამ სპირალს. ტელ: 99-95-33, მიქელაძე

ყურების გახვრეტა უმტკივნეულოდ, ამერიკული პისტოლეტით, საყურით. ფასი 5 ლარი. ტელ: 61-35-21 ლია; 67-72-66 ნინო

პროსტატიტის – ბაქტერიული, ტრიქომონული, ქლამიდური, პროსტატიტით გამოწვეული უშვილობის და სქესობრივი პოტენციის დაქვეითების მკურნალობა, უახლესი მეთოდების (სისტემური ენზიმოთერაპია, ანტიბაქტერიული თერაპია და იმუნოკორექცია) და აპარატურის (ლაზერი, ულტრაბგერა-ფონოფორეზი, ელექტროსტიმულაცია ინტრატონით) გამოყენებით. მკურნალობას ატარებს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის: მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან) VI სად. (ეზოდან) ბინა 1. მიღება 17-20 სთ-მდე; შაბათს 12-16 სთ. ტელ: 35-20-06

ვმკურნალობ მეტყველებაში მძიმე დარღვევის მქონე ბავშვებს. ტ: 52-51-31. ჟუჟუნა

ვშველი ოფლის სპეციფიკურ სუნს. ტელ: 96-18-26 მარეხი

აშშ სამედიცინო ფირმა „ალიგარლაუნის“ დირექტორი, მკურნალი ნანა ქაბარონაშვილი გიწვევთ ლოცვით სეანსებზე ინდივიდუალურად და ფოტოსურათითაც. (მკურნალობის მეთოდი შემუშავებულია რეზო ხომერიკის „ბიორეზონანსის“ სარეაბილიტაციო სამეცნიერო ცენტრის მიერ). უძილობა, შიში, აგრესიულობა, დეპრესია, თვითმკვლელობის სურვილი, აკვიატებები, მოჩვენებები, ჩაკეტილი მამაკაცობა, აფორიაქება, დაძაბულობა, შებოჭილობა, სევდა, ნაღველი, პესიმიზმი, კოშმარული სიზმრები. ბათილდება ჯადოს მოქმედება, ადამიანი თავისუფლდება შავი ძალების ზემოქმედებისაგან. მის. რუსთაველის გამზ. №40, II სართ. მიღება 11-დან 17 სთ-მდე გარდა კვირისა. ტ: 98-61-91; 877-41-60-03

„ფესვები“! ვაკეთებ (1სთ 8 ლარი) უმტკივნეულოდ ეპილაციას (250 ლარი) ეპილაციას, ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. მიღება ყოველდღე ჩაწერით. სრული განკურნება გარანტირებული გაქვთ ნაპარს თმაზეც კი; შეგიძლიათ ინდივიდუალურადაც გასუფთავდეთ თმისაგან, „ლიპუჩკა“ – მრავალჯერადი გამოყენება. ფასი 10 ლარი (შემძლია დაგეხმაროთ ადგილობრივი და ამერიკული ეპილატორების შეძენაში). მის: ჯორჯიაშვილის 53, I სად. I სართ. ბინა 3. ტ: 37-71-66 ნინო.

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის 100%-იანი გარანტიით. მიღება შეთანხმებით. უკმაყოფილო არ დარჩებით. ფასი: 1 სთ 6 ლარი. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის. ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ. VI სად. III სართ. ბინა 109. ტელ: 73-38-76 გიორგობიანი

ვმკურნალობ ალკოჰოლიზმს დაჩქარებული მეთოდით, დროის ფაქტორის კოდირებით. პროცედურები ტარდება ამბულატორიულად, ერთ დღეში; კონსულტაციას ვუტარებთ ნევროზით, ფსიქიკის აშლილობით შეპყრობილ პაციენტებს. მის. ვაჟა-ფშაველას №27 რესპუბლიკური პოლიკლინიკა. ტელ: 39-15-79; 37-16-49 (ბინა)

ძვირფასო ქალბატონებო! ვაკეთებ ეპილაციას ბალახეული ნაყენით, სხეულის ნებისმიერ ადგილას (ამოდის თმის 1/3), გალიზიანების გარეშე და სრული გარანტიით; შემოგთავაზებთ ყველანაირ კრემს, გამწმენდ საპონს და სხვა. მის. აღმაშენებლის 115 (პოლიციის ეზოში). კაბ.1 კოსმეტოლოგი თამრიკო მაისურაძე. ტელ: 61-54-27 (საღამოს)

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით, უმტკივნეულოდ, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, მორჩენის სრული გარანტიით; ვმკურნალობ სახეზე ნებისმიერ გამონაყარს, ვაკეთებ მალამოებს. მის: მეტრო „თავისუფლების მოედანი“, უნივერმაღ „თბილისი“-ს II სართ. შესასვლელი მეტროს მხარეს, კუდიან. ტ: 92-32-21 (10-18); 79-91-36 ბინა. კოსმეტოლოგი ნანა.

განკურნების სრული გარანტიით, მხოლოდ მცენარეული წამლებით, მცირე დროში, საბოლოოდ ვკურნავ ბრონქიალურ ასთმას, ქრონიკულ ბრონქიტს, ალერგიას, ჩირქს ფილტვებში, ნაღვლის ბუშტში, თირკმლებში. მის. ვაჟა-ფშაველას გამზ. 95 (IVკვ), II სად. VII სართ. ბინა 39. ტელ: 32-94-62 ხვედელიანი

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით უმტკივნეულოდ, გაღიზიანების გარეშე, მორჩენის სრული გარანტიით. კოსმეტოლოგიური მომსახურება უმაღლესი ხარისხით; ვამზადებ ნელსაცხებლებს, ვმკურნალობ სახეზე ნებისმიერ გამონაყარს. მის. გრიბოედოვის თეატრის უკანა მხრიდან, „სამსახურეობრივი შესავლელი“. ტ: 93-58-11 (სამსახ.) 10-19 სთ; 71-95-77 (საღ.) კოსმეტოლოგი ცალა

ვამზადებ ჩასახვის საწინააღმდეგო ბურთულებს. დავეხმარები მეძუძურ დედებს ძუძუს წოვისას დვრილზე წარმოქმნილი ნახეთქების მოშუშებაში, სრულიად უვნებელი მალამოებით, მორჩენის 100%-იანი გარანტიით ტელ: 35-21-47 მარინა

მოსკოვის სუ-ჯოკის აკადემიის კურსდამთავრებული, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მერიდიანთა ტიბეტური მედიცინის (წერტილოვანი) მეთოდებით და საგვარეულო, მარილების დამშლელი მალამოებით მკურნალობს შინაგანი ორგანოების გამწვავებას და ძვალ-სახსრის გართულებულ დაავადებებს. მკურნალობა პირველი დღიდან ეფექტურია და უფასო. ძალიან ეფექტურია ნერვულ-ფსიქოლოგიური სტრესებისას. აგრეთვე, შვილის უძლობას. მის. ვარკეთილი, III მასივი, კალოუბნის ქ. №16, I სართ. ნორა გოგოლაძე-კბილაშვილი 73-11-70 ან საგარეჯოს ქ. №13, კაბ. №15, სპორტის სასახლის უკან. ტელ: 899-56-64-64 (12-16სთ)

ფიტოთერაპევტი ვმკურნალობ: ხველას, ფილტვებს, სისხლძარღვებს (პროთრომბინს, გულს). გულის სხვადასხვა დაავადებას, თირკმლებს, მარილებს, რადიკულიტს, ნერვის ანთებას, კუჭ-ნაწლავს, ნევროზს, ნაღვლის ბუშტს, ღვიძლს. მის. კოსტავას I შეს. №19. ტ: 36-83-45 (შაბათ-კვირის გარდა) გ. ბექური

თმის მოცილება მცენარეული დეპილატორით სახეზე და ტანზე. (თმა თანდათან მცირდება და ქრება). ეპილაცია პლატინის ნემსით, ანესთეზიით (კანის გაღიზიანების გარეშე); სახის გაწმენდა, ნიღბები და მალამოები. თქვენ მოგემსახურებათ საერთაშორისო სერთიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია. მის. აღმაშენებლის 115, კაბ.5 ტელ: 95-41-58; 96-22-89

ქალბატონებო და ბატონებო! ვაკეთებ ეპილაციას სამი ოპერაციით სახეზე, სრული გარანტიით და გაღიზიანების გარეშე, კანის დაჭიმვა თიხით და ბალახეული ნიღბებით, წითელი ფერიჭამელების გაქრობა. მის. აღმაშენებლის 115, კაბ. №1. მადონა ქირია. ტელ: 34-56-13 (ბინა)

ვისაც გაქვთ დარღვეული საკვების გადამამუშავებელი სისტემის მუშაობა, გაწუხებთ გაზები, გაქვთ საერთო სისუსტე, თავის ტკივილი, ადვილად ღიზიანდებით და გინდათ ბუნებრივად წონაში დაკლება, დამირეკეთ ტელ: 68-25-01 ნინო

ვკურნავ ბალახებით: წელის შეკვრას, დამწვრობას, ჩირქს, უშვილობას, ნაღვლის ბუშტის ანთებას, თირკმლების დაავადებას, ღრძილების ანთებას; გვაქვს სოკოს და ოფლის მოსარჩენი მალამო. ტელ: 68-02-36 ნონა

ვაკეთებ ეპილაციას (1 სთ 6 ლარი) ვოლფრამის ნემსით, გაღიზიანების გარეშე მორჩენის 100%-იანი გარანტიით. ვმკურნალობ სახეზე ნებისმიერ გამონაყარს, ვაკეთებ მალამოებს, ოფლის წამლის ნიღბებს. მის. გლდანი, IV მ/რ 97-ე კორპ. IV სად. I სართ. ტელ: 67-48-44

ვაკეთებ ეპილაციას: 1)უმტკივნეულო ამერიკული ელექტროაპარატით, ვოლფრამის ნემსით. 2) ჩვეულებრივი ელექტროაპარატით. 3) „ლიპუჩკით“. 4) სახის გაწმენდა და მასაჟი; ვმკურნალობ გამონაყარს. ტელ: 60-29-71 ნელი, მიღება ყოველდღე

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით, მორჩენის სრული გარანტიით, უმტკივნეულოდ. მის. უნივერმაღი „თბილისი“, III სართ. კოსმეტოლოგი ნინო. ტელ: 92-32-21

## სხვადასხვა

გთხოვთ დახმარებას! მეუღლე II ჯგუფის ინვალიდი მყავს. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, აფხაზეთში დაკარგა მარჯვენა ფეხი. 14 წლის შვილს აქვს მწვავე ლიმფობლასტური ლეიკოზი (სისხლის გათეთრება ძვალსა და სისხლში). გასაყიდი არაფერი დაგვრჩა. ბიზნესმენებს და კეთილ ადამიანებს გთხოვთ დახმარებას. მის. დიღომი, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფო, ონკოლოგიურ-ჰემატოლოგიური ცენტრი. ტელ: 52-80-99 (საღამოს) ფატი

დასვენება ქობულეთში ზღვის პირას, ფიჭვნარში, შეიძლება კერძო სახლშიც, ორჯერადი კვებით. ტელ: 34-86-01; 37-42-87; 32-03-72 მანანა

## იყიდება

ოთხკარიანი, გერმანული კარადა გამოდგება ტანსაცმლისათვის, წიგნებისათვის და ჭურჭლისთვისაც (დიდი ზომის) ფასი 400 ლარი; სპილენძის ჭურჭელი (30ლ. ქვაბი, ნაზშირის უთო, ლამფები). ფასი 30 ლარი; მხატვრული ლიტ. ქართ. და რუსულ ენებზე, (მოგზაურობა, ქვეყნები), 150ც. ფასი 70 ლარი. ტელ: 23-07-65

რუმინული საძინებელი „ლუდოვიკო“. ფასი 1700. ტელ: 38-14-80

„ფიატ-ქრომას“ უკანა ბამპერი, უკანა ფარები და შუშის საწმენდი (დვორნიკი) მთელი მოწყობილობებით, „ვლუშმეტილი“, ორივე მარცხენა კარი. სიჩქარეთა კოლოფი. სხვადასხვა ნაწილები. ტელ: 33-50-32; 899-55-45-74

სასწრაფოდ იყიდება ახალი, გერმანული, ყავისფერი, ნახევრადსაკონცერტო როიალი „ბლუტნერი“. ფასი 8500. ტელ: 96-09-35; 96-19-40

ძეხვისა და სოსისის გამოსაშვები საამქრო. ტელ: 52-17-05, (17-22 სთ)

კაბინეტის შავი ფერის როიალი „სტეინვეი ენდ სანს“, საუკეთესო მდგომარეობაში. ტელ: 22-41-10; 38-47-19

ფეხსაცმელში ჩასადები უნიკალური „ბიომაგი“ – ეკოლოგიურად სუფთა, თხელი, პლასტიკური ფირფიტა, რომელზეც დამაგრებულია სპილენძის ფირფიტები და მაგნიტები. „ბიომაგი“ იცავს თქვენს ფეხს ოფლიანობისაგან, მოყინვისაგან, მაქსიმალურად აცილებს სუნს, აძლიერებს ორგანიზმში სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს წნევას, ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს პოტენციას, აუმჯობესებს მეხსიერებას, იძლევა გასაოცარ ეფექტს. წლის ნებისმიერ დროს, იგი თქვენი ჯანმრთელი ცხოვრების გარანტიაა. ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მის: გამსახურდიას გამზ. №24, ათეთაქი „გოლიათთან“

1) ჟიგულზე მისაბმელი; 3) 23 ცალი კედლის ბლოკი 2X2,5X0,4; 3) კუთხის ბლოკები 2,5X60X80, 4 ცალი. ტელ: 29-11-17

ყურადღება! სიმაღლეში ზრდის ვიტამინები ბავშვებისათვის 16-18 წლამდე, ამერიკიდან! დაკლება 5-20კგ თვეში! გასახდომი კრემები იტალიიდან! ტელ: 61-75-81 მზია

ქ. გორში, ცენტრში, მერიასთან, პრივატიზებული, არასაცხოვრებელი ფართი 100კვმ, გარემონტებული, ყველა საჭირო სათავსოთი; ტანსაცმლის მაღაზიისათვის მანეკენები; ინვენტარი. ფასი შეთანხმებით. შეიძლება გადარიცხვით. ტელ: (8-270) 2-40-48 გორი; 899-55-53-20

1) ერთხიდიანი ტრაქტორი „ბელორუსი“ თავისი ლაფეტით, კარგ, მუშა მდგომარეობაში. ფასი 2800 ლარი. 2) „ვლადიმირეცის“ ახალი, უკანა საბურავები დისკებით. 1 ცალის ფასი 200 ლარი. ტელ: 35-15-88 გივი

ან იცვლება 1-ოთახიან ბინაზე ავტომანქანა „ოპელ-კადეტი“ 1990 წლის გამოშვება, 2-კარიანი, წითელი ფერის, კარგ მდგომარეობაში. ტელ: 66-01-20

ვიბრომასაჟორები „ამერიკა სტარ“, 4 ქამრით. ტელ: 52-17-72; 52-48-19 ქეთინო; თამრიკო

პემზის სამშენებლო ბლოკი 20X20X40სმ. ფასი ადგილზე 60 თეთრი, მიტანით – 65 თეთრი. ტელ: 32-94-16 (9-23) გურამი

Специальная пленка для обертывания тела. Усиливает действие массажных кремов от целлюлита и программы похудения. Фирма „Вилака“. Тел: 23-03-44; 22-56-33

## ქირავდება

ან იყიდება, თითქმის ახალი, აწყობილი, 3-ტონიანი კამერა-მაცივარი, მუშა მდგომარეობაში. ტელ: 39-38-70 რეზო

## შეიძენ

„ჯეოსელში" ჩართულ მობილურ ტელეფონს, 200 ლარის ფარგლებში. ტელ: 38-85-75 ლალი (საღამოს)

ნახმარ ვიდეოკამერას, „Panasonic" M-9000 ან M-9500, Super, VHS. ტელ: 23-07-65

400კვმ ფართის საკუთარ ეზოს, სარემონტო სახლს ან დასამთავრებელ ნაგებობას. გარეუბნებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ: 77-80-90; 899-55-14-31

## მილოცვა

ჩემს უსაყვარლეს მასწავლებელს ნანა ცომაიას ვულოცავ დაბადების დღეს, 20 ივლისს. ოყავით დღეგრძელი. მარად თქვენი მოსიყვარულე მოსწავლე „სიზმარა".

## ვასწავლი

კომპიუტერული ცენტრი „ინტელექტუალური სისტემები" „Windows-95" ბაზაზე გთავაზობთ თანამედროვე პროგრამულ პაკეტირებას (Word, Excel, Access, PowerPoint, PageMaker-6.5) და Internet-ში მუშაობის შესწავლას. მის: წერეთლის 142. ტელ: 94-10-74; 34-08-46

ფანასკერტელის სახ. სამკურნალო ცენტრი „თემსი" აცხადებს მსმენელთა მიღებას კოსმეტიკის, კლასიკური მასაჟის და საპარიკმახერო საქმის შემსწავლელ კურსებზე. კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი. მის. ალმაშენებლის 115, კაბ 5. ტელ: 95-41-58; 96-22-89

## მოგონება

ბენია ალექსანდრეს ძე ჩაგანავას ხსოვნას



14 ივლისს 60 წელი შეგისრულდებოდა. როგორი სიხარულით ელოდი ამ დღეს, მაგრამ ვაი, რომ მოვიდა იგი უშენოდ. შენი სათაყვანო მეგობრები, თვალცრემლიანი, შუბლზე ძაძწაკრული მოხუცი მამა და უიმედოდ მომლოდინე, დიდი, ლამაზი ოჯახი შემოუსხდებიან ამ დღეს სევდიან სუფრას. შენი დალოცვის ნაცვლად, ღვინით სავსე ჭიქას თავს წაუქცევენ და შენს შესანდობარს იტყვიან. გაიხსენებენ, როგორი სანდო და ულალატო იყავი მეგობრობაში, თბილი და მზრუნველი მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუა. ალელვებული და გაჯავრებული არ გვინახიხარ. წყენას მორკალული წარბების ოდნავ აზიდვით გამოხატავდი, ახლობლის ნახვით გამოწვეულ სიხარულს კი ამ ლამაზი ფრაზით — „მოხვედი, ადამიანო?" ჩვენ კი ასე გეტყვით ახლა: „ნახვედი ჩვენო უანგარო, ღიმილიანო მეგობარო?"

იძინე მშვიდად! მსუბუქი იყოს შენთვის შენი საფიცარი სამშობლოს მიწა. მოსიყვარულე მეუღლე, შვილები, შვილიშვილები და მეგობრები ცრემლიანი სიყვარულით დაგინთებენ სანთელს და გაგინათებენ ღვთის სასუფევლისაკენ მიმავალ გზას.

*თედორე სარდიონის ძე თელია*

სიმონიკო მურვანიძის ხსოვნას



23 ივლისი შენი მეორე დაბადების დღეა უშენოდ. ავბედითმა, საბედისწერო დღემ სამუდამოდ შეგიცვალა ადგილსამყოფელი და საუკუნო სამკვიდრებლის ბინადარი გაგხადა. ჯერ კიდევ შენი მამის დაღუპვით გამოწვეული ტკივილი არ დამცხრალიყო, შენი არყოფნაც რომ დაემატა. ამან კი ერთიორად გაამძაფრა უკაცოდ დარჩენილი ოჯახისა და ფუძე-კარის ტკივილი. სიმონიკო! ამდენ სიკეთეს თუ ატარებდი, ან კი როგორ მოგერია სიკვდილი. ცრემლშეუშრალი, უნუგეშოდ მიატოვე დედა, და, ბებია და უამრავი შენი მოყვარული ადამიანი. ყველას ტკივილის და წუხილის გამზიარებელო ბიჭო, შენი წასვლით მოკლულ გულებს რაღა დაუტოვე სანუგეშოდ?! ალბათ, მოგონება, რომელიც კიდევ უფრო მეტ ტკივილს აღძრავს და ისევ შენი სახელის გახსენება დაედება მალამოდ.

*შენი დეიდა მზევინარ აბზიანიძე*

ჩვენო დაუვიწყარო დათო!



21 ივლისი, შენი დაბადების დღე, უკვე მოსულა, ბიჭო! 20 წლის ხდებოდი, რომ შენი ოჯახი ტრადიციულად ვერ იზეიმებს სიყრმის შვილის, პირველი სიხარულის დაბადების დღეს. ახალი წლის წინა დღეს მოგისწრო ბედისწერამ „მზიურში" და წარგვტაცა შენი ლამაზი სიცოცხლე. ჩვენო იმედო, ჩვენო ჭკვიანო, მართალო, ალალო. ყველას დააკლდა შენი ერთგულება, შენი ვაჟკაცური, თბილი და სიყვარულით სავსე გული, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ, შენს უმცროს და-ძმას. როგორ დაგვიბერე, ბიჭო, ახალგაზრდა მშობლები, შუქი ჩაუქრე თვალებში. დავდივართ უშენოდ ჩვენს დიდ ოჯახში და ერთმანეთს თვალს ვერ ვუსწორებთ. რით ვანუგეშოთ გაუბედურებული ჩვენი მშობლები. ან კი, სად შეგვიძლია შენსავით ჭკვიანური დარიგება და ნუგეშისცემა.

ღმერთსაც სულიერად და ფიზიკურად გამორჩეული მიჰყავსო. იყოს ნება ღვთისა, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ. სადაც არ უნდა ვიყოთ, თან დაგვყვება შენი ლამაზი, ოდნავ ღიმილიანი და საოცრად ჭკვიანი თვალები. რაღაცას გვთხოვ, ვიცით, რასაც. გპირდებით, ისეთები ვიქნებით, როგორებიც შენ გინდოდა, რომ ვყოფილიყავით. შენს სულს ვავედრებთ ღმერთს და წმინდა სანთლებს გინთებთ. გვწამს, არასოდეს წაიშლება შენი სახება ნიკოლაიშვილების დიდ ოჯახში.

*შენი მონატრე დაიკო ნატა, ძმები ვალერი და ლევანი*

## მსოფლიო ბანკის მოწყალობა კახეთსაც შველის

ამას კი წინ უსწრებდა მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრისა და თელავის რაიონის გამგეობის მიერ მომზადებულ მასალებზე დაყრდნობით შემუშავებული ოთხი პროექტი:

**1.** სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების აღდგენა-რეკონსტრუქციის (შეფასებულია 120.000 დოლარად);

**2.** წყალ-კანალიზაციის შიდა ქსელების აღდგენა-რეკონსტრუქციის (შეფასებულია 120.000 დოლარად);

**3.** მუნიციპალური გზების რეაბილიტაციის (150.000 დოლარი);

**4.** მუნიციპალური სასტუმროს რეაბილიტაციისა (200.000 დოლარი).

აღნიშნულ პროექტებს დააფინანსებს მსოფლიო ბანკი. ამ საკითხებზე მასთან მოლაპარაკება დაიწყო ერთი წლის წინ და წარმატებით დასრულდა.

დაფინანსება ეტაპობრივად მოხდება. პირველ ეტაპზე დაფინანსდება სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების აღდგენა-რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული სამუშაოები, რაც ვფიქრობთ, დროულია, რადგან კახეთის სამ რაიონში (გურჯაანი, ყვარელი, ახმეტა) სათავე-ნაგებობათა შენობები მოძველებულია, ამორტიზებული და სასწრაფოდ შესაკეთებელი.

სათავე-ნაგებობების აღდგენა-რეკონსტრუქციას ვინ ჩივის, კახეთის სამხარეო ჯანდაცვის ცენტრის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ არც ერთ კომუნალურ სამსახურს არა აქვს ქსელის დაზიანების აღრიცხვის ჟურნალიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ, რეზერვუარების რეცხვა-დეზინფექციის გრაფიკსა და სასმელი წყლის დაქლორვაზე.

აღმოჩნდა ერთი საინტერესო ფაქტიც: კახეთის რაიონებში, სიღნაღის გარდა, სასმელი წყალი ან საერთოდ არ იქლორება, ან თუ ეს მოხერხდა, სასმელი წყლის კოლი-ინდექსი არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს. ყვარლის რაიონში კი საკმაოდ პრიმიტიული წესით ხდება სასმელი წყლის დაქლორვა (გაუვნებლება) — რეზერვუარში ასხამენ ვედროში გახსნილ ქლორიან კირწყალს.

ასე რომ, შესაძლოა, მსოფლიო ბანკისა და თელავის რაიონის ისევე, როგორც მთელი კახეთის სამხარეო ადმინისტრაციის ზრუნვა კახეთში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად შედეგიანი გამოდგეს, ყოველ შემთხვევაში, ზემოთ ნათქვამი იმედს მაინც გვაძლევს.

***გურამ სოზაშვილი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 18 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 1,347 |
| გერმანული მარკა | | 0,753 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 2,208 |
| ფრანგული ფრანკი | | 0,224 |
| რუსული რუბლი | | 0,216 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,050 |
| იტალიური ლირა | (1000) | 0,764 |
| ბერძნული დრაჰმა | (100) | 0,452 |
| ქუვეიტური დინარი | | 4,397 |
| კანადური დოლარი | | 0,906 |
| შვეიცარიული ფრანკი | | 0,895 |
| ეკიუ | | 1,489 |


თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი „საქართველო"



TBILISI MEDICAL INSTITUTE "SAKARTVELO"

აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამკურნალო საქმე;
2. სტომატოლოგია.



ინსტიტუტთან ფუნქციონირებს მოსამზადებელი კურსები

მისაღები გამოცდები ჩატარდება გასაუბრების წესით ქიმიაში




ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №1

☎ 37-99-37, 95-67-36, 37-18-29, 38-40-72


## სამეფო ქისა

ევროპის 11 სახელმწიფოში მონარქიული წყობაა. ყოველწლიურად დიდი ბრიტანეთი 13 მლნ დოლარს აძლევს დედოფალს საჭიროებისამებრ დასახარჯად, ხოლო დედა-დედოფალს 1 მილიონ დოლარს. ბუკინგემის სასახლე ცდილობს, თავად გაუწიოს კონტროლი 417 ათას გირვანქა სტერლინგს, რომელიც სამეფო კარს ეძლევა საზოგადოებრიობასთან კავშირის დასამყარებლად. ბუკინგემის სასახლე ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს, თუ რაში დაიხარჯა თანხა. მონარქებიც ადამიანები არიან — ამიტომაც ზოგი მათგანი „ძუნწია", ზოგი ხელგაშლილი.



მაგალითად, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსს პარლამენტი სასახლის კარის საჭიროებისათვის ყოველწლიურად 960 მილიონ პესეტს გამოუყოფს. მეფე პატიოსნად იხდის გადასახადს და ძალიან მოკრძალებულ ხელმწიფედ ითვლება. შვედეთის მეფე კარლ XVI გუსტავს სახელმწიფო ყოველწლიურად სახარჯოდ 5 მლნ დოლარს გამოუყოფს. სასახლეები სახელმწიფოს კუთვნილებაა. კარლის პირადი ქონება 11,5 მლნ დოლარია.

დანიის დედოფალი მარგრეტ II სახელმწიფოს მიერ ყოველწლიურად გამოყოფილ 6,5 მილიონ დოლარს ხარჯავს.

ნიდერლანდების დედოფალს ბეატრიქსს სამეფო ხარჯებისათვის წლიურად 3,5 მლნ დოლარი ეძლევა. ნორვეგიის მეფე ჰარალდ V-ს — 1 მლნ დოლარი, ბელგიის მეფე ალბერტ II 8 მილიონ დოლარს ხარჯავს. სახელმწიფოები მზად არიან, დააფინანსონ სამეფო სახლები, რათა მათ ქვეშევრდომებს წყნარი ძილის საშუალება მისცენ — მონარქიის ინსტიტუტმა დაამტკიცა, რომ პოზიტიური როლის შესრულება ძალუძს.

***ნოვიე იზვესტია №121***

## შეიქმნა ევროპული სუპერბირჟა

ლონდონის სიტისა და ფრანკფურტის საფონდო ბირჟებმა სტრატეგიული ალიანსი გააფორმეს. ორივე დაწესებულების ხელმძღვანელთა თქმით, ამ ნაბიჯის მიზანია, სათავე დაუდოს ფასიანი ქაღალდების ერთიან ევროპულ ბაზარს, რომელიც დაეყრდნობა ელექტრონული ვაჭრობის ერთიან პლატფორმას.

როგორც ლონდონისა და გერმანიის ბირჟების აღმასრულებელმა დირექტორებმა განაცხადეს, მათ სურთ, შექმნან აქციების ბაზრის ეფექტური, იაფფასიანი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა.

დიდ ბირჟაზე ვაჭრობის ზრდა გამოიწვევს იმას, რომ აქციები უფრო ლიკვიდური გახდება. აქედან გამომდინარე, ფირმებს გაუადვილდებათ ბიზნესის გასაფართოებლად სახსრების მოძიება. შედეგად — ევროპული ბირჟა ნიუ-იორკის ბირჟის კონკურენტი გახდება.

ინგლისურ-გერმანული ბირჟის უპირატესობების მიუხედავად, ინგლისის ბანკის თანამშრომლები ბირჟის წინააღმდეგნი არიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ლონდონმა, შესაძლოა, თანდათანობით დაკარგოს ევროპის ფინანსური დედაქალაქის ტიტული. ამიტომ ამ ალიანსზე წასვლის გადაწყვეტილება მან იძულებით მიიღო, — წერს გაზეთი „ფაინენშლ თაიმსი".

ლონდონის ბირჟის ბრუნვაში არსებული აქციების ფასი ორჯერ აჭარბებს ფრანკფურტისას, მაგრამ ფრანკფურტს აქვს იმის შანსი, რომ ლონდონს ლიდერობა წაართვას. გერმანელთა ძლიერების წყაროა ახალი ვალუტა ევრო, რომელსაც მალე ევროპის 11 ქვეყანა შემოიღებს.

ბრიტანეთს ჯერ არ გადაუწყვეტია, გადავა თუ არა ევროზე და თუ გადავა, ეს რამდენიმე წლის შემდეგ მოხდება, ამიტომაც ფრანკფურტის ბირჟას ლონდონის ბირჟასთან შედარებით უპირატესობა ექნება.

***იზვესტია №122***


სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „ელიტა-ფონდა"



- გახდომა და სხეულის კორექცია უახლესი მეთოდებით;
- ვიბრომასაჟი გაღრმავებული ვიბრაციით;
- კოსმეტოლოგი, მაკიაჟი, ეპილაცია, მალამოები;
- პარიკმახერი;
- მანიკიური;
- ჰომეოპათი (სხვადასხვა დაავადების მკურნალობა გურამ ბალდოშვილის მეთოდით)

მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. 27/29 ტელ: 29-41-87

რკინის კარები, გისოსები, ქალუზები, ავტოფარეხები ნებისმიერი ანგარიშგებით

899-50-92-92

☎ 38-83-87, 37-07-78, 37-46-55



ფირმა „ტემპი"

გამოფენის (ვანაშირის ზამთრის (მარმარი)) მზადება... მშენებლობს. რემონტი. პროექტირებს. არქიტექტურა. დიზაინი.

გარანტირებული ხარისხი, დასაბუთებული ფასები, სამუშაოების სისწრაფე, უფასო კონსულტაციები.

მის: ვაჟა-ფშაველას №16, მშენებლობის სამინისტრო, მე-11 სართული. ტელ: 33-31-02 ოფისი, 877 41-99-62, 899 56-48-86, 95-07-62 საღამოს.

სქოლიოზები, კიფოზები (ხერხემლის გამრუდებები), რადიკულიტები, ოსტეოქონდროზები (მარილები), თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, მეწაღისებური და ქათმისებური გულ-მკერდი.



ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით.

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, კატასტროფების საავადმყოფოში (ყოფილი მიხაილოვის), 1 სართ. მანუალური და ფიზიოთერაპიის კაბინეტი. ტელ: 95-46-47, 75-06-14

# ვალენტინა მალიავინა — ტამარა როხლინას: „მოქაისკის ზონაში მზე ლამაზად ჩადის“

ქვეყანა შეძრა გენერალ როხლინის სიკვდილმა. ხალხს არ სურს, დაიჯეროს, რომ ცოლმა მოკლა, მისი შვილების დედამ — ამას როგორ იზამდაო!

არც თხუთმეტი წლის წინათ სჯეროდათ, როცა ქმრის მკვლელობის გამო არანაკლებ ცნობილი ქალი — ვალენტინა მალიავინა დააპატიმრეს. მაშინ იგი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და პოპულარული კინომსახიობი იყო. როცა სამართალდამცავები ოთახში მამაკაცის გვამს პოულობენ, მის გვერდით კი შეურაცხად ქალს, ჩვეულებრივ, ამას „ოჯახური კინკლაობის გამო მომხდარი წინასწარგანზრახული მკვლელობის“ კვალიფიკაციას აძლევენ ხოლმე.

ამ ორი ქალის ბედი მეტისმეტად ჰგავს ერთმანეთს. მალიავინას შვილი დაეღუპა, როხლინას — ავადმყოფი ჰყავს. ორივეს გაუჭირდა უბედურების გადატანა, და როგორც რუსეთში ხდება ხოლმე, სასმელში სურდათ შვება ეპოვათ. ამის გამო ქმრებთან ორივეს გამუდმებით უსიამოვნება ჰქონდა. ორივე მკვლელობა მოწმეების გარეშე მოხდა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მშვენიერ, ნიჭიერ, პოპულარულ მსახიობს მაშინვე გამოუჩნდნენ დამცველები, არც გენერლის ცოლს აკლია პატრონი...

არ ვიცით, გამოძიება როგორი სქემით განვითარდება, რა განაჩენს გამოიტანს სასამართლო ტამარა როხლინას მიმართ. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც დღეს უფლება აქვს ამის თაობაზე რაიმე თქვას, ვალენტინა მალიავინაა, რომელმაც უკვე განვლო ქმრის მკვლელის მძიმე გზა. ვალენტინა კინოსახლის ბუფეტში მივიწვიე. იმ გზას ვიხსენებთ, რომელიც ვალიამ გაიარა მაშინ, როცა მთელი მისი ცხოვრება ორ ნაწილად გაიყო, ერთი იყო — „მდე“, მეორე კი — „შემდეგ“.

**— რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა სასამართლოში გაიგონეთ — „9 წელი“?**



— მეგონა, სამზე მეტს არ მომცემდნენ. როცა საბრალდებო დასკვნას კითხულობდნენ, ჩემთვის უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო — იმიტომ, რომ ჩემს გონებაში თამაშდებოდა პიესა, საზარელი პიესა, რომლის დასასრული ყველამ იცოდა...

მაშინ, თხუთმეტი წლის წინ, მსგავს ტრაგედიაში იგივე პერსონაჟები მონაწილეობდნენ — მამაკაცი, ქალი, სპირტიანი სასმელი, აყალმაყალი. „ვიჩხუბეთ, — იხსენებს მალიავინა, — სისულელე ჩავიდინე, ჩანთიდან ერთი ბოთლი „გურჯაანი“ ამოვიღე და სმა დავიწყე, არ უნდა გამეკეთებინა. სტასს არ მოსწონდა, როცა ვსვამდი. გოგონას სიკვდილის შემდეგ ღვინო მაწყნარებდა, მერე ჩვევად მექცა... მერე — ოთახში ექიმი შემოვიდა, როცა სტასის ცხედარი დაათვალიერა, თქვა, — ამას ვერაფერი უშველიდა“... „დანას ვტაცე ხელი, ისევ სავარძლის ფეხთან ეგდო, მინდოდა, თავი მომეკლა“.

მალიავინამ არ აღიარა დანაშაული, როხლინამ აღიარა — მაგრამ ბევრმა არ დაუჯერა.

**— სად მოიხადეთ პატიმრობა?**

— რამდენიმე საპატიმროში ვიყავი. ბუტირკის ციხეში, კრასნოპრესნენსკის, მოქაისკის ზონებში, როსტოვშიც ვიყავი — ყველაზე მძიმე პირობები იქ იყო, მერე უკვე გადასახლებაში გამიშვეს.

**— რა გშველოდათ მამაკაცების ყურადღებით, ყვავილებით განებივრებულ ქალს საპატიმროს მძიმე პირობებში?**

— ღმერთისა და იმის რწმენა, რომ ხალხს ვჭირდები. იქ ბევრს ფიქრობ ცხოვრების არსზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, დანაშაულსა და სასჯელზე. იქ ყველას ერთი მიზანი აქვს — თავისუფლება.

ერთხელ ციხეში მოსულმა ფსიქიატრმა მკითხა, — როგორ უძლებთ ასეთ ყოფასო. მე კი ვუთხარი, ცაში ვიყურები. აქ, მოქაისკში მშვენიერი მზის ჩასვლა იცის-მეთქი, არაფერი უთქვამს, ისე გაბრუნდა...

ზონაში ის ერთადერთი ქალი იყო, ვისაც ბადრაგი ხელს უწვდიდა, როცა „ვორონკიდან“ უნდა გადმომხტარიყო. იქაური ნაცნობები ახლაც ურეკავენ ხოლმე, დაბადების დღეს ულოცავენ.

**— იმ ხალხთან გაქვთ ურთიერთობა, ვინც სასამართლოში თქვენს წინააღმდეგ ჩვენება მისცა?**

— კი, ხშირად ვხვდები. მათ ხომ არ იციან, რომ პროკურატურაში მათ მიერ ხელმოწერილი „მონოლოგები“ წაკითხული მაქვს. ღიმილით მესალმებიან, შინაურულად მომიკითხავენ ხოლმე.

**— თავის მოკვლა გიფიქრიათ როდესმე?**

— (პაუზა) არასოდეს... მორწმუნე ვარ.

**— სტასი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ერთად იქნებოდით?**

— არ ვიცი, თუმცა, რომ დავშორებულიყავით კიდეც, მეგობრებად დავრჩებოდით.

ვალენტინას მეგობარი მამაკაცი ჰყავს, ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა, დგამს სპექტაკლს, მალე მისი მეორე წიგნიც გამოვა: მსახიობი ვადაზე ბევრად ადრე გამოუშვეს. ვალენტინა იხსენებს ერთ-ერთ დაკითხვას, როცა გამომძიებელმა მიშინმა უთხრა: ჩემს თავს ერთსა და იმავეს ვეკითხები და გულწრფელადვე ვუპასუხებ. მომისმინეთ, ვალენტინა, რას გეტყვით: შეეძლო სტას ედანკოს თავი მოეკლა? — შეეძლო. შეეძლო მალიავინას ის მოეკლა! — შეეძლო. შეეძლო სტასს მოეკლა მალიავინა? — შეეძლო. შეეძლო მალიავინას თავი მოეკლა — დიახ, შეეძლო! ოთხ სხვადასხვა კითხვაზე ერთი და იგივე პასუხი მაქვს — დიახ. თქვენი დანაშაულის სამხილი არ არსებობს. მოწმეები არ არიან, არც მოტივი არსებობს — არც შეურაცხადები იყავით თქვენ და სტასი, მაგრამ არ გქონდათ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარის შეგრძნება...

შეეძლო ტატიანა როხლინას მოეკლა ქმარი? — შეეძლო. შეეძლოთ აეძულებინათ როხლინა ქმარი მოეკლა? — შეეძლოთ. მოწმეები არ არიან, არც მოტივი არსებობს. ვნახოთ, რას იტყვის ძიება.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №118*

# ძველი სახლი

ავტომობილს, რომელიც უძრავი ქონებით მოვაჭრე ერონ ჰეკერის კანტორის წინ გაჩერდა, ნიუიორკის ნომერი ჰქონდა. საზაფხულო ღია ფერის კოსტიუმში გამოწყობილი, კარგად ჩასუქებული კაცი მანქანიდან აუჩქარებლად გადმოვიდა და ოფისის მინის კარებისკენ გაემართა. ხელში გაზეთი ეჭირა. ოთახში შესულმა ყრუდ იკითხა:

— მისტერ ჰეკერი ხართ?

— დიახ, — თავაზიანად გაუღიმა ერონმა, — რით შემიძლია გემსახუროთ?

მსუქანი მამაკაცი გაზეთით ინიავებდა, ეტყობა, სიცხე აწუხებდა.

— თქვენი კანტორის მისამართი უძრავი ქონების გაყიდვის განყოფილებაში ვნახე. ჩემი გვარია უოტერბერი.

— გასაგებია, — უპასუხა ერონ ჰეკერმა, — რომელიმე კონკრეტული სახლი გაინტერესებთ?

— ჰო, თქვენი ქალაქის სამხრეთ განაპირას დგას, რომელიღაც მიტოვებული შენობის პირდაპირ. ხვდებით, რომელზე გეუბნებით?

— ა...ა... სვეტებიან სახლს გულისხმობთ?

— ჰო, მგონი... პატარა აბრა იყო გამოკრული, — სახლი იყიდებაო... ჰო, მგონი, ასე იყო...

ერონმა ჩაახველა.

— ეს სახლი არის ჩვენს ნუსხაში, მაგრამ არა მგონია, თქვენ დაგაინტერესოთ.

— რატომ?

— აი, თავად წაიკითხეთ და მიხვდებით. — ერონმა სქელი, საბუღალტრო წიგნი გაუწოდა უოტერბერს.

კაცმა თვალი გადაავლო მანქანაზე დაბეჭდილ ჩანაწერს — 8-ოთახიანი, სვეტებიანი სახლია — ორი აბაზანა აქვს, ცენტრალური გათბობა, დიდი ვერანდა. მოზრდილ ბაღში დგას. ფასი 105 ათასი დოლარი.

— მაინც გაინტერესებთ?

მამაკაცმა გაკვირვებულმა შეხედა ერონს.

— რა არის აქ ასეთი? რატომ არ უნდა მაინტერესებდეს?

ერონმა კეფა მოიფხანა.

— საქმე ის არის, რომ მოხუცმა მისის გრამსმა, შვილის სიკვდილის შემდეგ, ხუთი წლის წინ მოინდომა სახლის გაყიდვა, ეს საქმე მე დამავალა. მაგრამ სახლი ამდენი არ ღირს, ის კი არა, 15 ათასი დოლარიც ბევრია.

— თხუთმეტი? — პატრონს კი 105 უნდა, არა? რატომ აფასებს ასე ძვირს?

ერონმა მხრები აიჩეჩა:

— არ ვიცი...

— იცით, რა გითხრათ, თავად წავალ მისის გრამსთან მოსალაპარაკებლად. იქნება, სახლის რეალურ გასაყიდ ფასზე შევთანხმდეთ.

— მგონი, ტყუილად დაკარგავთ დროს. მაგრამ თუკი გინდათ...

— ძალიან კარგი, ახლავე წავალ.

— თქვენის ნებართვით, დავრეკავ და გავაფრთხილებ, რომ მალე მასთან იქნებით.

გრამსისკენ მიმავალ უოტერბერს გზად არც ერთი მანქანა არ შეხვედრია. ავტომობილი ჭიშკართან გააჩერა, ეზო გადაჭრა და ზარი დარეკა.

დაბალმა, ჩასკვნილმა ქალმა გაუღო კარი, სიცხის მიუხედავად, შალის სვიტერი ეცვა.

— მისტერ უოტერბერი ბრძანდებით? — წყნარად წარმოთქვა ქალმა. — ერონ ჰეკერმა გამაფრთხილა, რომ მოხვიდოდით. შემოხვალთ?

— დიახ, ასე აჯობებს.

— ცივ ლიმონათს მოგართმევთ, მაგრამ არ იფიქროთ, რომ ფასის დაკლებაზე დამიყოლიებთ.

სასტუმროში გრილოდა. ძველებური ხის ძვირფასი ავეჯით იყო მორთული. ქალი სავარძელში ჩაჯდა, ხელები კალთაში ჩაიწყო და ჯიქურ შეხედა მოსულს.

— რისი თქმა გნებავთ?

სქელმა მამაკაცმა ცხვირსახოცით სახეზე ოფლი მოიწმინდა და მერე დაუდევრად ჩაიჭმუჭნა ჯიბეში.

— ვეცდები, გულწრფელი ვიყო. უცოლშვილო კაცი ვარ, ბიზნესმენი, საქმეებს თავს ვანებებ, პატარა ქონება მაქვს და სიბერის წლები მინდა ისეთ მყუდრო სახლში გავატარო, როგორიც თქვენია. ძალიან მომწონს. დღეს, როცა თქვენს ქალაქს ვათვალიერებდი, ყველაზე მეტად თვალში თქვენი სახლი მომივიდა.

— მეც მომწონს ჩემი სახლი, ამიტომ ვითხოვ იმ თანხას, რაც ნამდვილად ღირს.

## ხაფანგად იქცა

უოტერბერმა თვალები მოჭუტა.

— ნამდვილადო?! მისის გრამს... ახლა ეს სახლი ამდენი ფული არ ღირს...

— საკმარისია, — გაჯავრებით წამოიძახა მოხუცმა ქალმა, — ხომ გითხარით, ვაჭრობას ნუ დამიწყებთ-მეთქი. თუ ამ ფასის მომცემი არ ხართ, აღარც სალაპარაკო გვაქვს რაიმე.

— კი, მაგრამ მისის გრამს...

— კარგად იყავით, უოტერბერ, — ქალი სავარძლიდან წამოდგა და ამით აგრძნობინა, რომ საუბარი დამთავრებული იყო.

მისტერ უოტერბერი კვლავაც იჯდა.

— რაკი ფასს არ უკლებთ, იძულებული ვარ, ეს თანხა გადავიხადო. შეძლებული კაცი ვარ, არ გამიჭირდება.

მისის გრამსმა ჩაიღიმა.

— ლიმონათს მოვიტან, სახლის ისტორიასაც გიამბობთ.

უოტერბერი შუბლიდან ისევ ოფლს იწმენდდა, როცა მისის გრამსი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა. კაცმა მოუთმენლად, ერთბაშად დალია დიდი ჭიქა ჩაციებული ლიმონათი.

— ეს სახლი, — დაიწყო მისის გრამსმა და ისევ სავარძელში ჩაჯდა, — ჩვენს ოჯახს 1802 წლიდან ეკუთვნის. სიმყარით არ გამოირჩევა, სარდაფიც თაგვებით არის სავსე, მაგრამ მე მაინც ძალიან მიყვარს. როცა ჩემი ვაჟის, მაიქლის მამა გარდაიცვალა, ბიჭი 9 წლისა იყო. გვიჭირდა, ჯერვით ვარჩენდი ოჯახს, საბედნიეროდ, მამამ რენტა დამიტოვა და აქამდე ის მაცხოვრებს. მაიქლს ძალიან აკლდა მამის ხელი, თავნება ბიჭი იყო, მოუთოკავი.

სქელმა მამაკაცმა თანაგრძნობით გადაიქნია თავი.

— სკოლის დამთავრების შემდეგ მაიქლმა აქაურობა მიატოვა და ნიუ-იორკში წავიდა. მე არ მინდოდა, მაგრამ არ დამიჯერა. არ ვიცი, რას აკეთებდა, მაგრამ რეგულარულად მიგზავნიდა ფულს. ათი წელი არ მენახა. როცა დაბრუნდა, მივხვდი, რომ რაღაც უბედურებაში იყო გახვეული. შინ შუაღამისას მოვიდა, გამხდარი, ყბებჩაცვენილი. საშინელი სანახავი იყო. არც რამე ბარგი ჰქონდა, ერთი პატარა ჩემოდნის გარდა, მინდოდა, ჩამომერთმია, — ლამის გამარტყა. მე, მის დედას! ტანთ გავხადე და დასაძინებლად დავაწვინე, როგორც ვაწვენდი ხოლმე პატარაობაში. ღამე მესმოდა, ძილში როგორ ტიროდა. მეორე დღეს მთხოვა, სახლიდან რამდენიმე საათით სადმე წადიო, როცა დავბრუნდი, ჩემოდანი აღარ იყო.

— სად გაქრა? — იკითხა კაცმა, თან ლიმონათის წრუპვას განაგრძობდა.

— მაშინ არაფერი ვიცოდი, მაგრამ მალე ყველაფერი გაირკვა. იმ ღამეს ჩვენს სახლში ვიღაც კაცი მოვიდა, არ ვიცი, შიგნით როგორ მოახერხა შემოსვლა. ლაპარაკის ხმამ გამაღვიძა, მაიქლის ოთახიდან რომ გამოდიოდა. ფეხაკრეფით მივუახლოვდი მის კარს, მინდოდა, გამეგო, რა იყო ჩემი შვილის თავს. ოთახიდან ყვირილი, მუქარა ისმოდა, მერე... სროლაც გავიგონე. როცა ოთახში შევვარდი, მაიქლი მკვდარი იწვა იატაკზე. ფანჯარა ღია იყო, ალბათ უცნობი ფანჯრიდან გადახტა.

უოტერბერის სავარძელი ოდნავ ჭრიალებდა.

— ეს ხუთი წლის წინ იყო. დიდი დრო გავიდა მას მერე, როცა მივხვდი, რა მოხდა. პოლიციაში მიამბეს, მაიქლმა და იმ კაცმა დიდძალი ფული გაიტაცესო, მაგრამ მაიქლმა არ ისურვა ამხანაგისათვის თანხის გაყოფა და აქ გამოიქცა, ამ სახლს შეაფარა თავი, სადღაც აქ დამალა, მაგრამ არ მიძებნია, ახლაც არ ვიცი, სად არის შენახული. იმ ღამეს სწორედ იმ კაცმა მოაკითხა, ვისაც გამოექცა და როცა ფული ვერ მიიღო, მოკლა ჩემი ბიჭი.

მისის გრამსმა სტუმარს შეხედა.

— მაშინ გადავწყვიტე სახლის გაყიდვა 105 ათას დოლარად. ვიცოდი, მკვლელი აუცილებლად დაბრუნდებოდა ამ სახლში, 105 ათას დოლარს გადაიხდიდა, თუმცა თხუთმეტიც არ ღირს...

უოტერბერმა ცარიელი ჭიქა მაგიდაზე დადგა და ტუჩები მოილოკა, რა მწარე ლიმონათიაო, — ჩაილუღლუღა და ძირს მოადინა ზღართანი.


თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

აცხადებს

მიღებას 1998-99 სასწავლო წლისათვის დღის, საღამოსა და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. ქართული ენა და ლიტერატურა; 3. ისტორია; 4. ჟურნალისტიკა; 5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა (მარკეტინგი, მენეჯმენტი, საერთაშორისო ეკონომიკური ექსპერტი); 6. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; 7. ფინანსები და კრედიტები; 8. საფინანსო მეურნეობის ორგანიზაცია და მართვა; 9. საბანკო საქმე; 10. აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკა და მართვა; 11. მათემატიკა; 12. უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული); 13. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 14. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა-ფსიქოლოგია

გათვალისწინებულია მონინავე სტუდენტების საზღვარგარეთის ქვეყნებში სტაჟირება. სწავლის პერიოდში ვაჟები თავისუფლდებიან სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან.

საბუთები მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა, 10-17 საათამდე.

მისამართი: 1. თბილისი-380002, ლეონ ასათიანის (ყოფილი მეჩნიკოვის) ქუჩა №64; თამარაშვილის 37-ა საშუალო სკოლა (მეტრო „მარჯანიშვილთან“)

ტელეფონები: 95-27-87; 17 საათამდე

38-80-83; 52-67-67; 62-85-87 17 საათის შემდეგ



ქაღალდის და საკანცელარიო

საქონლის საბითუმო სავაჭრო ცენტრი

საბითუმო ფასები დ.ღ.გ.-ს ჩათვლით (ლარი)

შპს „ფორმატი“

| ქსეროქსის ქაღალდი | | | |
| --- | --- | --- | --- |
| 1 | DATA COPY (ზვედ) | A4 | 4,5 ლ |
| 2 | KYM LUX (ფინ) | A4 | 6,2 |
| 3 | NOPA FIX (ავს) | A4 | 6,3 |
| 4 | R.X. Business (ფინ) | A4 | 6,6 |
| 5 | TULIP (ფინ) | A4 | 6,7 |
| 6 | DATA COPY (ზვედ) | A3 | 10,3 |
| 7 | KYM LUX (ფინ) | A3 | 12,6 |
| 8 | NOPA FIX (ავს) | A3 | 13,4 |

ფაქსი, ბლოკები, კარტრიჯები, კალკულატორი.

| საწერი ქაღალდი | | | |
| --- | --- | --- | --- |
| 9 | საწერი (ფინ) | A4 | 1,9 ლ |
| 10 | საწერი (ავს) | A4 | 1,9 ლ |
| 11 | საწერი (შვედ) | A4 | 1,9 ლ |
| 12 | საწერი (რუს) | A4 | 0,9 ლ |

| პოლიგრაფიული ქაღალდი | | |
| --- | --- | --- |
| 13 | ოფსეტი № 1 | 1 ტ - 1670 ლ |
| 14 | საგაზეთო | 1 ტ - 1000 ლ |

ცარცი, პერგამენტი, კრაფტი, ფერადი, ქრომერზატი, ხელსახოცის, ეტიკეტის...

საკანცელარიო 350 სახე

სკრეპი-0,15; მიკარტი-0,20; ფანქ-0,45

სწრაფჩამკერი-0,15; მარკერი-3,30;

საკანც. ჟურნალი-0,40; საკ. დანა-0,30;

საბგიდო კომპლ.-12; ფანქარი-0,05......

სავაჭრო დახლი. თარო

სასტუმრო, ტანსაცმლის, საკანც...

ბორბალიანი ლაფეტი

საკვოლო, საოფისე, სახაზავი, განცხადებების, სარეკლამო.....

კარტრიჯი SUBL.: 4L/4ML/4P/4MP; CANON: E16,E30,A30; EPSON SL 820/200 Black...

-ანგარიშსწორება ნებისმიერი -ადგილზე მიტანა

ტელ.: 53-61-15; 38-91-64 ტელეფაქსი: 39-84-05 მობ.: 8(77) 40-65-05; 40-75-82 e-mail: format@caucasus.net

ვაჟა-ფშაველას პრ.45 მეტრო „დელისი“ კინო. „სოფლელი“ მე-3 სართ. ოფისი 15



ფირმა „ვიატკა“



შეგიკეთებთ და დაგიმონტაჟებთ „ვიატკას“ და „ვიატკის“ ტიპის უცხოურ სარეცხ მანქანებს

გარანტიით, შეღავათიან ფასებში

გამოძახება და კონსულტაცია უფასოა

პეიჯერი 30-69, 67-74 ტ. 98-50-52, 30-84-41, 877-41-17-78



30-71-70; 30-36-99 შ.პ.ს. „ჩიხურა“

877-404-279; 877-407-520

ღვთის ნაკეთობათა საამქრო

# ცხენირემი — გეოგრაფიული რუკა



იულიუს ფრომბერგი ბრაკონიერი იყო. ერთხელ, იაპონელი ტურისტების დაკვეთით უზარმაზარი ცხენირემი მოკლა. ძლივს მიათრია ნადავლი სახლამდე. გადაწყვიტა, ტყავი იაპონელი ტურისტებისათვის, ხოლო ხორცი თავისი მეგობრისათვის, პატარა რესტორნის მეპატრონისათვის მიეცა. როცა ცხენირმის გატყავება დაიწყო, მოულოდნელობისაგან გაშეშდა — ტყავის შიდა მხარეს გარკვევით გამოჩნდა მუქი ლურჯი მელნით (ან ტუშით) შესრულებული იმ რაიონის რუკა, სადაც ცხოველი იქნა მოკლული. რუკაზე გარკვევით იკვეთებოდა სარკინიგზო და სამანქანო გზები, დასახლებული პუნქტები, მდინარეები და ტყეები. ყველაფერი ზედმიწევნითი სიზუსტით იყო დატანილი — 1:50.000 მასშტაბში.

მეორე დღეს, ფრომბერგს პოლიცია მიადგა. როგორც ჩანს, ერთ-ერთმა ამხანაგმა გასცა ბრაკონიერი. ფრომბერგი დააპატიმრეს, ხოლო რუკა მეცნიერებს გადაეცათ გამოსაკვლევად.

*ნა გრანი ნევოზმოჟნოგო* №20

# სარგასის ზღვის საიდუმლო

ძალიან გემი და თვითმფრინავი უკვალოდ იკარგება ბერმუდის ცნობილ სამკუთხედში. დიდი ხანია, ცდილობენ ამ მოვლენის ამოხსნას და აი, სულ ახლახან საიდუმლოს ფარდა აეხადა. ავსტრიელი მეცნიერი რიჩარდ სილვესტრი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ყველაფერში დამნაშავეა სარგასის ზღვა.

ოკეანოლოგის აზრით, ბერმუდის სამკუთხედში წარმოქმნილი უზარმაზარი მორევის (20.000ტ წყალწყვის გემებსაც რომ ითრევს) სათავე სარგასის ზღვაა, რომელიც ათასობით მილითაა დაშორებული „ეშმაკისეული სამკუთხედიდან". როგორც გაირკვა, მოტრიალე წყალქვეშა დინების ცენტრში თავს იყრის მილიონობით ტონა წყალმცენარე და სწორედ ეს მოვლენა ქმნის საშინელ „ცენტრიფუგას" — ბერმუდის ბუნებრივ ურჩხულს.

თვითმფრინავების დაღუპვასაც მოეძებნა ლოგიკური ახსნა. წყლის ტრიალით წარმოქმნილი „მინი-ციკლონი" აგრძელებს სპირალისებურ მოძრაობას და თან ითრევს ყველაფერს, რაც კი ამ უზარმაზარი ძაბრის ზევითაა.

*ორაკული* №19

# სახლიც ამას მიქვია!

ენ ასერის საცხოვრებელი სახლი ხანძარმა ფერფლად აქცია. მისი ახალი სახლი პატარა ქალაქ ბენოს ნამდვილი ღირსშესანიშნაობაა, კოპწიად რომ წამომართულა ტბის სანაპიროზე. ამ სახლმა ბევრი იფრინა და ბოლოს „მიწაზე დაბინავდა".



53 წლის ენ ასერი პატარა ვაგონის ყიდვას ფიქრობდა. მასში ცხოვრებას აპირებდა, მაგრამ მისმა ნათესავმა, რომელიც აეროპორტში მუშაობდა დისპეტჩერად, ურჩია ეყიდა ჩამოწერილი „ბოინგი-727".

ენს ეს აზრი მოეწონა. სხვას ვის შეეძლო ეამაყა ასეთი არაორდინარული „კოტეჯით"? მალე „ბოინგი" აეროდრომიდან უკანასკნელად აფრინდა და ენის სამფლობელოში დაეშვა.

ეს ყველაფერი ენს 6.000 დოლარი დაუჯდა, გადაკეთებას (ელექტროგაყვანილობა, წყალი და ა.შ) 25.000 დოლარი დასჭირდა. ეს ამერიკაში ძალიან იაფია. საცხოვრებელი ფართობი „თვითმფრინავ-საცხოვრებელი" სახლისა 130 კვმ-ია. იგი არ იჟანგება, არ საჭიროებს გათბობას (თერმოიზოლაცია 50 გრადუს ყინვაზეა გაანგარიშებული). ფენომენალური ნაგებობა ყველას ალაფრთოვანებს. ენს ახალი იდეა აქვს, — ფიქრობს, „ბოინგს" მიაშენოს გარაჟი და ზამთრის ტერასა.

*სკანდალი* №13

# შვეიცარიელმა მესაათეებმა სამუშაოდ ჭიანჭველები მიიწვიეს

თითქოს ენტომოლოგებს არაფერი უნდა ესაქმებოდეთ საათების წარმოებასთან. მიუხედავად ამისა, შვეიცარიის ჯიბის საათების ფირმამ ექსპერიმენტისათვის სამუშაოდ ენტომოლოგი მიიწვია, რომელსაც დაავალა თავისი პროდუქციის გამენდა და დაზეთვა უახლოესი ტექნოლოგიით. მას ამ საქმეში ჭიანჭველები უნდა გამოეყენებინა. ჭიანჭველის მჟავის ბილიკით მწერები საათის მექანიზმისაკენ მიეშურებიან, თან გზადაგზა ასუფთავებენ ყველა დეტალს. როგორც ენტომოლოგი მაქს ფრიუ გვარწმუნებს, ჭიანჭველები ადამიანებზე უფრო კეთილსინდისიერად მუშაობენ. საათებიდან მათი გამოყვანა უადვილესი საქმეა. — საკმარისია ერთი წვეთი სპეციალური არომატული ნივთიერება, რომელიც მწერებს სექსუალურად ალაგზნებს და ისინი მისკენ მიისწრაფიან.

*პოსლედნიე ნოვოსტი* №327

# ჩიჩოლინა არ ბერდება



*46 წლის ჩიჩოლინა (ილონა სტალერი) ევროპის ყველაზე ცნობილი და პოპულარული პორნოვარსკვლავია.*

გთავაზობთ მის ინტერვიუს:

— **როგორ არის თქვენი სასამართლოს საქმე ყოფილ ქმართან?**

— რომის სასამართლომ ჩვენი პატარა ლუდვიგი მამას არგუნა, მაგრამ ჩემმა ადვოკატმა სარჩელი შეიტანა. უკვე 5 წელია, რაც ჩვენი პროცესი მიმდინარეობს და უამრავი ფული დავხარჯე.

— **როგორ გგონიათ, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ნილადობილა?**

— 9 წელი. მანამ ლუდვიგი 14 წლის არ გახდება. ის თვითონ აირჩევს დედასთან იცხოვროს თუ მამასთან. მაგრამ, ბავშვს უკვე უნდა ჩემთან დარჩენა. მე არა ვარ წინააღმდეგი, რომ მამა ნახოს ხოლმე, მაგრამ მარტო აშშ-ში ვერ გავუშვებ, მე კი ვიზას არ მაძლევენ.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ ამერიკული მორალით, მე მეძავი ვარ.

— **იქნებ მოახერხოთ ქლინთონი მოხიბლოთ. თუ ბოლო სკანდალებით ვიმსჯელებთ, აშშ-ის პრეზიდენტი არც ერთ კაბიანს არ უშვებს ხელიდან...**

— არ მგონია, რომ ქლინთონი ასეთი სექსუალურია. არასოდეს ვიფიქრებ მასთან ლოგინში ჩაწოლას.

— **8 წლის წინ სადამ ჰუსეინთან აპირებდით ურთიერთობას, თუ ის ქუვეითიდან ჯარს გაიყვანდა.**

— ღმერთმა დამიფაროს. კი ვთქვი, მაგრამ ეს ისე... მასთან ყოფნა? არა, ბატონო.

(ჰოდა, ენდე ახლა ამის შემდეგ ქალებს!)

— **რუსი პოლიტიკოსებიდან, თქვენი აზრით, რომელია ყველაზე სექსუალური?**

— რუსეთში საერთოდ არ არიან სექსუალური პოლიტიკოსები. ერთი მაინც რომ იყოს, აქამდე შევამჩნევდი.

— **გენერალ ლებედს არ იცნობთ?**

— ეგ ვინ არის?

— **გასაგებია.**

— სამაგიეროდ, ჟირინოვსკის ვიცნობ, შევხვედრივარ და...

— **რის შემდეგაც თქვა, რომ თქვენ ისეთივე სექსუალური ხართ, როგორიც ბებიამისი, არა?**

*ექსპრეს-გაზეტა* №26

# ინგლისურის ცუდად ცოდნა დაეხმარა

30-იანი წლების ბოლოს ერთმა ფრანგმა მელვინემ ოლივიე ტურნომ იგრძნო, ომი ახლოვდებაო და ამერიკაში გადასვლა გადაწყვიტა. იქ ფირმის დაარსება უნდოდა. სკეპტიკოსები ურჩევდნენ, სამარკო ღვინოები იქ არ გასაღდებაო, მაგრამ საქმე თანდათან წარმატებით მიიწევდა წინ და 10 წლის თავზე თავისი ფირმის პირველი იუბილე დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა. კითხვაზე, თუ რა პირადი თვისებები დაეხმარა მას, უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის დროს, ასეთი წარმატება რომ მოეპოვებინა, მიუგო: ამერიკაში გადმოსვლის შემდეგ ძლივს ვისწავლე ინგლისური ენა, კითხვა კი სულ არ ვიცოდი. რამდენიმე წლის მანძილზე გაზეთი ხელში არ ამიღია და ამიტომ კრიზისის შესახებ არაფერი ვიცოდიო.

*ნედელია* №24

# ამბორი ეკრანზე



## ილენი და კრუზი

— ფილმის გადაღების დაწყების წინ ცოლი რომ არ მყოლოდა, ალბათ, მარსი უოლკერს დავუკავშირებდი ბედს, — აღიარებს სერიალ „სანტა-ბარბარას" გმირი, კრუზის როლის შემსრულებელი ეი მარტინესი, რომელიც აღფრთოვანებით ლაპარაკობს თავის მომხიბლავ პარტნიორ იდენზე.

ჩვენ ძალიან დავახლოვდით, მიუხედავად იმისა, რომ რომანი არ გვქონია. ცოლისთვის ფიზიკურად არ მიღალატია, თუმცა გაორებული გრძნობა მქონდა. ჩემი მეუღლე ლესლი კარგად ხედავდა, რომ ჩემსა და მარსის შორის ხშირად იშლებოდა ზღვარი, ვიბნეოდი, არ ვიცოდი, ვინ ვიყავი. ეს არცაა გასაკვირი. 8 წლის განმავლობაში მე და მარსი სულ ერთად ვიყავით, თუმცა ცოლს ვამშვიდებდი, რომ ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვიყავით. მაგრამ ამდენი ალერსით შეუძლებელი იყო, გრძნობა არ გამჩენოდა და ეკრანზეც ამიტომ ვიყავით ბედნიერნი. დღემდე მარსი ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

## დენიელი და ქრისთლი

— სუპერსერიალი „დინასტია" საკმაოდ ძვირადღირებული ფილმია და ამიტომ მსახიობებს „თამაშის" უფლება არ გვქონდა, — იგონებს ქრისთლის როლის შემსრულებელი ლინდა ევანსი.

რაღაც ეტაპზე ფილმში შევხვდი ახალგაზრდობის სიყვარულს დენიელ რისს, რომელსაც შესანიშნავი მსახიობი როკ ჰადსონი ასრულებდა. მახსოვს, ილებდნენ სასიყვარულო სცენას, რომელშიც გმირებს ერთმანეთისთვის ვნებიანად უნდა ეკოცნათ. მე მთლიანად შევიჭერი როლში, მაგრამ მოულოდნელად როკმა მოკუმა ტუჩები და მხოლოდ კოცნის იმიტაცია შეასრულა. გამიკვირდა, თან ცოტათი მეწყინა კიდეც — რას იზამ, თუ არ გინდა მაკოცო, მაშინ მეც „ვითამაშებ"-მეთქი.

მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გავიგე, რომ ასეთი საქციელით როკი მე გამიფრთხილდა. მას თურმე შიდსი ჰქონდა და არ უნდოდა მისი სიკვდილის შემდეგ შიშნარევი ეჭვით მეცხოვრა.

## „მერჩივნა, ჰიტლერისთვის მეკოცნა..."

ალბათ, გახსოვთ ფილმი „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან" და მისი ცნობილი გმირები, შეუდარებელი მერილინ მონრო და ტონი კერტისი. შეუძლებელია მათი ხანგრძლივი, ვნებიანი კოცნის დავიწყება. სინამდვილეში კი, კოცნა სიყალბე აღმოჩნდა. გადაღების მერე ორივე იფურთხებოდა. ასე მეგონა, საფერფლეს ვლოკავდი, — განაცხადა მერილინმა. ტონიმ მშვიდად დასძინა, — სცენარი რომ არა, მერილინის კოცნა აზრადაც არ მომივიდოდა, მერჩივნა, ჰიტლერისთვის მეკოცნაო.

## ქოსთნერმა კოცნა იცის!

უითნი ჰიუსთონი თავის „მცველ" პარტნიორს ქევინ ქოსთნერს ძალიან აგდებულად იხსენებს: — იქნებ ვინმესთვის ქევინი სექს-სიმბოლოა, მაგრამ ჩემთვის მისი ალერსი აუტანელი იყო. კოცნა კი კარგი იცის, მაგრამ ახლაც გული მერევა, მისი ოდეკოლონის სუნი რომ მაგონდება.

*ექსპრეს-გაზეტა* №27

# პავაროტის ბრალს სდებენ ცხენების უფლებების დარღვევაში

პავაროტი აპირებს მოაწყოს დოღი იტალიის ქალაქ მოდენაში წინაღობების გადალახვით. „ეს ცხენებისათვის უჩვეულო მოქმედებაა", — აღშფოთდნენ ქალაქის მამები და პავაროტის ღია წერილი გაუგზავნეს, რომელშიც ნათქვამია, რომ არავითარი საქველმოქმედო მიზანი არ ამართლებს ცხოველის უფლებების დარღვევაზე აგებულ შოუს.

*ნედელია* №24

# ასოციაცია



***თარაზულად:*** 7. სათაფლია; „მილიონი წელი ჩვენს ერამდე". 8. ბოლმა, შური; 9. ცირკი, ხტუნაობა. 10. ეკლესია, კრება; 11. უფლისციხე, დავით გარეჯი; 14. კანი, სან-რემო; 15. აჭარა, ყარაბახი; 18. გამზირი, ბუკლეტი; 20. ფაბრიკა, ქარხანა; 24. ერითროციტები, ლეიკოციტი; 25. ოლიმპიადა, ავსტრალია; 26. „ძაბრი", ვულკანი; 27. ჰერა, იზიდა; 28. პოტიომკინი, გაბაშვილი.

***შვეულად:*** 1. განძი, კრეზი; 2. მკერდი, თეთრეული; 3. სასწორი, მშვილდოსანი. 4. „გაამოთ", „სამსახურებრივი რომანი"; 5. „ძმაო", მარიო ზაგალო; 6. ზურიკელა, ილიკო; 12. ბეთჰოვენი, ჩაიკოვსკი; 13. ბალჩა, კიტრი. 16. კევი, „ბალიში"; 17. ფიშერი, გაფრინდაშვილი; 19. სინამდვილე, სიმართლე; 21. „ჯელსელი", აბონენტი; 22. პოსეიდონი, ჰერმესი; 23. პლუტო, მიკი მაუსი.

გოგა ჩანადირი, 1998

© თბილისი, 1997

## წინა ასოციაციის პასუხები:

***თარაზულად:*** 5. ავტოკეფალია; 9. ჭუჭყი; 10. მალარია; 11. ქსოვა; 16. ფლოტი; 17. მავთული; 18. სახლი; 21. იმპორტი; 22. „პოლიოტი"; 23. პროთეზი; 24. მალაზია; 28. კარლო; 29. ანანური; 30. წნეხი; 33. კბილი; 34. გრანელი; 37. ტვინი; 38. კონსტანტინე.

***შვეულად:*** 1. ლატვია; 2. გოგია; 3. ჯართი; 4. ქალაქი; 6. მუცელი; 7. ჯალათი; 8. წვრილი; 12. „სტიმორროლი"; 13. პარტიზანი; 14. კლეოპატრა; 15. ბახტრიონი; 19. ჩორთი; 20. გირაო; 25. გალობა; 26. ანბანი; 27. თხოვნა; 31. „რიბოკი"; 32. სტერეო; 35. რუსი; 36. ლიფტი.

*რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის, ნიკოლოზ II-ისა და მისი ოჯახის მრავალტანჯულმა ძვლებმა, როგორც იქნა, უამრავი ექსპერიმენტისა და დავა-კამათის შემდეგ, სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა რუსეთის იმპერიის ძველ სატახტო ქალაქში. რუსეთი ცოდვას ინანიებს უდანაშაულო სისხლისღვრისთვის, ხელაღებით სდებს ბრალს უშუალოდ ნიკოლოზ II-ის ჯალათებს.*

*ამ ტრაგიკული ამბებისადმი დამოკიდებულება მაინც არაერთგვაროვანია. რუსეთის კულტურის მინისტრი, პეტერბურგის ისტორიული მუზეუმის ყოფილი დირექტორი (მუზეუმი 265 წლის წინ არქიტექტორ ტრეზინის მიერ აგებულ პეტრე-პავლეს ციხესიმაგრის, რუსეთის იმპერატორთა ძვალთშესალაგის ტერიტორიაზეა განლაგებული)* **ნატალია დემენტიევა** *ახლებურად აფასებს გარდასულ დღეთა მოვლენებს:*

— იმპერატორის უკანასკნელი გზა 1917 წლამდე ბევრად ადრე დაიწყო. რა ხანია, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ერთხმად გვარწმუნებენ, — 1918 წლის ივლისის ტრაგედიაში, რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ვერაგულ მკვლელობაში მხოლოდ ერთი მხარეა დამნაშავეო — ანუ ბოლშევიკები. რამდენი სიახლე შევიტყვეთ გამომძიებელ სოკოლოვის ჩანაწერებით, გამომზეურდა ლენინისა და სვერდლოვის საიდუმლო ბრძანებები, ჩეკისტების მხეცური საქციელი... გვარწმუნებენ, ეს სრული ჭეშმარიტებააო. მაგრამ არის კი ეს ერთადერთი ჭეშმარიტება?

დავუბრუნდეთ 1917 წლის თებერვალს და გავიხსენოთ, რა როლი ითამაშა რომანოვების ბედ-იღბალში თებერვლის რევოლუციამ, სახდუმის დროებითმა კომიტეტმა და დროებითმა მთავრობამ.

მონარქისტი ნ. სავიჩი თავის მემუარებში წერდა: „1916 წელი ძალზე არეულ-დარეული იყო, თითქოს უკანასკნელი იმედები ომის სასიკეთოდ დამთავრებისა, გვიცრუვდებოდა. ყოველ წუთს ველოდით კატასტროფას — არ ვიცი, მეფის მკვლელობას, არ ვიცი, აჯანყებას თუ საყოველთაო რევოლუციას".

რასპუტინის მკვლელობის შემდეგ, საზოგადოებრიობა ელოდა, რომ ნიკოლოზ II-ს თვალი აეხილებოდა. ერთნი გამოსავალს სახდუმასთან კონტაქტის დამყარებაში ხედავდნენ, მეორენი — მეფისაგან ელოდნენ სახელმწიფოს მართვის სადავეების ხელში აღებას, სხვანი (უმრავლესობა) საძულველი დინასტიის მიმართ რადიკალური ღონისძიებების გატარებას მოითხოვდნენ.

თებერვლის რევოლუციის წინ პოლიციის დეპარტამენტს უტყუარი მონაცემები ჰქონდა რევოლუციური შეთქმულების შესახებ. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ მსხვილი მრეწველები და პოლიტიკური მოღვაწეები — ა. კონოვალოვი, მ. ტერეშჩენკო, ა. კერენსკი, კ. ჩხეიძე და სხვები. დეპარტამენტმა შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდა შინაგან საქმეთა მინისტრს ა. პროტოპოპ-




ოვს და აღნიშნულ პირთა მიმართ ღონისძიებათა გატარება მოსთხოვა. საინტერესო ფაქტია, რომ მინისტრმა არ მისცა გზა აღნიშნულ საბუთს. მართალია, ქაღალდი მინისტრთა საბჭოს მეთაურს, თავად ნ. გოლიცინს გადაეცა, მაგრამ ავბედითი მოხსენება მის პორტფელში დარჩა. სწორედ ამ საქციელმა გაუკაფა გზა ნიკოლოზ II-ს გოლგოთისაკენ. დედოფალს, ალექსანდრა ფიოდოროვნას კარგად ესმოდა ყოველივე და მეუღლეს აფრთხილებდა, — ისინი სათითაოდ ჩამოგაშორებენ ერთგულ ადამიანებს და მოსპობენ, მერე კი ჩვენ მოგვდგებიანო. ასეც მოხდა.

ნ. გოლიცინმა იმპერატორის ხელმოწერილ ცარიელ ბლანკზე დაწერა ბრძანება — ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო სახელმწიფო დუმისა და სახელმწიფო საბჭოს აპრილის თვემდე დათხოვნის თაობაზე. კარს კი თებერვლის რევოლუცია მომდგარიყო. რა გააკეთა დუმის უხუცესთა საბჭომ? 27 თებერვალს, ბრძანებულების შესაბამისად, ქუდი დაიხურა და წავიდა. თუმცა, მანამდე სახდუმის დროებითი კომიტეტი აირჩია მ. როძიანკოს მეთაურობით. იმავე საღამოს მთავრობა გადადგა.

აი ასე, განგების ნებით, სახდუმის დროებითი კომიტეტი პირისპირ დარჩა მონარქთან და სწორედ მისი დაჟინებული თხოვნით იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს გადადგომის შესახებ თავისი და თავისი ვაჟის უფლისწულ ალექსის მაგიერ. ნიკოლოზ II-მ ტახტი ძმას — მიხეილს დაუთმო. იმპერიისათვის ამ უმძიმეს და ბობოქარ დღეებში, 1917 წლის 26 თებერვლიდან 3 მარტამდე, ა. გუჩკოვმა და ვ. შულგინმა თავისას მიაღწიეს — რუსეთის სამეფო ტახტი დაემხო. დიდი მთავარი მიხეილი ტახტს, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი დღე-ღამე ფლობდა. ფსკოვში მყოფი იმპერატორი გადადგომის წინა დღეებში აშკარად ხედავდა საყოველთაო

> კანონზომიერად ისმის კითხვა – რატომ არ გაუშვეს მეფის ოჯახი საზღვარგარეთ? მით უფრო, რომ როძიანკო თანახმა იყო. მაგრამ რომანოვების ბედს კ. ჩხეიძემ დაუსვა წერტილი: არავითარ შემთხვევაში! რომანოვებს საზღვარგარეთ 500 მილიონი ოქროს ფული აქვთ და ისეთ კონტრრევოლუციას მოგვიწყობენ, რომ ჩვენგან არავინ გადარჩება, იგი აქვე უნდა გავაუვნებელყოთო.

ღალატს — მას ზურგი აქციეს მინისტრებმა, დიდჩინოსანმა მოხელეებმა, არმიების მეთაურებმა, ნათესავებმაც კი. დიდი მთავარი კირილი (რომელიც უკვე ემიგრაციაში ყოფნისას მონარქის აღდგენას ლამობდა) წითელი ბაფთით დამშვენებული გამოცხადდა თავრიზის სასახლეში და... სწორედ მან უბრძანა ცარსკოე სელოს ალექსანდრეს სასახლის დაცვას, პეტერბურგს წასულიყო...

მიხეილმაც გასწირა ძმაც და ქვეყანაც — გადადგომა გამოაცხადა და რუსეთის ხალხებს დროებითი მთავრობის მორჩილებისაკენ მოუწოდა, იმ მთავრობის მორჩილებისაკენ, რომელმაც ბრძანება გასცა მეფის ოჯახის ყველა წევრის დაპატიმრებისა და ცარსკოე სელოში გამომწყვდევისა. 1917 წლის ივლისის დღეებში მთავრობამ მიიღო რომანოვების ტობოლსკში გასახლების გადაწყვეტილება, სადაც ისინი 1918 წლის 26 აპრილამდე დატოვეს...

დეპუტატთა საბჭომ, რომელშიც არც ერთი ბოლშევიკი არ შედიოდა, კატეგორიული უარი თქვა რომანოვების საზღვარგარეთ გაშვებაზე...

ძალაუფლება ბოლშევიკების ხელში გადავიდა. — სამეფო ოჯახის შესახებ გადაწყვეტილება ვერა და ვერ მიიღეს. მათთვის ყველა რომანოვი დაუძინებელი მტერი იყო, რევოლუციის, ხალხის მტერი (ნუ გგონიათ, რომ ტერმინები — „ხალხის მტერი", „კომისარი", „ბელადი", „პიროვნების კულტი" და ბევრი სხვა, კომუნისტებმა დაამკვიდრეს).

ოქტომბრის რევოლუციამდე იყო რამდენიმე მცდელობა რომანოვების გამოსახსნელად, მაგრამ დროებითი მთავრობა ფხიზლობდა. ბოლშევიკებმაც, პირველ რიგში, დაცვა გააძლიერეს. მერე და მერე რეჟიმი გაამკაცრეს, 26 აპრილს მეფის ოჯახი ტობოლსკიდან ეკატერინბურგში გადაიყვანეს, სადაც, 80 წლის წინ, 17 ივლისს, იპატიევის სახლის სარდაფში დახვრიტეს.

თითქოს დასრულდა მრავალტანჯული იმპერატორის ცხოვრების გზა. რამდენად მართებული იყო მათი დახვრეტა? 1917 წლის თებერვალში სამეფო დინასტია უკვე განვლილი ეტაპი იყო რუსეთის სახელმწიფოებრიობისათვის — მონარქის აღდგენის მომხრენი კანტიკუნტად თუ ჩანდა სადმე.

P.S. ვინ იცის, ეგებ სიკვდილის წინ იმპერატორმა გაიხსენა კორონაციის დროს წარმოთქმული სიტყვა, — ყველაფერი სისხლით დაიწყო და ვაითუ, სისხლითვე დასრულდესო. კიდევ ერთი უცნაური დამთხვევა: რომანოვთა დინასტიის პირველმა მეფემ, მიხეილმა 1613 წელს კოსტრომაში, იპატიევის მონასტერში დაიდგა გვირგვინი; რომანოვთა დინასტიის უკანასკნელმა მეფემ ნიკოლოზ II-მ სიცოცხლე ეკატერინბურგში, იპატიევის სახლში დაასრულა...

## ალენი 21 წელიწადი დუმდა!



ალენ დელონი და ლეგენდარული ჟან გაბენი უახლოესი მეგობრები იყვნენ. უცნაურია, მაგრამ ცინიკური, მაცდუნებელი კინოსახე სრულებით არ შეესაბამება ალენის რეალურ პიროვნებას — იგი ნატიფი, ერთგული მეგობარია, მზად არის, ახლობელს თავი შესწიროს.

ალენი 28 წლის იყო, გაბენი რომ გაიცნო — ეკრანის ცოცხალი ღმერთის, დიდი კინოვარსკვლავის „სოფლური გარეგნობის" მიღმა იმალებოდა ემოცია, თვითმყოფადი ნიჭი, გემოვნება, კეთილშობილება. ის თანამედროვე მითოსის გმირი იყო. ალენს თავიდან ეშინოდა კიდეც მისი სიახლოვისა. მაგრამ, სულ მალე ჟან გაბენი ალენის ძმა, მამა, მასწავლებელი და მეგობარი გახდა — თითქოს ერთი სხეულის და სულის ნაწილები იყვნენ, მხოლოდ გაბენს ანდობდა თავის საიდუმლოს ალენი, მხოლოდ იგი იყო მისი დამრიგებელი და ჭირის გამზიარებელი.

კინოშიც არაჩვეულებრივ დუეტს ქმნიდნენ. რა საოცარი ჰარმონია და ურთიერთგაგებაა ფილმებში „სიცილიური კლანი", „ორნი ქალაქში"...

ვინ იცის, კიდევ რამდენი შედევრი შეემატებოდა ეკრანს, გაბენი რომ არ გარდაცვლილიყო...

მისმა სიკვდილმა თავზარი დასცა ალენს...

ჟან გაბენის გარდაცვალებისთანავე გაზეთებში გამოქვეყნდა ცხედრის ფოტო სასიკვდილო სარეცელზე, — ნაღვლიანად იგონებს ალენ დელონი, — ვინ და როდის გადაიღო ეს სურათი? ვინ შეაღწია პალატაში? რომელმა ბილწმა გადაწყვიტა ამ ბინძური გზით ფულის შოვნა?

ფოტო რომ დავინახე, თითქოს ქვეყანა თავს დამექცა. ეს ფაქტი ჟანზე, მის ცხედარზე, მის დიდებაზე ძალადობის აქტად მივიჩნიე...

შემდეგ ალენმა საოცარი რამ ჩაიდინა. ფეხით მივიდა ნოიის ამერიკულ ჰოსპიტალში, აცახცახებული მიეჭრა საავადმყოფოს ადმინისტრაციას და საშინელი სკანდალი მოუწყო. სამი დღის განმავლობაში ჟანის ცხედარი ალენს და მის მძღოლს მორგიდან დილაუთენია გაჰქონდათ და უსაფრთხოების მიზნით ეკლესიაში მალავდნენ. გვიან ღამით აბრუნებდნენ და კარებს საგულდაგულოდ გმანავდნენ, რომ აღარავის გაებედა მისი სიკვდილის ქურდობა.

უჭირდა ამ საშინელი რიტუალის ჩატარება... ცხედარს რომ ვუახლოვდებოდი, ცრემლები მახრჩობდაო, — ამბობს ნაღვლიანად ალენი...

*დე ფიგარო მაგაზინი*

## ამერიკელთა ნაციონალური სასაფლაო არლინგტონში

ყოველ დილას, პირველ დაკრძალვამდე ნახევარი საათით ადრე, არლინგტონ ჰაუსზე დროშა სანახევროდ დაშვებულია, საღამოს კი ისევ აღიმართება. ყოველდღე არლინგტონის ნაციონალურ სასაფლაოზე უკანასკნელ გზაზე დაახლოებით 18 ყოფილ სამხედრო მოსამსახურეს აცილებენ. ზოგიერთ მათგანს ახლობლებსა და სასულიერო პირთან ერთად, საპატიო ყარაულიც მიჰყვება ხოლმე. ამ სასაფლაოზე 245 ათასი ყოფილი სამხედრო განისვენებს, აქ დაკრძალვის უფლება აქვთ მათი ოჯახის წევრებსაც. აშშ-ის კონგრესი ტერიტორიის 49 ათასი კვ მეტრით გაზრდას აპირებს, რაც დაახლოებით კიდევ 5 წელიწადს უზრუნველყოფს სასაფლაოს საჭირო ფართით.

ვაშინგტონში გარემოს დაცვის სისტემის მუშაკები წინააღმდეგნი არიან სასაფლაოს გადიდებისა, რადგან აუცილებელი გახდება ხეების მოჭრა. მათ პროტესტს არლინგტონის საისტორიო საზოგადოებაც შეუერთდა. მიაჩნიათ, რომ ამგვარი მექანიკური გაფართოების შემდეგ შესაძლოა, უკვე ჩვენი თანამედროვეების თვალშიც წაიშალოს გენერალ რობერტ ლის მამულის მნიშვნელობა.




გენერალმა ლიმ და მისმა მეუღლემ ეს მიწა ჯორჯ ვაშინგტონის გერისგან მიიღეს, მაგრამ სამოქალაქო ომის დროს სამხედროებმა ჩამოართვეს და უცნობი ჯარისკაცების სასაფლაოდ აქციეს. ომის დამთავრებიდან ათი თვის თავზე არლინგტონში უკვე 16 ათასი ერთნაირი საფლავის ქვა იდო.

ნაციონალურ სასაფლაოს, რომელიც სწორედ ვაშინგტონის მოპირდაპირედ, პოტომაკის მეორე ნაპირზე (ვირჯინიის შტატი) მდებარეობს, წელიწადში დაახლოებით 4,5 მლნ ტურისტი ათვალიერებს. მათი უმეტესობა აშშ-ის 35-ე პრეზიდენტის ჯონ კენედის, მისი მეუღლის ჟაკლინ კენედისა და ძმის — რობერტ კენედის საფლავის დასათვალიერებლად მიდის. პრეზიდენტის განსასვენებელი ადგილის საძებნელად მსჯელობა არ გამართულა, სიკვდილამდე 8 თვით ადრე, არლინგტონში მყოფ ჯონ კენედის უთქვამს, — აქ სამუდამოდ დავრჩებოდიო. არლინგტონის სასაფლაო ამერიკელთა ცხოვრებაში ბევრს ნიშნავს. უამრავ სამხედრო მოსამსახურეს სიკვდილზე ფიქრი უადვილდება, როცა იცის, რომ არლინგტონის სასაფლაოზე დაიკრძალება.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №118*

გეოქორი
მის.: აკურის ქ. №8. (სპორტის სასახლის უკან)
ოთ. 208
33-26-75
38-24-02
აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს ტექნიკური და სასმელი წყლის მისაღებად, ასევე არსებული ბურღილების აღდგენა-გაწმენდას. წინასწარ კონსულტაციებს გაგიწევენ უმაღლესი პროფესიული კადრები


ყველაზე იაფად!
გადაზიდავთ ავეჯს ან სხვა ტვირთს
თბილისი: 1 სთ - 8 ლარი
თბილისის გარეთ: 1 კმ - 70 თეთრი
გვყავს იაფად მუშა-მტვირთავები
ა/მ ГАЗ-53 ფურგონი
შეგვატყობინეთ თქვენი ტელეფონი პეიჯერზე 900(111) 9990. დაგიკავშირდებით 10 წუთში ან დარეკეთ
☎ 66-11-01

ფირმების რეგისტრაცია
რუსთაველის 22
ტელ: 99-86-09; 38-37-89 (საღამოს)

რესტორანი პირამიდა
▲ უგემრიელესი ქართული სამზარეულო
▲ უმაღლესი მომსახურება - ეგზოტიკურ ადგილას
გვეწვიეთ, კმაყოფილნი დარჩებით
მტკვრის მარჯვენა სანაპირო, თამარ მეფისა და ვახუშტი ბაგრატიონის ხიდებს შორის

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ელენ კანმა აღმოაჩინა დამოკიდებულება ადამიანის ხასიათსა და სიცილს შორის. ელენ კანი მრავალი წლის განმავლობაში შეისწავლიდა, მაგნიტოფონის ფირზე იწერდა და უსმენდა სასაცილო ამბებზე რეაქციის სხვადასხვაგვარად გამოხატვას. ბოლოს, ფსიქოლოგმა, იუმორის გრძნობით აღსავსე კაცობრიობა 6 კატეგორიად დაყო.

# ხასიათი და სიცილი



თუ თქვენ სასაცილო ამბის მოსმენისას:

1) გულიანად გადაიხარხარებთ — ე.ი. ბუნებამ ჯანსაღი ოპტიმიზმით, ახალგაზრდული სულით, ცხოვრების მიმართ ვნებიანი დამოკიდებულებით და ყველანაირი სიამოვნებისადმი ლტოლვით დაგაჯილდოვათ.

2) თუ ჩაიხითხითებთ — ე.ი. ნებისმიერი კომპანიის სული და გული ხართ, არ თვლით საჭიროდ, საზოგადოებას დაუმალოთ თქვენი ემოციები, ზომაზე მეტად თამამი ბრძანდებით.

3) თუ თქვენს სიცილს შეუძლია ყველას ხმა ჩაახშოს — ე.ი. თქვენ თავშეკავება გაკლიათ და შოუ-ბიზნესში კარიერის გაკეთების ყველანაირი შანსი გაქვთ.

4) ის, ვინც ჩუმად იცინის — წყნარი, მშვიდი, უპრეტენზიო ადამიანია. ადვილია მასთან ურთიერთობა. თუმცა, ხანდახან სხვის ნაკლს ან წარუმატებლობას დასცინის.

5) ის, ვინც კარგ ხუმრობაზე მხოლოდ გაიღიმებს, თავმდაბალია, სამართლიანი, მორცხვია და პატივს სცემს საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს.

6) ხოლო თუ არც ხარხარებთ, არც ხითხითებთ, არც იღიმით — ე.ი. ნორმალურად იცინით — მიეკუთვნებით იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც „კლასიკურად იცინიან". კეთილი ხართ, მომთმენი, თქვენთან მეგობრობა დიდი სიამოვნებაა.

მეცნიერებას ვერ აუხსნია, თუ რატომ იცინიან ადამიანები სხვადასხვანაირად. ერთი კი ნათელია, რომ ყველანაირი სიცილი სასარგებლოა: ამაგრებს ჯანმრთელობას და ახანგრძლივებს სიცოცხლეს, ვინაიდან სიცილის დროს კაჟდება იმუნური სისტემა, ორგანიზმში წარმოიქმნება სასარგებლო ქიმიური ნივთიერება, სიცილი განამტკიცებს გულსისხლძარღვთა სისტემას.

მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ 1 წუთი ჯანმრთელი სიცილი 10 წუთიანი აერობიკის ტოლფასია.

*ზდოროვიე №25*

## ხვრინავთ? გაისინჯეთ სისხლში შაქარი

მას, ვინც ძილში ხვრინავს, უდავოდ აწუხებს ქრონიკული დაღლილობა, ყურადღების კონცენტრირების დაქვეითება და ართმია. სუნთქვის შეფერხებისას ირღვევა შაქრის ცვლა, გლუკოზა კრიტიკულ ზღვარს აღწევს. პაციენტი საჭიროებს სპეციალურ მკურნალობას.

## მომავალი დედის ზედმეტი წონა პაწიას ავნებს

მომავალი დედები, რომლებიც ორსულობის პერიოდში სუქდებიან, უნდა იყვნენ ექიმის მუდმივი კონტროლის ქვეშ. ამ კატეგორიის ქალების 10% მანკიან ბავშვებს აჩენს.

## უძილობა საშიშია!

არაფერი არის ისე სასარგებლო ჯანმრთელობისთვის, როგორც ღამის ტკბილი ძილი. ამ „ორიგინალურ" დასკვნამდე მივიდნენ ჩიკაგოს უნივერსიტეტის მეცნიერები. მრავალწლიანმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ უძილობა დამღუპველად მოქმედებს იმუნურ სისტემაზე, აზიანებს ტვინის უჯრედებს, არღვევს ნივთიერებათა ცვლას, რაც გასუქებას იწვევს და ბოლოს, აჩქარებს ორგანიზმის დაბერების პროცესს.

*პოსლედნიე ნოვოსტი №27*

# სენსაცია კვების მეცნიერებაში

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 50-მა მეცნიერმა შექმნა ასოციაცია, რომელიც შეისწავლის სიამოვნებას, როგორც აქტს. რამდენიმე წლის დაკვირვების შემდეგ მათ ბრწყინვალე შედეგები მიიღეს. სიამოვნების მიღებას შეუძლია სტრესის ჰორმონის დონის — კორტიზოლის შემცირება და იმუნური სისტემის გამაგრება. კმაყოფილი ადამიანის სისხლში აქტიურდებიან უჯრედები, რომლებიც შთანთქავენ ყველანაირ ვირუსს, ხოლო ნერწყვში გამომუშავებული იმუნოგლობულინი გაციებასა და გრიპს ებრძვის.



პირველ რიგში, ასოციაციის მეცნიერები იკვლევენ ადამიანის ორგანიზმზე სიამოვნების სასარგებლო ზემოქმედებას — გემრიელ საკვებს. თურმე, არ არსებობს რესტორანში სადილობაზე უფრო ჯანსაღი და საამო პროცედურა, გემრიელი ნაჭრის მირთმევის შემდეგ, არ დაიწყოთ მასში შემავალი კალორიების თვლა, არ გაკიცხოთ საკუთარი თავი მსუნაგობისათვის, ეს გააქრობს მთელ თერაპიულ ეფექტს. თქვენი ორგანიზმი, მაშინვე, გამოიმუშავებს სტრესის ჰორმონებს.

ბავშვმაც კი იცის, რომ მარილი „თეთრი სიკვდილია", ზედმეტ მარილს ჰიპერტონია მოჰყვება. მეცნიერებმა კვლევის შედეგად დაასკვნეს, რომ 45 წლამდე მარილი რაციონში აუცილებელიც კი არის. გარდა ამისა, მამაკაცებს, რომლებსაც სისხლის წნევა აქვთ მომატებული, უმარილო დიეტა ინფარქტით დაავადების რისკს უზრდის... თუ გახდომა არ გინდათ, ნურც ტკბილეულს მოერიდებით. ნოყიერი სადილის შემდეგ მირთმეული შოკოლადი 30%-ით აუმჯობესებს აზროვნებას.

კოფეინი, რომელიც ზომიერი რაოდენობით არის ყავასა და ჩაიში, გუნებაგანწყობილებას აუმჯობესებს; მათი დადებითი მოქმედება 105 წუთი გრძელდება.

*პოსლედნიე ნოვოსტი №26*

# ნიახური გადაგვარჩენს...

ჯერ კიდევ ძველ დროში, ცნობილი ბერძენი მედიკოსი ჰიპოკრატე ურჩევდა ნერვებით დაავადებულთ, — ნიახური მიირთვით, საკვებადაც ამოა და წამლადაცო. ლეგენდაც არსებობს, მამაცმა ტრისტანმა და მშვენიერმა იზოლდამ რომ სიყვარულის ნექტარი შესვეს, ნიახურიც ერიაო.



ნიახური გამძლე მწვანილია: არც სიცხის ეშინია, არც სუსხის. იგი შეიცავს ცილებს, ნახშირწყალს, მინერალურ მარილებს, ეთერზეთებს, ვიტამინებს და აგრეთვე, შინაგანი სეკრეციის ჯირკვალთა მასტიმულირებელ ნივთიერებას. ნიახური უებარი საშუალებაა რევმატიზმის და ნაღვლის ბუშტის დაავადების დროს. ნიახურს უნიშნავენ ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დროსაც, როგორც საკვებს, რომელიც სიმაძღრის გრძნობას უჩენს „გოლიათს" და წონის დაკლებაში ეხმარება.

ნიახურით შეგიძლიათ გემრიელი და მარგებელი სალათები დაამზადოთ — ეს სახის ფერსაც გაგიუმჯობესებთ. ერთ რეცეპტს აქვე შემოგთავაზებთ: მოხარშეთ კარტოფილი, ვაშლი, ნიახური და სალათის ფურცელი, წვრილად დაჭერით, დაუმატეთ არაჟანი, მარილი, მოაყარეთ კამა და მიირთვით.

გახსოვდეთ, შარდ-სასქესო ორგანოების ზოგიერთი დაავადების, განსაკუთრებით, მწვავე ცისტიტის დროს ნიახური საგრძნობლად გააუმჯობესებთ მდგომარეობას — 200-200 გ დაჭრილ ნიახურს და ოხრახუშს დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, 2 საათი დააყენეთ, შემდეგ გაწურეთ და ნელ-ნელა შეექეცით.

*ოტდოხნი №28*

# დონორი მაიმუნები

ინგლისელმა ექიმებმა განაცხადეს, რომ 4 წლის შემდეგ დაიწყებენ ქალებისათვის საშვილოსნოების გადანერგვას. მედიცინის მიღწევები დედობრივ გრძნობას განაცდევინებს სიმსივნით დაავადებულებსაც, რომელთაც ქიმიური და სხივური თერაპიის შედეგად საშვილოსნო დაუზიანდათ. დონორები მაიმუნები იქნებიან.

ექსპერიმენტის დეტალები პრესისათვის უცნობია. მეცნიერები ამბობენ, რომ მსგავსი ოპერაციებისათვის ტექნიკური და ფსიქოლოგიური პრობლემების გარდა, საჭიროა მორალური და სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტა.

*ლიზა №26*

# გაუფრთხილდით ზურგს



შეხედეთ ამ ნახატებს და შეეცადეთ, ისე ადგეთ სკამიდან, როგორც აქ არის ნაჩვენები. ვისაც დიდი ხნის განმავლობაში უხდება ჯდომა, ხერხემლის გამრუდება ემუქრება. ამიტომ, გირჩევთ: ხშირად იცვალეთ პოზა, მოხერხებულად დაჯექით სკამზე, ადგომისას კი საიდაყვეს ან თეძოებს დაეყრდენით, წამოდექით და დაჯექით ნელა, რადგან მალებშორისი დისკოები ძალზე მგრძნობიარენი არიან და სწრაფი, მოულოდნელი მოძრაობით ადვილად შეიძლება მათი დაზიანება

*ოტდოხნი №27*

# ჯარა-ექიმის რჩევანი

**მომაჯადოებელი და მომხიბვლელი**

უფრო მომხიბვლელი რომ გახდეთ, ცოტა მეტი ყურადღება დაუთმეთ საკუთარ თავს.

**პომადა**

საერთო წესი: რაც უფრო მუქა პომადის ტონი, უფრო ბაცი მოჩანს სახის კანი. ყავისფერი პომადა სახის კანს მუქ ელფერს მატებს.

**შხაპი სახისათვის**

კვირაში ორჯერ პირი მინერალური წყლით დაიბანეთ. ის ასუფთავებს კანის ფორებს ოფლისა და ცხიმიანი გამონაყოფებისაგან. განსაკუთრებით, სასარგებლოა მინერალური შხაპი მგრძნობიარე კანისათვის, რომელიც ადვილად ღიზიანდება.

**საპნის მსუბუქი ქაფი არ მოგაცილებთ ნამზეურს**

ნამზეური სახე ადვილად არ დაჰკარგავს სინორჩეს, თუ მსუბუქად გავიწმენდთ. სასურველია, ვისარგებლოთ ქაფიანი საპნით და რბილი ჯაგრისით.

**ზეთი ტუჩებისათვის**

გამშრალ, დახეთქილ ტუჩებს პომადა ცუდად აჩნდება, ამიტომ, ყოველ დილით, მაკიაჟის გაკეთებამდე ნახევარი საათით ადრე საჭმელი ზეთი შეიზილეთ ტუჩებზე, მაკიაჟის გაკეთების წინ ხელსახოცით შეიმშრალეთ და ისე გადაისვით პომადა.

**როგორ გავიმაგროთ ფრჩხილები**

ფრჩხილების გასამაგრებლად ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ფრჩხილების დამუშავება ლიმონის ნაჭრით.

საკვებში კი A ვიტამინით მდიდარი პროდუქტები გამოიყენეთ — ნაღების კარაქი, რძე, ღვიძლი, კვერცხი და აგრეთვე, ჟელატინიანი კრემები.

**როგორ ვებრძოლოთ ჭორფლს**

თუ სახეზე ჭორფლი გაღიზიანებთ, შეგიძლიათ მოიცილოთ ბაბუაწვერას საშუალებით. მოამზადეთ ნახარში: ერთ მუჭა ბაბუაწვერას დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი და დატოვეთ 1 საათის განმავლობაში, გააცივეთ და დღეში რამდენჯერმე გაიწმინდეთ სახე.

**ნიღაბი:**

1 სუფრის კოვზი პურის ფქვილი გაქენით რძეში და ეს სქელი მასა დაიდეთ წინასწარ გაწმენდილ სახეზე, 5 წუთი გაიჩერეთ, და ჩამოიბანეთ ცივი წყლით. იგი კანს ჭიმავს და აახალგაზრდავებს.

**გავითეთროთ სახის კანი**

სახის კანის გათეთრებას ხელს უწყობს კიტრის წვენი ან ნიღაბი: ცოცხალი კიტრი გავხეხოთ და მიღებული მასა სახეზე დავიდოთ — თუ კანი მშრალია ან ნორმალური. თუ ცხიმიანი — მაშინ კიტრი გავწუროთ, ნაყენი 24 საათი გავაჩეროთ, დავუმატოთ იმავე რაოდენობის არაყი და ამ ლოსიონით დღეში ორჯერ გავიწმინდოთ სახე.

**როგორ ვუშველოთ ოფლიან ხელებს**

რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო, თუ ოფლიანი და ცივი ხელები გაქვთ. ამ პრობლემასთან საბრძოლველად გირჩევთ:

1) ხელები დაიბანეთ ჯერ ცხელი საპნიანი წყლით, შემდეგ კი გადაივლეთ ცივი წყალი.

2) კვირაში ერთხელ შეიზილეთ 10%-იანი ფორმალინიანი სპირტის ხსნარი.

3) ყოველდღე 3 ჭიქა თბილ წყალში გახსენით 1 ჩაის კოვზი ბორის მჟავა, დაუმატეთ რამდენიმე წვეთი თხევადი საპონი, კარგად აურიეთ და ამ ნარევში ყოველდღე ხელები 5-5 წუთი გააჩერეთ. შემდეგ ხელები არ შეიმშრალოთ, ისე შეიზილეთ გლიცერინი, მხოლოდ 5-7 წუთის შემდეგ გაიშრეთ თხელი ქაღალდის ხელსაწმენდით.

ღრძილების ელექსირი
მკურნალი სუმბამე®
მწვანე აფთიაქი „ვიხანა"
მცენარეული ნაყენი
პირის ღრუს და სასუნთქი სისტემის დაავადებების სამკურნალოდ
ნებადართულია ჯანდაცვის სამინისტროს ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ
№FT 0104

*მოთავსებულია 0,5ლ ჭურჭელში და დაცულია საფირმო ნიშნით
*ასუფთავებს ღრძილებს სისხლისა და ჩირქისაგან
*აქრობს უსიამოვნო სუნს და გემოს პირის ღრუში
*ამაგრებს და კვებავს ღრძილებს
*მკურნალობს და აკაჟებს ყელს
*წმენდს ბრონქებს ნიკოტინის დანალექისაგან
ნაყენი შეიცავს უნიკალურ, ეკოლოგიურად სუფთა მცენარეთა ნაკრებს და ნატურალურ ვიტამინებს.
მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №141, 9-18 სთ-მდე
დავით აღმაშენებლის გამზ. №115, 16-18 სთ-მდე (კვირის გარდა)

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებითა და აპარატურით. მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არა აქვს. გამოკვლევები და კონსულტაციები უფასოა.
მეცნიერებათა აკადემიის პოლიკლინიკა, კაბ. №21-ე (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

სამედიცინო ფირმა „იადიგარ დაუდი"
მკურნალობს შემდეგ დაავადებებს:
რადიკულიტი, იშიაზი, ოსტეოქონდროზი, ადენომა, თავის ტკივილები, ბრონქიალური ასთმა და სხვ.
მკურნალობის მეთოდი შემუშავებულია რ. ხომერიკის ბიორეზონანსის სარეაბილიტაციო ცენტრის მიერ.
მის: რუსთაველის 40, მე-2 სართ,
ტელ: 98-61-91 14-18 სთ-მდე
მექანიზაციის ჩიხი 1, მ. „დიდუბის" ზედა ამოსასვლელი, 10-13 სთ-მდე
პაციენტებს ღებულობს ლალი ბუღიაშვილი


სიახლე!!!
ვიბრომასაჟი
*სხეულის ფორმების კორექცია;
*ცხიმების, ცელულიტების სწრაფი დაშლა;
*ხავერდოვანი კანი.
ვიბრომასაჟის კაბინეტი „გრაცია"
მის: აკ. წერეთლის გამ. №103 (გამოფენასთან)
ტელ: 35-19-44; 34-69-41

ექსპრეს-დიაგნოსტიკა
აპარატის გარეშე 2 წთ-ში ხელით დაგიდგენთ ორგანიზმში მიმდინარე ძველ და ახალ დაავადებებს. მათ შორის, სიმსივნეს.
თქვენთან ერთად, სასურველია, შეამოწმოთ თქვენი შვილების ჯანმრთელობა, რათა დროზე დაადგინოთ დიაგნოზი. დიაგნოზის დადგენა შეიძლება 1 წლის ასაკიდან და ა.შ.
ჩემს მიერ დასმული დიაგნოზით გაკეთებულია მრავალი სასწრაფო ოპერაცია. შემოწმება ხდება კომპიუტერული წესით. დიაგნოზის დადგენის შემდეგ, ვმკურნალობ ბიოდენებით და ჩინური წერტილებით შემდეგ დაავადებებს: თავის ტკივილები, ბრონქიალური ასთმა, ალერგია, უნებლიე შარდვა ბავშვებში, ქალური დაავადებები (ფიბრომა, კისტა, პოლიკისტოზები, უშვილობა და სხვა.
„ფანასკერტელი", აღმაშენებლის 115, კაბ. 7.
იკითხეთ ნინო სისაური. ტელ: 61-61-18; 95-83-54

## რისთვის უნდათ ჩვენი ბავშვები კოსმოსელებს?

მრავალი ცნობა არსებობს უცხოპლანეტელების დედამიწაზე სტუმრობის თაობაზე. 1943 წელს 14 წლის გოგონა ერთი კვირით გაქრა. ხანამ იგი გონს დაკარგავდა, დაინახა ციდან დაშვებული კაშკაშა სვეტი... ერთი კვირის შემდეგ იგი დაბრუნდა. ასე განმეორდა კვლავ და ბოლო გაქრობის შემდეგ გოგონას აშკარად ფეხმძიმობის ნიშნები დაეტყო. მსგავსი მოვლენები არაერთხელ გადახდომიათ თავს სხვა ქალებსაც. კატარინა მაკი ყვებოდა: თვალნათლივ მახსოვს პატარა ნაცრისფერი კაცუნები, მათ დამიჭირეს ტყეში, კორდზე, წამიყვანეს თავიანთ ხომალდში, გამაშიშვლეს და მუცლიდან ამომიღეს ნაყოფი.



მე კი შემეძლო დამეფიცა, რომ ფეხმძიმედ არ ვარ-მეთქი. ეს, ალბათ, მაშინ, სამი თვის წინ მოხდა, როცა მომიტაცეს და ახლა თავიანთი ექსპერიმენტის შედეგი წაიყვანეს. ამერიკელი პროფესორის აზრით, კოსმოსელები ცდილობენ, შეცვალონ დედამიწელები რაღაც ახალი რასით და ამიტომ წარმოებს მიზანმიმართული სელექცია. დოქტორი უილსონი იმასაც მიიჩნევს დასაშვებად, რომ კოსმოსელები ამზადებენ ჩვენთან გამოსაგზავნ ადამიანებს. "ადამიანმა შეიძლება თვითონაც არ იცოდეს, ისე ჰქონდეს ფანტასტიკური, პარანორმალური ნიჭი. განა ჩვეულებრივ ადამიანს შეუძლია ისეთი ფოკუსების ჩვენება, როგორიც ვინმე ური გელერს? ამგვარი უნარი მხოლოდ უცხოპლანეტელთა წყალობა უნდა იყოს," — ასეთია ინგლისელი კრიმინოლოგის პროფესორ უილსონის აზრი.

*სკანდალი №13.*

## მკითხველთა თხოვნით

— როდის დგება 21-ე საუკუნე? ა.ა.

## 2000 თუ 2001 წელს?

**ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირებისას ერთი საინტერესო რეპორტაჟიც გადმოიცა. პარიზის ცენტრში დააყენეს ახალი, სრულიად განსხვავებული ელექტრონული საათი, რომელიც უკუღმა ტრიალებს და 21-ე საუკუნის დადგომამდე დარჩენილ წამებსა და წუთებს ითვლის. საათის მექანიზმი ისეა მოწყობილი, რომ 1999 წლის 31 დეკემბერსა და 2000 წლის 1 იანვარს შორის დროის მონაკვეთში ციფერბლატზე ნულები აკიაფდება, ე. ი. ახალი ათასწლეულის ათვლა ნული წუთიდან დაიწყება. მაგრამ, როგორც პულკოვოს ასტროფიზიკური ობსერვატორიის დროის მცველი ლუდმილა ვასილევა გვამცნობს — ფრანგები აჩქარებულან.**

ყოველი ასწლეულის დადგომის ჟამს საზოგადოებაში იწყება მღელვარება და რკვევა, მაინც როდის დადგა ახალი საუკუნე — 1700, 1800, 1900 (თუ უფრო ადრეული საუკუნეების) წლების 1 იანვარს თუ... 1701, 1801, 1901 წლების 1 იანვარს?

ახალი საუკუნის (თუ ათასწლეულის) მიჯნად „მრგვალი რიცხვის" მიჩნევა ფსიქოლოგიურად თითქოს უფრო გამართლებულია. ჩვენს ცნობიერებაში მყარად მოიკიდა ფეხი სტერეოტიპმა, რომლის თანახმად, ახალი ეპოქა „დაუწერელი" ფურცლებიდან იწყება ანუ ციფრიდან, რომელსაც ბევრი ნული აქვს. მაგრამ ზედაპირული ისტორიული ცოდნაც და მათემატიკური გაანგარიშებაც თვალსაჩინოს ხდის, რომ ძალიან ვჩქარობთ ჩვენს საუკუნეებთან განშორებას, რადგანაც ეს „საშინელი" XX საუკუნე მხოლოდ და მხოლოდ 2000 წლის 31 დეკემბერს დასრულდება.

კაცობრიობის ისტორია ძველი და ახალი წელთაღრიცხვით იყოფა. ამ ორ ერას კი ქრისტეშობა უდევს ზღვრად. ჩვენმა წინაპრებმა, ბუნებრივია, უმალ ვერ განსაზღვრეს, რომ ქვეყნიერებას ახალი ერა დაუდგა უფლის მოვლენით, ამიტომ რომაული წელთაღრიცხვით აგრძელებდნენ ცხოვრებას. ქრისტეშობიდან ახალი წელთაღრიცხვის დაწყება აზრად ბერ დიონისეს (არეოპაგელს) მოუვიდა.

ალბათ, მოსწყინდა 241 წელს დიოკლეტიანეს ხანაში ცხოვრება და მატიანეებზე დაყრდნობით, უშველებელი გამოთვლები ჩაატარა, რათა დაედგინა, რომ იესო ქრისტე 284 წლის წინ დაბადებულა. ასე რომ, დიოკლეტიანეს ერის 241 წელი ქრისტეშობიდან 525 წლად იქცა (284+241), რომელსაც შემდგომ დიონისეული ერა ეწოდა. მართალია, ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი საყვედურობს დიონისეს, რომ თავის გათვლებში 6-7 წლის ცდომილება დაუშვა, მაგრამ შეცდომა ვის არ მოსვლია ამქვეყნად...

აღსანიშნავია, რომ დიონისეს სიცოცხლეშივე კაცობრიობამ ახალი ათვლით დაიწყო ცხოვრება. მაგრამ პირველი ოფიციალური დოკუმენტები, დათარიღებული ჩვ. წელთაღრიცხვით, მისი გარდაცვალებიდან ორი საუკუნის შემდეგ ჩნდება. ახალი წელთაღრიცხვა ახალ რელიგიასთან ერთად ძალზე ნელა იკიდებდა ფეხს შემდგომ ქრისტიანულ ქვეყნებად აღიარებულ სახელმწიფოებში. ახალი ერის „მამამ" მისი აღრიცხვის პირველ დღედ 1 იანვარი დაანესა. როგორც ჩანს, უძველესმა ტრადიციამ იჩინა თავი — სწორედ ამ დღეს იკავებდა თანამდებობას ყოველი ახალმოსული რომაელი კონსული. ქრისტეს დაბადება კი ერთი კვირით ადრე, 25 დეკემბერს აღინიშნებოდა. ახალი ერის პირველი საუკუნე თეორიულად პირველი წლის 1 იანვარს, ნულ საათზე უნდა იწყებოდეს. დაუმატეთ მას ასი წელი — საუკუნის ხანგრძლივობა და რას მივიღებთ? მეორე საუკუნე 101 წლის 1 იანვარს დაწყებულა. ამის ანალოგიით ადვილად მტკიცდება, რომ 21-ე საუკუნე 2001 წლის 1 იანვარს დადგება. არეულობას სწორედ იმ ნულოვანი წლის არარსებობა იწვევს, რომლითაც ახალი ერის ანუ ჩვ. წელთაღრიცხვის დასაწყისის ისტორიულ მოვლენებს ვაანალიზებთ. ასე რომ, რაიმე უძველესი თარიღის აღნიშვნისას შეიძლება კაზუსიც მოგვივიდეს. მაგალითად, 1930 წელს აშშ-ში ვერგილიუსის დაბადების 2000 წელს აღნიშნავდნენ. იგი ძვ. წელთაღრიცხვით 70 წელს დაბადებულა. ჩვენი გამოთვლით კი, დიდი რომაელი პოეტის დაბადების 2000 წლისთავი 1931 წელს შესრულდებოდა. ასევე არასწორად იზეიმეს ძველი წელთაღრიცხვით 65 წელს დაბადებული ჰორაციუსის 2000 წლისთავი 1935 წელს.

**მაშ ასე — 21-ე საუკუნე 2001 წლის 1 იანვრიდან (ანუ 2000 წლის 31 დეკემბრის 24სთ-დან) შემობრძანდება.**

## სტრადივარიუსის საიდუმლო ამოიხსნა

დალასის უნივერსიტეტის ქიმიკოსმა ჯოზეფ ნაგივარიმ ამოხსნა სტრადივარიუსის ვიოლინოს ბრწყინვალე ჟღერადობისა და გამძლეობის საიდუმლო.



თურმე დიდი ხელოვანის ვიოლინოები დამზადებულია ნეკერჩხლისაგან, რომელიც გაჟღენთილია მარილწყლითა და ხილის წვენით. მაგრამ ყველა ნეკერჩხლის ხე არ გამოდგება ვიოლინოს დასამზადებლად. ინსტრუმენტისთვის საჭირო მასალა უსათუოდ ხშირი ნეკერჩხლის ბებერ ტყეში უნდა ვეძებოთ, სადაც, სინათლის საოცარი ეფექტის წყალობით, ხეები მაგარი და ჟღერადი ხდება.

ნაგივარიმ ამგვარი ხის ნაჭერი მარილწყლითა და ყურძნის წვენით გაჟღინთა და შენიშნა, რომ მასში გაქრა ზოგი სახის ჰემიცელულოზა — ნივთიერება, რომელიც ამძიმებს ხეს.

*პარი მატჩი №2563*

## რედაქციაში წერილი მოვიდა

## სად არის ახლა ის გრიგალი?

სოხუმიდან ლტოლვილი გახლავართ. ახლა, როცა გალელი ლტოლვილები საბავშვო ბაღებს თვითნებურად იკავებენ, ჩემი თბილისში ჩამოსვლის ამბავი გამახსენდა და მინდა მოგითხროთ იმ უცნაურ, ამოუხსნელ (ჩემთვის და ჩემიანებისათვის) მოვლენაზე, აქ რომ შემემთხვა.

გამწარებულმა, შეურაცხყოფილმა, დათრგუნულმა, როგორც იქნა, თბილისს მოვაღწიე. ვერაზე ერთი ძველი, ორსართულიანი სახლის მიტოვებულ ბინაში შევედი ოჯახითურთ უნებართვოდ და დავფუძნდი. ცოტა ხანი გავიდა და ერთ დღეს ფოსტალიონმა გერმანიიდან წერილი მოგვიტანა — დისშვილი წერდა თავის დეიდას, ან გარდაცვლილ ბინის პატრონს. გული მომიკვდა, იმ დღესვე მივწერე პასუხი, დეიდათქვენი გარდაიცვალა, ჩვენ კი, უსახლკაროებმა მის სახლში დავიდეთ ბინა-მეთქი. წერილი გავგზავნე, მაგრამ იმავე ღამეს უცნაურზე უცნაური ამბავი მოხდა. დამესიზმრა, თითქოს კედლის საათზე პატარა გოგონა იჯდა. საათის ისრები ხან ჩერდებოდა, ხან გამალებით იწყებდა სვლას. გამეღვიძა, ვიგრძენი, მთელი სხეული დაბუჟებული მქონდა. თითქოს დამბლა დამეცაო. ხელს ვერ ვანძრევდი, პირი გამიშრა, მომეჩვენა თუ რა იყო, არ ვიცი — თავი მკვდარი მეგონა. საათის წიკწიკი მესმის, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ელექტროდენი მირტყამს, შინაგან სიცარიელეს ვგრძნობ. ცოლი გავაღვიძე, ლამპა აანთე-მეთქი, ვთხოვე. მივხვდი, რაღაც უხილავი ძალა აშკარად უშლიდა ხელს, ნადი, დაწექი-მეთქი, ვუთხარი და ისიც ჩემდა გასაოცრად, მაშინვე საწოლში გამოიჭიმა.

ძლივს წამოვწიე წელი, გაჭირვებით ავანთე ლამპა და უცებ ჩემს საწოლთან რაღაც გრიგალივით დატრიალდა. ისევ დენმა დამიარა ძარღვებში, ფეხზე ველარ ვჩერდებოდი, ვერანაირ ახსნას ვერ ვუძებნიდი მომხდარს. უცებ თავში გამიელვა, გარდაცვლილი სახლის პატრონის გაბრაზებული სული ხომ არ მეწვია, მისი სახლის მყუდროება რომ დავარღვიეთ უნებურად?

ღმერთს ვუხმე, ვევედრებოდი, დამიხსენი ამ განსაცდელიდან-მეთქი. ამაოდ... ჩემს ოჯახს კი სალათას ძილით ეძინა...

გამახსენდა, სადღაც, კარადაში სოხუმიდან წამოღებული ნაკურთხი წყალი ედგა ჩემს ცოლს ბოთლით. ლამპით ხელში, ბარბაცით დავიწყე ბოთლის ძებნა. კარადიდან გამოვიღე, მაგრამ ანგარიშმიუცემლად ისევ უკან შევდგი. ეს რამდენჯერმე განმეორდა; როგორც ჩანს, გონებაც დაბინდული მქონდა, ველარ ვხვდებოდი, რას ვაკეთებდი. ის რაღაც კი, უცნაური, გაუგონარი, საშიში გარს მივლიდა, ბუქნავდა და ცეკვავდა. სახომიხდილმა, როგორც იქნა, ერთი ყლუპი მოვსვი და — გული საგულეს ჩამიდგა, დავმშვიდდი, კანკალმა გამიარა, პირზე წყალი შევისხი და... ირგვლივაც სიმშვიდემ დაისადგურა.

ოთახში ნაკურთხი წყალი მოვასხი და გრიგალი ჩაწყნარდა, გაქრა. უფრო სწორად, კი არ გაქრა, გარეთ გადაინაცვლა. მესმოდა, როგორ ეხეთქებოდა კედლებს და... ველარ მწვდებოდა.

გარწმუნებთ, ეს არ იყო სიზმარი, არც ზღაპარი.

მეორე დილას ნათესავებთან გადავბარგდით, მალე კი თბილისის სულ სხვა უბანში დავიდეთ ბინა. ვერაზე მდგარ იმ ორსართულიან სახლს დღემდე გვერდს ვუვლი, ახლოს არ ვეკარები...

## რას გვეტყვით, ვარსკვლავებო!

20 — 26 ივლისის ასტროლოგიური პროგნოზი




### ვერძი

ძალიან გინდათ, ახლობლებს დაეხმაროთ და ცხოვრება გაულამაზოთ, მაგრამ საამისოდ ახლა შეუფერებელი დროა. არ აჩქარდეთ, იყავით დინჯი. ორშაბათს ახლობლებთან კამათი მოგივათ. თავი ბუნებას შეაფარეთ, მისი მშვენიერებით დატკბით.




### კურო

დიდი ომის გადახდა მოგიწევთ. ნუ ეძებეთ დამნაშავეს, — მდგომარეობას ვერ გამოასწორებთ. ეცადეთ, თქვენ თვითონ შეიცვალოთ. თუმცა ამას დრო სჭირდება. შეიკავეთ თავი, ნუ აყვებით ჭორებს.




### მარჩბივი

ჩამოდით ციდან, მეტი პრაქტიკულობა გმართებთ. ამ კვირას ბევრი სიახლე გელით. ოჯახურ საქმეებს დიდი დრო დაუთმეთ. ახლობლები გაფასებენ. კვირას სჯობს შინ დარჩეთ, თავი აარიდეთ პრობლემებს.




### კირჩხიბი

პრაქტიკული და ფინანსური საქმეები ბრწყინვალედ გამოგდით, თუ გაქვთ, ჩადეთ თანხა აქციებში... დაფიქრდით და კარგად გაანაწილეთ თქვენი კაპიტალი... კვირის ბოლოს დაისვენეთ.




### ლომი

სალამოობით ბევრი სამუშაო გელით, სამაგიეროდ, სასურველ ადგილებში იმოგზაურებთ. ოჯახის წევრებსა და ახლობლებს ხშირად მოეფერეთ, უთხარით, რომ გიყვართ ისინი. მათ თქვენი ყურადღება სჭირდებათ.




### ქალწული

გუნება-განწყობილება წარამარა გეცვლებათ... ნუ შეგეშინდებათ, ირგვლივ მყოფნი სწორად გაიგებენ თქვენს მდგომარეობას და მხარსაც დაგიჭერენ, შაბათს კი ინახულეთ საყვარელი ადამიანი, დაისვენეთ...




### სასწორი

ამ დღეებში თქვენს დიდ გარჯას შედეგი არ მოჰყვება... ოთხშაბათს შეგიძლიათ სათევზაოდ წახვიდეთ ან საყვარელ ადამიანთან ერთად რესტორანში გაატაროთ დრო. კვირა დღე მძაფრი ვნებებისა და სიყვარულის გაგრძელებას გიქადით.




### ღრიანკალი

თუ მიჯნურთან ყველაფერი მოაგვარეთ, კვირას ჯვარი დაიწერეთ. თუ დაოჯახებული ხართ, ნუ ჩქარობთ განქორწინებას. კვირის ბოლოს ყველაფერს მოაგვარებთ.




### მშვილდოსანი

მოინდომებთ, ქვეყნიერებას გააცნოთ თქვენი ახალი, საინტერესო იდეები. შეიძლება დაფარულმა ნიჭმაც მოულოდნელად იჩინოს თავი...




### თხის რქა

ამ დღეებში მეტი იშრომეთ ბაღში. დასახმარებლად ახლობლებიც მოიხმეთ, შეიძლება სასიამოვნო ნაცნობიც გაიჩინოთ. იყავით ყურადღებიანი, მომჭირნეობაც გმართებთ.




### მერწყული

ფრთები რომ გქონდეთ, უეჭველად აფრინდებოდით, თავისუფლებას ესწრაფვით, მაგრამ ფრთხილად, თქვენმა ფაქიზმა გრძნობამ ახლობლებთან ურთიერთობაზე უარყოფითად არ იმოქმედოს




### თევზები

ამ კვირას თქვენ და თქვენი ახლობლები „ერთ სულ და ერთ ხორც" იქნებით. მომავალიც ასეთ ჰარმონიულ ხასიათზე ააგეთ... კვირას დაეხმარეთ ახლობლებს... საღამო კი მეგობრებთან ერთად ბუნებაში გაატარეთ.

**გისურვებთ წარმატებებს!**


რკინის
კარების
დამზადება და
საკეტების შეცვლა
შეღავათიან ფასად.
ტელ: 66-26-50 ნოდარი

ფირმა „გარანტი-97"
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია – 10 წელი. 1 კვ.მ. ღირებულება – 3 ლარი 60 თეთრიდან

ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
☎ 63-05-26, 38-37-89

იაფად და ხარისხიანად!
დაგიმზადებთ:
ფარდა-ჟალუზს; ლითონის კარს — 300 ლარი; „გარმოშკას", 1კვ.მ — 80 ლარი; ჟალუზებს, 1კვ.მ — 80 ლარი; ფანჯრის უძრავ გისოსებს, 1კვ.მ — 50 ლარი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ — 250 ლარი; ავტოფარეხს.
მის: მუხიანი, მე-4 მ/რ მე-4 კორპ. ან წეცხბიძის ქ. №25
ტელ: 63-67-52; 39-38-20; 877-41-87-75

# ბერგმანი — ბედნიერების ძიებაში

ინგმარ ბერგმანი პურიტანულ ოჯახში გაიზარდა, სადაც სიძულვილი მეფობდა და სიტყვა „თავისუფლებას“ თითქოს ცხრა ბეჭედი ედო. სისასტიკემ ბიჭი სიცრუეს მიაჩვია, სულიერი მერყეობა მისი ხასიათის თვისებად იქცა, რომელიც ვერა და ვერ დაძლია. ბერგმანის ბავშვობის განცდები ბრწყინვალედ აისახა მის მრავალფეროვან შემოქმედებაში.

ქალი იყო ბერგმანის ცხოვრების ანი და ჰოე. მეცხრეკლასელმა პირველი „სექსუალური დანაშაული“ ჩაიდინა — თანაკლასელი ანა აცდუნა. ანას სესილია მოჰყვა...

სტოკჰოლმის უნივერსიტეტის 19 წლის სტუდენტი თეატრმა გაიტაცა. მალე მსახიობი შეუყვარდა, ოჯახი დატოვა და მასთან ერთად მოიარა მთელი შვედეთი. ცოტა ხნის შემდეგ ქალმა მიატოვა (ეს პირველი შემთხვევა იყო ქალის ღალატისა!) და ინგმარი ახალ საყვარელს აცემინა კიდეც. ბერგმანს მთელი სიცოცხლე უკვირდა, — რატომ დაუკავშირა იმ ქალმა თავისი ბედი „იმ კაცსო“...

სტოკჰოლმის ჰარმონიულ თეატრში დაიწყო მისი ჰარმონიული ცხოვრება: დადგა პირველი სპექტაკლი, პირველად შეირთო ცოლი — ელსა ფიშერი, ეყოლა პირველი ქალიშვილი ლენი, მისი სცენარის მიხედვით, გამოვიდა პირველი ფილმი, გადაიღო პირველი სურათი „კრიზისი“.

ელსა ფიშერი დასნეულდა და საავადმყოფოში მოხვდა. ინგმარმა დრო იხელთა და ცოლის მეგობარი ელენ ლუნდსტრემი დააფეხმძიმა, გაყარა ქმარს, თავადაც განქორწინდა და ელენი ცოლად შეირთო. სამი შვილი გაუჩნდათ.

მოჩვენებებისა და ოცნების სამყაროში გადასახლებული ბერგმანი ვერ უძლებს ბავშვების ხმაურს და გეტენბორგში მიდის. ცოლის ღალატი წესად იქცა.



იმდროინდელი სულიერი განწყობა გადმოსცა ფილმებში: „აწვიმდა ჩვენს სიყვარულს“, „მუსიკა წყვდიადში“, „წყურვილი“, „სიხარულისკენ“...

ერთ-ერთი ფილმის გადაღებისას შეუყვარდა რეპორტიორი, ქმარშვილიანი გუნ ჰაგბერგი. შეყვარებულებმა მიატოვეს ყველაფერი და თავი პარიზს შეაფარეს. ამ პერიოდმა შთააგონა „ცოლქმრული ცხოვრების სცენები“, „ასეთი რამ აქ არ ხდება“, „ზაფხულის თამაში“...

მალე გული გაუგრილდა გუნზე. მათი ქორწინება ვერც ვაჟის — ინგმარის — შეძენამ გადაარჩინა.

ბერგმანი სიახლეს ელტვის, რაღაცას ეძებს...

იქმნება: „ქალები ელიან“, „ზაფხული მონიკასთან ერთად“ და იწყება თავბრუდამხვევი რომანი კაბარეს ახალგაზრდა მსახიობ, მონიკას როლის შემსრულებელ ჰარიეტ ანდერსონთან. გუნმა არ აპატია ეს გატაცება. ბერგმანი გაკვირვებულია — რატომ მიბრაზდებიან ქალებიო, — მე ხომ დარწმუნებული არა ვარ, ვცოცხლობ თუ არა, მამაკაცი ვარ თუ არა...

რეჟისორი დიდხანს იკვლევდა გუნის გულისწყრომისა და წყენის მიზეზებს ფილმებში „სიყვარულის გაკვეთილი“, „ქალური ოცნებები“, „ზაფხულის ღამის ღიმილი“...

გუნის ავტოკატასტროფაში დაღუპვის შემდეგ გადაწყვიტა, ცოლს არ შევირთავო, მით უმეტეს, რომ ჰარიეტ ანდერსონს მისი ცოლობა არ სურდა. სამაგიეროდ, ბერგმანმა ჰარიეტი მსოფლიოში სახელგანთქმულ მსახიობად აქცია („მეშვიდე ბეჭედი“), თუმცა „ზაფხულის ღამის ღიმილში“ სრულიად ნორჩი ბიბი ანდერსონის ღიმილი არჩია...

დიდხანს ხიბლავდა ბიბი. ამიტომ შეიქმნა „სიცოცხლის სათავეები“, „სახე“ და სხვა.

კინოში გულწრფელობას ვერ მიაღწევ, — დაასკვნა სწორედ იმ პერიოდში ბერგმანმა და ახალი სიყვარული მუსიკის სამყაროში ჰპოვა. ცოლად შეირთო ცნობილი პიანისტი კები ლარეტეი.

სიყვარულმა გონება „დააკარგვინა“. გენიოსი ქმნის „ქალწულურ საწყისს“ (დაჯილდოვდა ოსკარით), „როგორც სარკეში“ (ოსკარი), „ზიარება“, „დუმილი“ (ოსკარი), „ამ ქალებზე რომ არაფერი ვთქვათ“. 1962 წელს შეეძინა საყვარელი ვაჟი დანიელი. მასაც უძღვნა ფილმი... დანიელმა თითქოს რეალურ სამყაროში დააბრუნა. წარმატებისგან გამოფხიზლებულმა გადაწყვიტა, საკუთარ გულწრფელობაში გარკვეულიყო. ეს კი საკმაოდ რთულია და დაძაბულ შინაგან დიალოგს მოითხოვსო. ბერგმანმა გარეთ გაიტანა „დიალოგი“, მაგრამ „მოჩვენებითი სამყაროსგან“ მაინც ვერ გათავისუფლდა და ლივ ულმანი შემოუშვა. ლივთან ერთად ტოვებს ყველას და ყველაფერს. მას უძღვნის კუნძულ ფორეს და ფილმს „პერსონა“. კუნძულზე დაიბადა ბერგმანის უსაყვარლესი ქალიშვილი ლინი (შარშან მამამისის „პალმათა პალმა“ მან მიიღო). ლივ ულმანი ბერგმანის მეორე „მე“ გახდა. 50 წელს გადაცილებულმა ბერგმანმა პირველად იგრძნო რეალურობის გემო, რომ მეუღლე — მეუღლეა, რომ სამუშაოს მოაქვს ფული და სხვა...

1971 წელს მეხუთე ცოლად შეირთო ინგრიდ ფონ როზენი. იგი სამი წლის წინათ გარდაიცვალა.

1983 წელს გადაიღო უკანასკნელი ფილმი „ფანი და ალექსანდრე“, რომლისთვისაც მიიღო „ოსკარი“, „სეზარი“ და ვენეციური ფესტივალის პრიზი. უკანასკნელ წლებს გენიოსი თავის კუნძულზე ატარებს, მთელი სულით და გულით მიენდო ლიტერატურას. ამჟამად ლივ ულმანი ემზადება ბერგმანის სცენარის მიხედვით ფილმ „ურწმუნოს“ დასადგმელად. გადაღება 2000 წლისათვის უნდა დამთავრდეს. ეტყობა, 80 წლისთვის ინგმარ ბერგმანი ახალ გამარჯვებას შეხვდება.

*ტვ პარკი №29*

# „სიყვარული და მხოლოდ სიყვარული“...

ჰოლივუდის ვარსკვლავი გოლდი ჰოუნი ორი მიზეზის გამო უყვართ. ჯერ ერთი, ნებისმიერ სიტუაციაში გაგამხიარულებთ და მეორე, 52 წლისამ იცის, ახალგაზრდულად როგორ გამოიყურებოდეს. სწორედ გოლდის დამსახურებაა, რომ 15 წელია, მის მეუღლეს, კურტ რასელს ცოლის სიყვარული არ განელებია. გოლდი სპილბერგის, უორენ ბითის, ვუდი ალენის საყვარელი მსახიობია. ბოლოდროინდელმა ფილმებმა დაგვარწმუნა, რომ იგი მარად ახალგაზრდაა და რეჟისორებიც ვინმე კეკლუც ლამაზმანს გოლდის ამჯობინებენ. მსახიობი ყველგან განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ განწყობას ქმნის; დაძაბული სიტუაციის დროს ვუდი ალენი თხოვდა ხოლმე, იცინეო და გოლდის გადამდები კისკისი მაშინვე ყველას ახალისებდა. ერთი ხანობა დაიჟინა, მახინჯი ვარ, სიცილს გადავეჩვიეო. რამდენიმე ფსიქოანალიტიკური სეანსის შემდეგ სულიერად დამშვიდდა და იმ პერიოდის ტელესერიალში („იცინე“) განსაკუთრებული პრიზიც მიიღო. „ერთ-ერთი სინჯის დროს შიშისგან მთელი ტექსტი გადამავიწყდა, — იხსენებს გოლდი, — და სცენაზე ავლრიალდი.“ პროდიუსერმა ჯორჯ შლატერმა მასში ხელოვანი შეიცნო და დასში დატოვა. ხალასი, უჩვეულო იერი რომ მიელო, ერთ ეშმაკურ ხერხს მიმართეს: გადაღების პროცესში უხამსსიტყვებიან ბარათებს მიაჩეჩებდნენ ხოლმე (რაც სცენარში, რა თქმა უნდა, არ ეწერა) და ამას გოლდის, რაღაც არაჩვეულებრივი, ცოცხალი რეაქცია მოჰყვებოდა. მსახიობმა ფილმისთვის „კაქტუსის ყვავილი“ (ეს გოლდის მეორე ფილმი იყო) ოსკარი მიიღო. როდესაც მისი სახელი და გვარი გამოცხადდა, გოლდი დარბაზში არ იმყოფებოდა, დავიწყებოდა, რომ ცერემონიალი იმ დღეს იყო. ესეც ჰოუნის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა...



გოლდის არასოდეს დაუფარავს მამაკაცებისადმი განსაკუთრებული ლტოლვა. ვის არ უგემია მისი ალერსი: შვედ მსახიობსა თუ კასკადიორს, ჰოლივუდის ქალთა გულთამპყრობელ უორენ ბითისა და სხვებს. 30 წლისამ ოჯახის შექმნა გადაწყვიტა. მოცეკვავე ჰანს თრიკონისს გაჰყვა. ტემპერამენტიანმა ჰანსმა ჩხუბიც ასევე ტემპერამენტიანად იცოდა. გოლდიმ 7 წელიწადი ითმინა და მერე განქორწინება მოითხოვა. „უკანასკნელ საჩუქრად“ ქმარმა 75 ათასი დოლარი მოსთხოვა. ჰოუნმა გადაუხადა. სხვათა შორის, მას შემდეგ ჰოლივუდის ცნობილი „მეორე ნახევრები“ ყოფილი ცოლებისგან არ ერიდებოდნენ განქორწინებისას ალიმენტების მოთხოვნას. სულ მალე ბილ ჰადსონი გახდა გოლდის ორი შვილის მამა. ამ ქორწინებამ ოთხი წელი გასტანა. განქორწინების შემდეგ არც ჰადსონი დარჩენილა „უსაჩუქროდ“. მას მალიბუს ორმილიონიანი სასახლე ხვდა წილად. 1984 წელს ფილმის „პარტნიორის ცვლა სვინგის რიტმში“ გადაღებისას შეხვდა თავის „უკანასკნელ სიყვარულს“ (როგორც თვითონ უწოდებს) კურტ რასელს. ისინი თხუთმეტი წელიწადია ერთად არიან და ურთმანეთოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ. საოცარია მათი ურთიერთობა: ორთავე ცნობილია, მატერიალურად დამოუკიდებელი, სხვადასხვა ხასიათისანი, ქალი 6 წლით უფროსია ქმარზე... ქალი ძალიან კორექტულია, კაცი ფიცხი. ქალი ბუდისტი და ვეგეტარიანელია, კაცი კი მონადირე და ათეისტი. გოლდიმ დღემდე ვერ მოახერხა თხილამურებზე სიარული, კურტი კი სამთო-სათხილამურო სპორტის უბადლო ოსტატია... რა აქვს საერთო ამ ორ ადამიანს? — „სიყვარული და მხოლოდ სიყვარული, — ამბობს გოლდი, — კურტი მსოფლიოში ყველაზე სექსუალური მამაკაცია.“ იქნებ ამიტომაც გამოიყურება გოლდი ასე საოცრად, ქალურად! „მთავარი ის არის, რომ სხვა ქალებისაგან განსხვავებით, კურტს არასოდეს ჩემს საკუთრებად არ ვთვლი, არასოდეს ვეკითხები, სად მიდის და რომელ საათზე დაბრუნდება, ჩვენ, ორთავე, თავისუფალი ადამიანები ვართ... თუ ოდესმე ჩემსა და სხვა ქალს შორის არჩევანი დადგება, კურტი ჩემთან დარჩება“, — სჯერა გოლდის. ოჯახიც შესაშური აქვთ; მათთან ერთად ცხოვრობენ ჰოუნის ქალ-ვაჟი, რასელის ვაჟიშვილი (პირველი ქორწინებიდან) და მათი საერთო პატარა უაიეტი. ბავშვები ამაყობენ თავიანთი მშობლებით.

„ერთ დროს, ჩემი ცხოვრების ძალიან მძიმე პერიოდში, თავს პირობა მივეცი, რომ ყველაფერს გავაკეთებდი, რომ ბედნიერი ვყოფილიყავი... მივაღწიე ჩემს მიზანს“, — ამბობს კმაყოფილი გოლდი.

*7 დღე №27*

# ჩინური კინოს პირველი სუპერვარსკვლავი

32 წლის გონგ ლის — ჩინური კინოს მშვენების აქტიორული ნიჭი მსოფლიომ აღიარა. არადა, იგი თავისი დასავლელი კოლეგებისაგან ისევე განსხვავდება, როგორც პეკინის სტუდიის პროდუქცია ჰოლივუდის ფილმებისაგან. იგი ხალხის ყურადღების მისაპყრობად არც საჯაროდ გამოდის და არც სკანდალებს აწყობს. ხოლო, როცა პირველ ქმარს, კინორეჟისორ ცანგ იმოუს გაშორდა, სევდის გასაქარვებლად ექიმს კი არ მიაკითხა, არამედ სოფელში დედამისთან წავიდა.

მსახიობობა მისი მოწოდება არაა. „მსახიობი იმიტომ გავხდი, რომ არ ვიცოდი, სხვა რა მეკეთებინა, — ამბობს გონგ ლი, — თანაც, ჩემი აზრით, არც ისე ცუდი მსახიობი ვარ“.

ამ აზრს სხვებიც იზიარებენ. 22 წლისამ ითამაშა პირველი როლი ფილმში „წითელი ხორბლის ველი“. მაშინ თეატრის აკადემიაში ეუფლებოდა მსახიობის ხელოვნებას. იგი განასახიერებდა გაუბედავ, მოკრძალებულ ქალს, რომელიც იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გმირად იქცევა და მტერს სიკვდილით სჯის. მაყურებელმა მაშინვე შეამჩნია ეკრანული ანალოგი ჩინეთში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობასთან. ეს კინონაწარმოები 1989 წლის სტუდენტური მოძრაობის დროშად იქცა, მოძრაობისა, „მშვიდობის“ მოედანზე სისხლის ტბით რომ დამთავრდა.

საერთაშორისო აღიარება გონგ ლის შემდგომმა ფილმმა მოუტანა. აქ იგი თამაშობს დედის როლს, რომელსაც ლვიძლი შვილი სათანადო ორგანოებში დაასმენს. ეს იყო კულტურული რევოლუციის ხანის სევდიანი მოგონება, როცა შვილები მშობლებს ცნობილი საბჭოთა გმირის პავლიკ მოროზოვის დარად ექცეოდნენ. ჩინური პროპაგანდისტური ხასიათის ფილმებს მიჩვეული დასავლეთი ეკრანზე მოთხრობილმა ამბავმა აღაფრთოვანა, გააკვირვა და შეაყვარა მას ახალი, ლამაზი, იდუმალი ჩინური კინო. დასავლელი მაყურებელი განსაკუთრებით გონგ ლიმ მოხიბლა. მისი ნატიფი აღნაგობა, მრგვალი, სიმეტრიული სახე, ნუშისებრი, შავი თვალები, მსხვილი ბაგეები, — სრულიად შეესატყვისებოდა დასავლეთის წარმოდგენას აზიელი ქალის მშვენიერებაზე. გონგ ლის გმირი ეკრანზე სუსტიც იყო და ძლიერიც, მიუწვდომელიც და ახლობელიც, ამასთანავე მეტისმეტად ეროტიკული. თუმცა ეკრანზე ჩინელ მსახიობს ყელისა და მუხლისქვემოთ ფეხების მეტი არაფერი გაუშიშვლებია; იგი მამაკაცებისთვის ძუნწად ჩაცმულ ყველა ჰოლივუდის ვარსკვლავზე გაცილებით სასურველი და სანატრელია.



გონგ ლის მსოფლიოს ულამაზეს საკრებულოს მიაკუთვნებენ და როგორც კინორეჟისორი ჩენ კეიჯი ამბობს, — „კამერის წინ გარდასახვა არავის ხელეწიფება ისე, როგორც ლის“, მსახიობი ძალიან უფრთხილდება პირად ცხოვრებას და არჩევს, საზოგადოებრივ ადგილებში შეუმჩნეველი დარჩეს. ჰოლივუდი უამრავ წინადადებას სთავაზობს, მაგრამ დღემდე არც ერთზე თანხმობა არ განუცხადებია. „ჰოლივუდის ყველა სცენარი ზედაპირული და მოსაწყენია, არ მინდა ფილმებში ჩემი სხეულის დემონსტრირება“.

გონგ ლის არ უყვარს გადაღებებზე ჩინეთის საზღვრებს მიღმა გასვლა.

ეს ბოლო სამი წელია, ლი კარიერაზე მეტად ოჯახურ, პირად ცხოვრებაზე ზრუნავს. იგი 1996 წელს ცოლად გაჰყვა წარმოშობით სინგაპურელ 47 წლის მეწარმეს ოი ვეი მინგს. მას უყვარს ქმარი, სახლი და კიდევ დიდი, თეთრი ძაღლი, რომელსაც მსახიობი ოჯახის წევრად თვლის.

„ბედნიერი ვარ, — ამბობს გონგ ლი, — ალბათ, ძალიან ბედნიერი, იმისთვის, რომ თავდავიწყებით ვიმუშაო“.

*შტერნი №26*

# ვუდი ალენს გაუჭირდა...

ვუდი ალენმა, რომელიც წელიწადში 2 ფილმს იღებდა, უეცრად, თავი გაკოტრებულად გამოაცხადა. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ბოლო დროს ამერიკელმა კრიტიკოსებმა რატომღაც ზურგი აქციეს ვუდი ალენს და თითქმის ყველა ცოდვაში დაადანაშაულეს. იმასაც წერენ, ფილმი კი ბევრი აქვს გადაღებული, მაგრამ უხარისხოო. მოგება კი არა, მხოლოდ წაგება მოაქვთო. ალენმა დაითხოვა თავისი გადამღები ჯგუფის ნახევარზე მეტი თანამშრომელი. „საკუთარი სურვილით“ წავიდნენ პროდიუსერი, პროდიუსერის თანაშემწე, ოპერატორი და რედაქტორი. სხვათა შორის, ეს ხალხი ტიტრებში თავში იწერება. „ხალხი, რომელიც მრავალი წელი ჩემთან მუშაობდა, უკვე ველარ გააგრძელებენ იმ თანხაზე მუშაობას, რომელიც მე შემიძლია შევთავაზო მათ,“ — განაცხადა რეჟისორმა.

ასე თუ გაგრძელდა, ალენის შემდეგი ფილმები საავტორო იქნება — თავად იქნება პროდიუსერიც, რედაქტორიც, ოპერატორიც და, რაღა თქმა უნდა, რეჟისორი.

*ლიზა №7*

სიახლე
„ლაჩი და კომპანიისგან“
რედაქტორის ლექსიკონი მოიცავს 5 მილიონს + ... ქართულ ხიტყვას. კორექტურა მუშაობს სხვა ტექსტურ რედაქტორებშიც.
იკითხეთ კომპიუტერების მაღაზიებში კომპაქტ-დისკი
OS WINDOWS-ისთვის შედგენილია კომბინირებული ქართულენოვანი რედაქტორი „აი ია“. მისი დანიშნულებაა:
- ქართული და ინგლისური ტექსტის კორექტურა;
- ქართულიდან ინგლისურად და პირიქით თარგმნა;
- მორფოლოგიური ანალიზი;
- კროსვორდების შედგენა და ამოხსნა;
- რითმების მოძებნა;
- ტექსტის ამეტყველება.

თუ აიღეთ ზღვისკენ კურსი — მოგვაკითხეთ „ნიკე-ტურსი“
Nike Tours
ანტალია საფრანგეთი ქობულეთი საბერძნეთი ესპანეთი ბათუმი იტალია ბულგარეთი
მისამართი: ბარნოვის ქ. № 73. ტელ: 22-29-44

## „მესამე ტაიმი"

„კვირის პალიტრა" აგრძელებს საპრიზო სპორტულ თამაშს **„მესამე ტაიმი"**, გათამაშების საპრიზო ფონდით 300 ლარი, **(მოცემული, XIX გათამაშების საპრიზო ფონდი 600 ლარია წინა კვირაში დაფიქსირებული ჯეკ-პოტის გამო),** საიდანაც ნახევარი ერგება მას (ან მათ), ვინც „მესამე ტაიმის" ბარათში აღნიშნულ ყველა 8 მატჩის შედეგს სწორად გამოიცნობს. საპრიზო ფონდის მეორე ნახევარს კი მიიღებს ის (ან თანაბრად გაინაწილებენ ისინი), ვინც სწორად გამოიცნობს მინიმუმ 7 შედეგს (მათ შორის, თავისთავად შედის 8 შედეგის გამომცნობიც).

***ჯეკ-პოტი:*** იმ შემთხვევაში, თუ ვერავინ გამოიცნო 8 ან 7 მატჩის შედეგი და საპრიზო ფონდი სრულად ან ნაწილობრივ არ გაიცა, გაუთამაშებელი თანხა დაემატება მომდევნო კვირაში გამართულ „მესამე ტაიმის" საპრიზო ფონდს.

**თუ ფიქრობთ, რომ გაიმარჯვებს წყვილში პირველად დასახელებული გუნდი, გადახაზეთ I სვეტში მოთავსებული უჯრა, II სვეტის უჯრის გადახაზვა ნიშნავს ფრეს, ხოლო III სვეტის უჯრისა კი — მეორედ დასახელებული გუნდის მოგებას.**

## XIX გათამაშება — ჯეკ-პოტი 600 ლარი

### რუსეთის ჩემპიონატი

Ⓐ — ბარათის ეს ნაწილი შეინახეთ №19

| № | თარიღი | I | გუნდი | II | გუნდი | III |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | 22.07.98 | | როსტსელმაში | | ურალანი | |
| 2. | 22.07.98 | | შინიკი | | როტორი | |
| 3. | 22.07.98 | | ალანია | | კრილია სოვეტოვი | |
| 4. | 22.07.98 | | ჟემჩუჟინა | | ბალტიკა | |
| 5. | 22.07.98 | | დინამო | | ტიუმენი | |
| 6. | 22.07.98 | | ლოკომოტივი (მ) | | სპარტაკი | |
| 7. | 22.07.98 | | ზენიტი | | ცსკა | |
| 8. | 22.07.98 | | ჩერნომორეცი | | ტორპედო | |

მონაწილის სახელი, მამის სახელი, გვარი ____

ქალაქი (რაიონი)

Ⓑ — ბარათის ეს ნაწილი გამოგზავნეთ №19

| № | თარიღი | I | გუნდი | II | გუნდი | III |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | 22.07.98 | | როსტსელმაში | | ურალანი | |
| 2. | 22.07.98 | | შინიკი | | როტორი | |
| 3. | 22.07.98 | | ალანია | | კრილია სოვეტოვი | |
| 4. | 22.07.98 | | ჟემჩუჟინა | | ბალტიკა | |
| 5. | 22.07.98 | | დინამო | | ტიუმენი | |
| 6. | 22.07.98 | | ლოკომოტივი (მ) | | სპარტაკი | |
| 7. | 22.07.98 | | ზენიტი | | ცსკა | |
| 8. | 22.07.98 | | ჩერნომორეცი | | ტორპედო | |

მონაწილის სახელი, მამის სახელი, გვარი ____

ქალაქი (რაიონი)

უჯრა გადახაზეთ ასე — ☒

„მესამე ტაიმის" ბარათი გამოგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყურადღება! XIX გათამაშების ბარათები ყუთებში შეგიძლიათ მოათავსოთ **სამშაბათის (21 ივლისის) 17.00 საათამდე** (ყუთების მდებარეობის შესახებ იხ. 24-ე გვერდი).

## „მესამე ტაიმი" XVIII გათამაშების შედეგები

„მესამე ტაიმის" XVIII გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო 687-მა ადამიანმა (იგულისხმება ის ბარათები, რომლებიც „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოთავსდა სამშაბათის, 14 ივლისის 17 საათამდე). 8 და 7 მატჩის შედეგი ვერ გამოიცნო ვერც ერთმა მონაწილემ.

რუსეთის ჩემპიონატის თამაშები ისედაც ძნელად პროგნოზირებადია, რა გუნდებიც არ უნდა ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამას დაემატა ისიც, რომ ჩემპიონატის ლიდერმა „სპარტაკმა" შინ ვერ გაიმარჯვა „ზენიტთან", ხოლო შინიკმა სტუმრად სენსაციური გამარჯვება მოიპოვა „ტორპედოსთან". საბოლოოდ „მესამე ტაიმის" XVIII გათამაშების რვა მატჩიდან, მხოლოდ ორში მიაღწიეს წარმატებას მასპინძლებმა, 3-3 მატჩი დამთავრდა ფრედ და სტუმართა გამარჯვებით, რაც ძალიან იშვიათია. ამრიგად 8 და 7 შედეგი ვერავინ გამოიცნო, 6 თამაშის შედეგიც კი, ორად ორ ბარათში იყო გამოცნობილი. „მესამე ტაიმის" გათამაშებაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა საერთოდ არ გათამაშდა საპრიზო ფონდი და მთლიანად დაემატა მომდევნო გათამაშებისას.

*„მესამე ტაიმის" XIX გათამაშების ბარათების შეძენა შეუძლია ყველა მსურველს, სამშაბათს, 21 ივლისს, სპორტის სასახლის სალაროებთან, 11-დან 13 საათამდე. ერთი ვარიანტის ფასია — 20 თეთრი.*

გთავაზობთ, „მესამე ტაიმის" XVIII გათამაშების სწორ ვარიანტს.

Ⓑ — ბარათის ეს ნაწილი გამოგზავნეთ №18

| № | თარიღი | I | გუნდი | II | გუნდი | III |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | 15.07.98 | ☒ | როტორი | | როსტსელმაში | |
| 2. | 15.07.98 | | ტორპედო | | შინიკი | ☒ |
| 3. | 15.07.98 | ☒ | ცსკა | | ჩერნომორეცი | |
| 4. | 15.07.98 | | სპარტაკი | ☒ | ზენიტი | |
| 5. | 15.07.98 | | ტიუმენი | | ლოკომოტივი (მ) | ☒ |
| 6. | 15.07.98 | | ბალტიკა | | დინამო | ☒ |
| 7. | 15.07.98 | | ურალანი | ☒ | ალანია | |
| 8. | 15.07.98 | | კრილია სოვეტოვი | ☒ | ჟემჩუჟინა | |

როტორი — როსტსელმაში 5:1; ტორპედო — შინიკი 0:1; ცსკა — ჩერნომორეცი 4:1; სპარტაკი — ზენიტი 0:0; ტიუმენი — ლოკომოტივი 0:2; ბალტიკა — დინამო 0:2; ურალანი — ალანია 3:3; კრილია სოვეტოვი — ჟემჩუჟინა 0:0.

## 57 ათასი მოიგო და დაიკარგა

არნახულ წარმატებას მიაღწია უცნობმა აზარტულმა მოთამაშემ, რომელმაც ჯერ კიდევ გასული წლის 4 ივლისს სულ რაღაც 16 ფუნტით დაიწყო თამაში და ეს თანხა 57.537 ფუნტად აქცია. როგორ? მისი ყველა წინასწარმეტყველება ახდა, — „არსენალმა" ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, „ჩელსიმ" თასების თასი, „ნოტინგემ ფორესტი" მეორე დივიზიონის ჩემპიონი გახდა, ხოლო „ნოთს ქაუნთი" — მესამისა. მეხუთე პუნქტად კი, წინასწარმეტყველს საფრანგეთის ნაკრების ჩემპიონობა ეწერა — ესეც გამოიცნო. მთავარი და ყველაზე საინტერესო ისაა, რომ უილიამ ჰილის ბუკმეკერულ ორგანიზაციაში ჯერ არ გამოჩენილა ამ პროგნოზების ავტორი და მისი მოგებული თანხაც, ჯერჯერობით, ბუკმეკერთა საკუთრებაა.

## ფიფამ მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა

ფიფამ გამოაქვეყნა მორიგი რეიტინგი, რომელმაც, ბუნებრივია, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ სერიოზული ცვლილებები განიცადა. საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიო თასი მოიპოვა და მე-17 ადგილიდან მე-2-ზე ავიდა. ასევე, დიდი ნახტომი გააკეთა ზევით ხორვატიის გუნდმა, მე-19 ადგილიდან მე-4-ზე აღმოჩნდა.

დანარჩენ ნაკრებთა შორის განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად ჰოლანდიის გუნდს, რომელიც მე-8 პოზიციაზეა. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, მან რვა საფეხურით მაღლა აიწია და 52-დან 44-ე ადგილზე გადაინაცვლა.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | (1) | ბრაზილია | 73,84 | 26. | (29) | პარაგვაი | 54,43 |
| 2. | (17) | საფრანგეთი | 70,18 | 27 | (24) | სამხრეთ აფრიკა | 53,34 |
| 3. | (2) | გერმანია | 68,65 | 28 | (16) | რუსეთი | 53,27 |
| 4. | (19) | ხორვატია | 66,62 | 29 | (30) | იამაიკა | 52,90 |
| 5. | (6) | არგენტინა | 65,14 | 30 | (28) | შვეცია | 52,71 |
| 6. | (3) | ჩეხეთი | 64,90 | 31 | (36) | ბელგია | 52,21 |
| 7. | (8) | იუგოსლავია | 64,17 | 32 | (40) | სლოვაკეთი | 51,35 |
| 8. | (25) | ჰოლანდია | 64,07 | 33. | (34) | საუდის არაბეთი | 50,91 |
| 9. | (14) | იტალია | 64,07 | 34 | (35) | ბულგარეთი | 49,90 |
| 10. | (5) | ინგლისი | 62,66 | 35 | (38) | ურუგვაი | 49,82 |
| 11. | (7) | ნორვეგია | 62,26 | 36 | (41) | შოტლანდია | 48,85 |
| 12. | (4) | მექსიკა | 62,04 | 37. | (42) | ირანი | 48,37 |
| 13. | (22) | რუმინეთი | 60,31 | 38 | (32) | ავსტრალია | 48,32 |
| 14. | (15) | ესპანეთი | 60,21 | 39. | (47) | ისრაელი | 48,25 |
| 15. | (9) | ჩილე | 59,30 | 40. | (49) | კამერუნი | 48,12 |
| 16. | (13) | მაროკო | 58,69 | 41. | (26) | ეკვადორი | 47,41 |
| 17. | (10) | კოლუმბია | 57,90 | 42 | (39) | პორტუგალია | 46,10 |
| 18. | (27) | დანია | 57,86 | 43. | (37) | პერუ | 46,07 |
| 19. | (11) | აშშ | 57,06 | **44.** | **(52)** | **საქართველო** | **45,95** |
| 20. | (17) | ეგვიპტე | 56,83 | 45. | (44) | კოტ დივუარი | 45,69 |
| 21. | (20) | კორეა | 55,34 | 46. | (50) | ტაილანდი | 45,41 |
| 22. | (12) | იაპონია | 55,24 | 47. | (46) | ირლანდია | 44,82 |
| 23. | (31) | ავსტრია | 55,06 | 48. | (54) | პოლონეთი | 44,66 |
| 24. | (23) | ზამბია | 54,98 | 49. | (51) | ჩინეთი | 44,45 |
| 25 | (21) | ტუნისი | 54,97 | 50. | (55) | საბერძნეთი | 43,95 |



## „რეალს" გუს ჰიდინკი გაწვრთნის

ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გუს ჰიდინკი ამიერიდან მადრიდის „რეალს" ჩაუდგება სათავეში. ეს ფაქტი ესპანეთში სენსაციად მიიღეს, რადგან თითქმის გადაწყვეტილი იყო, რომ სამეფო კლუბი დორტმუნდის „ბორუსიას" ყოფილ მწვრთნელს, იტალიელ ნევიო სკალას უნდა ჩაებარებინა, მაგრამ სკალამ ბოლო მომენტში განაცხადა უარი და ჰიდინკის კანდიდატურა ერთადერთი დარჩა. შეგახსენებთ, რომ ესპანური ფეხბურთის მეორე გრანდს — „ბარსელონასაც" ჰოლანდიელი ლუი ვან გაალი ავარჯიშებს.

## პარიზს ოლიმპიადის მასპინძლობაც სურს

ბრწყინვალედ ჩატარებული საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის შემდეგ, ფრანგებს ოლიმპიადის პარიზში ჩატარების სურვილიც აღეძრათ. პარიზის მერმა ჟან ტიბერიმ განაცხადა, რომ მისი ქალაქი მზადაა, 2008 წელს უმასპინძლოს ოლიმპიადას. შეგახსენებთ, რომ პარიზის გარდა, ოლიმპიადის ჩატარების სურვილი უკვე გამოთქვეს ოსაკამ, ტორონტომ, ბუენოს-აირესმა, სევილიამ და სტამბულმა.

## კლემენტე პოსტს ინარჩუნებს



მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის ნაკრები სამარცხვინოდ გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატზე და მერვედფინალშიც კი ვერ გავიდა, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი შეუნარჩუნოს ხავიერ კლემენტეს. ევროპის მომავალი ჩემპიონატისთვის გუნდს ისევ კლემენტე მოამზადებს, რომელმაც საჯაროდ მოიხადა ბოდიში საფრანგეთში წარუმატებელი თამაშის გამო.

## მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები

გერმანულმა ჟურნალმა „კიკერმა" გამოაქვეყნა მსოფლიო ჩემპიონატის ორი სიმბოლური ნაკრები. პირველი საუკეთესო ფეხბურთელთაგან, ხოლო მეორე იმ მოთამაშეებისგან, რომელთაც ყველაზე ცუდად ითამაშეს საფრანგეთში.

**პირველი ვარიანტი ასე გამოიყურება:**

**ჩილავერტი** (პარაგვაი), **ფ. დე ბური** (ჰოლანდია), **ტიურამი, დესაი** (ორივე საფრანგეთი), **ვერონი** (არგენტინა), **ზიდანი** (საფრანგეთი), **დავიდსი** (ჰოლანდია), **რივალდო** (ბრაზილია), **პეტი** (საფრანგეთი), **ბატისტუტა** (არგენტინა), **შუკერი** (ხორვატია).

**უიღბლოთა ნაკრების შემადგენლობა კი ასეთია:**

**სუბისარეტა** (ესპანეთი) **ივანოვი** (ბულგარეთი), **დული** (აშშ), **ციგე, ჰაინრიხი, მიოლერი** (სამივე გერმანია), **დელ პიერო** (იტალია), **ჰერცოგი** (ავსტრია), **ვალდერამა** (კოლუმბია), **სტოიჩკოვი** (ბულგარეთი), **ასპრილია** (კოლუმბია).

**მსოფლიო ჩემპიონატს სპორტის ყველა მოყვარული ადევნებდა თვალს. „კვირის პალიტრა" აწყობს საინტერესო გამოკითხვას და მკითხველს სთავაზობს, თავად შეადგინოს ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები. ყველა გამოკითხულის პასუხები შეჯამდება (დაითვლება თითოეული ფეხბურთელისათვის მიკუთვნებული ხმების რაოდენობა) და გაზეთის შემდეგ ნომერში გამოქვეყნდება მკითხველის მიერ შედგენილი სიმბოლური ნაკრები.**




**მსოფლიოს ნაკრები**

**მწვრთნელი** ____

1 ____
2 ____
3 ____
4 ____
5 ____
6 ____
7 ____
8 ____
9 ____
10 ____
11 ____

____
(შემდგენელის სახელი, გვარი)

## №28 (93) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

28-ე რეიტინგს 509 მკითხველი გამოეხმაურა. 15 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 105-მა ქალმა და 389 მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელმა გუნდმა აჩვენა ყველაზე ლამაზი ფეხბურთი მსოფლიო ჩემპიონატზე?“** ჩვენს მკითხველებს ყველაზე მეტად საფრანგეთის ნაკრების თამაში მოეწონათ. ეს მოსალოდნელიც იყო, ფრანგები ხომ ჩემპიონები გახდნენ. საშუალო ქულაა 6,89. მათ გულშემატკივრებს რიცხობრივად ოდნავ ჩამორჩნენ ბრაზილიისა და ჰოლანდიის თაყვანისმცემლები. ყველაზე მეტი მაქსიმალური ქულა წილად ხვდა ბრაზილიის ნაკრებს (28%). ჭეშმარიტად ლამაზი ფეხბურთი აჩვენა ინგლისის ნაკრებმაც. ეს გუნდი მაქსიმალური ქულების მიხედვით მესამეა, მიუხედავად იმისა, რომ მერვედფინალს ვერ გასცდა. საბოლოო შედეგიდან გამომდინარეა, რომ ხორვატიის ნაკრები დანიასა და არგენტინაზე წინ დგას, თორემ მაინცდამაინც ლამაზი თამაშით ხორვატები ვერ დაიკვეხნიან. მკითხველი თვლის, რომ წელს გერმანიას იმდენად სუსტი გუნდი ჰყავდა, რომ თვით ნიგერიამაც კი მათზე უკეთ ითამაშა. ჩვენი რეიტინგის ბოლო ორი ადგილიც ამ გუნდებს ერგოთ.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი კი 50 წლის თბილისელი, ორი შვილის მამა **თემურ სირბილაძეა** – პროფესიით ინჟინერ-ქიმიკოსი, ამჟამად უმუშევარი. ბატონმა თემურმა გერმანიის ნაკრებს 1-ის ნაცვლად 2 ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნა, ხოლო ნიგერიის გუნდს კი – 2-ის ნაცვლად – 1 (მეცხრე ადგილი). გამარჯვებულს პრიზის – 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 21 ივლისს, 17 საათზე.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგში 392-მა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა. კითხვა ასეთი იყო: **„ვინ იქნება საუკეთესო პრემიერ-მინისტრი?“**

მკითხველთა უმეტესობის აზრით, საუკეთესო პრემიერ-მინისტრი ასლან აბაშიძე იქნებოდა. „აჭარის ლომს“ ხმების რაოდენობით მცირედით ჩამორჩება „მოქალაქე“ მიხეილ სააკაშვილი; მესამე ადგილზე კი ედპ-ს ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურიაა. გთავაზობთ ჩვენი მკითხველების მიერ დასახელებული „პრემიერ-მინისტრების“ პირველ ათეულს:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1) | **ასლან აბაშიძე** | 49 | 6–7) | **ვაჟა ლორთქიფანიძე** | 18 |
| 2) | **მიხეილ სააკაშვილი** | 38 | 6–7) | **ვახტანგ რჩეულიშვილი** | 18 |
| 3) | **ირინა სარიშვილი** | 32 | 8) | **შალვა ნათელაშვილი** | 16 |
| 4) | **ზურაბ ჟვანია** | 26 | 9) | **ჯუმბერ პატიაშვილი** | 13 |
| 5) | **თემურ შაშიაშვილი** | 22 | 10) | **აკაკი ასათიანი** | 10 |

31 რესპონდენტს გაუჭირდა ამ კითხვაზე განსაზღვრული პასუხის გაცემა; რვა მკითხველს კი დღესდღეობით საქართველოში არ ეგულება პრემიერ-მინისტრობისათვის შესაფერისი პიროვნება.

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დამამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ეტიუდის ამოხსნა: 1. კ b8

• • •

ნიურნბერგის საერთაშორისო ტურნირზე 1906 წელს მოჭადრაკეებს უფლება ეძლეოდათ მოსაფიქრებელი დროისათვის გადაეცილებინათ 5 წუთით, მაგრამ ყოველ გადაცილებულ წუთზე უნდა გადაეხადათ 1 გერმანული მარკა ჯარიმის სახით.

თეთრები იწყებენ და აძლევენ მატს ორ სვლაში.




## №29 (94) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენს მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგი“-ში.

№29 (94) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი ხუთშაბათის, 23 ივლისის 13 საათამდე ჩააგდეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში.

© თბილისი, 1997

### თემა №29 (94)

რა გაკლიათ ყველაზე მეტად (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№29(94) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ძილი | |
| 2 | ვარჯიში | |
| 3 | ძეიფი | |
| 4 | დასვენება (მოგზაურობა) | |
| 5 | სიყვარული | |
| 6 | სიცილი | |
| 7 | ფული | |
| 8 | განათლება | |

**მკითხველის რეიტინგი***

დაასახელეთ, თქვენი აზრით, საუკეთესო ქართველი კინორეჟისორი.

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი
______________________
ქალაქი (რაიონი)
__________ __________
ასაკი ტელეფონი


## „მზიური“

**განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი**



***კომპიუტერის შემსწავლელი კურსები***

› პერსონალური კომპიუტერი თანამედროვე ოფისში (Windows 95, MS Word, MS Excel, Internet)

› ინტერნეტი ყველასათვის (WWW, E-mail)

**თანამედროვე ტექნიკა, ლიტერატურა, სერთიფიკატი**

მის: ი. ჭავჭავაძის ჩიხი, №37 („მზიურის“ ტერიტორიაზე, ჩოგბურთის კორტებთან)
☎ 29-48-61, 23-53-17, 29-48-60





"PULSAR" ltd

კომპიუტერული ტექნიკის, ორგტექნიკის, იმპორტული ვიდეო-აუდიო აპარატურის შეკეთება
ვაჟა-ფშაველას გამზ. № 16
M. „სამედიცინო ინსტიტუტი“
☎ **33-08-71**
**877-41-51-29**



ფასი 10 თეთრი
**საუკეთესო კროსვორდების და ანეკდოტების გაზეთი**


## · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

### რას დაარქმევდით?

______________________
______________________
______________________
______________________
______________________
______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________________
ქალაქი (რაიონი) ______________________


ვლადიმერ პაპავა და მიხეილ ჭკუასელი

ზურაბ ჟვანია გეგმავს ახალ ტერორისტულ აქტს აბაშიძის მიმართ, კოდური სახელწოდებით „ან შენ, ან მე“.

*ბაჩანა, გორი*

მე არა მაქვს მეფის გვარი,
და არც შენა გქონია,
ტახტზე ასვლას რომ ოცნებობ,
იქნებ ფიქრი სჯობია,
შური სოფელს არ აშენებს,
სიყვარული სჯობია,
თორემ, ასლან, ზღვარის შემდეგ,
თურმე ცხვარიც ლომია.

*ნათია მუნჯიშვილი, თბილისი*

ჟვანია ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,
ყოველღამ სიზმრადა ხედავს
„აჭარის ლომის“ საფლავსა,
ტერორი აზრადაც არ აქვს,
არვინ უჯერებს მართალსა.

*კაკო ბუქულაშვილი, ქარელი*

„შვილო, ზურაბ, სადამდის?
ვაი, დედა ყელამდის!..“
„სურამის ციხე“

*დათო ფირუმაშვილი, თბილისი*

მაფიოზად რომ მნათლავთ და
ტერორისტს რომ მიწოდებთ,
ჩემი წაქცევა რომ გინდათ,
არ გამოვა, იცოდეთ,
მოკლე ხანში დაგიმტკიცებთ,
რომ ხარის მაქვს ჯანია,
თუ ყველა არ „გაგამწვანოთ“,
მოკვდეს ზურაბ ჟვანია!!!

*გ. ხ., თბილისი*

აი, ტა-ტა-ტა, მოიდა ზურაბაი!
კინოფილმიდან „ზოგი ჭირი მარგებელია“

*მარი, ხაშური*




*წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 205 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.*

— რას იტყვით, ვგავარ ხომ აკაკი წერეთელს?

*ირმა ფუხაშვილი, თბილისი*

უმუშევარი №1.000.001!

*იოსებ მერაბიშვილი, თბილისი*

ზურაბ ჟვანია ბოტანიკის გაკვეთილზე.

*ო. ჩრდილელი, ხარაგაული*

რას ჩაფიქრებულხარ ზურაბ,
ასეც შენ გჭრიან თავს და ისეც.
სჯობს ხეზე აძვრე.
ასლანმა ხეზე ცოცვა არ იცის.

*ირაკლი (იკო), ხაშური*

სპიკერობას არ მერჩია
შემეხვია ტოლმა.
რა ჯიშის ვარ „გმირთა-გმირი“
იცის ერთმა-ორმა.
ვაპმე, მგონი მომიწია
საფეთქელთან სროლამ.

*როლანდი ლ., თბილისი*

ნახეს უცხო მოყმე ვინმე
ჯდა მჭმუნვარე მტკვრისა პირსა,
ჭოროხს მტკვარი აჯობებსო
უმტკიცებდა თავსა თვისსა.

*კ. თ., თბილისი*

ზურაბ ჟვანია:
„ხეზე ვზი“ ეგზომ მაღალსა,
თვალნი ვერ ამოსწვდებიან
„აჭარის ლომი“ მსტოვრებით
ხის ქვეშ დრტვინავენ, ჰკრთებიან,
ძლივს თავი გადავირჩინე,
გულზე სახმილი მდებიან,
მაგრამ არ ვიცი, რაღა ვქნა,
თუ მაინც შემომწვდებიან.

*ია თაქთაქიძე, თბილისი*

„სმაკი“ = „სკამი!“
(შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება!)
**ზ.ჟ.** უყურე შენ მაგ ღლაპებს,
რა ჰქონიათ გულში?
მოვიცლი თქვენთვისაც...

*ზ. ტყეშელაშვილი, ქუთაისი*

— მე-გო-ბრე-ბო! მოვემზადოთ კენჭისყრისთვის, გთხოვთ, ტვინს, — ბოდიში, ღილაკს თითი დააჭიროთ!

*თამაზ ბანძელაძე, სოხუმი*

თუკი მოჭრით მუხას, თელას
იქ დაგამწყვდევთ, სადაც ბნელა.

*„ბალუ“, თბილისი*

**ზ.ჟ.** პრეზიდენტად ამირჩიეთ,
საქმე არის ადვილი.
მილიონი რას მიქვია,
თითო კაცზე მოვიძიე
ორი-სამი პრესტიჟული,
სამუშაო ადგილი!

*ვ. ივანიაშვილი, თბილისი*

# ტრიუმფი ტრიუმფალურ თაღთან



ყველა დროის ყველაზე გრანდიოზული ფეხბურთის ფანთა საღამო პარიზში, ელისეს ბულვარზე.

## „მაპატიეთ, მაესტრო, ვერ შეგამჩნიეთ“



„რადიო თაიმსთან“ (ინგლისური ჟურნალი) ინტერვიუში ლუჩანო პავაროტიმ განაცხადა, რომ არასოდეს აკლდა თაყვანისმცემელთა ყურადღება და ქათინაურები, მაგრამ რამდენიმე წლის წინ ერთი მშვენიერი სქესის წარმომადგენლის მიერ ნათქვამი ფრაზა, — დღემდე ახსოვს.

...ლუჩანოს ქუჩაში შემთხვევით ველოსიპედისტი ქალი დაეჯახა. მომღერალი, რამელიც მაშინ 150კგ-ს იწონიდა, ძლივს წამოდგა და აი, ზუსტად მაშინ გაიგონა ის დაუვიწყარი ფრაზა, რომელიც სიმპათიურმა ველოსიპედისტმა ანგელოზის ღიმილით წარმოთქვა: „მაპატიეთ, მაესტრო, ვერ შეგამჩნიეთ“.

## მწუხარე სახის რაინდი, ჩემპიონი, მეფე-მოპსი

პირველობა მოიპოვა ხჯრნვაში და პატრონთან უბადლო პარტნიორობაში. მიუხედავად მწუხარე გამომეტყველების, შესანიშნავი ბუნებისაა და კარგი მოთამაშე.





22 ივლისის ნომერში: ანტონიო ბანდერასი:

— ყველაფერი ისე უეცრად მოხდა, რომ ვერც შევხვდი. ბოლოს გავხდი მამაკაცი. გვ. 10

რა ხდება მსოფლიო საზოგადოების მწვერვალებსა და ფსკერზე

ზინედინ ზიდანი — ფრანგების გმირი — ბრაზილიის გულისტკივილი. გვ. 2

სად ატარებენ დროს ქართველი მუსიკოსები. გვ. 3



კვირის პალიტრის უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში "სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 1,5 ლარი).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში 23 ივლისის (ხუთშაბათი) 13 საათამდე. ყუთები განთავსებულია* ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ: *მეტროების — „მარჯანიშვილი“; „ვაგზლის მოედანი“; „თავისუფლების მოედანი“; „რუსთაველი“; „ახმეტელი“; „ვარკეთილი“; „პოლიტექნიკური“; „გოცირიძე“ — მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში — გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 — სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ — ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბის მეტროს წინ, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში — მეგობრობის გამზ. მილიციასთან; უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; ვაკეში — კავსაძის ქუჩაზე; ბაგებში — გაჩერებასთან.*

***რაიონულ ცენტრებში:*** *ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, ᲙᲐᲡᲞᲘ, ᲒᲝᲠᲘ, ᲧᲐᲠᲔᲚᲘ, ᲮᲐᲨᲣᲠᲘ, ᲡᲣᲠᲐᲛᲘ, ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ, ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ, ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ, ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ, ᲑᲐᲗᲣᲛᲘ —* ***არსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთები იცლება სამშაბათობით, 17 საათიდან.***

**ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ: „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ (ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ) ᲧᲣᲗᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ.** ©

### (29) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 20 (მისამართის გარდა)*

P.S. №29-ის ქვითარი ძალაშია 20 ივლისიდან 23 ივლისის ჩათვლით. „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 23 ივლისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

# კროსვორდი



***თარაზულად:*** 7. რაც არ წყდება; 8. კრუნჩხვითი ხრინწიანი სუნთქვა; 12. უშედეგო, უნაყოფო; 13. ის, რის „ჩვენებასაც“ ჩვენი ჯიბის დაცლა მოსდევს; 14. მთის დაქანებული ქვიანი გვერდი უსწორმასწორო ნაპირებით; 19. „გუდების დამამზადებელთა“ სოფელი დუშეთის რაიონში; 20. დედამიწის გამჭვირვალე „ტანსაცმელი“; 21. ღვეზელი, რომელსაც კრემიანი გული ტკბილად უცემს; 22. ადამიანის (ადამიანთა ჯგუფის) ფერწერული, გრაფიკული, სკულპტურული ან ფოტო-გამოსახულება; 23. რთული საკითხი, რომელიც საჭიროებს ახსნას, შესწავლას; 26. უწყინარესი, მაგრამ ეგოისტი და ტრაბახა ცხოველი, „ლაპარაკშიც“ კი საკუთარ „მე“-ს რომ ვერ ელევა; 28. მხოლოდ ერთი რისამე მქონე (დაასრულეთ გამოთქმა „პერანგის...“); 29. ზღვის წვრილი თევზი; 34. თევზსაჭერი საშუალება, რომელშიც ბურთიც ეხვევა; 35. ვინც ჯვარს ატარებს; 38. დათვის ნაშიერი; 39. ძალიან მკაფიო, ძლიერი; 40. ამა თუ იმ ადგილის ამინდის რეჟიმი;

***შვეულად:*** 1. ჩქარა, მარდად; 2. ქარიშხალი ზღვაზე; 3. რისი დეფიციტის გამოც დაიწერა „გამოლმით მე ვარ, გაღმით შენ“... 4. ღვინის ნალექი; 5. ხანგრძლივი უწვიმობა და ძლიერი სიცხე; 6. აბულას ვაჟიშვილი, ესე იგი... 9. ყურძნის წვენი (ტკბილი) შესანახად მოდუღებული; 10. ლობიოს პარკის ბეწვი; 11. დაბა სვანეთში, ქართული ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი; 15. სისუფთავის დამცავი ღონისძიებების ერთობლიობა; 16. მცენარე, რომელიც „სისხლს“ უშრობს ჭაობს; 17. ქიმიური ელემენტი; 18. ვენერიული დაავადების — „გონორეის“ ერთ-ერთი შესატყვისი; 24. ზნეობრივი ხასიათის რელიგიური გამონათქვამი; 25. სიტყვათა წარმოთქმის მანერა; 27. ქალობა ერჩია (სახელით), თუმცა კაცი იყო, თანაც მინისტრი; 30. მოვლენა, საგანი, პირი, რომლისკენაც მიმართულია ვისიმე მოქმედება, ყურადღება და სხვა... 31. ძველად ძალზე გავრცელებული სახურავი მასალა; 32. ფრანგული მოდის კანონმდებელი, პოპულარული პიროვნება, კოკო... 33. წარმოდგენა, სპექტაკლი; 36. მამაკაცი, რომლის მეშვეობითაც მოხდა ნინოს შეხვედრა წარსულთან (ფილმში); 37. თალი ანუ...

### „კვირის პალიტრის“ №28-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

***თარაზულად:*** 3. მარიანოვიჩი; 6. ნანდუ; 7. არტეკი; 10. ჯუნგლი; 13. კახი; 14. კოდეინი; 17. იურმალა; 19. სამურაი; 21. „პრავდა“; 22. ესაძე; 23. ტუალეტი; 24. ორფევსი; 26. დუშმანი; 28. ბუმი; 30. მშვიდი; 33. არგონი; 34. მარში; 35. პარაბოლოიდი;

***შვეულად:*** 1. კანონი; 2. ანკლავი; 4. იეზუიტი; 5. ვისტი; 8. იური; 9. ფლორიდა; 11. ნორმატივი; 12. მაკიაველი; 13. კიი; 15. „ელამს“; 16. ფლორა; 18. რკინა; 20. რევანში; 25. ისი; 27. შუკა; 28. ბახმარო; 29. ღვინიო; 31. კობზა; 32. ტრიოდი;



**ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲐ**

**ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲡᲢᲐᲜᲪᲘᲣᲠ ᲡᲘᲒᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ. ᲘᲐᲤᲐᲓ. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲐᲓ. ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲘᲗ**

კანდელაკის ქ. 41 (გაგარინის მიმდ. ტერიტ.)
ბენდელიანის ქ. (ტელევიზიის პირდაპირ)

☎ 877 40 75 34
877 42 25 38






**ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲘ**



•••

მღვდელი თვითმფრინავით მიფრინავს, იძახებს სტიუარდესას:

— რა სიმაღლეზე მივფრინავთ?

— 3.000 მეტრზე...

— თუ არ შეწუხდებით 100გრ კონიაკი მომიტანეთ.

მიართვეს, გადაკრა, გადის ცოტა ხანი, მღვდელი ისევ ეკითხება სტიუარდესას:

— რა სიმაღლეზე მივფრინავთ?

— 10.000 მეტრზე.

— ერთ ჭიქა წყალი, თუ შეიძლება...

— კონიაკი ხომ არ გნებავთ?

— ჩუ...! უფროსობასთან ძალიან ახლოს ვარ...

•••



საბავშვო ბაღში ორი პატარა საუბრობს:

— შენ სულ ტყუილად ეჭვიანობ! მამაკაცი, რომელთანაც შენ მე გუშინ მნახე, მამაჩემია.

•••

ბრძენს ჰკითხეს:

— რა ჰქვია ქალს, რომელმაც ყოველთვის იცის, სად არის მისი ქმარი?

— ქვრივი.

•••

გარდაიცვალა ძველი ოფიციანტი, ქვრივი დარდზე სპირიტიზმში გადავარდა. ერთხელ, ქალმა სცადა ქმრის სული გამოეძახებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

— ერიკ, — აღრიალდა ქალი, — რატომ არ მოდიხარ?

— მე მაგ მაგიდას არ ვემსახურები.



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

ᲡᲐᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲝ № 1518

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.